


ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი

№2, 2020



Orbeliani

Academic Journal of Sulikhan-Saba Orbeliani University

N2, 2020

მთავარი რედაქტორი

პროფ. ვაჟა ვარდიძე

აღმასრულებელი რედაქტორი

პროფ. დიმიტრი გეგენავა

სარედაქციო საბჭო

პროფ. თამთა მიქაბერიძე

პროფ. გიორგი გორაძე

ასოც. პროფ. გოჩა ბარნოვი

ასისტ. პროფ. გიორგი მესხი

ასისტ. ირაკლი ჯავახიშვილი

ტექნიკური რედაქტირება

ციცინო ხითარიშვილი

EDITOR IN CHIEF

Prof. Vaja Vardidze

EXECUTIVE EDITOR

Prof. Dimitry Gegenava

EDITORIAL BOARD

Prof. Tamta Mikaberidze

Prof. George Goradze

Assoc. Prof. Gocha Barnovi

Assist. Prof. Giorgi Meskhi

Assist. Irakli Javakhishvili

COPY EDITORS

Tsitsino Khitarishvili

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2020

© ავტორები/Authors, 2020

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, Sulkhan-Saba Orbeliani University, 2020

ISSN 2667-9124
9772667912002

შინაარსი

ონტოლოგია და ეთიკა.....	1
პერგამოს მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ინგლისურიდან თარგმნა გოჩა ბარნოვმა	
თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის ძირითადი ასპექტები.....	14
გურამ ლურსმანაშვილი	
რწმენა, გონება და უნივერსიტეტი – გახსენება და ფიქრი	23
პაპი ბენედიქტე XVI გერმანულიდან თარგმნა ვაჟა ვარდიძემ	
წმინდა საყდრის ნომედიკალისტური სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში: კაიროდან რეგენსბურგამდე	35
ირაკლი ჯავახიშვილი	
ენერგეტიკული პოლიტიკა და კლიმატი	52
დონალდ ტრამპი ინგლისურიდან თარგმნა მაკა ფარცვანიამ	
2017-2018 წლების საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის სოცოლოგიური ანალიზი	59
სოფიკო მეტრეველი	
პოლიტიკური პარტიების საქმიანობის საკონსტიტუციო პრინციპები საქართველოში	67
ნატო გუგავა	
საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების ნიშნები ქართულ საარჩევნო სამართალში	81
თენგიზ თევზაძე, თამარ პაპაშვილი	

**უფლებამოსილებათა გამიჯვნა ევროკავშირსა და მის წევრ-
სახელმწიფოებს შორის 96**

ანტუნ მარინაკი, მირელა მეზაკ მათიევიჩი, იასმინა მლადენოვიჩი
ინგლისურიდან თარგმნა გვანცა გუგეშაშვილმა

ქორწინების „კონსტიტუციონალიზაცია“ საქართველოში..... 123

დიმიტრი გეგენავა

**ნასამართლობა, როგორც ქმედების შეამდგენლობის დაგაფუძნებელი
გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის
დროს 133**

ლავრენტი მალლაკელიძე

თეოლოგია და რელიგიის კვლევები

ონტოლოგია და ეთიკა*

ინგლისურიდან თარგმნა გოჩა ბარნოვმა**

დღეს ეთიკას უპირატესობა ენიჭება არა მარტო საერო ცხოვრებაში, არამედ საეკლესიოშიც. ის ისწავლება სკოლებში, თეოლოგიის ფაკულტეტებზე და, იმავედროულად, საზოგადოებაში მას დოგმის თანასწორადაც კი მოიაზრებენ (თუ უფრო მნიშვნელოვნად არა). თქვენ წარმოიდგინეთ, ეკლესიაშიც კი გაცილებით მისაღები გახდა დოგმიდან გადაცდომა, ვიდრე ზნეობრივი ნორმებიდან.

საინტერესოა, რომ მართლმადიდებლურ ტრადიციაში ტერმინი „ეთიკა“ უახლეს საუკუნეებამდე საერთოდ უცნობი იყო. იგი თითქმის არ გვხვდება საეკლესიო მამებთან, არც სკოლებში ისწავლებოდა ბოლო წლებამდე. ესაა დასავლური წარმოშობის ტერმინი, რომელიც, სხვა ტერმინების მსგავსად, ჩვენ ეკლესიაში დამკვიდრდა. ტრაგედია ისაა, რომ ჩვენი ეკლესიის კონსერვატორული ხასიათიდან გამომდინარე, ვერ მივყვებით იმ დინებას, რომელიც დასავლეთში ეთიკის გაგებას ახასიათებს. ეს კი განუწყვეტელი წარმოშობს ერთგვარ უფსკრულს ეკლესიასა და საზოგადოებას შორის, რადგან საზოგადოება ვალდებულია, მხარი აუბას ეთიკის იმ ცვლილებებს, რომლებიც დასავლეთის საზოგადოებაში ხდება.

ეთიკის ეს ცვალებადობა მოწმობს, რომ ის თავისთავადი არ არის და არც ავტორიტეტი და ავთენტურობა გააჩნია. მათთვის, ვისაც ღმერთი სწამს და ეკლესიაში დადის, ეთიკის ავტორიტეტი და ავთენტურობა ღმერთის ნებაშია, როგორც ეს წმინდა წერილში, წმინდა გადმოცემასა და ეკლესიის ცხოვრებაში გამოიხატება და გამოითქმის. სწორედ აქ ჩნდება უდიდესი პრობლემები. ვის შეუძლია საღვთო ნების ავთენტურად განმარტება? რომის კათოლიკე ეკლესიაში საქმე მარტივადაა: მხოლოდ ეკლესიას ძალუძს, მართებულად განმარტოს საღვთო ნება მორწმუნეებისათვის, რაც საბოლოოდ პაპის მიერ გამოითქმის. პროტესტანტებისთვის საღვთო ნების განმმარტებელი წმინდა წერილია, რომელიც თავად საჭიროებს განმარტებას. კერძო განმმარტებლები იმგვარი მრავალფეროვნებით განმარტავენ წმინდა წერილს, რომ ძნელია იმაში გარკვევა, თუ რას გულისხმობს იგი კონკრეტულ ეთიკურ პრობლემაზე. ბიბლიის კონსერვატორი განმმარტებლები (ე.წ. „ფუნდამენტალისტები“) რადიკალურად განსხვავდებიან ე.წ. „ლიბერალებისაგან“, რომლებიც ცდილობენ, მოიძიონ ტექსტის ყოველი სიტყვის მიღმა ის, თუ რა სურდა ეთქვა წმინდა წერილს. ამ მიზნით, ისინი წმინდა წერილის ტექსტებს, ძირითადად, მათ ისტორიულ ჩარჩოში განათავსებენ, რაც აზრობრივ გაგებას რელატიურს ხდის:

* თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: John Zizioulas, *Ontology and Ethics*, "Sabornost", No6, 2012, 1-14.

** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი.

უმეტესობა, რასაც ბიბლია ამბობს, მაშინდელი კულტურული გავლენების შედეგია და ამიტომ მას არა აქვს ყველა ეპოქის შესაბამისი ავტორიტეტი და ძალა.

მართლმადიდებელ ეკლესიაში საქმის ვითარება კიდევ უფრო ჩახლართულია, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში. ვინ განმარტავს ღმერთის ნებას ეთიკურ საკითხებთან მიმართებით? მართლმადიდებლობაში დღეისათვის ძირითადად სამი მიმდინარეობა არსებობს:

ა) **„ფუნდამენტალისტური“ მიმდინარეობა** ძალიან ჰგავს უკიდურეს კონსერვატიულ პროტესტანტიზმს, რომლის თანახმადაც, ღმერთის ნებას წმინდა წერილის სიტყვასიტყვითი განმარტება წარმოაჩენს. ბიბლიის კონკრეტული ადგილების გამოკრეფითა და წარმოჩენით ისინი ცდილობენ, ბოლომდე დაიცვან პასუხები კონკრეტულ ეთიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. ამას, იმავე „ფუნდამენტალისტური“ მეთოდით, ემატება ფრაგმენტები საეკლესიო მამათა ნაშრომებიდან – ზოგჯერ ბიბლიური ადგილების განმარტებების სახით და ზოგჯერ როგორც ერთგვარი დამატება წმინდა კანონების ფორმით. დღეს ეს მიმდინარეობა ყველაზე მეტად მართლმადიდებლურ წიაღშია გაბატონებული.

ბ) **„ლეგალისტური“ („იურიდიული“) მიმდინარეობა.** ეს მიმდინარეობა რომაულ კათოლიციზმს გვაგონებს: ეთიკურ საკითხებში ავტორიტეტი საეკლესიო ინსტიტუტებს აქვთ, როგორც, მაგალითად, ეპისკოპოსებს – ინდივიდუალურ თუ სინოდურ დონეზე. ეს მიმდინარეობა ყველაზე მეტად საბერძნეთშია განვითარებული სხვადასხვა „სინოდური კომისიის“ სახით, რომლებიც დაკავებულები არიან სხვადასხვა ეთიკური საკითხით. ეს კომისიები სინოდურ გადაწყვეტილებებს იღებენ და აქვეყნებენ მათ, როგორც ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას ამ საკითხებთან მიმართებით. ყოველ შემთხვევაში, თუ ვატიკანში ეს მიმდინარეობა სრულიადაა გაბატონებული, მართლმადიდებელ ეკლესიაში საწყის სტადიაზე იმყოფება. მიუხედავად დიდი ზენოლისა, ამ დრომდე არ გვაქვს მართლმადიდებლობის ოფიციალური პოზიცია ეთიკის საკითხებში. მართლმადიდებლები შინაგანად ეწინააღმდეგებიან ამ „ლეგალისტურ“ მიმდინარეობას.

გ) **„ქარიზმატული“ მიმდინარეობა,** რომლის თანახმადაც, ღმერთის ნების ავთენტური განმარტების უნარს ეთიკურ საკითხებთან მიმართებით კონკრეტული „სულიერი“ ადამიანები ფლობენ, რომლებიც განსჯისა და ინტუიციის ნიჭით გამოირჩევიან, როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ შემთხვევებში. ეს კონკრეტული მიმდინარეობა ისე ფართოდაა გავრცელებული მართლმადიდებლობაში, რომ ზემოხსენებული ორი მიმდინარეობისთვის, ფაქტობრივად, ადგილსაც აღარ ტოვებს.

დღემდე ამ სამი მიმდინარეობის თანაარსებობას რაიმე სახის სირთულე არ გამოუვლენია. თუმცა სირთულეები უეჭველად გამოჩნდება, რადგან ბევრ მორწმუნეს მოუწევს არჩევანის გაკეთება, ერთი მხრივ, თუ რას ამბობს ოფიციალური ეკლესია და მეორე მხრივ, რას სთავაზობენ მათ სულიერი მოძღვრები, თუკი არ იქნება თანხვედრა ყველა საკითხზე.

ჩვენში გაბატონებული ეს ჩახლართული მდგომარეობა ნათლად მოწმობს, რომ ეთიკა, როგორც თავისთავადი ფენომენი, ძალზე პრობლემურია მართლმადიდებლურ ტრადიციაში, რომელიც უფრო გარედან შემოსული ელემენტია, ვიდრე ჩვენი

ეკლესიისათვის დამახასიათებელი. მართლმადიდებლურ ტრადიციას არასოდეს გამოუვლენია თავისი ინტერესი და არც არასოდეს მიუცია უპირატესობა იმისათვის, თუ რას აკეთებს ადამიანი. იგი უპირატესობას ანიჭებს იმას, თუ ვინ არის ადამიანი. ესაა სახეობრივი განსხვავება ადამიანის შესახებ დასავლურ და მართლმადიდებლურ გაგებას შორის, აქაა სწორედ მთავარი კითხვა: რა კავშირი არსებობს ეთიკასა და ონტოლოგიას შორის?

უპირველესად, შევეცდებით ტერმინოლოგიის დაზუსტებას: რას ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ ონტოლოგიის შესახებ და რას, როდესაც ვსაუბრობთ ეთიკის შესახებ? მართლმადიდებლური თეოლოგიის ფარგლებში განვიხილავთ კავშირს ამ ორ ტერმინს შორის: ნუთუ ყოველთვის ჰარმონიულ კავშირშია ერთმანეთთან ეთიკა და ონტოლოგია? დაბოლოს, შევეცდებით, ავხსნათ ეთიკის ონტოლოგიური გააზრება სახარებისა და მართლმადიდებლური ტრადიციის შუქზე.

ონტოლოგიის კონცეპტი

როგორც თავად ტერმინიდან ჩანს, ეს არის სიტყვა არსებობის, ანუ ყოფიერების შესახებ. აღნიშნული ტერმინი ფილოსოფიაში პირველად XVII საუკუნეში გვხვდება Goclenius-თან (*Lexicon Philosophicum*, 1613) და შემდეგ, უფრო განვითარებულად Glauberg-თან (*Metaphysica de Ente*), საბოლოოდ კი განსაზღვრულად Ch. Wolff-მიერ (*Philosophia prima sive ontologia*, 1729) დამკვიდრდა XVIII საუკუნეში. მას შემდეგ ყველა დასავლელი ფილოსოფოსი იყენებს მას ხან მისი პირვანდელი მნიშვნელობის შეცვლის მცდელობით (Kant, Hegel, Heidegger, Husserl და სხვ.), ხანაც მეტაფიზიკაში მისი ტრადიციული ადგილის უარყოფით (Levinas). ყოველ შემთხვევაში, ონტოლოგიას უკვე ცენტრალური ადგილი უჭირავს ფილოსოფიაში.

აქ დეტალურად არ შევხებით ონტოლოგიის ისტორიას; დავჯერდებით მხოლოდ იმ კონცეპტს, რომელიც მისმა დამამკვიდრებელმა – არისტოტელემ მისცა – *ყოფიერება*, როგორც *ყოფიერება*, *ყოფიერება* და *მარადიული ყოფიერება*, ანუ რასაც არისტოტელე *არსებას* უწოდებს ორგვარი მნიშვნელობით – *პირველი არსება*, რომელიც არის კონკრეტული მყოფი და *მეორე არსება*, რომელიც არის საერთო (ზიარი) და საყოველთაო (მაგ., სოკრატე = პირველ არსებას, ადამიანი = მეორე არსებას).

ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში მთავარი ონტოლოგიური საკითხი ყოფიერებასა და მოძრაობას (ცვლილებას) შორის არსებულ ანტითეზას მიემართებოდა. ჰერაკლიტეს ფრაზა, რომ ყველაფერი იცვლება და არაფერია მდგრადი (ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან), ძველ ბერძენში ყოფიერების დაუცველობის განცდას წარმოშობდა: თუკი ყველაფერი იცვლება, მაშინ, რა არის რეალური? როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაც არსება არის ეს და არა სხვა რამ? როგორ შეგვიძლია ვუნოდოთ სახელები არსებებს, განვსაზღვროთ მათი იგივეობა? არ ავურიოთ ერთმანეთში, არ დავეჭვდეთ მათ რეალობაში? მაშასადამე, ონტოლოგიის პრობლემა არც თეორიულია, არც – მეორეხარისხოვანი; ის პირდაპირ უკავშირდება არსებების ჭეშმარიტებას, რაც ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ შევთანხმდეთ, რა არის რეალური და

რა ყალბი, რა არის პიროვნული აზრი და რა უცვილობელი ჭეშმარიტება. ონტოლოგია იცავს ჩვენს დარწმუნებულობას, რომელსაც არსებების დენადობა და ცვალებადობა ეჭვის ქვეშ აყენებს.

მაშ, რა არის ყოველ არსებაში (მყოფობაში) უცვლელი და მარადიული, რაც მიუხედავად მათი ცვალებადობისა, საშუალებას გვაძლევს, ჭეშმარიტ მყოფობად აღვიქვათ ისინი? პლატონის თანახმად, თუმცა საგნები, როგორც კი ისინი ზიარ ემპირიაში წარმოჩნდებიან, გამუდმებით იცვლებიან, იბადებიან და კვდებიან, სამაგიეროდ, ამ საგნების იდეები მარადიული და უცვლელი არიან (ერთი რომელიმე ხე იცვლება და კვდება, მაგრამ ხის იდეა რჩება; ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ ხის ჭეშმარიტებაზე, რეალობაზე). უკვდავი იდეების გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტება, ყველაფერი დანარჩენი უბრალოდ „აზრებია“. ზოგი ბერძენი ფილოსოფოსი არსებების მარადიულობას სხვაგან განათავსებს (თაღესი – წყალში, ანაქსიმენე – ჰაერში, პითაგორელები – რიცხვებში), მაგრამ ყველასათვის ერთი რამ იყო ზიარი ნიშანი: იმისათვის, რომ არსებების მარადიული ჭეშმარიტება გავიგოთ, ის საწყისი უნდა მოვიძიოთ, საიდანაც ისინი წარმოდგენენ. ჭეშმარიტი და მარადიული მხოლოდ პირველი მიზეზია, რადგან აქედან იწყება მოძრაობაც, ხრწნაც და ცვლილებაც. ძველი ბერძნების ონტოლოგია პროტოლოგიურია, რომლის თანახმად, ჭეშმარიტებას მხოლოდ უკან მიბრუნებით ვპოულობთ.

ძველი ბერძნების ონტოლოგიური საკითხი ეკლესიის მამებმაც იმემკვიდრეს, რადგან ისინიც ბერძნები იყვნენ, ანუ თანაზიარნი იყვნენ იმ კულტურის, განათლების და მსოფლმხედველობისა, რომლებიც ბერძნული ფილოსოფიის გავლენით ჩამოყალიბდა. მათაც ჭეშმარიტების პრობლემა აინტერესებდათ არსებების ხრწნისა და ცვალებადობის თვალთახედვით. თუკი ყველაფერი იცვლება და კვდება, მაშინ, რა არის მარადიული და ჭეშმარიტი?

ზოგიერთი ქრისტიანი მოაზროვნე, როგორც, მაგალითად, ორიგენე, ძველი ბერძნული ფილოსოფიის გავლენის გამო პლატონიზმის პროტოლოგიურ ონტოლოგიას იზიარებდა: არსებების ჭეშმარიტება დასაბამშია, საიდანაც ისინი დაეცნენ და საითკენაც მოწოდებულნი არიან დასაბრუნებლად. ყველაფერი, რაც კი გრძნობითი, ხრწნადი და ცვალებადია, როგორც სხეული, არაა ჭეშმარიტი. მხოლოდ სულები არიან ჭეშმარიტი, რადგან მხოლოდ ისინი არიან მარადიულნი – ყოველთვის იყვნენ და მუდამ იქნებიან.

ნიშანდობლივია, რომ პატერიკული თეოლოგიის ძირითადმა ნაწილმა არ მიიღო ონტოლოგია. ორი უმთავრესი ნიშანი, რასაც მამათა ონტოლოგია ეფუძნება, არის შემდეგი:

ა) არსებების ჭეშმარიტება არ არის მათ დასაწყისში, არამედ ესქატონში. ამ ესქატოლოგიური ონტოლოგიისაკენ გზა პირველად ირინეოს ლიონელმა გახსნა. ის ამბობს, რომ ადამიანი დასაწყისში შეიქმნა არა სრულყოფილი, არამედ როგორც ჩვილი, რომელიც დროთა განმავლობაში, თავისუფალი ნების გამოყენებით, ესქატონში განსრულდებოდა. შესაბამისად, არსებების ჭეშმარიტება არა მათ დასაწყისში, არამედ ესქატონშია, ანუ ჭეშმარიტება არაა იმ მდგომარეობაში, რაც იყო, არამედ რაც იქნება, ანუ მომავალში.

ბ) რადგანაც არსებების ჭეშმარიტება მათ ესქატონშია, ამიტომაც ამ არსებების დრო და დენადობა, რომელიც ასე აფრთხობდა ძველ ბერძენს, ქრისტიანისათვის ონტოლოგიის ელემენტი ხდება: მხოლოდ დროისა და ამ ხრწნადი სხეულის მეშვეობით მიაღწევენ არსებები თავიანთ ჭეშმარიტ მყოფობას. მაშასადამე, თუ პლატონიზმი დროისა და სხეულის გარეთ ეძიებდა ონტოლოგიას, საეკლესიო მამები დროსაც და სხეულსაც არსებების ჭეშმარიტების ონტოლოგიურ წინაპირობებად განიხილავდნენ: არც დროის და არც სხეულის გარეშე არ არსებობენ ჭეშმარიტი ქმნილი არსებები.

ძირითადად, ორი მიზეზის გამო შეცვალეს მამებმა ძველი ბერძნული ონტოლოგია. პირველი არის ის, რომ არსებების ჭეშმარიტება ქრისტია. წმ. მაქსიმე აღმსარებლის თანახმად, ეს ნიშნავს, რომ მთელი შესაქმე, ყველა არსება, ჭეშმარიტად არსებობს მხოლოდ ქრისტეს საიდუმლოს თვალთახედვით, რომელიც ესქატონში განსრულდება. მაგრამ ქრისტეს საიდუმლო გაუგებარია დროისა და სხეულის გარეშე, რომელთა მეშვეობითაც განიცდება თავისუფლება სულიწმიდაში. შესაბამისად, ქრისტოლოგია, თავისი პნევმატოლოგიური გაგებით, საშუალებას აძლევს საეკლესიო მამებს, ონტოლოგია დასაწყისიდან ესქატონში გადაადგილონ; ამასთანავე, ონტოლოგიაში განათავსონ დრო, ისტორია და სხეული, სამი რეალობა, რომლებიც წარმოუდგენელი იყო ძველი ბერძნული აზროვნებისათვის.

პატერიკული ონტოლოგიის ეს მახასიათებლები ყველაზე მეტად სწორედ ონტოლოგიასა და ეთიკას შორის ურთიერთმიმართებას ხსნის. როდესაც ვამბობთ ონტოლოგიას, ვგულისხმობთ არსებების ჭეშმარიტების ძიებას, რაც, სხვათა შორის, საერთოა ბერძნული ფილოსოფიისა და პატერიკული აზროვნებისათვის, მაგრამ არა დროის, ისტორიისა და მატერიალური სამყაროს გარეთ, არამედ მათში, და არა არსებების დასაწყისში, არამედ მათ ესქატონში.

ეთიკის მნიშვნელობა

ონტოლოგიისაგან განსხვავებით, ეთიკას აინტერესებს არა არსებების ჭეშმარიტება, ანუ არსებების ყოფიერება, არამედ ის ქმედებები და ქცევები, რომლებიც რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით ყალიბდებიან. თუკი ონტოლოგია არსებებსა და მათ ჭეშმარიტ ყოფიერებას მიემართება, ეთიკა მხოლოდ ადამიანითა და მისი საქმეებით (მოქმედებებით) შემოიფარგლება. ონტოლოგიასთან მიმართებით ეთიკის უმთავრესი მახასიათებლები შემდეგია:

ა) *ყოფიერების გაიგივება მოქმედებასთან*. იგი დამახასიათებელი იყო დასავლური ფილოსოფიისა და თეოლოგიისათვის ჯერ კიდევ პირველი საუკუნეებიდან (ტერტიულიანე), რაც შუა საუკუნეების სქოლასტიკურ თეოლოგიაში თავის აპოგეას აღწევს, სადაც, როგორც ამას **Gilson** აღნიშნავს, ყოფიერება მოქმედების სინონიმი ხდება იმ ნიშნამდე, რომ ღმერთიც, როგორც აბსოლუტური მყოფი, განიხილება როგორც **actus purus**. დასავლური აზროვნება მოქმედებას ონტოლოგიის დონეზე განიხილავს, მას ბოლო ათვლის წერტილად მიიჩნევს, რაც ეთიკის გააბსოლუტურებას ნიშნავს.

ბ) *ქცევის რაციონალიზაცია*. ეთიკურია ის, რაც რაციონალურ აზრს ემთხვევა (პლატონი). ეს კი ნიშნავს, თუ მივიღებთ, რომ რაციონალურია კეთილი იდეები, მაშინ რაციონალურია ყველაფერი, რაც იდეებისაა: ადამიანი უნდა იქცეოდეს რაღაც განსაზღვრული იდეალებით, რომლებიც დადგენილნი არიან და სულაც არ წარმოდგებიან გამოცდილებიდან. თუკი რაციონალური აზრი არის სარგებელი ან კეთილდღეობა, როგორც ეს დასავლეთშია გაბატონებული, მაშინ ეთიკურია ყველაფერი ის, რაც ამ მიზნებს ემსახურება. ეთიკა ხდება რაციონალიზმის მსხვერპლი (ნადავლი).

გ) *ადამიანური რაციონალური აზრის გაბატონება ბუნებაში*. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ეთიკა არასოდეს მიაგებს პატივს ბუნებას. როდესაც ვამტკიცებთ, რომ რაღაც ეთიკურია, რადგან ის „ბუნებრივია“ (კანონზომიერია) ან „ფიზიოლოგიურია“ (ნორმალურია), ის, რასაც ვფიქრობთ, არის არა ბუნება, როგორც ის რეალურად არის, არამედ როგორც ის იქნებოდა ლოგიკური. ამგვარად, არაბუნებრივად მიიჩნევა ქაოსი, მაშინ, როცა რეალურად, როგორც ამას განსაკუთრებით დღეს ფიზიკის მეცნიერება გვიჩვენებს, არაფერია ქაოსზე, არეულობასა და ინდეტერმინიზმზე უფრო ბუნებრივი. მსგავსი მაგალითები შეიძლება ვინმემ მოიტანოს სექსუალური ან სოციალური ცხოვრებიდან (ქორწინება, ოჯახი და სხვ.). ბუნების გამოყენება ეთიკაში (ბუნებითი ეთიკა) სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური ლოგიკის ბუნებაზე გაბატონება. შეუწყნარებელი და, იმავდროულად, ტრაგიკული მაგალითი ეკოლოგიური პრობლემაა: რაციონალური აზროვნებიდან გამომდინარე, ბუნება უნდა ემსახუროდეს ადამიანს; ამგვარი გაგების შედეგები კარგადაა ცნობილი. დღესაც კი, როდესაც ვითარდება ეკოლოგიური ეთიკა, მთავარი საზრუნავი მაინც ადამიანური ქცევის რაციონალურად მონესრიგებაა, რომლის მიზანიც არა იმავე ბუნების პატივისცემა, არამედ ისევ ადამიანის სარგებელია. ეთიკა, თავისთავად, ანთროპოცენტრული და რაციონალურია, და ამიტომაც ვერასოდეს იქნება ონტოლოგიური.

ამ მიზეზების გამო, ეთიკა უპირისპირდება საეკლესიო მამათა ონტოლოგიას, რომელსაც ზემოთ შევეხეთ. როგორც ვნახეთ, პატერიკული ონტოლოგია ესქატოლოგიურია. ეთიკა ქცევებითა და მოქმედებებით ამოიწურება. მას არ აინტერესებს არც ხრწნა, არც სიკვდილი; მისი მიზანი არ არის „მარადის არსებობა (მყოფობა)“, არამედ „კეთილად არსებობა (კეთილმყოფობა)“ და ისიც – აქცენტით „კეთილზე“, ვიდრე თავად არსებობაზე, ყოფიერებაზე. საკმარისია კეთილი ადამიანი იყო, არა აქვს მნიშვნელობა, რომ მოკვდები. ონტოლოგიის მიზანი სიკვდილის დაძლევაა, ხოლო ეთიკისა – ბოროტების, თითქოს სიკვდილი უდიდესი ბოროტება არ იყოს, ანუ „უკანასკნელი მტერი“, როგორც მას პავლე მოციქული უწოდებს. ამ წესით ეთიკა თვალში ნაცარს აყრის ადამიანს, რომ მან ვერ გაიაზროს საკუთარი მოკვდავობა, რომ ბოლოს და ბოლოს, ეთიკა ვერაფერს სთავაზობს მას სიკვდილის წინაშე.

მაგრამ ეთიკა ამ გზით პატერიკულ ონტოლოგიას უპირისპირდება სხეულის შეფასებაში. სიკვდილის დამცირება, უცილობლად, სხეულის დამცირების თანმხლებია, რადგან, პირველ ყოვლისა, სხეულია მისი (სიკვდილის) მატარებელი. ამრიგად, თუკი პატერიკული თეოლოგია თავისი ონტოლოგიით ასწავლის ესქატონისას სხე-

ულთა აღდგომას, ეთიკას საერთოდ არ აინტერესებს მსგავსი რამ; თავისი იდეალისტურ-პლატონური ფორმით იგი სულის უკვდავებასაც ჯერდება, ხოლო რაციონალურ-ჰედონისტური ფორმით კი სოციალურ და ინდივიდუალურ ბედნიერებას. არც ერთი ეთიკა გვაგაღებულებს, ვირწმუნოთ სხეულთა აღდგომა, როგორც, საპირისპიროდ, ონტოლოგია, რომელიც არ გამოირიცხავს სხეულს, როგორც არსებათა ონტოლოგიურ ელემენტს, ვერ იქნება ლოგიკურად თანმიმდევრული, თუ ის რაღაც ფორმით არ ასწავლის სხეულთა მარადიულ არსებობას. ონტოლოგია სიკვდილზე გამარჯვების გარეშე გაუგებარია, რადგან ერთი რომელიმე არსების „მყოფობა“ „მარადიულად მყოფობის“ გარეშე ყალბია. თუ ამ არსებას თავის ონტოლოგიურ მახასიათებლად აქვს სხეული, როგორც ეს პატერიკულ თეოლოგიაშია, მაშინ „მარადიული მყოფობა“ აუცილებლად გულისხმობს არა უბრალოდ მკვდართა აღდგომას, არამედ სხეულთა აღდგომას.

ონტოლოგიისა და ეთიკის კონფლიქტის შედეგები

დასაწყისში ვთქვით, რომ გარეგნულად საკითხი თეორიული ჩანს, მაგრამ რეალურად ასე არ არის. ახლა შევეცდებით ამის წარმოჩინას. ჩვენ მოვიტანთ მაგალითებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეთიკა და ონტოლოგია მნიშვნელოვან ყოფიერებით საკითხებში განსხვავებულად განიხილავენ და იგებენ ქრისტიანულ ცხოვრებას.

1. *ცოდვის საკითხი.* რა არის ცოდვა? ეთიკისათვის ცოდვა ადამიანური ქცევის საკითხია, რაღაც ეთიკური პრინციპების კოდექსის უპატივცემულობა, რომელიც ან ღმერთის მიერაა მოცემული, ან საზოგადოებრივი თანხმობის შედეგია (დემოკრატია). ონტოლოგიისათვის ცოდვა სიკვდილის შედეგია: „რომლითა (სიკუდილითა) ყოველთა შესცოდეს“. ეთიკის გაგებით, ვცოდავთ, რადგან ვარღვევთ რაღაც წესს, კანონს, ხოლო ონტოლოგიის გაგებით, ვცოდავთ, რადგან მოკვდავნი ვართ.

ცოდვის ამ ორი მიდგომის შედეგები უზარმაზარია. ეთიკა ცოდვის პრობლემის გადაჭრას ბოროტების ადამიანური შესაძლებლობებით დაძლევიტ განიხილავს. ეს, გარკვეულწილად, სხვადასხვა ტიპის მესიანისტურ იდეას კვებავს, რომლებშიც ჩვენც გვიცხოვრია. ონტოლოგიური გაგებით კი, სანამ არ დაიძლევა სიკვდილი, რომელიც შობს ცოდვას, ბოროტებაც იქნება სხვადასხვა ფორმით.

სხვა მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ცოდვის ეთიკურ გააზრებაში არსებობს ცოდვილიანობის გრადაცია „უკეთეს“ და „უარეს“ ადამიანებად. ფარისევლის ეთიკა, მსგავსად ჩვენი საზოგადოების ეთიკისა, ამ კატეგორიას განეკუთვნება. ადვილად ვუშვებთ საპყრობილეში „ცუდ“ ადამიანებს და თავს ვიტყუებთ ჩვენი თავისათვის „კარგის“ ეტიკეტის მინიჭებით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეთიკური ქცევა გაზომვადია და, ამავე დროს, რა არის კარგი და რა ცუდი, განისაზღვრება ადამიანური ლოგიკით ან, თუნდაც, რომელიმე საღვთო მცნება განიმარტება ადამიანური ლოგიკით. მაგრამ ცოდვის ონტოლოგიური გაგების თანახმად, ეს შეუძლებელია. ის, რაც განსაზღვრავს, რა არის კარგი და რა ცუდი, არაა ადამიანური

ლოგიკა, არამედ არსებების ჭეშმარიტება. ეს ჭეშმარიტება კი არის ის, რომ ყველა ქმნილი არსება ექვემდებარება ხრწნასა და სიკვდილს, შესაბამისად, ყველანი ვართ ცოდვილნი („რომლითა (სიკუდილითა) ყოველთა შესცოდეს“).

დღეს უცნაურადაც კი ჩანს, რომ ცოდვა სიკვდილიდან გამომდინარეობს, ანუ ონტოლოგიიდან და არა ადამიანის ქცევებიდან. მაგრამ ცნობილია, რომ თუ ქვეცნობიერად არ იქნებოდა სიკვდილის შიში, ვერც ერთი ვნება ვერ შეგვიპყრობდა: ვერც გემოთმოყვარება, ვერც ვერცხლისმოყვარება, ვერც სიძულვილი, ვერც აგრესიულობა – ყველა ეს ვნება, და სხვებიც, მალავენ ჩვენი თვითდამონმებისა და გადარჩენის მცდელობებს, შფოთვას სიკვდილის წინაშე, რომელიც გვემუქრება. ცოდვას აქვს ონტოლოგიური და არა ეთიკური წარმომავლობა.

როდესაც ეს გასაგები გახდება, მხოლოდ მაშინ გაქრება განსხვავება „კარგ“ და „ცუდ“ ადამიანებს შორის. გაბატონდება თვითგაკიცხვის მონაზვნური სათნოება, ონტოლოგიური და არა ეთიკური და, შესაბამისად, ყალბი თავმდაბლობა. მთავარია ცოდვილის სიყვარული და, შესაბამისად, მტრებისაც, არა ვალდებულებითად, არამედ ონტოლოგიური მსგავსების გამო. როცა მოყვასი გიყვარს, „ვითარცა თავი შენი“, გიყვარს ის, როგორც მოკვდავი და ცოდვილი, როგორც შენ ხარ; რადგან არაფერია ონტოლოგიურად ისეთი ჭეშმარიტება, როგორიც ჩვენი ზიარი მოკვდავობა.

ამ ფორმით ონტოლოგიურად ცოდვა იძენს *მიზნის აცდენის* („წარუმატებლობის“, *αστοχία*) აზრს. ეს ნათლად ჩანს მრავალ ასპექტში, განსაკუთრებით, გამრავლების საკითხში. რატომ უკავშირებდნენ საეკლესიო მამები (წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი და სხვ.) ცოდვას სექსუალურ ენერგიას? ბევრი არ იღებს ამ მოსაზრებას და მას მონასტრულ უკიდურესობებად მიიჩნევს. ისინი ეთიკის კრიტიკურიუმებით კითხულობენ: არის სექსუალობა „ბოროტი“? არის ქორწინება და გამრავლება ცოდვა? მაგრამ მამები არ აზროვნებენ ეთიკურად. არც ერთი ქმედება არ არის ეთიკურად დასაძრახი, არ შეიძლება დანაშაულად განვიხილოთ და სასჯელს დავუქვემდებაროთ. კრიტიკურიუმები ონტოლოგიურია და უკავშირდება ჩვენ მიერ ზემოხსენებულ „მიზნის აცდენას“. ადამიანი, მსგავსად ცხოველებისა, გამრავლების გზით ცდილობს სიკვდილის დაძლევის, კონკრეტული არსების გადარჩენას. მაგრამ, ამის ნაცვლად, მხოლოდ სახეობის გადარჩენას ახერხებს, და ესეც სადამდე, უცნობია; სამაგიეროდ, კონკრეტულია მყოფი, რომელიც იბადება, ჩასახვისთანავე ხრწნადობას ექვემდებარება. მაშასადამე, ბავშვების გაჩენა ონტოლოგიურად ცოდვის შედეგია: „ცოდვასა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“ (იხ. წმ. მაქსიმეს განმარტება). ცოდვის ეთიკის ჩარჩოში განთავსებას ან პურიტანიზმამდე მივყავართ, ან განუკითხაობასა და თავაშვებულობამდე, ხოლო ონტოლოგიურ გაგებას ჩვენი ბუნებისეული მიზნის აცდენის (წარუმატებლობის) შეგრძნებამდე, და შედეგად კი, ორ ნიშანდობლივ შეხედულებამდე: რომ არავინაა უცოდველი, „თუნდაც ის, ვინც ერთი დღით ცხოვრობს“, და რომ ბუნებას აქვს ონტოლოგიური პრობლემა, ამიტომაც ჩვენი ცხოვრების სასოება მასზე ვერ გვექნება დაფუძნებული.

2. *ცხოვნების პრობლემა*. ეთიკა ადამიანების გაუმჯობესების სასოებას გვთავაზობს რაციონალური ქცევების მეშვეობით. ონტოლოგია არ იძლევა მსგავს იმედებს. რაოდენ კარგებიც არ უნდა გავხდეთ, რადგან ვკვდებით, მაშასადამე, ბოროტებაც იქნება. სიკვდილი უნდა დაიძლიოს, რათა ბოროტება დამარცხდეს; ეს შეუძლებელია მოხდეს ჩვენი მოკვდავი ბუნების მიერ. საჭიროა ახალი შობა, განსხვავებული ბიოლოგიურისაგან, რასაც სწორედ ქრისტე გვთავაზობს თავისი სხეულით, რომელშიც ვკვდებით ნათლობისას და კვალად ვიშვებით ახალ ცხოვრებაში. ესაა ჩვენი ცხოვნების ერთადერთი სასოება და არა სათნოება ან ეთიკური ცხოვრება, ან ასკეზა და ა.შ. ქრისტესა და ეკლესიის გარეთ ცხოვნება არ არსებობს. ამის მიზეზი კი არის ერთადერთი: ცხოვნება არის ონტოლოგიური და არა ეთიკის საქმე, ის არის ძლევა სიკვდილზე.

როდესაც ეს გასაგები ხდება, ეთიკაც ონტოლოგიის წინაშე უკან იხევს. ეკლესია არ აცხოვნებს იმით, რასაც აკეთებს (ქადაგება, რელიგიური საქმეები, ფილანტროპია, ეთიკის შესახებ დეკლარაცია და ა.შ.), არამედ *იმით, რაც არის*. რა არის ეკლესია? ის არის ურთიერთობები, რომლებიც აუქმებენ სიკვდილს მყოფობის იმ ფორმის მეშვეობით, რომელიც არაა ეთიკური, ანუ ქცევათა პრინციპების სისტემა, ესაა პიროვნებების თანაზიარება წმინდა სამების მაგალითით. აქ ეთიკასა და ონტოლოგიას შორის განსხვავება მნიშვნელოვანია.

ეთიკაში პიროვნებების იდენტურობას მათი თვისებების მიხედვით ვადგენთ (კარგი-ცუდი, და ა.შ.). პიროვნულ ონტოლოგიაში კი ეს თვისებები არ განსაზღვრავს პიროვნებას. იგი წმინდა სამების თეოლოგიიდან გამომდინარეობს, სადაც პიროვნებები არ განსხვავდებიან მათი ეთიკური ან ბუნებრივი თვისებებით, რადგან ისინი ზიარნი არიან სამივე პიროვნებაში (მაგ., ყოვლადსიძლიერე, სიკეთე, ყოვლისმცოდნეობა და ა.შ.). თუკი ყველაფერ ამას ეკლესიაში ადამიანურ პიროვნებებზე გადავიტანთ, გაუქმდება ეთიკა, რომელიც მუდამ განარჩევს ადამიანებს მათი თვისებების მიხედვით (კარგი, ცუდი, ნიჭიერი, ბრძენი და ა. შ.). ეკლესიაში უქმდება ბუნებრივი და ეთიკური თვისებები და, შესაბამისად, ეთიკაც: „სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჟთა არცხვნოს ბრძენთა...“ (1 კორ. 1.27). ეკლესია არ ეფუძნება (ემყარება) თავისი წევრების ბუნებრივ ან ეთიკურ თვისებებს, არამედ სულიწმინდის ნიჭებს, რომელთაც ყველა, როგორც ბუნებრივი, ისე ეთიკური ხედვის ნაკლოვანების შევსება და შეცვლა ძალუძთ. მაშასადამე, ცხოვნება, რომელსაც ეკლესია გვთავაზობს, არაა ადამიანების ეთიკური გაუმჯობესება, როგორც ამას ხშირად ამბობენ. ეკლესიას თავის წიაღში ეთიკური თვალსაზრისით იმდენი დასაძრახი ადამიანი ჰყავს, რომ პავლე მოციქული ამის შესახებ წერს: „უკუეთუ ურთიერთას იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ, ნუუკუე ურთიერთას განილინეთ“ (გალ. 5.15).

ამ თემასთან დაკავშირებით (ამ მიმართულებით) დგება სინწმინდის საკითხი. დღეს რატომღაც დამკვიდრდა სინწმინდისა და ეთიკური სრულყოფის იდენტურობა. ღმერთის სინწმინდეც კი დოგმატიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში ეთიკურ სრულყოფასთან იგივედება. მსგავსი მოსაზრება წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ პავლე მოციქულის ეპისტოლეებთან, კერძოდ, როგორც ვნახეთ, გალატელთა მი-

მართ, სადაც მორწმუნეები „წმინდანებად“ იხსენიებიან, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის მთელ ისტორიასთანაც. ასეთი გაგებით, ბიზანტიის იმპერატორები, როგორც კონსტანტინე დიდი, ისე ირინე და ათინა, წმინდანებად არიან აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური კუთხით დასაძრახი საქმეები აღასრულეს, მაგალითად, ირინემ საკუთარი შვილი დააბრმავა, ელია წინასწარმეტყველმა ბაალის 500 მღვდელი ამოხოცა და ა.შ. დღევანდელი ეთიკური კრიტერიუმებით ჩვენი ეკლესიის ბევრი წმინდანი მიუღებელი უნდა იყოს. ჩვენი ეკლესია ეთიკური გაუმჯობესების მიხედვით როდი რაცხავს წმინდანად ადამიანს, არამედ სინანულის, ანუ ჩვენი ცოდვილიანობის ონტოლოგიური რეალობის აღიარებიდან გამომდინარე. ამ გაგებით გამართლდება მეზაჟე და განისჯება ეთიკურად უნაკლო ფარისეველი.

ონტოლოგიური ეთიკისათვის

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია, რომ ონტოლოგია და ეთიკა არ თანხვედებიან ერთმანეთს ჩვენ მართლმადიდებლურ ტრადიციაში. ონტოლოგიას აინტერესებს „მარადის მყოფობა“, რადგან ცოდვას განიხილავს, როგორც შესაქმის ღმერთთან თანაზიარების შეწყვეტისა და სიკვდილზე დამონების შედეგს ან გამოხატულებას. ეთიკას ღრმად სწამს ადამიანთა ქცევების რაციონალური მოწყობისა (კლასიფიკაციისა, მოწესრიგებისა), რათა, რამდენადაც შესაძლებელია, შემოზღუდოს ბოროტის შედეგები ადამიანების ცხოვრებაში. მას არ აინტერესებს სიკვდილი, არც მისგან ჩვენი გამოსხნისაკენ ისწრაფვის. მაგრამ ჩნდება კითხვა: კი მაგრამ ონტოლოგია საერთოდ არ ზემოქმედებს ადამიანების ქცევებზე? ხომ არაა შესაძლებელი ონტოლოგიურ ეთიკაზეც ვისაუბროთ?

თუ წარმოვიდგენთ, რომ წმინდა წერილი, საეკლესიო მამები, კანონები და ა.შ. ადამიანურ ქცევებთან მიმართებით სავსეა მცნებებითა და შეგონებებით, ადვილი მისახვედრია, რომ ეკლესია სრულიადაც არაა გულგრილი ადამიანის ქცევებისადმი. გარკვეულწილად, ამანაც განაპირობა ჩვენთან, მართლმადიდებლებში, ე.წ. „ქრისტიანული ეთიკის“ გამოჩენა. როგორ შეგვიძლია ეკლესიის ეს ინტერესი ადამიანთა ქცევებთან მიმართებით შევუთავსოთ იმ დაპირისპირებას (კონფლიქტს), რომელიც არსებობს ეთიკასა და ონტოლოგიას შორის? რა სახის ქცევას გვთავაზობს ონტოლოგია ეკლესიაში? ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი აზრი ჩამოვაცალიბოთ:

1. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ეთიკა და ეთოსი (ჩვეულება, წეს-ჩვეულება). ეთიკა, როგორც ზემოთ აღვწერეთ, ქცევის პრინციპებისა და წესების ერთობლიობაა, რომელიც შეიმუშავა და ჩამოაყალიბა ადამიანურმა ლოგიკამ ან თავისთავად, ან როგორც რომელიმე ტრანსცენდენტული ფაქტორის (კანტის თანახმად, ღმერთის ან ზნეობრივი იდეალის, ან ადამიანური ლოგიკისათვის მისაღები სხვა არგუმენტის) ინტერპრეტაცია. ეთოსი არ მოდის ადამიანური ლოგიკიდან, არამედ ყალიბდება სიმბოლოებისაგან, რომელთაც თანაეზიარება ერთი რომელიმე საზოგადოება ლოგიკური არგუმენტაციის გარეშე. მაგ., როდესაც ჩავივლი ეკლე-

სიასთან, სპონტანურად პირჯვარს ვინერ, ანუ გამოვხატავ ერთ ეთოსს (ნეს-ჩვეულებას), რომელიც სიმბოლოების მეშვეობით გადმოგვცემს ერთგვარ კოდს; ამ სიმბოლოებს ლოგიკური ახსნა არ აქვთ (არ ვიცი, რატომ ვინერ პირჯვარს), მაგრამ ისინი გამომხატავენ ჩემს თანაზიარებას საზოგადოებასთან, რომელმაც დაადგინა ეს სიმბოლო, რომლითაც ერთმანეთს თანაზიარებიან ამ საზოგადოების სხვა წევრებიც. ამას ეთოსს, ანუ ნეს-ჩვეულებას ან ჩვეულებას ვუნოდებთ, რადგანაც ბავშვობიდან შევეჩვიეთ ამ სიმბოლოს, რომელიც ვისწავლეთ არა ლოგიკურად, არამედ მიბაძვით, ქცევის გამეორებით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც მისი წევრების ზიარი ქცევა. მსგავსი რამ ხდება სასულიერო პირის ხელზე მთხვევისას, ტაძარში სიარულისას, ლიტურგიკულ ფორმებთან მიმართებისას. ყველა ამათთან დამოკიდებულებაში არ შუამავლობს ლოგიკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სურთ, გვაქციონ „მცოდნე ქრისტიანებად“ (!). საუბარია ისეთ ქცევაზე, რომელსაც წინ არ უსწრებს არავითარი ეთიკური „უნდა“.

ამ სახის „ეთიკა“ მუდამ უბრალო მორწმუნე ერშია, რომელიც ეკლესიაში უბრალოდ იმიტომ დადის, რომ ასე ისწავლა. ის არ ფიქრობს, მოკლას თავისი მეზობელი, რადგან პატარაობიდან ისწავლა მასთან ერთად ცხოვრება, თამაში და ა.შ., ყოველგვარი ეთიკური კოდის და, ზოგადად, ეთიკის ცოდნის გარეშე. მისი ქცევა მოდის იმ მყოფობიდან, რომელზეც წმ. პავლე ამგვარად ამბობს, როდესაც წერს, რომ არ უნდა ეცრუოთ ერთმანეთს, არ უნდა იმრუშოთ და ა.შ., არა იმიტომ, რომ ეს რომელიმე ეთიკურ პრინციპს ეწინააღმდეგება, არამედ იმიტომ, რომ მოკვდით და აღდექით ახალ ცხოვრებაში ნათლობის მიერ და რომ „თითოეული ურთიერთას ასოებ ხართ“ (რომ. 12.5). ამრიგად, არ არსებობს ეთიკური ფასეულობების სისტემა, არამედ ონტოლოგია, საიდანაც მომდინარეობს მყოფობის გვარი. ამ ონტოლოგიის გარეშე ეთიკა არ არსებობს.

2. *ზოგადი ავტორიტეტის მქონე ეთიკური პრინციპები არ დგას პიროვნებებზე მალლა.* ვერანაირი ეთიკური ფასეულობა ხსნის (ამართლებს) ერთი რომელიმე პიროვნების მსხვერპლს ან თავმდაბლობას. პიროვნების მყოფობა ყოველგვარ ეთიკაზე უპირატესია. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და აბსოლუტურია ვინმეს უბრალოდ არსებობა, ვიდრე მისი, როგორც კარგ ადამიანად არსებობა. ამას ადასტურებს ნებისმიერი ადამიანი, როდესაც კვდება მისი საყვარელი პიროვნება, რომლის ნაკლოვანებებიც მას ძალზე აწუხებდა, სანამ ცოცხალი იყო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ამბობს: „დაბრუნდეს უკან ამ ცხოვრებაში, რაიმე თქვას, და არ მაინტერესებს მისი ნაკლოვანებები“. ერთი რომელიმე პიროვნების, რომელიც ძალზე გვიყვარს, არსებობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ქცევა; ონტოლოგიას ძალუძს ეთიკის გაუქმება სიყვარულის შემთხვევაში.

3. *ეთიკური თვისებები არ განსაზღვრავს ადამიანის მყოფობას.* ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია და ამჟღავნებს, რამდენად სახიფათო შეიძლება გახდეს ეთიკა, როდესაც ის ონტოლოგიის ადგილს იკავებს. შევეჩვიეთ და ვამბობთ, რომ ვიღაცა ქურდია, რადგან მოიპარა. მაგრამ შეუძლია ერთ ქმედებას განსაზღვროს ადამიანის

მყოფობა? თუ ის, ვინც მოიპარა, აღარ იპარავს ან მეტად აღარ მოიპარავს სამომავლოდ, შეიძლება მისი მყოფობა განისაზღვროს ერთი ქმედებიდან გამომდინარე? ჩვენს ეთიკისტურ (მორალისტურ) საზოგადოებაში არის ე.წ. „ნასამართლეობის“ ფენომენი: თუ ვინმე რაღაც ქმედების გამო განისჯება, ეს სამუდამოდ მის სტიგმად რჩება – ეთიკა ხდება ონტოლოგია. ეკლესია ამას ასე არ აღიქვამს. ნებისმიერ ქმედებას, როდენ ცოდვიანიც არ უნდა იყოს, ადამიანისათვის ონტოლოგიური მნიშვნელობა არ გააჩნია. ცოდვათა მიტევება, რომელსაც ეკლესია იძლევა, გვიჩვენებს, რომ ადამიანის მყოფობა არ განისაზღვრება მისი ქმედებებისაგან, რადგან სხვაგვარად, მისი ეს ცოდვიანი ქმედება სამუდამოდ მისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო. როდესაც ღმერთი ამბობს: „უსჯულოებანი მისი აღარ მოვისხენო“, გვიჩვენებს, რომ ცოდვიანი საქმე, შესაძლებელია, წაიშალოს ღმერთის მეხსიერებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ წაიშალოს ცოდვილის მყოფობიდან, ჰიპოსტასიდან, რადგან რაც კი ახსოვს ღმერთს, არსებობს, ხოლო რაც არ ახსოვს („არა გიცნითქვენ“), მას არ აქვს ჰიპოსტასი.

4. *მხოლოდ ესქატონი იძლევა ქვეშარიტ მყოფობას.* ძველბერძნულ ტრადიციაში ადამიანი საკუთარი წარსულის ტყვეა – რაც კი რამ საზარელი ხდება მის თავს, წარსულის მიზეზით აიხსნება. მაგრამ სახარებაში ეს ყველაფერი უქმდება. მონაფეების შეკითხვა ბრმადშობილის შესახებ, თუ ვინ შეცოდა, ბრმადშობილმა თუ მისმა მშობლებმა, უფალს კატეგორიულად წარსულიდან მომავალში გადააქვს: „არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რაათა საქმე ღმრთისაჲ გამოცხადნეს მაგას ზედა“ (ინ. 9.3). თუკი რომელიმე ეთიკური ქმედება წარსულს მიემართება, ონტოლოგიური პერსპექტივიდან მისი რეალური აზრი და მნიშვნელობა მომავალში განისჯება და გაცხადდება.

აი, რაში მდგომარეობს ონტოლოგიური ეთიკის არსი: ყოველ ადამიანს ვუყურებდეთ, როგორც მომავალ წმინდანს, არ გავაიგივოთ იგი მის საქმეებთან, ეთიკამ არ განსაზღვროს ჩვენი ონტოლოგიური კავშირი სხვასთან. ამ გზით ეთიკა სამართლიანობიდან ხდება სიყვარული. სამართლიანობა ჩვენგან მოითხოვს, ყოველ ადამიანს მივაგოთ ის, რასაც იმსახურებს: ვინც ორი საათი იშრომა, უფრო მეტი უნდა მიიღოს, ვიდრე იმან, ვინც ერთი საათი იღვანა; წინააღმდეგ შემთხვევაში, უსამართლობა იქნება. ესაა სამართლიანობა და ეთიკა. მაგრამ გიყვარდეს ცოდვილი ან მტერი შენი, ესაა ის ერთადერთი ეთიკა, რომელიც სახარებამ იცის. ესაა არარაციონალური ეთიკა, არაეთიკური ეთიკა, ეთიკა, რომელიც გვათავისუფლებს საქმეებიდან (ჩვენი) ტყვეობისაგან, რომ ეთიკურმა ქმედებებმა არ შებოჭოს ჩვენი თავისუფლება და სიყვარული. როდესაც ეთიკა ზღუდავს ჩვენ თავისუფლებასა და სიყვარულს, როდესაც გვაკლავს, გავაიგივოთ სხვები მათ ეთიკურ თვისებებთან და არა უბრალოდ, მყოფობის ფაქტსა და ქვეშარიტებასთან, მაშინ ამგვარ ეთიკას არ ძალუძს, დაიტოოს თავის თავში არც ცოდვილისადმი სიყვარული, არც „გიყუარდეთ მტერნი თქუენნი“ (მთ. 5.43), არც იგავი ვენახის მუშაკზე, არც ქადაგება მთაზე.

დასკვნა შემდეგია: ეთიკა მისაღებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ონტოლოგიას ექვემდებარება, როდესაც გამომდინარეობს პრინციპიდან, რომ უმაღლესი ღირებულება არაა სიკეთე (პლატონი), არც ბედნიერება, არამედ არსებობა (მყოფობა, ყოფიერება). ეთიკა, რომელიც პატივს სცემს (აფასებს) მყოფობას (არსებობას, ყოფიერებას), რომელიც გვაქცევს იმ ადამიანად, ვისთვისაც სასურველი საყვარელი ადამიანის მარადიული მყოფობაა მისი ეთიკური თვისებებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც ყველა სათნოებასა და ღირებულებას არაფრად მიიჩნევს ჩვენთვის საყვარელი პიროვნებების მყოფობის (არსებობის) წინაშე, ანუ ისეთი ეთიკა, რომელიც მსხვერპლად ეწირება სიყვარულისათვის; მხოლოდ ასეთი ეთიკა შეეწყობოდა (შეეხამებოდა) ონტოლოგიას.

სახარება და ეკლესია ადამიანის ხრწნისა და სიკვდილისაგან გათავისუფლებისთვისაა. ჩვენი ცივილიზაცია კი ზურგს აქცევს ამას და ცდილობს, მხოლოდ ეთიკის მეშვეობით აქციოს ადამიანის ცხოვრება უფრო ბედნიერი და იოლი. მაგრამ ადამიანი უკვდავებისთვისაა შექმნილი და ეთიკას, თავისთავად, არ ძალუძს მისი ცხოვნება. ეკლესია განსაკუთრებით იმისათვის უნდა ზრუნავდეს, რომ არ დაივიწყოს თავისი ონტოლოგიური დანიშნულება. ეთიკა მუდამ ერთგვარი საფრთხე (საშიშროება) იქნება ეკლესიისათვის, ისევე როგორც, ზოგადად, ადამიანისათვის.

თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის ძირითადი ასპექტები

I. შესავალი

საქართველოში თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის შესახებ მსჯელობა ნაკლებად აქტუალურია, ამის მიზეზი მხოლოდ ის არაა, რომ საკითხთან დაკავშირებით ქართულად მცირე მასალაა, არამედ უფრო მეტად ის, რომ თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის, როგორც მოცემულობის, გააზრება ჭირს, რადგან: 1. თეოლოგია აღიქმება წარსულის, საუკუნეების წინ შექმნილი მოძღვრების ნაწილად, რომელსაც შეუძლებელია რაიმე მიემატოს ან გამოაკლდეს; 2. მიჩნევა, რომ თანამედროვე ღვთისმეტყველებს არ გააჩნიათ ის მადლი და ცოდნა, რაც ძველ მამებს ჰქონდათ, შესაბამისად, არ სჯერათ, რომ დღევანდელ თეოლოგებს ისეთივე ან უფრო დიდი მნიშვნელობის ტექსტების შექმნა შეუძლიათ, როგორც ეს ეკლესიაში ადრე იქმნებოდა, განსაკუთრებით კი მსოფლიო საეკლესიო კრებათა ხანაში.

პირადად ჩემთვის ეს მიდგომა საფუძველშივე გაუმართლებელია, რადგან მიმაჩნია, რომ მართლმადიდებლურ თეოლოგიას და ეკლესიას დღესაც შესწევს იმის ძალა და უნარი, რომ ძველის მსგავსი დიდებული შრომები შექმნას ან ახალი მიმართულებები განავითაროს. უფრო მეტიც, მგონია, რომ მეოცე საუკუნიდან დღემდე, ეკლესიამ უკვე მოახერხა მსგავსი ფორმების ჩამოყალიბება და მჯერა, რომ სამომავლოდ უფრო მეტსაც შეძლებს. წინამდებარე თემაში შევეცდები, რომ სწორედ თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის შესახებ ვისაუბრო, რომელიც პირადად ჩემთვის მეოცე საუკუნიდან იწყება.

II. ორი სკოლა

მიტროპოლიტი კალისტოს უეარი (რომელიც, თავის მხრივ, მამა ალექსანდრე შემენისეულ დაყოფას მიჰყვება) თანამედროვე მართლმადიდებლურ თეოლოგიას ორ ძირითად განხრად ყოფს. შესაბამისად – რუსული სკოლა და ნეოპატრიისტიკული სინთეზის მიმართულება.¹

1. რუსული სკოლა

რუსულ სკოლას, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსული რელიგიური რენესანსის მიმდინარეობას, შეიძლება დავეუკავშიროთ ალექსეი ხომიაკოვი (1804-1860), ივანე კირეევსკი (1806-1856), ვლადიმერ სოლოვიოვი (1853-1900), პაველ ფლორენსკი, სერგეი ბულგაკოვი (1871-1944) და ნიკოლაი ბერდიაევი (1874-1948).

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის მკვლევარი.

¹ იხ., Ware K., Orthodox Theology Today: Trends and Tasks, Journal International Journal for the Study of the Christian Church, Vol.12, No.2, 2012, 109.

ისტორიაში ხდება ხოლმე გარკვეული მოვლენები, რომლებიც შემდეგ მთელი რიგი პროცესების მიმართულებას წარმართავს. ჩვენ შემთხვევაში ამგვარი მოვლენა ბოლშევიკური რევოლუციაა,² რომელმაც რეალურად მთელი მართლმადიდებლური თეოლოგიის მომავალი შეცვალა. აღნიშნულმა მოვლენამ რუსეთის საზღვრებში მცხოვრებ მართლმადიდებელ ინტელექტუალებს უბიძგა, იმპერიის საზღვრებს გასცდენოდნენ და საკუთარი ნიჭები თუ უნარები რუსეთისგან შორს, თავისუფალ სამყაროში გამოეცვლინათ. ბოლშევიკურ რევოლუციას განრიდებულმა მოაზროვნეებმა სტამბულის, სოფიას და ბელგრადის შემდეგ თავი საფრანგეთს შეაფარეს, სადაც ძალიან დიდი რესურსი მიეცათ საკუთარი ნიჭის გამოსავლენად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1925 წელს დაარსებული პარიზის წმინდა სერგის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის წვლილი. თავიდან სასწავლებელს მამა სერგი ბულგაკოვი ხელმძღვანელობდა და დოგმატურ ღვთისმეტყველებას ასწავლიდა. სასწავლებელში, ასევე, მოღვაწეობდნენ ნიკოლაი აფანასიევი (საეკლესიო სამართალი და ეკლესიოლოგია), გიორგი ფლოროვსკი (პატრისტიკა), კვიპრიანე კერნი (ლიტურგიკა და პატრისტიკა) და ლეონ ზანდერი (ფილოსოფია).³

პოლ ვალერიის აზრით, რუსული სკოლა ქრისტიანული აღმოსავლეთიდან პირველად შეეჭიდა მართლმადიდებლობისა და თანამედროვეობის პრობლემას.⁴ მისი წევრები განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ გერმანულ იდეალიზმთან მიმართებით და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა, ეკლესია და საზოგადოება, ნაციონალური იდენტობის ადგილი საეკლესიო ცხოვრებაში, ეკონომიკის ქრისტიანული ხედვა, სექსუალობის მნიშვნელობა და ა.შ. აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმასაც, რომ სოფიოლოგიის მიმდევრები – სოლოვიოვი, ფლორენსკი და ბულგაკოვი, ცდილობდნენ, რომ ღმერთსა და ქმნილ სამყაროს შორის არსებული კავშირი ღვთაებრივი სიბრძნის გაგებით აეხსნათ, მაგრამ მათ ეს მოძღვრება სხვა გზით განავითარეს.⁵

2. თეოლოგიური უთანხმოებანი ბულგაკოვსა და ფლოროვსკის შორის

ზემოთ რამდენიმე ცნობილი ღვთისმეტყველი დავასახელებთ, რომლებიც რუსულ ემიგრაციას მიეკუთვნებოდნენ. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფლოროვსკისა და ბულგაკოვის პიროვნება, რამეთუ მათ მიერ წამოყენებულმა იდეებმა და შემდგომში, ერთმანეთში მიმდინარე პოლემიკამ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მართლმადიდებლური თეოლოგიის ბედი. ამ ორი კორიფეს დაპირისპირებაში რამდენიმე ასპექტის გამოყოფაა შესაძლებელი. ჩემთვის პირადად, უმთავრესი, პატრისტიკული ტრადიციის გააზრებასთან დაკავშირებული საკითხებია, სახელდობრ, ფლოროვსკისგან განსხვავებით, ბულგაკოვისთვის პრობლემა არ იყო ე.წ. *consensus partum*-ის წინააღმდეგ წასვლა. მაგ., იგი ეთანხმებოდა ორიგენესსა და

² Asproulis N., Ways of Contemporary Orthodox Theology in the West, The Ecumenical Review, Vol.69, No.1, 2017, 5

³ Ladouceur P., Overview of the Russian Religious Renaissance of the Twentieth Century, 4; <<https://bit.ly/2BdxBmL>>

⁴ Ware K., Orthodox Theology Today: Trends and Tasks, Journal International Journal for the Study of the Christian Church, Vol.12, No.2, 2012, 110.

⁵ იქვე.

გრიგოლ ნოსელს და უარყოფდა დანარჩენ საეკლესიო მამათა აზრს მარადიულ ჯოჯოხეთთან დაკავშირებით. განსხვავებით ბულგაკოვისაგან, ფლოროვსკი კატეგორიულად ენინაალმდებებოდა დოგმისა და დოქტრინის ერთმანეთისაგან განცალკევებას. გარდა ამისა, ამ ორ მამას შორის სერიოზული უთანხმოება არსებობდა ბერძნულ ენასთან დამოკიდებულებით, ბულგაკოვი უარყოფდა ფლოროვსკის მოსაზრებებს ბერძნული ენის და ზოგადად ბერძნულ ტრადიციასთან დაკავშირებით და ამას ქრისტეს სწავლების სანინაალმდებოდ განიხილავდა, რომელმაც ეკლესიაში ეთნიკური სახესხვაობანი გააუქმა.⁶ ამ ორ მოღვაწეს შორის განსხვავებათა ძიებას თუ მივყვებით, აუცილებლად მივადგებით ღმერთსა და შესაქმნეს შორის არსებული ურთიერთმიმართების საქმეს, კონკრეტულად, ფლოროვსკი ცდილობდა, ხაზი გაესვა ღმერთსა და სამყაროს შორის არსებული ონტოლოგიური განსხვავებისათვის, მაშინ, როდესაც ბულგაკოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ შემოქმედის შესაქმნესთან ერთიანობა წინა პლანზე წამოენია.⁷

რეალურად, ამ და სხვა საკითხებზე ორ მოაზროვნეს შორის მიმდინარე აკადემიურმა პოლემიკამ, შედეგად მოიტანა არაერთი კვლევა, სტატია თუ წიგნი, რომლითაც *თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგია* დღემდე აქტიურად სარგებლობს.

3. ნეო-პატრისტიკული სკოლა

ნეო-პატრისტიკული სკოლის წინამორბედად ხანდახან მიტროპოლიტ ფილარეტ მოსკოველს (1782-1867) ასახელებენ, მაგრამ ზოგადად, მის რეალურ შემოქმედად მამა გიორგი ფლოროვსკი მიიჩნევა, დაარსების თარიღად კი ათენის 1936 წლის პირველი კონგრესი. ამ სკოლისათვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ვლადიმერ ლოსკი და მისი გამორჩეული შრომა – *აღმოსავლეთის ეკლესიის მისტიკური ღვთისმეტყველება*, რომელიც პირველად 1944 წელს ფრანგულად დაიბეჭდა. ზოგადად კი, ნეოპატრისტიკული სკოლის ორიენტირად შეიძლება ფლოროვსკის ფრაზა მივიჩნიოთ – *„უკან მამებისკენ“*. თუკი ჩვენ ნეოპატრისტიკულ სკოლას რუსულს შევადარებთ, ნათლად დავინახავთ, რომ რუსული სკოლა მეტად ოპტიმისტური და თანამედროვეობაზე ორიენტირებულია, ვიდრე ნეო-პატრისტიკული.

სკოლის შედარებით გვიანდელ მიმდევრებად შეგვიძლია ჩავთვალოთ მამა იოანე მეიენდორფი მისი სამაგისტრო შრომით გრიგოლ პალამას შესახებ (გამოქვეყნდა 1959 წელს) და რუმინელი დოგმატოლოგი დიმიტრუ სტანილოაე (1903-1993), ხოლო თანამედროვე თეოლოგთაგან, უპირველესად, – მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი (დაიბადა 1931 წ.) და მამა იოანე ბერი (დაიბადა 1966 წ.).

ფლოროვსკი ყურადღებას უმთავრესად ქალკედონის ოროსს (მეოთხე მსოფლიო კრების დადგენილება) აქცევდა, ლოსკი კი – დიონისე არეოპაგელს. ლოსკისგან გან-

⁶ Sauvé R.J., Georges V. Florovsky and Vladimir N. Lossky: Anexploration, Comparision and Demonstration of Their Unique Approaches to the Neopatristic Synthesis, Durham University, 2010, 82.

⁷ Gavrilyuk P.L., Georges Florovsky's Reading of Maximus: Anti-Bulgakov or Pro-Bulgakov? Knowing the Purpose of Creation Through the Resurrection, in: Knowing the Purpose of Creation through the Resurrection: Proceedings of the Symposium on St. Maximus the Confessor, Edited by M. Vasiljević, Sebastian Press and University of Belgrade Press, 2013, 415.

სხვაგვებით, მამა იოანე მეიენდორფი კი დიონისეს აკრიტიკებდა. ასევე, ფლოროვსკი, ლოსკი და მეიენდორფი განსაკუთრებულ ყურადღებას გრიგოლ პალამას თეოლოგიას აპყრობდნენ, მაშინ, როდესაც, თანამედროვე თეოლოგი, მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი პალამაზე მეტად მაქსიმე აღმსარებელზე ამახვილებს ყურადღებას.⁸

დასახელებული მიმართულებების გარდა, ენდრიუ ლოუთი კიდევ ორ სხვა განხრას ასახელებს. *ლიტურგიკულ თეოლოგიას*, რომლის გამორჩეულ წარმომადგენლებად მამა ალექსანდრე შმემანს, იოანე ფუნდულისს და მამა ვასილ გონდიდაკისს მიიჩნევენ.⁹ ენდრიუ ლოუთი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს *ფილოკალიის* შესწავლის ძალიან აქტიურ მიდგომაზე, რომელშიც მიტროპოლიტ კალისტოს უეარის წვლილს განსაკუთრებულად გამოჰყოფს.¹⁰

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც *ლიტურგიკული ღვთისმეტყველების* მიმდევარი, მამა ალექსანდრე შმემანი პატრისტიკულ ხაზზე დგას, თუმცა მისი წიგნებიდან ავტორის რუსული რელიგიური რენესანსის შესახებ საკმაოდ სერიოზულ დაინტერესებასაც აუცილებლად გავეცნობით.

4. მამა გიორგი ფლოროვსკი და ნეო-პატრისტიკული სინთეზი

თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიისათვის განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის მამა გიორგი ფლოროვსკის, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობაც მრავალფეროვანია. წინამდებარე თემაში მხოლოდ მის ერთ-ერთ უმთავრეს იდეას – ნეოპატრისტიკულ სინთეზს შევეხებით.

1936 წელს ათენში საერთო მართლმადიდებლური კონგრესი გაიმართა, რომელშიც მამა გიორგი ფლოროვსკი ორი მოხსენებით მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ რუს-უკრაინელი თეოლოგი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა, საბერძნეთში ჩამოვიდა, რათა პირველი სიტყვა გერმანულად წაეკითხა, მეორე კი – ინგლისურად, მართლმადიდებლური სამყაროს დასავლური ტყვეობის შესახებ.¹¹ პირველი მოხსენება იყო *„დასავლური გავლენები რუსულ თეოლოგიაში“*, მეორე კი – *„პატრისტიკა და თანამედროვე თეოლოგია“*. პირველ დოკუმენტში ფლოროვსკი განსაკუთრებულ ყურადღებას მართლმადიდებელი ეკლესიის ბერძნულ მოტივებზე ამახვილებდა, ხოლო მეორეში თანამედროვე თეოლოგებს მოუწოდებდა, რომ მამათა მიდგომებს, ეკლესიის ბერძნულენოვან მამებს და ლიტურგიკულ ტრადიციას დაბრუნებოდნენ.

ფლოროვსკის მიერ დასახელებულ კონგრესზე წარმოთქმული მოსაზრებები ძირითადად ორი იდეის ქვეშ შეგვიძლია გავაერთიანოთ: *„ეკლესიის ბაბილონის ტყვეობა“* და *„დაბრუნება უკან მამებისკენ“*. შემდგომ პერიოდში, ნიუ-იორკის წმინდა ვლადიმირის სემინარიაში მუშაობისას, მან კიდევ ერთ მიმართულებას ჩაუყარა

⁸ Ware K., *Orthodox Theology Today: Trends and Tasks*, Journal International Journal for the Study of the Christian Church, Vol.12, No.2, 2012, 115.

⁹ Louth A., *Modern Orthodox Thinkers, From the Philokalia to Present*, InterVarsity Press, 2015, 194-213.

¹⁰ იქვე, 332-348.

¹¹ Gavrilyuk P.L., *Georges Florovsky and the Russian Religious Renaissance*, Oxford University Press, 2014, 177.

საფუძველი – „ნეო-პატრისტიკული სინთეზი“. მოცემულ ქვეთავში სწორედ ამ უკანასკნელზე ვისაუბრებთ.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ თავად ტერმინმა, „სინთეზმა“ არ დაგვაბნოს. პოლ ლადუსირის აზრით, იგი „სისტემის“ სინონიმად შეიძლება გავიაზროთ.¹² ზოგადად, თუკი ფლოროვსკის მიდგომებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ძალიან ხშირად მას ბოლომდე არ მიჰყავდა ხოლმე დანყებული საქმე. გამონაკლისი არც ეს შემთხვევა იყო, თუმცა, იგი გარკვეულწილად სხვებისგან განსხვავდებოდა და უფრო მარტივადაც შეგვიძლია გავიგოთ, თუ რატომ არ (ვერ) განასრულა იგი. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრი პოლ გავრილიუკისას ეთანხმება, რომელიც წერს:

„იქიდან გამომდინარე რომ, პატრისტიკულ თეოლოგიას მხოლოდ ქრემარტი საფუძველი ეგების, პატრისტიკული სინთეზი უსრული რჩება და თითოეულ თაობაში განსახორციელებლად გამუდმებით ახალ სინთეზს მოითხოვს. ამგვარად, უძღურების გამო კი არ იყო განპირობებული, რომ ფლოროვსკიმ თავისი სინთეზი ვერ განასრულა, არამედ იმით, რომ ნეოპატრისტიკული სინთეზი გამუდმებულ ჰერმენევტიკულ ძალისხმევას მოითხოვს.“¹³

პოლ ლადუსირის აზრით,¹⁴ ფლოროვსკის ნეოპატრისტიკული სინთეზის გასაგებად ოთხი ძირითადი მახასიათებლის გამოყოფაა საჭირო. ესენია: 1. მართლმადიდებლურ თეოლოგიაში პატრისტიკული სტილის აღდგენა, პატრისტიკულ ნაწერთა კი არა, მამათა სულის აღორძინება. 2. ეკლესიაში კათოლიკე ცნობიერების არსებობის საჭიროება. 3. თეოლოგიამ აუცილებლად ისტორიის კონტექსტში უნდა დაიკავოს ადგილი. 4. მართლმადიდებლური თეოლოგია არ შეიძლება მის ბერძნულ საწყისებს დაშორდეს და რომ თეოლოგიას აუცილებლად საყოველთაო ხასიათის პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს.

III. ეკლესიოლოგია

მეოცე საუკუნის თეოლოგიურ განხილვათა უმთავრეს ასპექტად, როგორც წესი, ეკლესიოლოგიას მიიჩნევენ. ამ თემას მიემართება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: რა არის ეკლესიის არსი? რას აკეთებს ეკლესია ისეთს, რისი გაკეთებაც სხვას არ შეუძლია? ეს თემები მეცხრამეტე საუკუნეში უპირველესად ალექსი ხომიაკოვის მიერ წამოიწია, მეოცე საუკუნის დასაწყისში მამა სერგი ბულგაკოვმაც საკმაოდ სერიოზული ყურადღება გაამახვილა მათზე, ნიკოლაი აფანასიევმა დამატებითი ასპექტები და სიცხადე შემოიტანა ამ ყოველივეში და შედეგად სისტემური სახე მიეცა ე.წ. „ევექარისტიულ ეკლესიოლოგიას“, რომლის თანახმადაც, ეკლესია უმთავრესად ევექარისტიული ორგანიზმია და ავტენტური ხდება მაშინ, როდესაც ევექარისტიას აღასრულებს. მწყობრი სწავლება ამ საკითხის შესახებ აფანასიევმა გადმოსცა თავის ცნობილ ესეში – „ეკლესია, რომელიც სიყვარულშია წინამძღვარი“ და

¹² Ladouceur P., Modern Orthodox Theology, London, 2019, 109.

¹³ Gavrilyuk P.L., Georges Florovsky and the Russian Religious Renaissance, Oxford University Press, 2014, 97.

¹⁴ დეტალურად იხ., Ladouceur P., Modern Orthodox Theology, London, 2019, 110-111.

იგი 1960 წელს ფრანგულად გამოაქვეყნა. სწავლების საფუძვლები სამოციქულო მამებთან, კონკრეტულად კი წმ. ეგნატე ანტიოქიელთან შეიძლება ვიპოვოთ, რომელზე დაყრდნობითაც აფანასიევი ექვარისტისასა და ეკლესიას შორის ფუნდამენტურ კავშირს ავლენს. სწავლების მიხედვით, ეკლესიური ერთობა რომელიმე იურისდიქციიდან კი არა, უშუალოდ მაცხოვრისგან მომდინარეობს, რომელმაც საკუთარი ხორცისა და სისხლის გაღებით, ეს საიდუმლო დააფუძნა. ექვარისტის გარეშე არ იარსებებს ეკლესია. ეკლესია ქმნის ექვარისტისა და ექვარისტია – ეკლესიას.¹⁵

აფანასიევი გააკრიტიკეს, რადგან მისი მიდგომები „ექვარისტულ“ და „საყოველთაო“ ეკლესიოლოგიებს შორის ბალანსს არღვევდა. საბოლოოდ, მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასის მიერ ამ სწავლებას სრულყოფილი სახე მიეცა. მან, ერთი მხრივ, პატრისტიკული არგუმენტებით გაამყარა იგი, მეორე მხრივ კი, დაასაბუთა, რომ ეკლესიის „საყოველთაო“ და „ექვარისტული“ გააზრება ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ეკლესიოლოგიაში ბალანსს ადგენენ.¹⁶

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას აუციებლად უნდა ვახსენოთ მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასის თეოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ეკლესიაში ეპისკოპოსის როლს მიემართება. მეუფე იოანე იზიარებს ეკლესიაში სამი დონის დაყოფას, რომლის მიხედვითაც, არსებობს ადგილობრივი, რეგიონული და მსოფლიო საფეხური. თითოეულ დონეზე ეპისკოპოსი საეკლესიო სხეულის ერთობის გარანტია. საეპისკოპოსოში აღსრულებული ექვარისტული მსახურების წინამძღვარი ეპისკოპოსია,¹⁷ ხოლო სხვადასხვა ეპისკოპოსის ერთმანეთთან ექვარისტული კავშირი კი ადგილობრივ საეკლესიო ერთეულს – „ერთს“, მთელ საეკლესიო სისავსესთან – „მრავალთან“ აკავშირებს.¹⁸

IV. ანთროპოლოგია

თუკი მეოცე საუკუნის მართლმადიდებლური თეოლოგიის უმთავრეს გამონვევად ეკლესიოლოგია მიიჩნეოდა, ოცდამეერთე საუკუნეში ეს ვექტორი ანთროპოლოგიისკენ გადაიხარა. კალისტოს უეარი სამ მიზეზს ასახელებს, თუ რატომ გახდა თანამედროვე ეპოქაში პიროვნების საკითხი ასეთი მნიშვნელოვანი.¹⁹ **უპირველესად**, ესაა ურბანიზაცია და გლობალიზაცია, ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც პიროვნების სოციალურ გაერთიანებებში დაკარგვის საფრთხეა. **მეორე** მიზეზი ბიოეთიკას მიემართება, განსაკუთრებით კი სექსუალობის თაობაზე არსებულ ძალიან ბევრ შეკითხვას, რომლებზეც საზოგადოება ეკლესიიდან პასუხს ითხოვს. **მესამე** მიზეზი კი ეკოლოგიურ საკითხებს და იმ პრობლემებს ეხება, რაც დღევანდელი სამყაროს წინაშე ამ კუთხით არსებობს.

¹⁵ დეტალურად აფანასიევის ეკლესიოლოგიის შესახებ იხ., Ware K., *Orthodox Theology in the Twenty-First Century*, World Council of Churches, 2012, 18-21.

¹⁶ დეტალურად იხ., Ware K., *Orthodox Theology Today: Trends and Tasks*, Journal International Journal for the Study of the Christian Church, Vol.12, No.2, 2012, 115-116.

¹⁷ დაწვრილებით იხ., Zizioulas J.D., *Eucharist, Bishop, Church: The Unity of the Church in the Divine Eucharist and the Bishop During the First Three Centuries*, Holy Cross Orthodox Press, 2001.

¹⁸ „ერთისა“ და „მრავალის“ ზიზიულასისეულ გააზრებაზე იხ. Zizioulas J.D., *Metropolitan of Pergamon, The One and the Many*, WCC, 2010.

¹⁹ დეტალურად იხ., Ware K., *Orthodox Theology Today: Trends and Tasks*, Journal International Journal for the Study of the Christian Church, Vol.12, No.2, 2012, 117.

მიტროპოლიტ კალისტოს უეარისათვის მართლმადიდებლური ანთროპოლოგიის ნებისმიერი ტიპის განვითარება მინიმუმ სამ ძირითად ნიშანს უნდა ითვალისწინებდეს. ესენია: 1. ადამიანები თავად არიან საიდუმლოებით მოცული არსებები და რომ მათი ბუნების ჯერ მხოლოდ უმცირესი ნაწილია შესწავლილი; 2. ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ღირსება ძალიან დიდია; 3. ადამიანი არის ქმნილი შემოქმედი, რომლის როლიც ამ სამყაროში უმნიშვნელოვანესია .

V. ეკოლოგია და თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგია

თანამედროვე ეპოქაში ეკოლოგიის შესახებ მსჯელობა და აქტივობები ძალიან გააქტიურებულია. ლოგიკურია, რომ ამ ტენდენციებს მართლმადიდებელი ეკლესია და მართლმადიდებლური თეოლოგიაც ითვალისწინებს.

1960 წელს ქრისტიანობას საყოველთაო ეკოლოგიური კრიზისის გამოწვევა დაბრალდა, რასთან დაკავშირებითაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბა და შეძლებისდაგვარად უპასუხა კიდევ იმ პერიოდის გამოწვევებს. თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. დროის გასვლასთან ერთად გამოწვევები უფრო და უფრო იზრდებოდა და მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა ეკლესიებთან თანამშრომლობით, უფრო მეტი გულმოდგინებით ცდილობდა მასზე ადეკვატური პასუხის გაცემას. მაგალითად, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ 1987 წელს ქალაქ სოფიაში გამართული საერთო-მართლმადიდებლური კონსულტაციის ანგარიში გვაუწყებს, „ადამიანებმა უნდა ისწავლონ ქმნილებას მოეპყრან ისე, როგორც ეპყრობიან ღვთის წმიდა შესაწირს, მსხვერპლს, მადლის გადამცემს, ყველაზე კეთილშობილური მისწრაფებებისა და ლოცვის განსახიერებას“²⁰.

ამ მოვლენიდან ორ წელში, მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა 1989 წლის 1 სექტემბერს (საეკლესიო წელიწადის პირველ დღეს), ყველა მართლმადიდებლისათვის მიმართული ეპისტოლე გამოაქვეყნა, რომელშიც წერდა:

„მთელ ქრისტიანულ მსოფლიოს, ყოველი წლის 1 სექტემბერს ყოველი ქმნილების შემოქმედს ვთხოვთ და შევევედროთ, მადლობა შევნიროთ დიდი საჩუქრისათვის – სამყაროს შექმნისათვის, შევთხოვთ მას მისი დაცვა და კეთილდღეობა... მამობრივი მზრუნველობით მორწმუნეებს მთელ მსოფლიოში მოვუწოდებთ, საკუთარ შვილებთან ერთად დააფასონ და დაიცვან ბუნებრივი გარემო... ყველა პოლიტიკური პასუხისმგებლობით აღსავსე პირი თავის ქვეყანაში, მონოდებულ არიან დაუყოვნებლივ გაატარონ შესაბამისი ზომები ბუნების დაცვა და შენარჩუნებისათვის.“²¹

1991 წელს კუნძულ კრეტაზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ უკვე სპეციალური რეკომენდაციები გასცა. მაგალითად:

²⁰ გრძელიძე თ., ქმნილება და ეკოლოგია: მართლმადიდებელი ეკლესიის პასუხი ეკოლოგიურ პრობლემებზე, <<https://bit.ly/386wK3I>>

²¹ მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, ეკოლოგიური პროცესების დასაძლევად ჩვენ უნდა შევიცვალოთ აზროვნება და ცხოვრების წესი, შ. კინწურაშვილის თარგმანი, <<https://bit.ly/2Z7d9vO>>
20

„მართლმადიდებელი ეკლესია იზიარებს მათ გულისწუხილს, ვინც განიცდის ადამიანის მიერ ბუნებრივი გარემოს შეუქცევად განადგურებას, რომელსაც ეკლესია ცოდვას უწოდებს და რის გამოც ყველას მონანიებისკენ მოუწოდებს. მართლმადიდებელ ეკლესიას სწამს, რომ მართლმადიდებელი ტრადიციის ლიტურგიკულ-ევქარისტული და ასკეტური ეთოსი ამ კრიზისიდან გამოსავლის მონახვის საუკეთესო საშუალებაა. ეს კი თავიდან გვაცილებს ახალი ეთიკური მოძღვრების ძიების აუცილებლობას.“²²

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეკლესიამ შემდგომშიც გააგრძელა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. ეკოლოგიის შესახებ 2016 წლის კრეტის წმინდა და დიდი კრების ენციკლიკაში ვკითხულობთ:

„ეკლესიის საიდუმლოებებში დასტურდება შესაქმე, ხოლო ადამიანი ძლიერდება, რათა ემსახუროს მას როგორც მნე, მცველი და „მღვდელი“ და დოქსოლოგიის გზით მიიყვანოს იგი შემოქმედთან – „შენთა შენთაგან შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისათვის“ – და დანერგოს ევქარისტული კავშირი შესაქმესთან.“²³

ეს ყოველივე კრეტის კრებით არ დასრულებულა და ახლადგამოცემულ მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური ეთიკის დოკუმენტშიც²⁴ კიდევ ერთხელ ახსენებს ეკლესია მორწმუნეებს, რომ ღმერთმა ადამიანი მხოლოდ მეორე ადამიანისადმი შემწედ კი არ შექმნა, არამედ მთელ შესაქმეზე ზრუნვისა და მისი მოვლისთვისაც, შესაბამისად, ადამიანი მოვალეა, იზრუნოს, დაიცვას და დაეხმაროს სამყაროს, რომელიც მეორედმოსვლის დროს სწორედ ისევე უნდა მიაღწევას შემოქმედს, როგორც მღვდელი აღამალლებს ყოველი წირვისას წმინდა ძღვენს და წარმოთქვამს სიტყვებს: „შენთა, შენთაგან, შენდა შემწირველნი, ყოველთა და ყოვლისათვის“.

VI. დასკვნა

ნაშრომში გვსურდა იმ ძირითადი ასპექტების შესახებ გვესაუბრა, რაც თანამედროვე მართლმადიდებლურ თეოლოგიაში შეინიშნება. სტატიაში გავიხსენეთ მეოცე საუკუნის ის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლებმაც თემაზე გავლენა მოახდინეს, ასევე, მთავარი მოქმედი პირები და ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც მეოცე საუკუნის მართლმადიდებლურ თეოლოგიაში შეინიშნებოდა. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ჩვენ მიზანს რომელიმე კონკრეტული

²² გრძელიძე თ., ქმნილება და ეკოლოგია: მართლმადიდებელი ეკლესიის პასუხი ეკოლოგიურ პრობლემებზე, <<https://bit.ly/386wK3I>>

²³ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა და დიდი კრების ენციკლიკა, კრეტა, 2016. <<https://patriarchate.ge/news/1832>>

²⁴ მსოფლიოს სიცოცხლისათვის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური ეთოსის შესახებ, გურამ ლურსმანაშვილის თარგმანი, გ. ბარნოვის რედაქტორობით, თბილისი, 2020.

საკითხის საფუძვლიანი განხილვა კი არა, არამედ უფრო მეტად, გარკვეული მონახაზის შექმნა წარმოადგენდა, რომელზეც, შემდგომ პერიოდში, უფრო კონკრეტულ მიმართულებებს გავავითარებთ.

რწმენა, გონება და უნივერსიტეტი – გახსენება და ფიქრი*

გერმანულიდან თარგმნა ვაჟა ვარდიქემ**

თქვენო უსამღვდელოესობავ, ბრწყინვალეზავ და აღმატებულეზავ,
ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ეს ჩემთვის განსაკუთრებული მომენტია, კიდევ ერთხელ ვიყო უნივერსიტეტში და ლექციის წაკითხვის უფლება მქონდეს. ჩემი ფიქრები უბრუნდება იმ წლებს, როდესაც ფრაისინგის უმაღლეს სკოლაში მუშაობის შემდეგ აკადემიური საქმიანობა ბონის უნივერსიტეტში დავიწყე. ეს იყო 1959 წელი, ჯერ კიდევ ძველი ჩვეული უნივერსიტეტების დრო. თითოეული კათედრისათვის არ იყო არც ასისტენტი და არც დამხმარე პერსონალი, თუმცა არსებობდა სტუდენტებთან მეტი უშუალო კავშირი და პროფესორებს შორის უფრო მეტი ურთიერთობა. საპროფესოროში ლექციების დაწყებამდე და დაწყების შემდეგ ვხვდებოდით ერთმანეთს. ურთიერთობა ისტორიკოსებთან, ფილოსოფოსებთან, ფილოლოგებთან და რა თქმა უნდა, თეოლოგებს შორის, იყო უფრო ცოცხალი. ყოველ სემესტრში იყო ე.წ. *Dies academicus*, რომლის დროსაც ყველა ფაკულტეტის პროფესორი წარსდგებოდა სტუდენტების წინაშე და ამგვარად ქმნიდა *Universitas* განცდას – სადაც, თქვენო ბრწყინვალეზავ, როგორც უკვე მიახიშნეთ – ყველა სპეციალიზაციის ერთმანეთისათვის მიუწვდომლობის მიუხედავად, იქმნებოდა ერთი მთლიანის გამოცდილება, რომელშიც გონება სხვადასხვა განზომილებაში წარმოდგებოდა და მაინც, მისი გამოყენება საერთო პასუხიმგებლობით იყო გაზიარებული. უნივერსიტეტი ამაყობდა თეოლოგიის თავისი ორი ფაკულტეტით. ნათელი იყო, რომ ისიც, მას შემდეგ, რაც რწმენის გონივრულობაზე სვამდა კითხვას, იმ საქმეს აკეთებდა, რომელიც მთლიან *Universitas scientiarum* ეკუთვნის, თუნდაც მაშინაც, როდესაც ყველა არ იზიარებს რწმენას, რომლის გონებასთან კავშირის ჩვენებას თეოლოგები ცდილობენ. გონების ეს შინაგანი ერთიანობა არ დარღვეულა მაშინაც კი, როდესაც ჩვენმა ერთ-ერთმა კოლეგამ გააჟღერა უნივერსიტეტში თითქოსდა უცნაური რამ: ორი ფაკულტეტი დაკავებულია იმით, რაც არ არსებობს – კერძოდ, ღმერთით. მთელ უნივერსიტეტში ასეთი რადიკალური სკეფსისის არსებობა იმის მიმართ, რომ აუცილებელი და გონივრულია ღმერთის შესახებ კითხვა დაისვას და ეს ქრისტიანულ გადმოცემასთან კავშირში წარმოჩნდეს, გასაკვირი არ იყო.

ყოველივე ეს მაშინ კვლავ გამახსენდა, როდესაც ვკითხულობდი პროფესორ თეოდორ ხოურის მიერ გამოცემულ დიალოგს, რომელსაც აწარმოებდა ბიზანტიის

* თარგმანი შესრულებულია 2006 წლის 12 სექტემბერს რეგენსბურგის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციის ოფიციალური ტექსტიდან: *Glaube, Vernunft und Universität – Erinnerungen und Reflexionen*.

** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

განსწავლული კეისარი მანუელ მეორე პალეოლოგოსი 1391 წელს ანკარაში, ზამთრის ბანაკში, ერთ-ერთ განსწავლულ სპარსთან ქრისტიანობისა და ისლამის შესახებ¹. სავარაუდოდ, კეისარის ეს დიალოგი შედგა 1394 და 1402 წლებს შორის კონსტანტინოპოლის ალყის დროს; მიიჩნევა, რომ მისი საუბარი უფრო დაწვრილებით არის წარმოდგენილი, ვიდრე სპარსი მოკამათის². დიალოგი მოიცავს ბიბლიისა და ყურანის რწმენის პასაჟებს და განსაკუთრებით ღმერთისა და ადამიანის შესახებ წარმოდგენებს, ისევე, როგორც გარდაუვლად „სამი კანონის“ თუ „ცხოვრებისეული წესის“ – ძველი აღთქმის, ახალი აღთქმისა და ყურანის – ურთიერთმიმართებას. ახლა ამ ლექციაზე არ მსურს ამის განხილვა, არამედ შევეხები მხოლოდ დიალოგის მთლიანი მოცულობისათვის უმნიშვნელო ერთ მომენტს, რომელიც რწმენისა და გონების ურთიერთკავშირის საკითხისათვის მომხიბვლელია და ჩემი ლექციის ამოსავალ წერტილად გამომადგება.

პროფესორ ხოურის მიერ გამოცემული დიალოგის მეშვიდე პასაჟში (διάλειξις – დაპირისპირებანი) კეისარი ჯიჰადის საკითხს ეხება. კეისარმა ნათლად იცოდა, რომ მე-2 სურაში (256) წერია: რწმენის საკითხებში არავითარი იძულება – ეს არის ერთ-ერთი ადრეული პერიოდის სურა, როგორც ამას მცოდნენი გვეუბნებიან, როდესაც მუჰამედს ჯერ კიდევ ძალაუფლება არ ჰქონდა და საშიშროების წინაშე იდგა. თუმცა კეისარმა იცოდა წმინდა ომის შესახებ ყურანში არსებული გვიანდელი ადგილებიც. მნიგნობრებისა თუ ურწმუნოების აზრთა მოხმობის გარეშე, კეისარი განსაცვიფრებლად უხეში ფორმით მიმართავს თავის მოწინააღმდეგეს რელიგიისა და ძალადობის ურთიერთკავშირის შესახებ კითხვით: იგი ამბობს: „მიჩვენე მუჰამედმა რა თქვა ახალი, და ვერ ნახავ იმაზე ცუდსა და არაჰუმანურს, რაც მას დაენეროს, რომ რწმენა მახვილით განავრცო³. მას შემდეგ რაც ასე შეუტია, კეისარი დაწვრილებით ასაბუთებს, თუ რატომ არის უაზრობა რწმენის ძალადობით განვრცობა. ეს ღმერთის და სულის არსს ეწინააღმდეგება. „ღმერთს არ მოსწონს სისხლი“, ამბობს იგი და „ღმერთის წინააღმდეგ წასვლაა უგუნურად (σὺν λόγῳ) მოქცევა“. რწმენა სულის

¹ დიალოგის მთლიანი 26 რაუნდიდან თეოდორ ხოურიმ გამოსცა მე-7 (διάλειξις – ხოური თარგმნის როგორც „კამათს“) თავისი შენიშვნებითა და ფართო შესავალით ტექსტის წარმოშობის, ხელნაწერის გადმოცემისა და დიალოგის სტრუქტურის შესახებ, ისევე, როგორც არარედაქტირებული ნაწილის "Controverses" მოკლე შინაარსით. ბერძნულ ტექსტს ახლავს ფრანგული თარგმანიც: Manuel II Paléologue, Entretiens avec un Musulman. 7^e Controverse. Sources chrétiennes Nr. 115, Paris 1966. ამასობაში კარლ ფირსტელმაც გამოსცა კომენტირებული ბერძნულ-გერმანული ტექსტი შემდეგ გამოცემაში: Corpus Islamico-Christianum (Series Graeca. Schriftleitung A.Th. Houry – R. Gleis). Manuel II. Palaiologus, Dialoge mit einem Muslim. 3 Bde. Würzburg - Altenberge 1993 – 1996. უკვე 1966 წელს ე. ტრაპაძემ გამოსცა ბერძნული ტექსტი. მე ციტირებას ვახდენ ხოურის მიხედვით.

² შეად., დიალოგის წარმოშობისა და ჩანაწერის შესახებ ხოურისთან გვ. 22-29. დაწვრილებით იხ., ფირსტელისა და ტრაპის გამოცემები.

³ Controverse VII 2c. ხოური გვ. 142-143; Förstel Bd. I, VII. Dialog 1.5 გვ. 240/241. ეს ციტატა მუსლიმურ სამყაროში სამწუხაროდ გაგებულ იქნა როგორც ჩემი საკუთარი პოზიცია და გასაგები მიზეზის გამო გამოიწვია უკმაყოფილება. იმედი მაქვს, რომ ჩემი მკითხველი მაშინვე ამოიცნობს, რომ ეს წინადადება არ გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ყურანისადმი, რომლის მიმართაც მე ჩემს მოწინებებს ვგრძნობ, მოწინებას, რომელიც დიდი რელიგიის წმინდა წიგნს მართებს. კეისარ მანუელ მეორეს ციტირებისას მე მხოლოდ ის მაინტერესებდა, რომ რწმენასა და გონებას შორის კავშირი მეჩვენებინა. ამ პუნქტში ვეთანხმები მე მანუელს ისე, რომ მის პოლემიკას არ ვიზიარებ.

ნაყოფია და არა ხორცის. ვისაც სხვა ადამიანის რწმენამდე მიყვანა სურს, საჭიროებს კარგი საუბრისა და სწორი აზროვნების უნარს, არა ძალადობასა და დამუქრებას... გონიერი სული რომ დაარწმუნო, საჭიროა არა ხელები, არა დარტყმის იარაღები, რომებლითაც ვინმეს სასიკვიდლოდ დაემუქრები...“⁴

აქ ძალადობით მოქცევის საწინააღმდეგოდ გადამწყვეტი არგუმენტი შემდეგნაირად ჟღერს: უგუნურად მოქცევა ღმერთის არსს ეწინააღმდეგება⁵. გამომცემელი თეოდორ ხოური აქ შემდეგ კომენტარს აკეთებს: კეისრისათვის, ბერძნულ ფილოსოფიაში განსწავლული ბიზანტიელისათვის, ეს წინადადება მკაფიოა. მუსლიმი სწავლულისთვის კი ღმერთი აბსოლუტურად ტრანსცენდენტურია. მისი ნება არაა რომელიმე ჩვენეულ კატეგორიასთან დაკავშირებული და ასევე, გონიერულობასთან.⁶ ხოური მოიხმობს ცნობილი ფრანგი ისლამოლოგის რ. არნოს ციტატას, რომელიც მიაწინებს იმაზე, რასაც იბნ ჰაზმი იქამდე განმარტავს, – ღმერთი თავისივე სიტყვითაც კი არ არის შეზღუდული და რომ მას არაფერი ავალდებულებს, ჩვენ ჭეშმარიტება განგვიცხადოს. მას ეს რომ სურდეს, ადამიანი კერპებს სცემდა თავყვანს⁷.

ამ ადგილას, ღმერთის გაგებასა და რელიგიის რეალიზებაში იყოფა გზები, რომელიც მკაფიო გამონწვევად გვიდგას. ბერძნულად უნდა გვწამდეს, რომ უგუნური ქმედება ღმერთის არსის წინააღმდეგობაა, თუ ეს თავისთავად არსებობს? ვფიქრობ, რომ სრული თანხმობაა, რაც ბერძნულად მოიაზრება და რაც ბიბლიაში ღმერთის რწმენის შესახებ ნათელია. დაბადების წიგნის პირველი სტროფები, წმინდა წერილის სახეცვლილი პირველი სიტყვები იოანემ გახსნა თავისი სახარების პროლოგის შემდეგი სიტყვებით: თავდაპირველად იყო სიტყვა. სწორედ ეს სიტყვაა, რომელიც კეისარმა გამოიყენა: ღმერთი მოქმედებს სიტყვით (σὺν λόγῳ), ლოგოსით. ლოგოსი არის გონება და სიტყვა იმავდროულად – გონება, რომელიც შემოქმედია და ძალუძს გაზიარება, მაგრამ სწორედ როგორც გონებას. ამით იოანემ მოგვცა ღმერთის გაგების ბიბლიური ბოლო სიტყვა, რომელშიც ბიბლიური რწმენის ძალისხმევითა და ბუნდოვანი გზებით ყოველივე თავის მიზანს და სრულ სინთეზს ნახულობს. პავლე მოციქულის ხილვა, რომელსაც აზიისკენ მიმავალი გზა დაეკეტა და რომელმაც მაკედონელი კაცის ვედრება იხილა: „მოდით მაკედონიაში და დაგვეხმარე“ (მოც. 16,6-10), ეს ხილვა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ბიბლიური რწმენისა და ბერძნული ძიების შინაგანი აუცილებლობით ურთიერთშეხვედრის შერწყმა.

ფაქტობრივად, ეს ურთიერთშეხვედრა უკვე კარგა ხანია მიმდინარეობდა. აღმოდებული მაყვლოვანის ღმერთის იდუმალი სახელი, რომელიც მას სხვა კერპებიდან გამოარჩევს და უბრალოდ „მე ვარ“ – ყოფიერებად გამოხატავს, მითის უარყოფაა, რომელიც სოკრატეს მიერ მის დაძლევისა და გადალახვის მცდელობასთან

⁴ Controverse VII 3b - c; bei Khoury S. 144/145; Förstel Bd. I, VII. Dialog 1.6 S. 240 – 243.

⁵ მხოლოდ ამ აზრის გამო მოვიხმე მე ეს დიალოგი.

⁶ Khoury, a.a.O. S. 144 Anm. 1.

⁷ R. Arnaldez, Grammaire et théologie chez Ibn Hazm de Cordoue. Paris 1956 S. 13; cf Khoury S. 144. ის, რომ შუა საუკუნეებში მსგავსი პოზიციები არსებობდა, ამ მოხსენების შემდგომ მსვლელობაში იქნება ნაჩვენები.

შინაგან ანალოგიაშია.⁸ მაცყოფანთან დაწყებული პროცესი ძველ აღთქმაში თავის შინაგან სიმნიფეს გადასახლების დროს ნახულობს, როდესაც უმინოდ და უკულტოდ დარჩენილი ისრაელი მიწისა და ცის ღმერთს აღიარებს და მას მაცყოფანის სიტყვის განმრცობი მარტივი ფორმულით გამოხატავს: „მე ვარ“. ღმერთის ამ ახალ ამოცნობას თან ახლავს ერთგვარი სახის განმანათლებლობა, რომელიც ადამიანთა ხელნაკეთ კერპთა გაკილვაში მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს (შეად. ფს.115). ამგვარად, ელინ დამპყრობლებთან მკაცრი დაპირისპირების მიუხედავად, რომელიც ბერძნულ კულტსა და ცხოვრების წესთან მორგებას მოითხოვდა, ბიბლიური რწმენა ელინურ ეპოქაში შინაგანად შეხებაში მოდის ბერძნული აზროვნების საუკეთესო მომენტთან, როგორც ეს განსაკუთრებით გვიანდელ სიბრძნისეულ ლიტერატურაში განხორციელდა. დღეს ვიცით, რომ ალექსანდრიაში შექმნილი ძველი აღთქმის თარგმანი – სეპტუაგინტა – უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ებრაული ტექსტის გადმოცემა, კერძოდ, იგია თვითმყოფადი ტექსტის მოწმობა და გამოცხადების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელშიც შეხვედრა ისე მოხდა, რომ ქრისტიანობის წარმოშობამ და გავრცელებამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა⁹. არსობრივად, აქ რწმენა და გონება, ნამდვილი განმანათლებლობა და რელიგია ხვდებიან ერთმანეთს. მანუელ მეორის ქრისტიანული რწმენის გულიდან და ამავდროულად, რწმენასთან შერწყმული ბერძნულის არსიდან გამომდინარე, შეეძლო ეთქვა: არ იმოქმედო „ლოგოსით“, ნიშნავს ღმერთის არსებას შეენიანა-აღმდეგო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში გამოიკვეთა ის თეოლოგიური ტენდენცია, რომელიც ბერძნულისა და ქრისტიანულის სინთეზს არღვევს. ავგუსტინესეული და აქვინელისეული ინტელექტუალიზმის საწინააღმდეგოდ დუნს შკოტთან იწყება ვოლუნტარისტული პოზიციები, რომლებიც საბოლოოდ იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ჩვენ ღმერთისგან ვიცით მხოლოდ მისი *Voluntas ordinata*. ამის გარეთ არსებობს ღმერთის თავისუფლება, რომლის მიღმა მას შეუძლია გააკეთოს იმის საწინააღმდეგო, რაც აქამდე შეეძლო გაეკეთებინა და უკვე გაუკეთებია. აქ იკვეთება ის პოზიცია, რომელიც ჰაზმის პოზიციას და თვითნება ღმერთის სურათს უახლოვდება, რაც ჭეშმარიტებასა და სიკეთესთან არაა დაკავშირებული. ღმერთის ტრანსცენდენცია და განსხვავებულობა ისე იქნა აღმატებული, რომ ჩვენი გონება, ჩვენი გრძნობები ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის აღარ წარმოადგენს ღმერთის ნამდვილ სარკეს, მისი უსაზღვრო შესაძლებლობების უკან ჩვენთვის სამუდამოდ იმალება მისი გადანყვეტილებები. ამის საპირისპიროდ კი, საეკლესიო რწმენა მუდამ აღიარებდა, რომ ღმერთსა და ჩვენს შორის, მის მარადიულ შემოქმედ სულსა და ჩვენს შექმნილ გონებას შორის, ნამდვილი ანალოგია არსებობს, რომელშიც მართალია – როგორც ამას ლატერანის მეოთხე

⁸ მაცყოფანის ირგვლივ არსებული დისკუსიის შესახებ იხ., ჩემი ნიგნი „შესავალი ქრისტიანობაში“ (ვაჟა ვარდიძის თარგმანი, თბილისი 2010, 135-142). ვფიქრობ, რომ იქ წარმოჩენილი ტექსტი კიდევ მრავალი დისკუსიის მიუხედავად, მაინც საგნობრივია.

⁹ შეად., A. Schenker, *L'écriture sainte subsiste en plusieurs formes canoniques simultanées*, in: *L'interpretazione della Bibbia nella Chiesa. Atti del Simposio promosso dalla Congregazione per la Dottrina della Fede. Città del Vaticano 2001 S. 178 – 186.*

კრება 1215 წელს ამბობს – არამსგავსება უსასრულოდ დიდია, ვიდრე მსგავსება, თუმცა, ასევე, ანალოგია და მისი ენა გამჭრალი არაა. ღმერთი არ იქნება მეტად ღვთიური, რაც მეტად მას წმინდა და ბუნდოვან ვოლუნტარიზმში მოვაქცევთ, არამედ ნამდვილი ღვთიური ღმერთი არის ის ღმერთი, რომელიც როგორც ლოგოსი გვეცხადება და სიყვარულით ჩვენთვის მოქმედებს. ნამდვილად, სიყვარული, როგორც ამას პავლე ამბობს, აღემატება შემეცნებას და ძალუძს მეტის აღქმა, ვიდრე წმინდად აზროვნებას (შდრ. ეფ.3,19), მაგრამ იგი მაინც რჩება ღმერთი-ლოგოსის სიყვარულად, ამიტომაც, კიდევ ერთხელ ისევ პავლეს რომ მოვუხმოთ, λογική λατρεία – ქრისტიანული ღვთისმსახურება თანხმობაშია ღმერთის მარადიულ სიტყვასა და ჩვენს გონებასთან (შეად. რომ. 12,1).¹⁰

ეს მინიშნებული ურთიერთკავშირი, რომელიც ბიბლიურ რწმენასა და ბერძნულ ფილოსოფიურ ძიებას შორის ხორციელდება, არა მხოლოდ რელიგიის ისტორიული, არამედ საკაცობრიო თვასაზრისითაც არის მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ჩვენ დღესაც გვეხება. როდესაც ეს შეხვედრა ხილულია, აღარაა გასაკვირი, რომ ქრისტიანობამ, მიუხედავად მისი წარმომავლობისა და აღმოსავლეთში განვრცობისა, თავისი საბოლოო ისტორიულად გადამწყვეტი სახე ევროპაში ნახა. შეგვიძლია საპირისპიროდაც ვთქვათ: ამ შეხვედრამ, რომელსაც რომაული მემკვიდრეობა დაემატა, შექმნა ევროპა და რჩება იმის საფუძვლად, რასაც სამართლიანად ევროპა შეგვიძლია ვუნოდოთ.

ის თეზა, რომ კრიტიკულად გასუფთავებული ბერძნული მემკვიდრეობა ქრისტიანულ რწმენას ეკუთვნის, ქრისტიანობის დეელენიზაციის მოთხოვნის საპირისპიროდ დგას, რომელმაც ახალი დროიდან მოყოლებული მზარდად დაიპყრო თეოლოგიური დისკურსი. უკეთ თუ შევხედავთ, დავინახავთ დეელენიზაციის პროგრამის სამ ტალღას, რომლებიც, მართალია, ერთმანეთთან დაკავშირებულია, თუმცა თავიანთ დასაბუთებასა და მიზნებში ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულია.¹¹

დეელენიზაცია თავდაპირველად ჩანს მე-16 საუკუნის რეფორმაციის მოთხოვნებთან კავშირში. სასკოლო თეოლოგიური ტრადიციის ფონზე რეფორმატორები თავს მოიაზრებდნენ რწმენის მთლიანად ფილოსოფიით განსაზღვრული სისტემატიზების საპირისპიროდ, ასე რომ ვთქვათ, რწმენის, არა მისგან მომდინარე უცხო აზროვნებით განსაზღვრის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში რწმენა წარმოჩინდება არა ისტორიულ ცოცხალ სიტყვად, არამედ ფილოსოფიურ სისტემაში დამკვიდრებულად. *Sola Scriptura* კი ამის საპირისპიროდ ეძებს რწმენის პირველად სუფთა სახეს, ისე, როგორც ეს თავდაპირველად ბიბლიურ სიტყვაშია. მეტაფიზიკა ვლინდება იმ წინარე მოცემულობად, რომლისგანაც უნდა მოხდეს გათავისფულება, რათა რწმენამ ისევ თავისთვის შეძლოს ყოფნა. რეფორმატორებისთვის წარმოუდგენელი რადიკალობით კანტმა განსაზღვრა პროგრამა, რომლის თანახმადაც, გონება

¹⁰ დაწვრილებით ამის შესახებ ვნერ ჩემს წიგნში: „Der Geist der Liturgie. Eine Einführung.“ Freiburg 2000 S. 38 – 42.

¹¹ მრავალფეროვანი ლიტერატურიდან დეელენიზაციის ირგვლივ მსურს გამოვყო: A. Grillmeier, Hellenisierung – Judaisierung des Christentums als Deutepinzipien der Geschichte des kirchlichen Dogmas, in: ders., Mit ihm und in ihm. Christologische Forschungen und Perspektiven. Freiburg 1975 S. 423 – 488.

გვერდზე უნდა გაინიოს, რათა ადგილი რწმენას დაუთმოს. მან რწმენა მთლიანად პრაქტიკული გონების ჩარჩოში მოაქცია და მას მთლიანი რეალობისადმი წვდომის უნარი ჩამოართვა.

მე-19 და მე-20 საუკუნის ლიბერალურმა თეოლოგიამ დეელინიზაციის პროგრამის მეორე ტალღა მოიტანა, რომლის გამორჩეული წარმომადგენელი რუდოლფ შარნაკია. როდესაც მე ვსწავლობდი, ისევე როგორც ჩემი აკადემიური საქმიანობის ადრეულ წლებში, ამ პროგრამამ კათოლიკური თეოლოგიის ყურადღებაც მიიპყრო. ამის ამოსავალი წერტილი პასკალის მიერ გაკეთებული სხვაობა იყო ფილოსოფოსთა ღმერთსა და აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთს შორის. 1959 წლის ჩემ საინაგურაციო ბონის ლექციაზე ეს საკითხი განვიხილე¹² და ახლა არ მსურს მისი აქ მოტანა. თუმცა ძალიან მოკლედ მაინც შევეცდები დეელინიზაციის პირველი ტალღის მეორე ტალღასთან შედარებით განსხვავების წარმოჩენას. შარნაკის მთავარი აზრია უბრალო ადამიან იესოს პიროვნებასთან და მის უწყებასთან დაბრუნება, რომელიც ყველანაირი სახის თეოლოგიზებასა და აგრეთვე, ელენიზირებას წინ უსწრებს: იესოს მარტივი უწყება კაცობრიობის რელიგიური განვითარების უმაღლეს წერტილია. იგი გამოემშვიდობა კულტს მორალის სასარგებლოდ. საბოლოოდ, იგი ადამიანისადმი კეთილგანწყობილი მორალური უწყების მამაა. აქ შარნაკისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანობა თანამედროვე გონებასთან სრულ თანხმობაში წარმოაჩინოს და ეს იმით განახორციელოს, რომ რწმენა ქრისტეს ღვთიურობისა და ღმერთის სამპიროვნულობისადმი გამოათავისუფლოს ყალბი ფილოსოფიური და თეოლოგიური ელემენტებისაგან. ამდენად, ახალი აღთქმის ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი, როგორც ამას იგი ხედავდა, თეოლოგიას მოაქცევს კვლავ უნივერსიტეტის ახალ სამყაროში: თეოლოგია შარნაკისათვის არსობრივად ისტორიული და შესაბამისად, მკაცრად მეცნიერული დისციპლინა. რასაც ის კრიტიკულად იესოს შესახებ წარმოაჩენს, არის, ასე რომ ვთქვათ, პრაქტიკული გონების გამოხატულება და უნივერსიტეტის მთლიანობისთვის მისაღები. ამას ფონად უდევს გონების ახალდროისეული თვითშეზღუდვა, როგორც ეს კანტის კლასიკურ გამოხატულებაშია, ამასობაში კი ეს საბუნებისმეტყველო აზროვნების მიერ კიდევ უფრო რადიკალიზებულ იქნა. მოკლედ რომ ვთქვათ, გონების ეს მოდერნული გაგება ეხება ტექნოლოგიური წარმატებით დამონმებულ (კარტეზიანისეულ) პლატონიზმისა და ემპირიზმის სინთეზს. ერთი მხრივ, მატერიის მათემატიკური სტრუქტურა, თავისი შინაგანი რაციონალური წანამძღვრებით, გაგებული და გამოყენებული უნდა იქნეს თავისი ქმედების ფორმით: ეს ფუნდამენტური წინაპირობა, ასე რომ ვთქვათ, საბუნებისმეტყველო აზროვნებაში პლატონური ელემენტია. მეორე მხრივ, საუბარია ჩვენი მიზნებისათვის ბუნების ფუნქციონალიზებაზე, სადაც ექსპერიმენტული დამონმებისა თუ უარყოფის შესაძლებლობება მკაფიო სიცხადეს იძლევა. ისეთი პოზიტივისტური მოაზროვნე, როგორიც ჯეიმს მონოა, პლატონისტად ჩაითვალა.

¹² ახლად გამოცემული და კომენტირებული: Heino Sonnemans (Hrsg.): Joseph Ratzinger – Benedikt XVI., *Der Gott des Glaubens und der Gott der Philosophen. Ein Beitrag zum Problem der theologia naturalis.* Johannes-Verlag Leutesdorf, 2. ergänzte Auflage 2005.

ჩვენი საკითხისათვის აქ ორი მნიშვნელოვანი ორიენტირია. მხოლოდ მათემატიკისა და ემპირიულობის ურთიერთკავშირით მოტანილი სიცხადის ეს ფორმა მეცნიერულობაზე საუბრის უფლებას იძლევა. რაც მეცნიერებას სურს იყოს, უნდა დაექვემდებაროს ამ მასშტაბს. ასე ცდილობდნენ მეცნიერების კანონს დაახლოვებოდნენ ადამიანის საკითხებთან დაკავშირებული მეცნიერებები, როგორც ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ფილოსოფიაა. მაგრამ ჩვენი ანალიზისათვის, აგრეთვე, აქ მნიშვნელოვანია მეორე საკითხი, რომ ამ დროს გამოყენებული მეთოდი, როგორც ასეთი, გამორიცხავს კითხვას ღმერთის შესახებ და მას როგორც არამეცნიერულს ან წინარემეცნიერულ კითხვად მიიჩნევს. ამით კი ხდება მეცნიერებისა და გონიერების რადიუსის შემცირება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დაგეს.

შემდგომში ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდები. ამასობაში უნდა დადგინდეს, რომ თეოლოგიის როგორც მეცნიერების, ასეთი განსაზღვრებიდან რჩება მხოლოდ მცირე რამ საცოდავი ფრაგმენტი. მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ მეტი: თუკი ეს მთლიანი მეცნიერებაა, მაშინ მოხდება მთლიანი ადამიანის რედუქცია. ადამიანის არსობრივ კითხვას ჩვენი წარმომავლობისა და საბოლოო ბედის შესახებ, რელიგიისა და ეთიკის კითხვას ადგილი აღარ აქვს მეცნიერებულობისა და გონების ასე გაგებულ სივრცეში და იგი მთლიანად სუბიექტურ წარმოდგენებში უნდა გადალაგდეს. სუბიექტურად უნდა გადაწყდეს, თუ რა არის რელიგიურად მისაღები და სუბიექტური „სინდისი“ იქნება ეთიკურობის საბოლოო ინსტანცია. ასე კი, ეთიკა და რელიგია კარგავენ საზოგადოების მყარობებელ თავიანთ ძალას და აღმოჩნდებიან სრულ თვითნებობაში. ეს მდგომარეობა კი კაცობრიობისათვის საშიშია: ამას ვხედავთ რელიგიისა და გონების საშიშ პათოლოგიებში, რომლებიც აუცილებად იქ იჩენენ თავს, სადაც გონება ისეა დავინროებული, რომ რელიგიისა და ეთიკის კითხვები მას აღარ ეკუთვნის. რაც ევოლუციის, ფსიქოლოგიისა თუ სოციოლოგიის წესთა ეთიკური მცდელობებიდან რჩება, აღარაა საკმარისი.

სანამ საბოლოო დასკვნამდე მივიდოდე, რომლისკენაც ვისწრაფი, დეელინიზების მესამე ტალღას უნდა შევეხო, რომელიც ახლა ვითარდება. მრავალ კულტურათა შეხვედრის ფონზე დღეს თამამად ითქმის, რომ ბერძნულთან სინთეზი, რომელიც ძველ ეკლესიაში განხორციელდა, ქრისტიანულის პირველი ინკულტურაციაა, რომელსაც სხვა კულტურები არ უნდა მიეხდეს. მისი უფლება უნდა იყოს ამ ინკულტურისა და ცივილიზაციის მიღმა დაბრუნება ახალატექმისეულ მარტივ უწყებასთან, რათა მას ახალი ინკულტურაციისათვის დამატებითი სივრცეები გაეხსნას. ეს აზრი არ არის უბრალოდ მცდარი, თუმცა უხეშია და უზუსტო, რადგან ახალი ალთქმა ბერძნულად დაინერა და საკუთარ თავში ბერძნულ სულთან შეხებას ატარებს, რომელიც ძველი ალთქმის წინმსწრებ განვითარებაში მომნიჭდა. მართალია, ძველი ალთქმის განვითარების პროცესში სხვადასხვა ფენა არსებობს, რომლებიც ყველა კულტურას არ ერწყმიან. თუმცა უმთავრესი მომენტი, რომელიც რწმენის გონების ძიებასთან კავშირს ეხება, თვით ამ რწმენას ეკუთვნის და მისი შესაბამისი განვითარებაცაა.

ამით მივადექი დასკვნას. თანამედროვე გონების მიერ ზოგად შტრიხებში მოცემული თვითკრიტიკა არ გამორიცხავს იმის გაგებას, რომ განმანათლებლობის

უკან უნდა დავბრუნდეთ და მოდერნის გამოცდილებას დავემშვიდობოთ. თანამედროვეობის განვითარების სიდიადე დაკნინების გარეშე უნდა იქნეს აღიარებული: ყველა ჩვენგანი მადლიერნი ვართ იმ დიდი შესაძლებლობებისათვის, რომლებიც მოგვეცა. მეცნიერულობის ეთოსი – თქვენო აღმატებულება, თქვენ მიანიშნეთ ამაზე, არის ჭეშმატიტებისადმი მორჩილების ნება და ამდენად, იმ მთავარი განწყობის გამოხატულება, რომელიც ქრისტიანობის უმთავრეს გადაწყვეტილებას ეკუთვნის. არა უკუგდება, არა ნეგატიური კრიტიკა იგულისხმება, არამედ ეს ეხება ჩვენი გონების გაგების გაფართოებასა და გამოყენებას. რამეთუ მრავალი შესაძლებლობის მიუხედავად, არსებობს საშიშროებანიც, რომლებიც ამ შესაძლებლობებს აღემატება და კითხვებსაც აჩენს, თუ როგორ დაიძლევა ისინი. ამას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც რწმენას და გონს ახლებურად დავაკავშირებთ ერთმანეთთან; როდესაც გონების თვითშეზღუდვას გადავლახავთ ექსპერიმენტში ფალსიფიცირების წინაშე და გონებას ახალ სივრცეს გავუხსნით. ამ აზრით, თეოლოგია, არა მხოლოდ როგორც ისტორიული და აკადემიური დისციპლინა, არამედ როგორც ნამდვილი თეოლოგია, როგორც კითხვა რწმენის გონივრულობის შესახებ, მიუკუთვნება უნივერსიტეტს და შემდგომში თავისი დიალოგით, – მეცნიერებებს.

სწორედ ასე შევძლებთ გვქონდეს უნარი კულტურებსა და რელიგიებს შორის ნამდვილი დიალოგისა, რასაც ჩვენ ასე ვსაჭიროებთ. დასავლეთის სამყაროში გაბატონებულია აზრი, რომ მხოლოდ პოზიტივისტური გონი და ფილოსოფიისადმი კუთვნილი ფორმებია უნივერსალური. მაგრამ სამყაროს ღრმად რელიგიური კულტურების მიერ ღვთიურის გამიჯვნა გონების უნივერსალურობიდან დანახულია როგორც შინაგანი სიცხადის დარღვევა. გონება, რომელიც ღვთიურის მიმართ ყრუა და რელიგიებს სუბკულტურულ სივრცეში დევნის, კულტურებთან დიალოგის უუნაროა. აქ, როგორც უკვე შევეცადე მეჩვენებინა, თანამედროვე მეცნიერული გონი თავისი შინაგანი პლატონური ელემენტებით ატარებს კითხვას, რომელიც თავისი თავისა და მისი მეთოდური შესაძლებლობების მიღმა მიანიშნებს. თანამედროვე მეცნიერულმა გონმა მარტივად უნდა აღიაროს მატერიის რაციონალური კულტურა და ჩვენ სულსა და ბუნების მამოძრავებელ რაციონალურ სტრუქტურას შორის არსებული ურთიერთშეჯერება, რომელზეც გადის მისი მეთოდური გზა. მაგრამ კითხვა, თუ რატომ არის ეს ასე, კვლავაც დგას და მეცნიერებათა მიერ გადაცემულ უნდა იქნეს აზროვნების სხვა საფეხურისა და სივრცისთვის – ფილოსოფიისა და თეოლოგიისათვის. ფილოსოფიისათვის და სხვა სახით თეოლოგიისათვის დიდი გამოცდილებისა და კაცობრიობის რელიგიური ტრადიციის, განსაკუთრებით კი ქრისტიანულის, სმენა შემეცნების წყაროა, რომლის უარყოფა ჩვენი პასუხებისა და სმენის დაუშვებელი შევიწროება იქნებოდა. მახსენდება სოკრატეს სიტყვა ფედონისადმი. წინმსწრებ საუბრებში მრავალმა ფილოსოფიურმა აზრმა იჩინა თავი და ახლა სოკრატე ამბობს: გასაგები იქნებოდა, ვინმეს ამდენ სიყალბეზე ბრახის გამო მთელი დარჩენილი ცხოვრება შესჯავრებოდა და ყოფიერებაზე ამდენი საუბრისა შერცხვენოდა. მაგრამ ასეთი ფორმით იგი დაკარგავდა არსებობის ჭეშმარიტებას

და დიდ ზიანს მიიყენებდა.¹³ დასავლეთი დიდი ხანია საკუთარი ფუნდამენტური კითხვებისაგან გაქცევის გამო დგას ამ მუქარის წინაშე და ამიტომ მას შეიძლება დიდი ზიანი მიაღვეს. მეტი გამბედაობა გონიერებისადმი, არა მისი სიდიდის უარყოფა – ესაა პროგრამა, რომლითაც დღეს ბიბლიური რწმენის ერთგული თეოლოგია თანამედროვეობასთან დისკუსიაში შედის. „უგუნურად, ლოგოსის გარეშე მოქმედება ეწინააღმდეგება ღმერთის არსს“, ასე მიმართა მანუელ მეორემ ღმერთის შესახებ საკუთარი ხედვიდან გამომდინარე თავის სპარს პარტნიორს. ლოგოსის სიდიადეში, გონების ამ სივრცეში ვეპატიჟებით ჩვენ პარტნიორებს კულტურათა დიალოგში. მისი მუდამ ხელახლა აღმოჩენა უნივერსიტეტების დიდი ამოცანაა.

¹³ 90 c – d. Vgl. zu diesem Text R. Guardini, Der Tod des Sokrates. Mainz – Paderborn 1987, 218 – 221.

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები

წმინდა საყდრის ნეოპედიაგოგისტური სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში: კაიროდან რეპენსურბამდე

I. შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მრავალი რელიგიური აქტორი არსებობს, თუმცა ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას აქვს სპეციალური (დამკვირვებლის) სტატუსი გაეროში, დიპლომატიური ურთიერთობები მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობასთან და მოქმედებს, როგორც ნორმების დამცველი სუბიექტი. ამავ დროს, უნდა ითქვას, რომ მის მიმართ ძალზე ნაკლებ ყურადღებას იჩენენ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს მეცნიერები. ამგვარად, ჩვენ ვსაუბრობთ რომის კათოლიკე ეკლესიაზე, რომლის მორწმუნეთა რაოდენობაც მთელ მსოფლიოში 1.3 მილიარდს აჭარბებს და რომლის ინსტიტუციურ გამობატულებას და სამართლებრივ პიროვნებას საერთაშორისო პოლიტიკაში წმინდა საყდარი წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიის მიზანია, აჩვენოს, თუ როგორ ინარჩუნებს დღესაც წმინდა საყდარი შუა საუკუნეების ევროპული ქრისტიანობის (კათოლიკობის) მემკვიდრეობას დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში და კიდევ ერთხელ დაადასტუროს რელიგიის მნიშვნელობა გლობალურ პროცესებში. წმინდა საყდრის მაგალითი ნათელყოფს, რომ რელიგიური აქტორები ყოველთვის თამაშობდნენ გარკვეულ როლს საერთაშორისო თანამეგობრობის ტრანსფორმულ მმართველობაში.¹ მეორე მხრივ, ჩვენ შევეცდებით, წარმოვაჩინოთ, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს წმინდა საყდრის დიპლომატიურ სტრატეგიას სეკულარულ სახელმწიფოთა სისტემაზე, ისევე, როგორც გლობალურ საჯარო პოლიტიკაზე.

არ შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო პოლიტიკაში პაპობის საგარეო პოლიტიკა იდეალისტური მიდგომით შემოიფარგლება, როგორცაა, მაგალითად, სამართლიანობის საკითხი, – იგი ჭეშმარიტად რეალისტურიცაა.² განსაკუთრებით ცივი ომის შემდეგ, წმინდა საყდრის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ომისა და მშვიდობის საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ რომის კათოლიკე ეკლესიამ დიდი ხანია, რაც უარი თქვა „ჯვაროსნულ“ იდეოლოგიაზე (ეს კარგად გამოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც პაპმა იოანე პავლე II მკვეთრად დაუპირისპირდა შეერთებული შტატების „ჯვაროსნულ“ რიტორიკას)

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

¹ შეად., Golan G.J., Arceneaux P.C., Soule M., The Catholic Church as a Public Diplomacy Actor: An Analysis of the Pope's Strategic Narrative and International Engagements, The Journal of International Communication, №1(24), 2018.

² Troy J., The Catholic Church: An Underestimated and Necessary Actor in International Affairs, Georgetown Journal of International Affairs, №1(9), 2008, 65.

და მეტად პაციფისტური მიდგომა არჩია (თუმცა ვატიკანი დღემდე უჭერს მხარს „სამართლიანი ომის“ თეორიას).³

იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ წმინდა საყდრის ნეომედიევალისტური სტრატეგია (ან პოლიტიკა) თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, წინამდებარე სტატიაში მივმართავთ შემთხვევათა შესწავლისა (case-study) და შინაარსის ანალიზის (content-analysis) მეთოდებს. კონკრეტული შემთხვევის შესწავლა და ანალიზი დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ თანამედროვე პაპობის საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიური სტრატეგია, მათ შორის, სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის მიმართ. ამ მიზნით, ჩვენ განსახილველად ავირჩიეთ 1994 წლის კაიროს კონფერენცია მოსახლეობისა და განვითარების შესახებ⁴ და 2006 წლის 12 სექტემბერს პაპ ბენედიქტე XVI-ის გამოსვლა რეგენსბურგის უნივერსიტეტში (გერმანია).⁵ აღნიშნული ორი მოვლენიდან ნათლად ჩანს როგორც რომის კათოლიკე ეკლესიის, ისე წმინდა საყდრის მიდგომა მსოფლიო პოლიტიკურ საქმეთა მიმართ.

წინამდებარე სტატიაში განსახილველი საკითხები შესაძლებლობას გვაძლევს, წამოვაცენოთ ვარაუდი და დავამტკიცოთ, რომ მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე წმინდა საყდარი კვლავაც ერთგულად მისდევს თავის შუასაუკუნეობრივ პოლიტიკურ სტრატეგიას, შუამავლური დიპლომატიის ტრადიციას და კვლავაც არის გარკვეულ „ჭეშმარიტებათა“ და ნორმათა მიმწოდებელი გლობალური მასშტაბით. მისი ამგვარი ახალი შუასაუკუნეობრივი (ნეომედიევალისტური) სტრატეგია ხშირად ძალიან წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, თუმცა, მეორე მხრივ, ამ სტრატეგიას გარკვეული გავლენა აქვს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგზე.

II. პაპი, წმინდა საყდარი და საერთაშორისო საზოგადოება

უდავოა ის ფაქტი, რომ პაპი საერთაშორისო ურთიერთობების უნიკალური აქტორია, რომელიც თავის საგარეო პოლიტიკას წმინდა საყდრის საშუალებით ახორციელებს. ამავე დროს, იგი რომის კათოლიკე ეკლესიის სულიერი ლიდერია. ესაა ერთგვარი ინსტიტუციური სტატუსი, რომელიც რომის ეპისკოპოსს გამორჩეულ გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს. „პაპი დიდი საერთაშორისო პრესტიჟის მქონე ფიგურაა... მას აქვს მარწმუნებელი ავტორიტეტი და გავლენა, რომელიც მისი დანიშნულებიდან და კათოლიკე ეკლესიის მორალური წონიდან გამომდინარეობს“⁶. წმინდა მამა, რაც მისდამი მიმართვის ერთ-ერთი ფორმაა, ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული პიროვნებაა მთელ მსოფლიოში. ამიტომ, „როგორც მეთაური ისეთი

³ Barbato M., *The Holy See in Transnational Governance*. Reykjavik, 2011, 20.

⁴ შეად., United Nations, *Report of the International Conference on Population and Development*, Cairo, 5-13 September 1994, New York, 1995.

⁵ Benedict XVI, *Lecture of the Holy Father: Faith, Reason and the University: Memories and Reflections*. Libreria Editrice Vaticana, 2006.

⁶ ბეტენკური ჟ.ა., საუბრები წმინდა საყდრის დიპლომატიაზე, ი. ჯავახიშვილის თარგმანი, თბილისი, 2019, 3-4.

„მსოფლიო ინსტიტუტისა“, როგორცაა კათოლიკე ეკლესია, მტკიცედ ცენტრალიზებული ხელისუფლებით, წმიდა მამა ინფორმაციას იღებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, არა მარტო რელიგიურ საკითხებზე, არამედ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ თემებზეც“⁷.

რომის ეპისკოპოსი – პაპი – აქტიურად მონაწილეობს გლობალური პოლიტიკური საკითხების საჯარო განხილვებში. იგი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს „გლობალური სამოქალაქო საზოგადოების პირველ მოქალაქედ“⁸, რომელიც ტრადიციულ ფასეულობებსა და მორალს იცავს (რაც, როგორც წესი, პოლიტიკური კლასის კონსერვატიული ფრთისთვისაა დამახასიათებელი). მისი „ხელისუფლება არის საყოველთაო მამობა, რაც, უდავოდ, მის სამართლებრივ, მორალურ და რელიგიურ მოთხოვნებს გულისხმობს“⁹. პაპის ირიბი ჩართულობა საერთაშორისო პოლიტიკაში განსაკუთრებით ხორციელდება მისი კონკრეტული მოქმედებებით, განცხადებებითა და ინიციატივებით. საეკლესიო კუთხით თუ შევხედავთ, მე-19 საუკუნიდან რომის კათოლიკე ეკლესიის მოქმედების ძირითადი ხაზები იკვეთება სამოციქულო წერილებში, პაპების ბულებსა და ენციკლიკებში. ენციკლიკა არის სამოციქულო დოკუმენტი, რომლითაც წმინდა მამა მიმართავს, უპირველეს ყოვლისა, ეპისკოპოსებსა და სამღვდლო დასს, მაგრამ, აგრეთვე, მთელ მსოფლიოს. მასში ფორმულირებულია ეკლესიის სოციალური მოძღვრების თემები და კონკრეტული რელიგიური თუ სოციალური საკითხები.

თანამედროვე პაპობას არაერთ გამოწვევასთან უწევს გამკლავება, ამიტომაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საყოველთაო ეკლესიის მმართველობა – წმინდა საყდარი. ფაქტობრივად, საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე პაპი განასახიერებს წმინდა საყდარს. ეს უკანასკნელი „სუვერენული ერთეულია, რომელიც ფორმულირებულია, როგორც ეკლესიის მმართველობის ცენტრალური ორგანო, ... როგორც რომის პონტიფიქსის მსახურება, სამართლებრივი სინამდვილე, რომელიც მიღებულია საერთაშორისო სამართლით“¹⁰ და, ამავე დროს, იგი არის „პეტრესეული მსახურება (პაპის მსახურება), რომელშიც ორმაგი სუვერენიტეტი: როგორც საყოველთაო ეკლესიის მწყემსისა და როგორც ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის მეთაურისა“¹¹.

წმინდა საყდრის სამართლებრივ სტატუსზე ნათლად საუბრობს ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი: „წმინდა საყდარი – ანუ სამოციქულო საყდარი – სარგებლობს სრული საერთაშორისო სუბიექტურობით, როგორც სუვერენული ავტორიტეტი, რომელიც ასრულებს აქტებს, რომლებიც იურიდიულად მას ეკუთვნის. იგი სარგებლობს საგარეო სუვერენიტეტით, საერთაშორისო საზოგადოებაში აღიარებულით, რომელიც ასახავს მას, რაც გამოყენებულია ეკლესიაში და

⁷ იქვე, 4.

⁸ Byrnes T., *The Enduring Power of the Papacy: Pope Francis and International Relations*. Berkley Center for Religion, Peace and World Affairs, November 26, 2019.

⁹ ბეტენკური ჟ.ა., საუბრები წმინდა საყდრის დიპლომატიაზე, ი. ჯავახიშვილის თარგმანი, თბილისი, 2019, 8.

¹⁰ იქვე, 7.

¹¹ იქვე, 7.

აღნიშნება ორგანიზაციული ერთობით და დამოუკიდებლობით¹². ეს ნიშნავს, რომ წმინდა საყდარი ეხმარება რომის კათოლიკე ეკლესიას მისი მისიის შესრულებაში, რისთვისაც საჭირო იურიდიულ საშუალებებს იყენებს. ამ მიზნით, ის „მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ მიუკერძოებელი მსახურების შეთავაზებას და, ამგვარად, საკაცობრიო ოჯახის სიკეთეს ემსახურება. წმინდა საყდრის დიპლომატიური სამსახური არის იარაღი, რომელიც ემსახურება „არა მარტო ეკლესიის თავისუფლებას“ (*libertas ecclesiae*), არამედ პიროვნების ღირსების დაცვას და ხელშეწყობას, ასევე სოციალური წყობილებას, დამყარებულს სამართლიანობის, ჭეშმარიტების, თავისუფლების და სიყვარულის ფასეულობებზე¹³.

წმინდა საყდრის დიპლომატია, რომელიც არის *super partes*,¹⁴ ეფექტურად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს სწრაფი ცვლილებების ეპოქაში. საერთაშორისო გარემო, განსაკუთრებით ვატიკანის II კრების დროიდან, სტრუქტურულად შეიცვალა; მსოფლიო მომსწრე გახდა ისეთი მოვლენებისა თუ პროცესებისა, როგორებიცაა ცივი ომი, დეკოლონიზაცია, აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირება, ბერლინის კედლის დაცემა, საბჭოთა კავშირის დაშლა, ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით, დემოკრატიული პროცესები მსოფლიოს მრავალ რეგიონში, გლობალური ფინანსური კრიზისები, ისლამიზმის აღზევა, აზიის დანინაურება, გლობალიზაცია და სხვ.¹⁵ ამ ეპოქის პაპები თავიანთი პიროვნული თვისებებითა და ქარიზმებით პასუხობდნენ ყოველ ახალ გამოწვევას, რაც, აგრეთვე, ითვალისწინებდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სტრუქტურასა და ისტორიულ გარემოებებს.

III. ნეომედievalიზმი პოლიტიკურ თეორიაში

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა სიღრმისეულ ცვლილებას განიცდის – სისტემურად იცვლება მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია. პოლიტიკის მეცნიერთა ნაწილი ამ ეპოქას ხშირად ადარებს მე-16 და მე-17 საუკუნეების გარდამავალ პერიოდს ფეოდალურიდან თანამედროვე ეპოქამდე.¹⁶ ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავდა, რომ მე-20 საუკუნის დასასრულის მსოფლიო ეკონომიკა გაურკვეველ სისტემას წარმოადგენდა, ვინაიდან ეს იყო „გვიანი მეოცე საუკუნის ტექნოლოგიის, მე-19 საუკუნის თავისუფალი ვაჭრობის და შუა საუკუნეებში მსოფლიო ვაჭრობისთვის დამახასიათებელი გარკვეული შუალედური ცენტრების ხელახლა დაბადების უცნაური კომბინაცია“¹⁷. დღე-

¹² ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, მ. აკაკი ქელიძისა და ი. ჯავახიშვილის თარგმანი, მ. ლაღანიძისა და კ. აკოფაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 444.

¹³ ჯავახიშვილი ი., ბაგაური მ., ეკლესიის სოციალური მოძღვრების სახელმძღვანელო: კათოლიკე ეკლესიის სოციალური აზროვნების კონცეფცია, ევოლუცია და პრინციპები. თბილისი, 2020, 56.

¹⁴ ბეტენკური ჟ.ა., საუბრები წმინდა საყდრის დიპლომატიაზე, ი. ჯავახიშვილის თარგმანი, თბილისი, 2019, 4.

¹⁵ Ferrara P., *Il Mondo di Francesco: Bergoglio e la Politica Internazionale*, Roma, 2016.

¹⁶ Kobrin, S.J., *Back to the Future: Neomedievalism and the Postmodern Digital World Economy*, *Journal of International Affairs*, №51(2), 1998, 361.

¹⁷ Hobsbawm E. J., *Nations and Nationalism Since 1780*, Cambridge, 1990, 174.

ვანდელი გლობალიზებული მსოფლიო ნამდვილად ხასიათდება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ტრანსფორმაციით, რასაც, იმავე დროს, გვიანი შუა საუკუნეთა სისტემის არაერთი მსგავსი მახასიათებელი აქვს.

ზოგიერთი ფილოსოფოსი „ახალ მედიევალიზმს“ უკავშირებს ნიკოლაი ბერდიაევის აზროვნებას, რომელიც საუბრობდა უტოპიურ მსოფლიოზე, ქრისტიანულ იდეალებს რომ ეფუძნებოდა. ამის საპირისპიროდ, ხსენებული ტერმინი აღწერს სოციალურ ცვლილებებს, რომლებიც 21-ე საუკუნეში ხდება მსოფლიო მასშტაბით.

პოლიტიკურ თეორიაში, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით, ტერმინ „ნეომედიევალიზმის“ შემოტანა უკავშირდება ჰედლი ბულს, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში – „*ანარქიული საზოგადოება: წესრიგის შესწავლა მსოფლიო პოლიტიკაში*“, განიხილავდა სახელმწიფო სუვერენიტეტის რღვევას თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში და წერდა: „...სუვერენული სახელმწიფოები შესაძლოა გაქრნენ და ისინი ჩაანაცვლოს არა მსოფლიო მთავრობამ, არამედ თანამედროვე და სეკულარული სახის უნივერსალურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, რომელიც არსებობდა შუა საუკუნეების დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში. ამ სისტემაში არცერთი მმართველი ან სახელმწიფო ყოფილა სუვერენული იმ გაგებით, რომ ის უზენაესი ყოფილიყო მოცემულ ტერიტორიაზე და ქრისტიანული მოსახლეობის მოცემულ სეგმენტზე; თითოეულს ხელისუფლება უნდა გაეზიარებინა ვასალებთან – ქვემოთ, და პაპთან (გერმანიასა და იტალიაში) და წმინდა რომის იმპერატორთან – ზემოთ. დასავლური ქრისტიანული სამყაროს უნივერსალური პოლიტიკური წესრიგი სახელმწიფოთა იმ სისტემის ალტერნატივაა, რომელიც ჯერაც ვერ ახორციელებს უნივერსალურ მმართველობას“¹⁸. მაშასადამე, ბრიტანელი თეორეტიკოსი საუბრობს სისტემაზე, რომელშიც არცერთი აქტორი სარგებლობს სრული სუვერენიტეტით, არამედ თითოეული მათგანი ჩართულია კომპლექსურ ურთიერთქმედებათა ქსელში, სადაც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ინანილებენ ძალაუფლებას.

ტერმინი „ნეომედიევალიზმი“ პოპულარული გახდა კულტურის ფილოსოფიის სფეროშიც იტალიელი ისტორიკოსისა და მწერლის, უმბერტო ეკოს, ნყალობით. აღნიშნულ საკითხზე ეკო საუბრობდა თავის 1986 წლის ესეიში,¹⁹ რომელშიც წერდა, რომ „დასავლეთ სამყაროს ყველა პრობლემა გამოჩნდა შუა საუკუნეებში: თანამედროვე ენები, სავაჭრო ქალაქები, კაპიტალისტური ეკონომიკა (თავისი ბანკებით, ფასიანი ქაღალდებითა და საპროცენტი განაკვეთებით) შუა საუკუნეების აღმოჩენებია. ამავე პერიოდში შეიქმნა თანამედროვე არმია, სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფცია, ასევე, ზეეროვნული ფედერაციის იდეა, [...] დაპირისპირებები მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ერესისა და იდეოლოგიური გადახრის ცნება და სიყვარულის, როგორც გამანადგურებელი „სავალალო ბედნიერების“ თანამედროვე

¹⁸ Bull H., *The Anarchical Society: A Study of Order in World Politics*, 3rd ed., Basingstoke, 2002, 245-246.

¹⁹ Eco U., *Dreaming of the Middle Ages*, in: *Travels in Hyperreality*. Transl. by W. Weaver, NY, 1986, 61-72.

გაგებაც კი²⁰. ამავე დროს, უმბერტო ეკო გვაფრთხილებდა, რომ მსოფლიოს გადამეტებული ოპტიმიზმი არ უნდა ჰქონოდა მომავალი ეპოქის მიმართ, ვინაიდან, შუა საუკუნეების მსგავსად, ისიც შეიძლება ეპიდემიებით, მკვლევლობებით, შეუწყნარებლობითა და სიკვდილით ხასიათდებოდეს.

ნეომედიევალიზმი, აგრეთვე, ეხება საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციას. ჩვენ უკვე ვახსენეთ ბრიტანელი პოლიტიკის მეცნიერი, ჰედლი ბული, რომელიც საუბრობდა საერთაშორისო სისტემის იმ ვერსიაზე, რომელშიც სახელმწიფო თანდათანობით დაკარგავს სუვერენიტეტს და ურთიერთქმედებათა უფრო კომპლექსურ ქსელში აღმოჩნდება. ამავე დროს, სახელმწიფო იძულებული იქნება, რომ ძალაუფლება გაინანაწილოს ზემდგომ სუბიექტებთან (საერთაშორისო სტრუქტურა) და ქვემდგომ აქტორებთანაც (ინსტიტუტები, ინტერეს-ჯგუფები). ამის შედეგად ვითარდება სახელმწიფოთა სისტემა და ქრება სუვერენიტეტის ტრადიციული გაგება. ჰედლი ბულის ნეომედიევალიზმი შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: (1) ქვეყნების ინტეგრაცია ფართო ორგანიზაციულ ერთეულებში, რისი აშკარა მაგალითიცაა ევროკავშირი; (2) ქვეყნების დეზინტეგრაცია, რომლებიც სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან გარე აქტორებზე; (3) ძალადობის გამოყენებაზე სახელმწიფოს მონოპოლიის დასრულება – ჩნდებიან კერძო ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ ძალადობას, როგორებიცაა არასახელმწიფო დაჯგუფებები, კერძო ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (ტერორისტული ჯგუფები) და სხვ.; (4) ზეეროვნული ორგანიზაციების არსებობა და განვითარება – მრავალეროვნული კორპორაციები, გლობალური პოლიტიკური მოძრაობები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესიები, შიდასამთავრობო ორგანიზაციები; (5) მსოფლიო ტექნოლოგიური უნიფიკაცია – გლობალიზაცია, რომელიც ხელს უწყობს, ზოგჯერ კი ხელს უშლის გლობალურ და ადგილობრივ ინტეგრაციას.²¹

IV. წმინდა საყდრის ნეომედიევალისტური სტრატეგია

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში პაპისა და წმინდა საყდრის როლი არაა უგულვებელყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში სხვა უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტორებზეა დამოკიდებული, მიიღებენ თუ არა ისინი პაპს თავიანთ თანასწორად. რაც არ უნდა იყოს, პაპის ტრანსეროვნული ლიდერობა მორალისა და ნორმებისადმი მის ერთგულებაში ვლინდება. სწორედ ესაა წმინდა საყდრის პოლიტიკისა და სტრატეგიის ქვაკუთხედი გლობალური მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, თავის ერთადერთ საფუძველს წმინდა წერილიდან, სამოციქულო ტრადიციიდან და ეკლესიის მაგისტერიუმიდან იღებს.

წმინდა საყდრის ნეომედიევალისტური სტრატეგია ხანგრძლივი პროცესის შედეგია და არაა უბრალოდ პოლიტიკური დღის წესრიგი; უპირველეს ყოვლისა, ესაა

²⁰ Lewicki G., Network Neomedievalism: Welcome to the New Middle Ages! Pulaski Policy Papers, 2010, 2.

²¹ იქვე, 3-4.

საყოველთაო ეკლესიის ხედვა საკუთარ რაობასა და ადგილზე სეკულარულ სამყაროში და, აგრეთვე, – ესაა მისი სწავლების ნაწილი საერთაშორისო საზოგადოებისა და მისი წევრების შესახებ. ამ მხრივ, შეიძლება გამოიყოს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის შუასაუკუნეობრივ ხედვას წმინდა საყდრის მხრიდან. პირველი, როდესაც საქმე ეხება ამ უნიკალური აქტორის „თვითმიჯის“ აღქმას, ესაა პაპის უცდომელობის დოგმა, რომელიც შედარებით ძველ პერიოდს განეკუთვნება და წარმოადგენს პასუხს გარე სამყაროს მიმართ; და მეორე, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემასთან დაკავშირებით, ესაა პაპობის მტკიცება მსოფლიო საჯარო ხელისუფლების დამყარების საჭიროებაზე. ცხადია, რომ წმინდა საყდრის სტრატეგიის ამ ელემენტებს საერთო არაფერი აქვს შუა საუკუნეების კათოლიკურ უნივერსალიზმთან, არამედ სახელმწიფოთა (საერთაშორისო) სისტემის მისეული ხედვა და ამ სისტემაში რომის კათოლიკე ეკლესიის, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის, ადგილის გააზრებაა.

1. პაპის უცდომელობის დოგმა

პაპის უცდომელობის დოგმა, რომელიც მიღებული იქნა ვატიკანის I კრებაზე 1870 წელს, შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ იდეოლოგიურ ფორმულაციად, რომლის მიზანსაც საკუთარი ავტონომიის დაცვა წარმოადგენდა. ხსენებული დოგმა დამტკიცებულია პაპ პიუს IX-ის მიერ დოგმატურ კონსტიტუციაში *Pastor Aeternus* („მარადიული მწყემსი“) ქრისტეს ეკლესიის შესახებ, რომელშიც მისი ზუსტი ფორმულირება შემდეგნაირად ჟღერს: „რომის პონტიფიქსის უცდომელი სამოძღვრო ავტორიტეტი“.²² იმავე დროს, ეს იყო ლიბერალიზმთან კათოლიკე ეკლესიის ბრძოლის გაგრძელება, რაც უკვე ათწლეულები გრძელდებოდა; ჯერ კიდევ 1864 წელს პაპმა პიუს IX-მ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი *ცდომილებათა სილაბუსი (Syllabus Errorum)*,²³ რომელშიც მკაცრად გამოხატა ლიბერალურ იდეოლოგიას. საკუთარ შეზღუდულ სტრუქტურულ ავტონომიაში პაპები ხელახლა აყალიბებდნენ კათოლიკურ იდეოლოგიას, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური საკითხები წმინდად რელიგიურ და მორალურ საკითხებს დაუქვემდებარეს.²⁴ ამასთანავე, ეს იყო ახალი იდეოლოგიური დაპირისპირება ლიბერალიზმთან.

ვატიკანის I კრების ზემოთ აღნიშნული დოგმატური კონსტიტუცია, რომელიც ძალზე წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ადგენდა იმ პირობებს, რომლებშიც პაპს შეეძლო, ესაუბრა უცდომლად, მთავარი განაცხადი კი ასე ჟღერდა: „ქრისტიანული სარწმუნოების დასაბამიდან მიღებული ტრადიციისადმი, ჩვენი მაცხოვარი ღმერთის დიდებისადმი ერთგულებით, კათოლიკური რელიგიის განდიდებისა და ქრისტიანი ერის ხსნისათვის, წმიდა კრების დადგენილებით, ჩვენ ვასწავლით და ვადგენთ, როგორც ღვთიურად გაცხადებულ დოგმას, რომ როდესაც რომის პონ-

²² Concilio Vaticano I, Costituzione Dogmatica Pastor Aeternus. Libreria Editrice Vaticana, 1870.

²³ Pius IX, The Syllabus of Errors. Papal Encyclicals Online, 1864, 77-80.

²⁴ Burns G., The Politics of Ideology: The Papal Struggle with Liberalism, American Journal of Sociology, №95(5), 1990, 1123.

ტიფექსი საუბრობს EX CATHEDRA, ანუ, როდესაც, თავისი მსახურების გამოყენებით, როგორც ყველა ქრისტიანის მწყემსი და მოძღვარი, თავისი უმაღლესი სამოციქულო ავტორიტეტის ძალით, იგი ადგენს სარწმუნოებასთან ან მორალთან დაკავშირებულ მოძღვრებას, რომელიც მთელმა ეკლესიამ უნდა მიიღოს, იგი ფლობს, ნეტარსენებულ პეტრეში მისთვის აღთქმული ღვთიური შემწეობით, იმ უცდომელობას, რომლითაც, ღვთიურმა გამომსყიდველმა იწება, რომ მის ეკლესიას ესარგებლა სარწმუნოებასთან ან მორალთან დაკავშირებული მოძღვრების დადგენისას. ამრიგად, რომის პონტიფექსის ასეთი განსაზღვრებები თავისთავად, და არა ეკლესიასთან შეთანხმებით, უცვლელია“.²⁵ მაშასადამე, რწმენისა და მორალის საკითხებზე პაპი ისაუბრებდა EX CATHEDRA („თავისი საყდრიდან“), რისი წინაპირობაც ის იყო, რომ რომის პონტიფექსი მოითხოვდა უპირობო თანხმობას მთლიანი ეკლესიისგან.

იტალიური რევოლუციის, *Risorgimento*-ს, შემდეგ, როდესაც გარიბალდის არმიამ ქალაქი რომი აიღო, ხოლო ფრანგები პრუსიელებთან ომით იყვნენ დაკავებული, რომის პონტიფექსმა დაკარგა თავისი „პაპის სახელმწიფოები“ და „ვატიკანის ტყვედ“ იქცა. ამგვარი დამცირების გარკვეულ კომპენსაცია პაპის უცდომელობის მისტიკურ-სულიერი პრესტიჟი იყო. მართალია, შემდგომი პაპები გარკვეულ დამობებზე წავიდნენ სეკულარულ სამყაროსთან – პაპმა ლეონ XIII-მ ხელი მიჰყო სოციალურ სწავლებას, ხოლო პიუს XI-მ მოლაპარაკება დაიწყო იტალიასთან 1929 წლის კონკორდატზე, რის შედეგადაც აღიარებულ იქნა ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანი და წმინდა საყდარი – პაპის უცდომელობის დოგმას ხელახლა ამტკიცებდა ვატიკანის II კრება.

დოგმატური კონსტიტუცია *Lumen Gentium* („ხალხთა ნათელი“) ეკლესიის შესახებ აცხადებს: „წმიდა კრება ხელახლა წარუდგენს ყველა მორწმუნეს ამ მოძღვრებას, რათა მისი მტკიცედ სწამდეთ. მოძღვრება ეხება რომის პონტიფექსის წმიდა პირველობას (*Primatus*), მის აგებულებას (*instituzione*), უწყვეტობას, ძლიერებასა და შინაარსს, აგრეთვე მის უცთომელ მოძღვრობას, რათა მისი მტკიცედ სწამდეთ. კრება ამ წამოწეებას განაგრძობს და ადგენს, რომ ყველას წინაშე განცხადდეს და განიმარტოს ეპისკოპოსთა – მოციქულთა მემკვიდრეთა შესახებ მოძღვრება, რომელნიც პეტრეს მემკვიდრეს – ქრისტეს ნაცვალსა (*Vicario*) და მთელი ეკლესიის ხილულ თავთან ერთად, ცხოველი ღმრთის სახლს მართავენ“.²⁶ მართალია, კრება იმეორებდა პაპის უცდომელობის დოგმას, მაგრამ ამტკიცებდა ეპისკოპოსთა, როგორც სამოციქულო კოლეგიის, როლს და მათ თანამოზიარეობას სულიწმიდის მიერ უცდომელობის ნიჭში.

2. მსოფლიო ხელისუფლების დამყარება

საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში წმინდა საყდარი მხარს არ უჭერს ძალთა ბალანსის სისტემას, რომელშიც სრული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოები

²⁵ Concilio Vaticano I, *Costituzione Dogmatica Pastor Aeternus*. Libreria Editrice Vaticana, 1870, 9.

²⁶ ვატიკანის II კრება, დოგმატური კონსტიტუცია *Lumen Gentium* ეკლესიის შესახებ, თბილისი, 2006, 18.

ურთიერთქმედებენ. მეტადრე, თანამედროვე პაპობისთვის მისაღებია სახელმწიფო-თა შორის თანამშრომლობა გლობალური მასშტაბით, რომლის საბოლოო მიზანაც საყოველთაო საერთო სიკეთის მიღწევაა, რომელიც „მთელი საკაცობრიო ოჯახის საერთო სიკეთეა“.²⁷ ვინაიდან „...ეროვნული სუვერენიტეტი არ არის სრული. ერებს თავისუფლად შეუძლიათ უარყონ ზოგიერთი თავისი უფლების გამოყენება საერთო მიზნის ხედვით, იმ შეგნებით, რომ ისინი ქმნიან „ერების ოჯახს“...“.²⁸ კათოლიკე ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი ხელახლა ამტკიცებდა იოანე XXIII-ის, პავლე VI-ის, ვატიკანის II კრების, იოანე პავლე II-ის სწავლებებს და მოუწოდებდა, დამყარებულიყო საყოველთაო საჯარო ხელისუფლება, რომელსაც ექნებოდა საკმარისი ძალაუფლება საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. ეს არ უნდა ყოფილიყო გარკვეული სახის „გლობალური ზესახელმწიფო“,²⁹ არამედ „პოლიტიკური ხელისუფლება, გამოყენებული საერთაშორისო საზოგადოების დონეზე“, რომელიც „უნდა რეგულირდებოდეს სამართლით, განსაზღვრულით საერთო სიკეთისათვის და პატივისცემით აღსავსე სუბსიდიარობის პრინციპისადმი“.³⁰ ამ პრინციპის ერთგული დარჩა პაპი ბენედიქტე XVI-ც.

პაპობამ მსოფლიო პოლიტიკური ხელისუფლების დამყარების საჭიროებაზე აქტიური საუბარი დაიწყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, პაპ იოანე XXIII-ის პონტიფიკატის დროს (1958-1963 წწ.). ამ უკანასკნელმა 1963 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ენციკლიკა *Pacem in Terris* („მშვიდობა დედამიწაზე“), რომელშიც აცხადებდა, რომ „დღეს საყოველთაო საერთო სიკეთე წარმოგვიდგენს პრობლემებს, რომლებიც მსოფლიო მასშტაბისაა თავიანთი განზომილებებით; ამიტომაც, ეს პრობლემები ვერ გადაწყდება იმ საჯარო ხელისუფლების გარეშე, რომელსაც ამ პრობლემათა მასშტაბის შესაფერისი ძალაუფლება, ორგანიზაცია და საშუალება აქვს... შედეგად, თავად მორალური ნყობილება მოითხოვს საჯარო ხელისუფლების გარკვეული, ამგვარი საზოგადო ფორმის დამყარებას“³¹ და იქვე დასძენდა, რომ „ინდივიდუალურ სახელმწიფოთა საერთო სიკეთე არის რაღაც, რაც ვერ იქნება განსაზღვრული პიროვნების გაუთვალისწინებლად, და იგივე ითქმის ერთად აღებული ყველა სახელმწიფოს საერთო სიკეთეზე. აქედან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოების საჯარო ხელისუფლების განსაკუთრებული მიზანი მსგავსადვე უნდა იყოს პიროვნების უფლებათა აღიარება, პატივისცემა, დაცვა და ხელშეწყობა“³².

მსოფლიო საჯარო ხელისუფლებასა და ცალკეულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა წარმართვისთვის პაპი იოანე XXIII ხაზს უსვამდა სუბსიდიარობის პრინციპის მნიშვნელობას და წერდა, რომ „...სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც წარმართავს ურთიერთობებს საჯარო ხელისუფლებებსა და ინდივიდებს, ოჯახებსა

²⁷ ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, მ. აკაკი ქელიძისა და ი. ჯავახიშვილის თარგმანი, მ. ლალანიძისა და კ. აკოფაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 432.

²⁸ იქვე, 435.

²⁹ იქვე, 441.

³⁰ იქვე, 441.

³¹ John XXIII, Encyclical Letter *Pacem in Terris*, Libreria Editrice Vaticana, 1963, 137.

³² იქვე, 139.

და შუალედურ საზოგადოებებს შორის ცალკეულ სახელმწიფოში, აგრეთვე უნდა მიესადაგებოდეს ურთიერთობებს მსოფლიო საზოგადოების საჯარო ხელისუფლებას და ყოველი პოლიტიკური საზოგადოების საჯარო ხელისუფლებებს შორის“³³ ხოლო მსოფლიო საჯარო ხელისუფლების ფუნქციაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ მან უნდა „შეაფასოს და გადაწყვიტოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს საყოველთაო საერთო სიკეთეზე“.³⁴ დაბოლოს, წმინდა მამა განმარტავდა, რომ „საყოველთაო ხელისუფლების მოვალეობის ნაწილი არაა, ცალკეულ სახელმწიფოთა საჯარო ხელისუფლების სამოქმედო სფეროს შეზღუდვა, ან მათი რომელიმე ფუნქციის ხელყოფა. პირიქით, მისი ძირითადი მიზანია, შექმნას მსოფლიო პირობები, რომლებშიც თითოეული ერის საჯარო ხელისუფლებებს, მის მოქალაქეებსა და შუალედურ ჯგუფებს, შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ამოცანები, მოვალეობები და უფრო დიდი უსაფრთხოებით მოითხოვონ საკუთარი უფლებები“³⁵.

მსოფლიო საჯარო ხელისუფლების დამყარებას ვატიკანის II კრება (1962-1965 წწ.) ომის შეწყვეტის საკითხს უკავშირებდა. ამ თვალსაზრისით, ვკითხულობთ, რომ „...უნდა მთელი ძალით ვეცადოთ, მოვამზადოთ ის დრო, როცა ერთა თანხმობით, შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ომის სრულად შეწყვეტა. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს ერთგვარი საერთაშორისო საჯარო ხელისუფლების დამყარებას, რომელიც ყველას მიერ იქნება აღიარებული. მას უნდა ჰქონდეს ქმედითი ძალა, რომელიც ყველასათვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, სამართლიანობის შენარჩუნებასა და უფლებათა პატივისცემას“.³⁶ კრების კიდევ ერთი თანამედროვე პაპი, პავლე VI, საუბრობდა ერებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რაც მოითხოვდა „დანესებულებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ, კოორდინაციას გაუწევენ და წარმართავენ მას, ვიდრე მტკიცედ დამყარდება და სრულად დამტკიცდება ახალი იურიდიული წყობილება“³⁷. გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას, როდესაც ხალხთა დაძმობილების თემაზე საუბრობდა, პავლე VI რიტორიკულად კითხულობდა: „ვინ ვერ ხედავს საჭიროებას, რომ ასე, პროგრესულად, დამყარდეს მსოფლიო ხელისუფლება, რომელიც ეფექტურად იმოქმედებს იურიდიულ და პოლიტიკურ დონეზე?“³⁸ ამ კუთხით, უნდა ითქვას, რომ წმინდა მამის საზრუნავი იყო განსაკუთრებით მშვიდობისა და ხალხთა განვითარების თემა.

მსგავსი პათოსით იყო განწყობილი პაპი იოანე პავლე II-ც, რომელიც კითხულობდა, „ნუთუ არაა დრო, რომ ყველამ ერთად იმუშაოს საკაცობრიო ოჯახის ახალი საკონსტიტუციო ორგანიზაციისათვის, რომელიც ნამდვილად შეძლებს ხალხებს შორის მშვიდობისა და ჰარმონიის უზრუნველყოფას, ასევე, მათ ინტეგრალურ გან-

³³ იქვე, 140.

³⁴ იქვე, 140.

³⁵ იქვე, 141.

³⁶ ვატიკანის II კრება, სამოძღვრო კონსტიტუცია თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ *Gaudium et Spes*, თბილისი, 2006, 82.

³⁷ Paul VI, Encyclical Letter *Populorum Progressio*, Libreria Editrice Varicana, 1968, 78.

³⁸ Paolo VI, *Discorso del Santo Padre alle Nazioni Unite*, Libreria Editrice Vaticana, 1965, 3.

ვითარებას?“.39 ამ საკითხთან დაკავშირებით, წმინდა მამა იქვე აკეთებდა დაზუსტებას: „ეს არ ნიშნავს გლობალური ზესახელმწიფოს კონსტიტუციის დაწერას. მეტადრე, ეს ნიშნავს უკვე არსებული პროცესების გაგრძელებასა და გაღრმავებას იმისათვის, რომ უპასუხონ პოლიტიკური ხელისუფლების, მათ შორის საერთაშორისო პოლიტიკური ხელისუფლების, გამოყენების მონაწილეობითი გზების და საჯარო ცხოვრების ყველა დონეზე გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულების თითქმის საყოველთაო მოთხოვნილებას“.40 ეს წარმოადგენდა იოანე XXIII-ის აზროვნების ხაზის გაგრძელებას, რომლის მიხედვითაც, საჭირო იყო ადამიანის ღირსების შესაფერისი საერთაშორისო წესრიგის ახალი ფორმები.

პაპ ბენედიქტე XVI-ის ენციკლიკის *Caritas in Veritate* („სიყვარული ჭეშმარიტებით“) ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გზავნილი ნამდვილი მსოფლიო პოლიტიკური ხელისუფლების დამყარების საჭიროებაა. ეს უკანასკნელი უნდა იყოს საშუალება, რომ გადაიხედოს მსოფლიო ეკონომიკა და იმუშაონ ყველა ხალხის საერთო სიკეთისათვის, ნაცვლად იმ ეკონომიკური მოგებისა, რომელსაც ძირითადად ფინანსისტებისა და საერთაშორისო მსხვილი ბიზნესების ინტერესები განსაზღვრავს. ამასთან დაკავშირებით წმინდა მამა წერს, რომ „მსოფლიო ეკონომიკის მართვისთვის, კრიზისით დაზიანებულ ეკონომიკურ სისტემათა გაჯანსაღებისათვის, დროული და სრული განიარაღებისათვის, საკვების მარაგის კრიზისის თავიდან აცილებისთვის, ბუნებრივი გარემოს დაცვისა და მიგრაციის შემცირებისათვის საჭიროა მსოფლიო პოლიტიკური ხელისუფლება“41. პონტიფექსი იქვე დასძენდა ასეთი ხელისუფლების ბუნებას და შესაძლო ფუნქციებს: „ამ ხელისუფლებამ სამართლით უნდა იხელმძღვანელოს, დაიცვას სუბსიდიარობისა და სოლიდარობის პრინციპები, იღვანოს საყოველთაო კეთილდღეობისთვის, სიყვარულითა და ჭეშმარიტებით შთაგონებული საყოველთაო განვითარებისათვის. ამ ხელისუფლებამ საყოველთაო აღიარება უნდა მიიღოს; უნდა ფლობდეს რეალურ უფლებამოსილებას, რათა შეძლოს უსაფრთხოების, სამართლიანობისა და უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა ყოველი ადამიანისათვის“42. ბოლოს კი, აჯამებდა, რომ „ცხადია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი გადანყვეტილებებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებთან შეთანხმებული ზომების შესრულება მხარეთა მიერ“43. პაპის მონოდება საერთაშორისო ხელისუფლებისკენ არ შემოიფარგლებოდა უბრალოდ ეკონომიკური ასპექტით, არამედ პოლიტიკური სფეროს თითქმის ყველა საკითხს მოიცავდა. ბენედიქტე XVI-ის ეს ცნობილი ენციკლიკა მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე რამდენიმე თვით ადრე დაინერა.44

39 John Paul II, Message for the Celebration of the World Day of Peace: *Pacem in Terris: A Permanent Commitment*. Libreria Editrice Vaticana, 2003, 6.

40 იქვე, 6.

41 ბენედიქტე XVI, ენციკლიკა *Caritas in Veritate*. თბილისი, 2011, 67.

42 იქვე, 67.

43 იქვე, 67.

44 აქ ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით, ვახსენოთ პაპ ფრანცისკეს შეხედულებები მსოფლიო პოლიტიკური ხელისუფლების დამყარების შესახებ, ვინაიდან ჩვენი სტატიის განსახილველი პერიოდი 2006 წლით სრულდება (რეგენსბურგის ლექცია).

V. ორი დიდი გამოწვევა: კაირო და რეგენსბურგი

ცივი ომის დასრულების შემდეგ პაპობის წინაშე ახალი ჰორიზონტები გამოჩნდა სამოქმედოდ, თუმცა ახალმა გამოწვევებმა და პრობლემებმაც იჩინა თავი. თუკი ცივი ომის დროს წმინდა საყდარი პოლიტიკურად ცალსახად დასავლური ბლოკის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა თავისი უნიკალური პოზიციით, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ოფიციალური ვატიკანი, რბილად რომ ითქვას, მხარს არ უჭერდა შეერთებული შტატების მიერ წარმოებულ სამხედრო პოლიტიკას. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ პაპი იოანე პავლე II, რომელიც 1991 და 2003 წლებში გამოხატა შეერთებული შტატების თავდასხმას ერაყზე და ცდილობდა, ხელი შეეწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის.⁴⁵ მეორე მხრივ, წმ. პეტრეს მოსაყდრემ დასავლურ სამყაროსთან თითქმის „ჯვაროსნული ომი“ გამართა ეთიკურ საკითხებზე. აქედან გამომდინარე, თუ 1980-იან წლებში იოანე პავლე II-მ თითქმის როკ-ვარსკვლავის შესადარი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში, მომდევნო ათწლეულში მას ზღვარგადასულ კონსერვატორად თვლიდნენ და თანდათან ქრებოდა ჟურნალ-გაზეთების პირველი გვერდებიდან. თავისი წინამორბედის კონსერვატიული სტრატეგია განაგრძო ბენედიქტე XVI-მაც, რომელსაც მისი ასეთი იდეების გამო „ღმერთის როტვეილერს“⁴⁶ უწოდებდნენ (პაპობამდე კი – „ჯავშნიან კარდინალს“⁴⁷).

ამგვარად, ამ თავში, რომელიც უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია ჩვენ სტატიაში, ვისაუბრებთ ორი პაპის – იოანე პავლე II-ის და ბენედიქტე XVI-ის – მსოფლმხედველობათა ზოგიერთ ასპექტზე, რომელთა უკეთ წარმოსაჩენადაც გამოყენებული იქნება შემთხვევათა შესწავლის (case-study) მეთოდი. განვიხილავთ 1994 წელს გაეროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციას და 2006 წლის ცნობილ „რეგენსბურგის სიტყვას“. ამ ორი შემთხვევის განხილვის საფუძველზე შევეცდებით, წარმოვაჩინოთ წმინდა საყდრისა და პაპობის შეხედულებები გლობალური საჯარო პოლიტიკის ზოგიერთ კრიტიკულ ასპექტზე. ხსენებული შეხედულებები, როგორც წესი, მრავალსაუკუნოვანი კათოლიკური მოძღვრების ანთროპოლოგიური, მორალურ-ეთიკური, კულტურული და ნორმატიული თვალსაწიერიდან გამომდინარეობს.

1. კაიროს კონფერენცია და ვატიკანის კონსერვატიზმი

გაეროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, 1994 წლის 5-13 სექტემბერს. ორი კვირის განმავლობაში მსოფლიო ლიდერები, მაღალი თანამდებობის პირები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და გაეროს სააგენტოები მსჯელობდნენ

⁴⁵ Bruni F., Threats and Responses: The Vatican; Pope Voices Opposition, His Strongest, To Iraq War, The New York Times, January 14, 2003.

⁴⁶ Douthat, R., The Better Pope, The New York Times, April 11, 2010.

⁴⁷ Messori V., Ma Quale Panzer Kardinal, È un Mite, Corriere della Sera, 20 Aprile, 2020.

სამოქმედო პროგრამის მიღებაზე. კონფერენციაზე განსახილველი საკითხები ძალზე მრავალფეროვანი იყო, მათ შორის მიგრაცია, მცირეწლოვანთა სიკვდილიანობა, შობადობის კონტროლი, ოჯახის დაგეგმვა, ქალთა განათლება და ა.შ. კონფერენციამ მედიის დიდი ყურადღება მიიპყრო იმ დავის გამო, რომელიც რეპროდუქციულ უფლებებს უკავშირდებოდა. განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩეოდნენ წმინდა საყდარი და მუსლიმური ქვეყნების წარმომადგენლები.

კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტის ენა უფრო მოკრძალებული გახდა წმინდა საყდრის დელეგატების მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის გამო. მოსახლეობის თემატიკაზე წინა ორი კონფერენციის (ბუქარესტსა და მეხიკოში) შემთხვევაში წმინდა საყდარმა წარმატებას მიაღწია რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემის დაბლოკვაში, რომელშიც უსაფრთხო აბორტიც შედიოდა. რაც შეეხება 1994 წლის კონფერენციას, იმდენად დიდი ერთსულოვნება იყო ქვეყნებს შორის *სამოქმედო პროგრამის* მიზნებთან დაკავშირებით, რომ ვატიკანმა ვერ შეძლო საბოლოო გადაწყვეტილების დაბლოკვა.

პაპი იოანე პავლე II ცდილობდა, რომ შეენარჩუნებინა რომის კათოლიკე ეკლესიის, როგორც „გლობალური მწყემსის“ ავტორიტეტი, თუმცა წმინდა საყდარს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ გავლენა მოეხდინა ქვეყნების რეპროდუქციულ პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, მისმა ალიანსმა ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანასთან კრახი განიცადა კაიროში.⁴⁸

კონფერენციამდე რამდენიმე თვით ადრე პაპმა იოანე პავლე II-მ წერილი გაუგზავნა კონფერენციის გენერალურ მდივანს. წერილში წმინდა მამა აცხადებდა, რომ „...ეკლესია ეწინააღმდეგება ოჯახის სიდიდეზე შეზღუდვების დანებს და იმ მეთოდების ხელშეწყობას, რომლებიც ზღუდავს შობადობას... სტერილიზაცია, რომელსაც სულ მეტად უჭერენ მხარს, როგორც ოჯახის დაგეგმვის მეთოდს, მისი ხასიათისა და ადამიანის, განსაკუთრებით ქალების, უფლებების შესაძლო დარღვევის გამო, ამკარად მიუღებელია; ის მეტად სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას... აბორტი, რომელიც სპობს არსებულ ადამიანურ სიცოცხლეს, საძაგელი ბოროტებაა, და ის არასდროს იქნება ოჯახის დაგეგმვის მისაღები მეთოდი...“⁴⁹. კაიროში წმინდა საყდრისთვის მთავარი საბრძოლო თემა მაინც აბორტი იყო. ამ მხრივ, პაპს განსაკუთრებით აშფოთებდა შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მხარს უჭერდა აბორტის ლეგალიზაციას.

აბორტის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში, ფაქტობრივად, იოანე პავლე II პირადად ჩაერთო არა მარტო იმისათვის, რომ შეერყია შეერთებული შტატების პოზიცია, არამედ იმ მიზნითაც, რომ თავიდან აეცილებინა სხვა ქვეყნების მხარდაჭერაც. კონფერენციის მოსამზადებელი სესიების დროს, პაპი თითქმის ყოველდღიურად სატელეფონო კავშირზე იყო წმინდა საყდრის დელეგაციის წევრებთან. 1994 წლის

⁴⁸ McIntosh C.A., Kinkle J., The Cairo Conference on Population and Development: A New Paradigm? *Population and Development Review*, №21(2), 243.

⁴⁹ John Paul II, Letter of His Holiness to the Secretary General of the International Conference on Population and Development, Libreria Editrice Vaticana, 1994, 5.

მარტში მან ვატიკანში მიიწვია წმინდა საყდართან აკრედიტებული ელჩები (დაახლოებით 120 ქვეყნიდან), რომ მათთვის განემარტა ეკლესიის პოზიცია.⁵⁰ მომდევნო თვეში წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა სახელმწიფო მეთაურებს და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გაუგზავნა პირადად პაპის მიერ შედგენილი წერილი. მოგვიანებით, ივნისში, ვატიკანმა ზომიერი მუსლიმური სახელმწიფოს მთავრობებს გაუგზავნა მოხსენების ტექსტი დასკვნითი დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც ხელს აწერდნენ სამი მსოფლიო მუსლიმი ლიდერი და წმინდა საყდრის სამი წარმომადგენელი. ბოლოს კი, აბორტის წინააღმდეგ მუსლიმური მხარდაჭრის მოსაპოვებლად, წმინდა საყდარმა საკუთარი წარმომადგენლები წარგზავნა ირანისა და ლიბიის ფუნდამენტალისტურ მთავრობებთან.

ამგვარად, წმინდა საყდრის ხისტი კონსერვატიული პოზიცია აიხსნებოდა მისი მტკიცებით, რომ „კაცობრიობის მომავალი“⁵¹ საფრთხეში იყო. როდესაც 1994 წლის ივნისში პრეზიდენტი კლინტონი ვატიკანში შეხვდა იოანე პავლე II-ს, მან აღიარა, რომ პაპის შეხედულებებისგან განსხვავდებოდა ადმინისტრაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, აბორტი „უსაფრთხო, ლეგალური და იშვიათი“⁵² უნდა ყოფილიყო. იმავე თვეში მსოფლიოს 139 კარდინალიდან 114-მა მხარი დაუჭირა ნიუ იორკის კარდინალის, ჯონ ო'კონორის, მოთხოვნას, რომ კაიროს კონფერენციას არ უნდა გამოენვია „კულტურული იმპერიალიზმი“,⁵³ რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ერების ოჯახს. კონფერენციის წინა დღეებში ვატიკანი განაგრძობდა თავის „ჯვაროსნულ პოლიტიკას“ აბორტისა და შობადობის კონტროლის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი, რომელიც კაიროში შეერთებული შტატების დელეგაციას უხელმძღვანელებდა, დაამახინჯებდა კონფერენციის გეგმებს აბორტთან დაკავშირებით.

შეიძლება ითქვას, რომ კაიროს კონფერენციამ არ მიიღო პაპ იოანე პავლე II-ის მორალური ძალაუფლება. აბორტი პრიორიტეტული საკითხი იყო წმინდა საყდრისთვის. ამ უკანასკნელმა ყველაფერი გააკეთა, რაც მის ძალებში იყო, რომ დაებლოკა აბორტის საერთაშორისო უფლებად გამოცხადება. ამასთანავე, ტრადიციული კათოლიკური სწავლების მიხედვით, წმინდა საყდარი ეწინააღმდეგებოდა ხელოვნური კონტრაცეპტივების მხარდაჭერას. მართალია, წმინდა საყდრის ეთიკური პოზიცია აბორტზე, კონტრაცეფციასა და ოჯახის ფასეულობებზე გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, თუმცა ის თანაბარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სამივე საკითხს;⁵⁴ უპირველეს ყოვლისა, მისი სტრატეგია ყურადღებას ამახვილებდა აბორტზე, როგორც ოჯახის დაგეგმვის საშუალებაზე. ფაქტობრივად, წმინდა საყდარმა

⁵⁰ Reuters Wire Service, Vatican Summons Envoys Over Population Issues, Vatican City, March 19, 1994.

⁵¹ Cowell A., Vatican Attacks Population Stand Supported by U.S. "The New York Times", August 9, 1994, 1.

⁵² იქვე, 1.

⁵³ იქვე, 1.

⁵⁴ Stummvoll A.A., A Living Tradition: Catholic Social Doctrine and Holy See Diplomacy, Eugene, 2018, 127.

დათქმა გააკეთა თავის უფლებებზე, რომ ეს ორაზროვანი ცნება („ოჯახის დაგეგმვა“) კათოლიკური სწავლების მიხედვით განემარტა.

2. რეგენსბურგის სიტყვა – დიპლომატიური *faux pas*?

2006 წლის 12 სექტემბერს, ბავარიაში თავისი სამოციქულო ვიზიტის ფარგლებში, პაპმა ბენედიქტე XVI-მ ლექცია ჩაატარა რეგენსბურგის უნივერსიტეტში. ლექციის სათაური იყო: „რწმენა, გონება და საუნივერსიტეტო მოგონებები და რეფლექსიები“.⁵⁵ პაპის გამოსვლა ცნობილია, როგორც „რეგენსბურგის სიტყვა“ ან „რეგენსბურგის ლექცია“. თავის გამოსვლაში წმინდა მამამ ძალზე ფუნდამენტური ცნებებით გადმოსცა საკუთარი თეოლოგია რწმენისა და გონების შესახებ. მან ძირითადად ისაუბრა რელიგიის შუალედურ პოზიციაზე, რომელმაც სარწმუნო მიზეზები უნდა მისცეს ადამიანებს სეკულარული რელატივიზმის საპირწონედ. მეორე მხრივ, მისი ხედვით, ამგვარი პოზიცია უნდა ყოფილიყო ძალადობრივი რელიგიის საპირწონეც, რომლის მიზანიც სხვათა იძულებაა საკუთარი ინტერესებისათვის. ბენედიქტე XVI-ის აზრით, რწმენას და გონებას ერთობლივად უნდა ჩამოეყალიბებინა საკონსტიტუციო წესები გლობალური საჯარო სფეროსთვის.

ცნობილია, რომ აღნიშნული გამოსვლა ძალზე წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. თავის სიტყვაში რომის პონტიფექსი ციტირებდა ბიზანტიის იმპერატორ მანუელ II-ს, რომელიც 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამდე რამდენიმე ათწლეულით ადრე, მუსლიმ მეცნიერთან კამათში კითხულობდა, თუ რა მოიტანა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა, გარდა რელიგიური ძალადობისა.⁵⁶ ბევრმა ამგვარი განცხადება დიპლომატიურ *faux pas*-ად (მცდარი ნაბიჯი) ჩათვალა, რომელიც ისლამის წინააღმდეგ სიტყვიერ ჯვაროსნულ ლაშქრობად აღიქმებოდა.

იმავე დროს, ბენედიქტე XVI იცავდა ფუნდამენტურ კათოლიკურ ფასეულობებს დასავლეთის მზარდი სეკულარიზაციის პირისპირ. ეს იყო გაგრძელება ჯერ კიდევ მისი კარდინალობის დროინდელი აზროვნებისა, რომელშიც საუბარი იყო მორალურ რელატივიზმსა და იდეოლოგიურ მიმდინარეობებზე. უნდა ითქვას, რომ წარმოქმულ სიტყვაში პაპის მთავარი სამიზნე დასავლეთი იყო და კერძოდ, ქრისტიანული ეკლესიის ადგილი დასავლურ აზროვნებაში.

2006 წლის სექტემბერშივე იტალიური მედია განსაკუთრებით აქტიურად იყენებდა ტერმინს – „ცივილიზაციათა შეჯახება“ (*conflicto di civiltà*) პაპის ლექციასთან დაკავშირებით, რომელმაც მასობრივი საპროტესტო ტალღა გამოიწვია მუსლიმურ სამყაროში. პონტიფექსი ქრისტიან ღმერთს წარმოადგენდა, როგორც ერთადერთ რაციონალურ ღმერთს, ხოლო ისლამს, როგორც ირაციონალურ რელიგიას. როდესაც გლობალური მასშტაბით მუსლიმურმა საკრებულოებმა პაპისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს, ამ უკანასკნელმა შეხვედრა გამართა წმინდა საყდართან მუსლიმური ქვეყნებიდან აკრედიტებულ ელჩებთან, რათა საკუთარი სიტყვები განემარტა.

⁵⁵ Benedict XVI, *Lecture of the Holy Father: Faith, Reason and the University Memories and Reflections*, Libreria Editrice Vaticana, 2006.

⁵⁶ იქვე, 1.

მოგვიანებით ვატიკანი განმარტავდა, რომ პონტიფექსის მიზანი იყო, უბრალოდ განეხილა ისტორიული და ფილოსოფიური განსხვავებები ისლამსა და ქრისტიანობას შორის და ამავე დროს, ურთიერთობა ძალადობას და რწმენას შორის. ლექციიდან ერთი თვის შემდეგ პაპმა ბენედიქტე XVI-მ ღია წერილი მიიღო 38 მუსლიმი პიროვნებისგან სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც პუნქტობრივად განიხილავდნენ პაპის სატყვავში ისლამის შესახებ გამოხატულ აზრებს. ხელმომწერები დადებითად აფასებდნენ მასობრივი პროტესტის შემდეგ პაპის მხრიდან გაკეთებულ განმარტებებს, ასევე, მის შეხვედრას წმინდა საყდართან აკრედიტებულ ელჩებთან და სახელმწიფო მდივნის, კარდინალ ტარჩისიო ბერტონეს, მიერ გამოცემულ ნოტას, რომელშიც იგი მიუთითებდა კრების დოკუმენტზე *Nostra Aetate* („დეკლარაცია არაქრისტიანული რელიგიების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ“).⁵⁷ იმისათვის, რომ პაპი კიდევ მეტად გამიჯვნოდა ანტიისლამურ ინტერპრეტაციებს, მომდევნო თვეებში ოფიციალური ვიზიტებით ეწვია თურქეთსა და იორდანას.

ბენედიქტე XVI-ის მიერ რეგენსბურგის უნივერსიტეტში წაკითხულმა ლექციამ, რომელსაც ხშირად უწოდებენ *lectio magistralis*-ს, აზრთა სხვადასხვაობა და დიდი მღელვარება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან დიდი ზეგავლენა იქონია საერთაშორისო საჯარო სფეროზეც. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო წმინდა საყდრის, როგორც საერთაშორისო აქტორის, და ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის მეთაურის თვალსაჩინო სულიერი და პოლიტიკური წონა გლობალური მასშტაბით. ესაა შემთხვევა, როდესაც პეტრეს მოსაყდრის მიერ წარმოთქმული სიტყვები ყურადღებას იქცევს საერთაშორისო დღის წესრიგში.

VI. დასკვნა

სტატიაში ჩატარებულ მცირე კვლევაში განხილული საკითხების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება წმინდა საყდრის ნეომედიევალისტური პოლიტიკური სტრატეგია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებულ სტრატეგიას საერთო არაფერი აქვს ტრადიციულ კათოლიკურ უნივერსალიზმთან, არამედ გამომდინარეობს ნორმატიული მიდგომიდან, რომელსაც თანამედროვე პაპობა იყენებს საკუთარი ხედვებისა და ფასეულობების გასავრცელებლად. ამ ყველაფრის საფუძველზე შეგვიძლია რამდენიმე ძირითადი მიგნება დავასახელოთ:

1. წმინდა საყდრისთვის, საკუთარი იდენტობისა და სწავლების გამო, მიუღებელია სრული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოთა სისტემა, რომლის ძირითადი მახასიათებელიც ძალთა ბალანსის პოლიტიკაა. ამის ნაცვლად, რომი მხარს უჭერს „ერთიანი საკაცობრიო ოჯახის“ იდეას, რომელსაც უნდა წარმართავდეს მსოფლიო

⁵⁷ Concilio Vaticano Secondo, Dichiarazione sulle Relazioni della Chiesa con le Religioni non Cristiane Nostra Aetate. Libreria Editrice Vaticana, 1965.

პოლიტიკური ხელისუფლება, ამ უკანასკნელის ძირითადი მიზანი კი საყოველთაო საერთო სიკეთის უზრუნველყოფა უნდა იყოს.

2. წმინდა საყდარი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სრულებით უნიკალური აქტორია; ის არაა პოლიტიკური ან სამხედრო სუბიექტი, არამედ მისი საერთაშორისო დღის წესრიგი ნორმებისა და ფასეულობების ერთიანობას ემყარება. კათოლიკური სოციალური სწავლებიდან გამომდინარე, ვატიკანი ცალსახად მხარს უჭერს მშვიდობას, სამართლიანობას, თანასწორობას, შერიგებას და ა.შ. – იმ ფასეულობებს, რომლებიც მისი საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველს ქმნიან.

3. წმინდა საყდრის საერთაშორისო ურთიერთობების და, ამ შემთხვევაში, მისი ახალი მედიევალისტური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი კათოლიკე ეკლესიის მაგისტერიუმი (ავტორიტეტული სწავლება) და მისი თანმხლები ხედვებია. ამ სწავლებიდან გაჟღერებული იდეები ხშირად საგრძნობ გავლენას ახდენს საერთაშორისო დღის წესრიგზეც, რისი მაგალითებიც იყო კაიროს საერთაშორისო კონფერენცია 1994 წელს და ცნობილი „რეგენსბურგის ლექცია“ 2006 წელს.

4. თანამედროვე პაპების მხრიდან არსებული საერთაშორისო სისტემის კრიტიკა ხშირად გაისმის არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკური, არამედ კულტურული, მორალური და თუნდაც ანთროპოლოგიური მიმართულებითაც. ამგვარმა მიმართულებამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, პაპ იოანე პავლე II-ის დროს, და იგივე ხაზი განაგრძნო ბენედიქტე XVI-მაც. პაპობის ეს „პოლიტიკა“ იწყება მორალურ-ეთიკური მაქსიმებით და მთავრდება დასავლეთის კულტურული რელატივიზმის წინააღმდეგ გალაშქრებით.

5. წმინდა საყდრის უმთავრესი ინსტრუმენტი არის მისი მორალური ხმა გლობალური მასშტაბით. ამ ხმას ზურგს უმაგრებს მისი სრულმასშტაბიანი დიპლომატიური კავშირები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან, ნუნციუსთა წარმომადგენლობა საერთაშორისო დონეზე და, რაც ყველაზე მთავარია, საყოველთაო ეკლესია – კათოლიკური საკრებულოები და კათოლიკე მორწმუნეები მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ენერგეტიკული პოლიტიკა და კლიმატი

ინგლისურიდან თარგმნა მაკა ფარცვანიამ*

სიტყვა წარმოთქმული „ვილისონ ბასინ პეტროლიუმის“ კონფერენციაზე, ბის-მარკში, ჩრდილოეთ დაკოტაში, 2016 წლის 26 მაისს.

განლაგება რედაქტირებულია „ევროპის ენერგეტიკული ჟურნალის“ მიერ. დამატებულ იქნა თეზისებად გამოყოფილი საკითხები და გამოტოვებულ იქნა 37 პარაგრაფი, რომელიც ეხებოდა ბატონი ტრამპის ოპონენტების წარსულ გამოსვლებს, არჩეული პრეზიდენტის სამომავლო ქმედებებზე ყურადღების გამახვილების მიზნით. მართლაც, 2016 წლის 21 ნოემბერს ბატონმა ტრამპმა განაცხადა, რომ „ერთ დღესაც“ ის გააუქმებს „სამუშაო ადგილების მკვლელ“ შეზღუდვებს ამერიკაში წარმოებულ ენერჯიასთან დაკავშირებით – მათ შორის, ფიქალის ენერჯიასა და სუფთა ქვანახშირზე – მრავალი მილიონობით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნით და მიმართავს თავდაცვის დეპარტამენტისა და გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარეს, შეიმუშაონ ყოვლისმომცველი გეგმა ამერიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის კიბერ-შეტევებისგან დასაცავად.

მოხარული ვარ, ვიმყოფებოდე ჩრდილოეთ დაკოტაში, ახალი ენერგეტიკული რეკონსტრუქციის წინახაზზე მყოფ შტატში.

ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულში. ჩვენი ნავთობის იმპორტი განახევრდა.

მაგრამ ეს ყველაფერი განხორციელდა მასობრივად ახალი ბიუროკრატიული და პოლიტიკური ბარიერების მიუხედავად.

პრეზიდენტმა ობამამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რათა ხელი შეეშალა ამერიკული ენერჯიისათვის. მან ცხოვრება უფრო გაურთულა ჩრდილოეთ დაკოტას, რადგან ძვირადღირებული რეგულირება უფრო და უფრო ართულებს მოგების მიღებას.

თუ ჰილარი კლინტონი იქნება ამაზე პასუხისმგებელი, საქმეები კიდევ უფრო გაუარესდება. ის დახურავს ენერჯიის მწარმოებლებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

შედეგად, მილიონობით სამუშაო ადგილი და ტრილიონობით დოლარის სიმდიდრე განადგურდება.

სწორედ ამიტომ არის ნოემბერში ჩვენ მიერ გასაკეთებელი არჩევანი მნიშვნელოვანი.

აი, რას მოგვიტანს ეს.

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი.

სიმდიდრე სიღარიბის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ დაკოტა არის მაგალითი, თუ როგორ ქმნის ენერჯის ძიება საერთო კეთილდღეობას. უკეთეს სკოლებს. მეტი დაფინანსება ინფრასტრუქტურისთვის. უფრო მაღალი ხელფასები. დაბალი უმუშევრობა.

რაც ჩვენ გვაკლია.

ეს არის ამ მნიშვნელოვანი ენერჯეტიკული სიმდიდრესა და ჰილარი კლინტონის მიერ დაპირებული სიღარიბის გაზიარებას შორის არჩევანი.

(4 პარაგრაფი გამოტოვებულია)

ნება მომეცით, გითხრათ, თუ როგორ შეარყია პრეზიდენტმა ობამამ ჩვენი საშუალო ფენა.

პრეზიდენტ ობამას განზრახვაა, აღმოიფხვრას ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოება ამერიკაში.

მისი პოლიტიკა არის რეგულაციების შემცირებით ათასობით შემცირებულის სიკვდილი.

გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ გამოყენებული ტოტალიტარული ტაქტიკა აიძულებს ჩრდილოეთ დაკოტის ენერგოპერატორებს უპრეცედენტო, მრავალი მილიარდი დოლარის ოდენობის ჯარიმების გადახდას, მაშინ, როდესაც ჯარიმა დადასტურებულიც კი არ არის.

მთავრობის არასწორი მოქმედება გრძელდება და გრძელდება:

- იუსტიციის დეპარტამენტმა შეიტანა სარჩელი ჩრდილოეთ დაკოტას შვიდი ნავთობის კომპანიის წინააღმდეგ 28 ფრინველის დალუპვის გამო, მაშინ, როდესაც ადმინისტრაცია ხელს უწყობს, სწრაფად წარიმართოს ქარის პროექტები, რომლებიც წელიწადში 1 მილიონზე მეტ ფრინველს კლავს.
- აშშ-ის თევზისა და ველური ბუნების სამსახური ბოროტად იყენებს „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა აქტს“, რათა შეზღუდოს ნავთობისა და გაზის მოპოვება.
- კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის პრეზიდენტ ობამას ახალი წინადადებები ამერიკაში წარმოებულ ბარელ ნავთობზე 10 დოლარი გადასახადის შესახებ, შუა რეცესიის დროს. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ობამა უუქმებს ეკონომიკურ სანქციებს ირანს, იგი ეკონომიკურ სანქციებს უწესებს ამერიკას. მან უფლება მისცა ამ ქვეყანას, მიეღწია ნავთობის საბურღი დანადგარების ყველაზე დაბალი მაჩვენებლისთვის მოყოლებული 1999 წლიდან, რამაც ათასობით ადამიანი უმუშევარი დატოვა.

ამერიკის დაუფერებელი ენერჯეტიკული პოტენციალი გამოუყენებელი რჩება. ეს არის სრულად თვითდაზიანებით მიყენებული ჭრილობა.

ჩემი პრეზიდენტობის დროს, ჩვენ მივალწევთ ამერიკის სრულ ენერგოდამოუკიდებლობას.

წარმოიდგინეთ სამყარო, რომელშიც ჩვენი მტრები და ნავთობის კარტელები ვეღარ შეძლებენ ენერჯის იარაღად გამოყენებას.

მაგრამ პრეზიდენტმა ობამამ ყველაფერი გააკეთა, რათა ჩვენ სხვებზე დამოკიდებული ვყოფილიყავით. ნება მომეცით. ჩამოვთვალო წარმატებული ენერგო-პროექტები, რომლებიც მან შეაჩერა.

მან უარი თქვა **Keystone XL** მილსადენზე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ:

- ის დაეხმარებოდა **42000**-ზე მეტ სამუშაო ადგილის შექმნას;
- მისმა სახელმწიფო დეპარტამენტმა დაასკვნა, რომ ეს იქნება ყველაზე უსაფრთხო მილსადენი, რომელიც ოდესმე აშენებულა შეერთებულ შტატებში;
- და ეს მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენდა გარემოზე;
- მიუხედავად იმისა, რომ მან უარი თქვა ამ ამერიკა-კანადის მილსადენზე, მან დადო შეთანხმება, რომელიც საშუალებას აძლევს ირანს, უფრო მეტი ნავთობი გადაიტანოს მისივე მილსადენით, რომელსაც შესაძლოა გაეგვლო „ქისტოუნით“, გარემოსდაცვითი ექსპეტიზის გარეშე.

პრეზიდენტმა ობამამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო ქვანახშირის ინდუსტრიის მოსაკლავად. აქ მოცემულია პრეზიდენტ ობამას რამდენიმე ბრძანება:

- რეგულაციები, რომლებმაც დახურეს ასობით ქვანახშირის ელექტროსადგურები და დაბლოკეს ახლის მშენებლობა;
- ქვანახშირის წარმოების აკრძალვა ფედერალურ მიწაზე;
- კლიმატის დრაკონული წესები, რომლებიც თუ არ შეჩერდა, წარმატებით გავა კონგრესში და დაანესებს ემისიებით კვოტებით ვაჭრობას (**cap-and-trade**) სამუშაო ადგილების მოსპობისთვის;

პრეზიდენტი ობამა აგრესიულად ბლოკავს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოებას:

- მან ამოიღო უზარმაზარი პროცენტი ალიასკას ეროვნული ნავთობის რეზერვის გეგმიდან;
- ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოება ფედერალურ მიწებზე შემცირდა **10%**-ით.
- გარე კონტინენტური შელფის **87%**-მდე ხელმისაწვდომ მიწაზე დაწესდა შეზღუდვები.
- აგრეთვე, დაიხურა ატლანტიკური იჯარის გაყიდვები – იმისდა მიუხედავად, რომ ისინი შექმნიდნენ **280 000** სამუშაო ადგილს და **23,5** მილიარდ დოლარს ეკონომიკურ საქმიანობაში.
- პრეზიდენტმა ობამამ შეერთებულ შტატები მიუერთა პარიზის კლიმატის შეთანხმებას ცალმხრივად კონგრესის ნებართვის გარეშე. ეს შეთანხმება აძლევს უცხოელ ბიუროკრატებს უფლებას, გააკონტროლონ, თუ რამდენ ენერგიას მოვიხმართ ჩვენ აქ, ამერიკაში.

პარიზის კლიმატის შეთანხმება აძლევს უცხოელ ბიუროკრატებს უფლებას, გააკონტროლონ, თუ რამდენ ენერგიას მოვიხმართ ჩვენ აქ ამერიკაში.

ამ ქმედებებმა მილიონობით ამერიკელს წაართვა იმ ენერგეტიკულ რესურსზე ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც ჩვენ ფეხქვეშაა.

ეს სიმდიდრე თქვენია, და თქვენ – ამერიკელი ხალხს – გაქვთ უფლება, გაინანილოთ სიმდიდრე.

პრეზიდენტ ობამას ანტიენერგეტიკულმა ბრძანებებმა შეასუსტა ჩვენი უსაფრთხოებაც, იმპორტზე ჩვენი ენერგოდამოკიდებულებით.

ენერჯის თოთოეული დოლარი, რომელსაც ჩვენ არ ვიკვლევთ, არის ენერჯის დოლარი, რომელიც ვილაც სხვას ამდიდრებს.

თუ პრეზიდენტ ობამას სურდა ამერიკის დასუსტება, მას ამის გაკეთება ამაზე უკეთესად არ შეეძლო.

რამდენადაც ცუდი პრეზიდენტია ობამა, ჰილარი კლინტონი კიდევ უფრო უარესი იქნება.

(6 პარაგრაფი გამოტოვებულია)

ტრამპის ადმინისტრაცია განავითარებს „უპირველესად ამერიკის“¹ პირველ ენერგეტიკულ გეგმას. აი, როგორ გახდის ეს გეგმა ამერიკას კვლავ მდიდარს:

- ამერიკული ენერჯის დომინანტად გამოცხადება იქნება შეერთებული შტატების სტრატეგიული ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის მიზანი.

- ამერიკას აქვს 1,5-ჯერ მეტი ნავთობი, ვიდრე OPEC-ის ყველა ქვეყნის ერთად აღებული დადასტურებული რესურსია; ჩვენ გვაქვს უფრო მეტი ბუნებრივი გაზი, ვიდრე რუსეთს, ირანს, ყატარს და საუდის არაბეთს; ჩვენ გვაქვს სამჯერ მეტი ქვანახშირი, ვიდრე რუსეთს. ფედერალურ მიწებზე ჩვენი მთლიანი გამოუყენებელი ნავთობისა და გაზის მარაგი უტოლდება დაახლოებით 50 ტრილიონ დოლარს.

ჩვენ გავხდებით და დავრჩებით სრულად დამოუკიდებელი OPEC-ის კარტელიდან ენერჯის იმპორტის საჭიროებისგან ან ჩვენი ინტერესების მიმართ მტრულად განწყობილი ნებისმიერი სახელმწიფოსგან.

- ამავდროულად, ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენი ყურის მოკავშირეებთან პოზიტიური ენერგეტიკული ურთიერთობის განვითარებისთვის, ეს იქნება ჩვენი ანტი-ტერორისტული სტრატეგიის ნაწილი.

- ენერჯის წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს გამოვიყენებთ გზების, სკოლების, ხიდების და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გასაახლებლად. იაფი ენერჯია ხელს შეუწყობს ამერიკის სოფლის მეურნეობასაც.

- ჩვენ ბიუროკრაციას დავაყენებთ ინოვაციის გზაზე, ასე რომ, შევძლებთ ენერჯის ყველა ფორმის გამოყენებას. ეს მოიცავს განახლებად ენერჯიას და მომავლის ტექნოლოგიებს. იგი მოიცავს ბირთვულ, ქარის და მზის ენერჯიას – მაგრამ არა სხვა ენერჯიის გამორიცხვით. მთავრობამ არ უნდა აირჩიოს გამარჯვებული და დამარცხებული. ამის ნაცვლად, მან უნდა აღმოფხვრას დაბრკოლებები ძებნა/ძიებასთან დაკავშირებით. ნებისმიერ ბაზარს აქვს აღმავალი და დაღმავალი ტენდენციები, მაგრამ მკაცრი ბარიერების აღმოფხვრით აღარ ვიქნებით გლობალურ ბაზრებზე დამოკიდებული.

ტრამპის ადმინისტრაცია ყურადღებას გაამახვილებს გარემოსდაცვით რეალურ და არა ყალბ გამოწვევებზე:

¹ America First - დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო ლოზუნგი. (მთარგ.)

- ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ჰილარი კლინტონის სილარიზის გაზრდის პროგრამას, რომელიც ამდიდრებს მის მეგობრებს და ყველა დანარჩენს ალარიზებს.

- ჩვენ თემებში გადავწყვეტთ გარემოს რეალურ პრობლემებს, როგორცაა, სუფთა და უსაფრთხო სასმელი წყლის საჭიროება. პრეზიდენტმა ობამამ სინამდვილეში სცადა შეემცირებინა სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის დაფინანსება – თუმცა ითხოვდა გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA) ბიუროკრატების დაფინანსების გაზრდას.

- ამ ახალ ინფრასტრუქტურას ააშენებენ ამერიკელი მშრომელები.

აი, ჩემი 100 დღიანი სამოქმედო გეგმა:

- ვაპირებთ გავაუქმოთ ობამას ყველა აღმასრულებელი ქმედება, მიმართული სამუშაო ადგილების მოსპობისკენ, მათ შორის, კლიმატის სამოქმედო გეგმა და აშშ-ის წყლების წესები.
- ვაპირებთ გადავარჩინოთ ქვანახშირის ინდუსტრია და სხვა მრეწველობა, რომელსაც ემუქრება ჰილარი კლინტონის ექსტრემისტული პროგრამა.
- ვაპირებ ვთხოვო „ტრანს კანადას“ განაახლოს ნებართვის მიღების განაცხადი „ქისტოუნის“ მილსადენისთვის.
- ვაპირებთ ფედერალურ ოლქებში ენერჯის წარმოებაზე მორატორიუმის გაუქმებას.
- ვაპირებთ გავაუქმოთ პოლიტიკა, რომელიც აწესებს დაუსაბუთებელ შეზღუდვებს ბურღვის ახალ ტექნოლოგიებზე. ეს ტექნოლოგიები ქმნის მილიონობით სამუშაო ადგილს, უფრო ნაკლები ზიანის მომტანია, ვიდრე ოდესმე.
- ვაპირებთ გავაუქმოთ პარიზის კლიმატის ხელშეკრულება და შევაჩეროთ შეერთებული შტატების გადამხდელთა დოლარების ყველა გადარიცხვა გაეთიანებული ერების გლობალური დათბობის პროგრამებისთვის.
- ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც მოძველებულია, არ არის აუცილებელი, ცუდია მშრომელებისთვის, ან ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოა, გაუქმდება. ჩვენ, ასევე, გავაუქმებთ დუბლირებებს, უზრუნველვყოფთ რეგულირებას და ნდობას ადგილობრივი ოფიციალური პირებისა და ადგილობრივ მოსახლეობის მიმართ.
- ნებისმიერი მომავალი რეგულაცია გაივლის მარტივ ტესტს: კარგია ეს რეგულაცია ამერიკელი მშრომელისთვის? თუ ის ვერ ჩააბარებს ამ ტესტს, წესი არ დამტკიცდება.

პოლიტიკური გადანყვეტილებები იქნება საჯარო და გამჭვირვალე. ისინი არ იქნება მიღებული ჰილარის პირადი ელ.ფოსტის ანგარიშიდან.

ამ ყველაფრის გაკეთებას ჩვენ ვაპირებთ რაციონალურ ეკოლოგიურ პრობლემებზე სათანადო ყურადღების გამახვილების გათვალისწინებით. ვაპირებთ შევინარჩუნოთ ჩვენი ლამაზი ბუნებრივი ჰაბიტატები, ნაკრძალები და რესურსები.

ჩვენ ავითვისებთ ენერჯის ყველა ფორმას. მათ შორის, განახლებად ენერჯიას, მომავლის ტექნოლოგიებს... ბირთვულ, ქარის და მზის ენერჯიას – ამასთან, არ გამოვრიცხავთ ენერჯიის სხვა წყაროებს.

ტრამპის ადმინისტრაციაში, ექსტრემალური დღის წესრიგის მქონე პოლიტიკური აქტივისტები აღარ დაწერენ წესებს. ამის ნაცვლად, ჩვენ ვიმუშავებთ გარემოს დამცველებთან, რომელთა ერთადერთი დღის წესრიგი ბუნების დაცვაა.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, ჩემი პრიორიტეტები ძალიან მარტივია: სუფთა ჰაერი და სუფთა წყალი.

ჩემი დღის წესრიგი შესრულდება... ენერგეტიკული რეფორმის საშუალებით, რომელიც ქმნის ტრილიონებს ახალი სიმდიდრით.

ჩემი ამერიკის პირველი ენერგეტიკული გეგმა გააკეთებს ამერიკელი ხალხისთვის იმას, რასაც ჰილარი კლინტონი არასდროს გააკეთებს: შექმნას რეალური სამუშაო ადგილები და რეალურად გაზარდოს ხელფასები.

ენერგეტიკის კვლევის ინსტიტუტის თანახმად, ამერიკულ ენერჯიაზე შეზღუდვების მოხსნა შექმნის ახალი სამუშაო ადგილების ნაკადს:

- თითქმის 700 მილიარდი დოლარით გაიზრდება წლიური წარმოების მოცულობა მომდევნო 30 წლის განმავლობაში.
- 30 მილიარდი დოლარით გაიზრდება წლიური ხელფასების ოდენობა მომდევნო 7 წლის განმავლობაში.
- მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში, 20 ტრილიონ დოლარით მეტი დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან და 6 ტრილიონი აშშ დოლარი ახალი საგადასახადო შემოსავლიდან.

ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ინდუსტრია ქმნის მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს 10 მილიონი ამერიკელისთვის და შეუძლია შექმნას დამატებით 400 000 ახალი სამუშაო ადგილი წლიურად. ეს კვლევა, ასევე, მიგვიყვანს ამერიკის წარმოების აღმშენებლობისკენ – მკვეთრად შეამცირებს სავაჭრო დეფიციტს და ბიუჯეტის დეფიციტს.

შეადარეთ ეს მომავალი ჰილარი კლინტონის ვენესუელას სტილის სიღარიბის პოლიტიკას.

(4 პარაგრაფი გამოტოვებულია)

მას სურს დადოს საშინელი სავაჭრო გარიგებები, ისეთი, როგორცაა NAFTA², რომელიც ხელმოწერილია მისი მეუღლის მიერ და რაც ჩვენ წარმოებას დაცლის.

სახელმწიფო მდივნის პოსტზე ყოფნის დროს ის დანებდა ჩინეთს – მისცა მათ უფლება, მოეპარათ ასობით მილიარდი დოლარი ჩვენი ინტელექტუალური საკუთრებიდან.

მან უფლება მისცა მათ, გაეუფასურებინათ მათი ვალუტა და ტრილიონი დოლარით გაზრდილიყო ჩვენი სავაჭრო დეფიციტი.

შემდეგ იყო ლიბია.

სახელმწიფო მდივან კლინტონის დაუფიქრებელმა შეჭრამ ლიბიაში გადასცა ქვეყანა ისლამურ სახელმწიფოს (ISIS), რომელიც ახლა ნავთობს აკონტროლებს.

შუა აღმოსავლეთი, რომელიც კლინტონმა მემკვიდრეობით მიიღო, იყო ნაკლებად საშიში, ვიდრე ის შუა აღმოსავლეთი, რომელიც მან დაგვიტოვა.

² შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (მთარგ.)

მისმა დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა ერაყში, ლიბიაში, ირანში, ეგვიპტესა და სირიაში, შუა აღმოსავლეთი უფრო არასტაბილური გახადა, ვიდრე ოდესმე.

ჰილარი კლინტონის საგარეო პოლიტიკით მიღებული მემკვიდრეობა ქაოსურია.

ჰილარი კლინტონს, ასევე, სურს, სრულად გახსნას ამერიკის საზღვრები, რაც კიდევ უფრო გააღარიბებს ჩვენს მუშახელს.

ჰილარის ღია საზღვრების დღის წესრიგი გულისხმობს, რომ ახალგაზრდა მართხელა დედებს, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, მოუწევთ იბრძოლონ სამუშაოსთვის ან გამოვიდნენ არსებული მილიონობით დაბალხელფასიანი მუშის წინააღმდეგ, რომლებიც შემოჭრილები არიან ქვეყანაში, თუმცა მისთვის ეს სულერთია.

ჩემი დღის წესრიგი განხორციელდება მთელი რიგი რეფორმების საშუალებით, რომლითაც ამერიკა გახდება პირველი: ენერგეტიკული რეფორმა, რომელიც შექმნის ტრილიონობით ახალ სიმდიდრეს.

- საიმიგრაციო რეფორმა, რომელიც დაიცავს ჩვენ საზღვრებს და ჩვენ მუშახელს.

- საგადასახადო რეფორმა, რომელიც შექმნის მილიონობით ახალ სამუშაო ადგილს ამერიკაში.

- რეგულირების რეფორმა, რომელიც გააუქმებს სულელურ წესებს, რომლებითაც ჩვენი მუშახელი საზღვარგარეთ იგზავნება.

- სოციალური უზრუნველყოფის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებლების მიერ მუშახელის აყვანას უმუშევართა ოფისიდან და არა საიმიგრაციო ოფისიდან.

- ვაჭრობის რეფორმა, რომელიც უკან დააბრუნებს ჩვენ სამუშაო ადგილებს წარმოებაში და წინ აღუდგება უსამართლობას.

კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამერიკა გავხადოთ ისევ ძლიერი: ჩვენ უნდა გავხადოთ ჩვენი საზოგადოება კვლავ უსაფრთხო.

(5 პარაგრაფი გამოტოვებულია)

ჩემი რეფორმების დღის წესრიგი მოუტანს სიმდიდრეს და უსაფრთხოებას ყველაზე ღარიბ საზოგადოებას ამ ქვეყანაში.

(18 პარაგრაფი გამოტოვებულია)

ერთად ჩვენ კვლავ დავაყენებთ ამერიკელ ხალხს პირველ ადგილზე.

ჩვენ კვლავ გავამდიდრებთ ჩვენ საზოგადოებას.

ჩვენ კვლავ გავხდით ჩვენ ქალაქებს უსაფრთხოს.

ჩვენ კვლავ გავაძლიერებთ ჩვენ ქვეყანას.

ქალბატონებო და ბატონებო: ჩვენ კვლავ ვაქცევთ ამერიკას დიადად.

2017-2018 წლების საქართველოს საკონსტიტუციო ჩაფორმის სოციოლოგიური ანალიზი

„კონსტიტუციის შექმნით ჩვენ ვქმნით დულაბს, რომლითაც ვაშენებთ და ვქმნით საკუთარ თავს. ადამიანები ქმნიან კონსტიტუციას და კონსტიტუცია ქმნის ადამიანებს. ეს არის ონტოლოგიური სიციხადე თავად ისტორიისა, ისტორიის სტრუქტურისა და ადამიანისა, ადამიანური სულიისა და არსებობისა, კონსტიტუცია ჩვენ გვესაჭიროება არა მხოლოდ, როგორც ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ნორმათა და კანონთა სფერო, არამედ როგორც სიცოცხლისუნარიანი ორგანო, რომელიც მოქალაქეებსაც მინიჭებს სიცოცხლეს. უნდა დაიბადო კონსტიტუციის წიაღში.“¹

მერაბ მამარდაშვილი

I. შესავალი

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც განაპირობებს საზოგადოებაში ისეთ ფასეულობათა ბალანსს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ადამიანის კეთილდღეობის მიღწევა.² თავისუფლების, თანასწორობისა და წესრიგის კონსტიტუციური თანაფარდობა ქმნის ისეთ მმართველობას, სადაც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც კონსტიტუციაში შედის, აისახება ადამიანთა ცხოვრებაზე და მნიშვნელოვანია ამ ცვლილებათა პროცესში მოქალაქეების ჩართულობა. კონსტიტუციის შექმნა საკმაოდ რთული პროცესია, რომლის დროსაც ინტერესთა კონფლიქტი საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბებამდე მიდის. ერთი მხრივ, „კანონმდებლები შესაძლებელია შეეცადონ თავიანთი პოლიტიკური კურსი და ტენდენციური მოსაზრებები ჩართონ განხილვის პროცესში ან თავად კონსტიტუციის ტექსტში“³, მეორე მხრივ, კონსტიტუციისთვის აუცილებელია უფრო ფართო საზოგადოებრივი ლეგიტიმურობის მინიჭება, რის შედეგადაც ეს პროცესი ხელმისაწვდომი გახდება არა მხოლოდ ექსპერტთა ვიწრო წრისთვის,⁴ არამედ იმ მოქალაქეებისთვის, რომელთაც აღნიშნულ პროცესში ჩართვა სურთ.

კონსტიტუცია, როგორც დამფუძნებელი დოკუმენტი, საზოგადოების ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ პრიორიტეტებს

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

¹ მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტოპოლოგია, თბილისი, 2011, 258-259.

² Thornhill C., A Sociology of Constitutions, Cambridge University Press, 2011, 47.

³ Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar Publishing, 2011, 44.

⁴ Brandt M., Cottrell J., Ghai Y., Regan A., Constitution-making and Reform Options for the process, Publisher Interpeace, 2011, 14.

ასახავს.⁵ თითოეული საკითხი დაკავშირებულია მოქალაქეების ნებასთან და ნებისმიერი ცვლილება, რომელიც კონსტიტუციაში შედის, აისახება მათ ცხოვრებაზე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებზე, ასევე, ქვეყნის სამომავლო განვითარების ძირითად მიმართულებაზე.

საქართველოში რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა. 1995 წლის კონსტიტუცია, როგორც თანემდროვე კონსტიტუციების უმრავლესობა, წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტია⁶ და მუდმივად განიცდის ცვლილებებს.⁷ საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის დაღწევის შემდეგ, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, ქვეყანა სრულიად გადართო დემოკრატიის რელსებზე და შეიძინა ის ღირებულებები, რაც ევროპული დემოკრატიისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა დემოკრატიის მშენებლობა არ არის პროცესი, რომელიც ოდესმე შეიძლება დასრულდეს დასრულდეს, ყოველი ახალი ეპოქა ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე აყენებს საზოგადოებას და მათზე ღირსეული პასუხი მხოლოდ დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვით, სამართლიანი საზოგადოების უწყვეტი სრულყოფით შეიძლება.⁸ ამ მიმართულებით კონსტიტუციამ არაერთი ცვლილება განიცადა და ბოლო მათგანი 2017-2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმა იყო,⁹ რომლის მიმართაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოვლინდა¹⁰.

II. კვლევის ანგარიში

საკონსტიტუციო რეფორმის აქტუალობიდან გამომდინარე ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიმართ (პრეზიდენტის უფლებამოსილების რევიზია, პრეზიდენტის არჩევითობა, საარჩევნო სისტემის რეორგანიზაცია, მმართველობის მოდელი⁹ ცვლილება და ა.შ) საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა; იმის დადგენა, თუ რამდენად ინფორმირებულია კონსტიტუციის ახალი რედაქციის შინაარსის შესახებ მოსახლეობა და რამდენად შეესაბამება ის ამომრჩევლების ღირებულებით, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ პოზიციას. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განხორციელდა რაო-

⁵ Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar Publishing, 2011, 52.

⁶ მუსხელიშვილი მ., კონსტიტუციის დისკურსული ლეგიტიმაცია, თბილისი, 2006, 17.

⁷ დანვრილებით იხ., შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 25-26.

⁸ Brandt M., Cottrell J., Ghai Y., Regan A., Constitution-making and Reform Options for the process, Publisher Interpeace, 2011, 31.

⁹ იხ., „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 13.10.2017, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 23.03.2018.

¹⁰ იხ., გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის იდეაფიქსები, ანუ როცა „ცვლილების ქარი“ უბერავს, წიგნი: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 106-124.


დენობრივი კვლევა, თუმცა ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი, როგორც რაოდენობრივი კვლევის დამხმარე ინსტრუმენტი.

კვლევის ობიექტია საქართველოს მოსახლეობა, რომელთა მინიმალური ასაკი 18 წელი და მეტია. შერჩევის მოცულობა განისაზღვრა 2 235 რესპონდენტით, შერჩევის ეს მოცულობა საკმარისია რეპრეზენტატული მონაცემების მისაღებად.

ცხრილი N1


	რაოდენობა	ცდომილება 94% საიმედოობით
სქესი		
მამრობითი	1081	4%
მდედრობითი	1154	4%
შრომითი სტატუსი		
დაუქსამებელი/უმუშევარი	687	4%
დასაქმებული	1511	3.3%
პენსიონერი	37	3.2%
განათლების დონე		
არასრული/სრული საშუალო/პროფესიული	1446	3.3%
არასრული/სრული უმაღლესი	789	4.0%
ასაკი		
18-30	872	4.5%
31-40	1189	4.5%
41-50	110	4.3%
51-ზევით	64	4.3%
სულ	2235	2.5%

გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი (52%-მდე) საკუთარ თავს სრულიად ან მეტწილად არაინფორმირებულად მიიჩნევს მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, 32.7% აცხადებს, რომ მცირედ ინფორმირებულია, ხოლო გამოკითხულთა 16% თავს ინფორმირებულად მიიჩნევს. საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ძირითადი წყარო ტელევიზია (28%) და ინტერნეტი (28%), თითქმის იგივე პროცენტული მაჩვენებელი აქვს ნაცნობ-მეგობრებით ინფორმაციის მიღებასაც.



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (55%) ნაკითხული აქვს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, თუმცა არ მიუღია მონაწილეობა განხილვის პროცესში, რადგანაც არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მოსახლეობასთან მსგავსი შეხვედრები ტარდებოდა. სახელმწიფო არ იყო აქტიური მოსახლეობის რეალური ინფორმირების კუთხით.




რესპონდენტების აზრი გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლებული იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება, მონაწილეობა არ მიეღო საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიაში, რომელიც პარლამენტთან შეიქმნა. ერთი ნაწილი (დაახლოებით 45%) პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ამართლებს, ხოლო თითქმის იმდენივე ნაწილი (42%) – არა.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრეზიდენტის არჩევის წესსა და პარლამენტის არჩევისა და საქმიანობის წესს. შესაბამისად, კვლევაში აქცენტი გაკეთდა ამ ორ საკითხზე. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სრულად ინფორმირებულია, თუ რას გულისხმობს საპარლამენტო მმართველობა, თუმცა სახელმწიფო მოწყობის მოდელებიდან გამოიყო 3 ძირითადი მოდელი და გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელიც სამ თითქმის თანაბარ ნაწილად გაიყო: რესპონდენტთა 33% საპარლამენტო მმართველობას უჭერს მხარს, 35% – საპრეზიდენტო მმართველობას, ხოლო 27% შერეული მმართველობის მომხრეა.




ცვლილებების პროექტის თანახმად, უქმდება მაჟორიტარული სისტემა და პარლამენტის 150-ვე წევრი აირჩევა პროპორციული წესით. ამასთან, იკრძალება რამდენიმე პარტიის მიერ საარჩევნო ბლოკების შექმნა, ხოლო საარჩევნო ბარიერი კვლავ 5% რჩება. საკონსტიტუციო ცვლილებებების ეს ნაწილი ორაზროვანია რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის. გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სრუ-

ლიად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ამ სიახლეს ჩრდილს აყენებს გადაუნაწილებელი მანდატების გადანაწილების არაპროპორციული წესი, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა საარჩევნო ბარიერი არ მცირდება და საარჩევნო ბლოკების შექმნა იკრძალება. რესპონდენტთა ცალსახა რეზისტენტულობის („სრულიად არ ვეთანხმები“) ხარისხი მაღალია (74%) არჩევნებში პარტიათა შორის ხმების გადანაწილების იმგვარ წესზე, როდესაც გადაუნაწილებელი ხმები მხოლოდ პირველ ადგილზე გასული პარტიების აქტივში იწერება. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, კანონის ეს ნაწილი არაპროპორციულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებს პირველ ადგილზე გასულ პარტიას. გამოკითხულ რესპონდენტთა 33% მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, რადგან ის საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსაპოვებლად გამოიყენება, მისგან საპირისპიროდ, რესპონდენტთა 24% მიიჩნევს, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა შენარჩუნდეს, ხოლო თითქმის 29% მის გაუქმებას 2024 წლამდე არ ემხრობა.




რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, შემოთავაზებული პროექტით უქმდება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, მის ნაცვლად პრეზიდენტს საარჩევნო კოლეგია აირჩევს. აღნიშნულ წესს ეწინააღმდეგება გამოკითხულთა თითქმის 50% და მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა აირჩეს და მნიშვნელოვნად მიაჩნია პირდაპირი სახალხო ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტის ინსტიტუტის შენარჩუნება, რომელსაც ხალხის ლეგიტიმაციაზე დაყრდნობით, შეეძლება საჭიროებისამებრ შეეწინააღმდეგოს საპარლამენტო უმრავლესობის არაჯანსაღ მისწრაფებებს. ამისგან საპირისპიროდ, რესპონდენტთა 36% პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის მომხრეა და მიაჩნია, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს.



გამოკითხვა, ასევე, შეეხო წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა პერსპექტივას. რესპონდენტებისთვის შეთავაზებულ იქნა წყვილი დებულებები და მათ უნდა ამოერჩიათ ის, რომელსაც ეთანხმებოდნენ.


წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ პოლიტიკური ბლოკების შექმნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით რესპონდენტთა თვალსაზრისები გაიყო: 50.3%-თვის წინასაარჩევნო პერიოდში პარტიული ბლოკების არსებობა გამართლებულია, რადგან, ამის გარეშე ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა ძალზე მცირდება, ხოლო თითქმის ამდენივე ნაწილი 49.7% მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო პერიოდში არ უნდა მიეცეთ უფლება, გაერთიანდნენ პოლიტიკური ბლოკის სახით და ასე იბრძოლონ პარლამენტში ადგილის მოსაპოვებლად, რადგან ძალთა ბალანსი ირღვევა.

რესპონდენტთა თვალსაზრისი თანაბრად გაიყო იმ თემასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის ცვლილების კონსტიტუციაში ასახვას. ერთი ნაწილი (49.5%) მიიჩნევს, რომ კონსტიტუციაში უნდა არსებობდეს ჩანაწერი საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახით შემოღების ან არსებული განაკვეთის მხოლოდ რეფერენდუმის გზით გაზრდის შესახებ. რესპონდენტთა მეორე ნაწილი (50.5%) კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს რეფერენდუმის გარეშე საგადასახადო ცვლილებების მიღება.



- მიზანშეწონილად მიმაჩნია, კონსტიტუციაში იყოს ჩანაწერი, რომ საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, ან არსებული განაკვეთის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით
- სახელმწიფოს და ხელისუფლებას უნდა შეეძლოს რეფერენდუმის გარეშე შიიტანის ცვლილებები საგადასახადო პოლიტიკაში

რესპონდენტთა ნახევარი (50.4%) მიზანშეწონილად მიიჩნევს კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრების ჩანერას, რომ ეს არის ქალსა და მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რაც ქორწინების ტრადიციის განმტკიცებას და ერთნაირ სქესიანთა თანაცხოვრების დაკანონებას გამოორიცხავს. მეორე მხრივ, თითქმის იგივე პროცენტული მაჩვენებელი – 49.6% მიიჩნევს, რომ აუცილებელი არაა კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერის გაკეთება, რადგან ეს ისედაც განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით.



- მიზანშეწონილად მიმაჩნია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს ქორწინების განსაზღვრება, რომ ეს არის ქალსა და მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ასეთი ჩანაწერი განამტკიცებს ქორწინებას...
- აუცილებლობას არ წარმოადგენს კონსტიტუციაში ქორწინების ჩანაწერის გაკეთება, რომ ეს არის ოჯახის შესაქმნელად ქალსა და მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი კავ...

რაც შეეხება ალტერნატიულ მოსაზრებებს უცხოეთში დაფუძნებულ კომპანიაზე ან უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მინის გასხვისების ან არგასხვისების შესახებ, გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარზე მეტს (53.5%) მიზანშეწონილად მიაჩნია უცხოეთში დაფუძნებულ კომპანიაზე ან უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მინის გასხვისების აკრძალვა, რადგან ამით დაცული იქნება საქართველოს, როგორც მცირემინიანი ქვეყნის, სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესები. მეორე მხრივ, რესპონდენტთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილი – 46.5% არ ეთანხმება მსგავს აკრძალვას, რადგან ამით უცხოელი ინვესტორების უფლებები ირღვევა და მიაჩნია, რომ ამით საქართველო კარგავს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას, რადგან ასეთი აკრძალვა ინვესტიციების შემცირებას გამოიწვევს.

III. დასკვნა

საკონსტიტუციო ცვლილებები დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ნიშანია და იგი კონსტიტუციონალიზმის ძირითად პრინციპებს თავისთავად არ ეწინააღმდეგება. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტში არის პოზიტიური ინიციატივები, თუმცა, ამის პარალელურად, არის ნეგატიური ცვლილებებიც, რომლებსაც არ ეთანხმება საზოგადოების დიდი ნაწილი და მიიჩნევს, რომ არ ემსახურება ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პრინციპების განმტკიცების ინტერესს. გამოკითხვა ადასტურებს, რომ საზოგადოებაში აღნიშნულ საკონსტიტუციო პროექტზე აზრი ორად იყოფა და რთული სათქმელია, რა გავლენას იქონიებს აღნიშნული ცვლილებები მოქალაქეებზე. რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის შესახებ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფომ სათანადოდ არ იზრუნა აღნიშნულ საკითხში მოქალაქეების აქტიურად ჩართვასა და სრულად ინფორმირებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტში არსებული ცვლილების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არა აქვს მოსახლეობას, გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი (40.6%) მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მიმართულია იმისკენ, რომ მმართველმა გუნდმა ერთპიროვნულად გაიმყაროს ძალაუფლება, ხოლო გამოკითხულთა 30% მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები დემოკრატიული პოლიტიკის განვითარებასა და ძალაუფლების დაბალანსებას შეუწყობს ხელს, თუ ის სწორად იქნება დაგეგმილი და განხორციელებული.

ერთი რამ ცხადია, ცვლილებები მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე. მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო რეფორმა ემყარებოდეს ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსს და არა ერთი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის შეხედულებასა და ინტერესს. აქედან გამომდინარე, საჭიროა იმ სახელმწიფო ორგანოების უფრო მძლავრად მუშაობა, რომელთაც ევალებათ ცვლილებების საზოგადოებამდე მიტანა, მათი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

დამოკიდებულებების განსაზღვრა და განალიზება, რათა მოსახლეობა მაქსიმალურად ჩაერთოს ყველა საკონსტიტუციო ცვლილებაში.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობის საკონსტიტუციო პრინციპები საქართველოში

I. შესავალი

პოლიტიკური პარტიები, დღევანდელი სახით, მხოლოდ ახალ დროში გაჩნდა.¹ თანამედროვეობასთან მიახლოებული ფორმით XVII-XVIII საუკუნეების ინგლისში წარმოქმნილი პარტიები (“Whigs” და “Tories”) მოიხსენიება.² საფრანგეთის რევოლუციის შედეგად უკვე მრავალ სახელმწიფოში გაჩნდა ჯგუფები, რომლებიც არსებული წყობილების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.³ კლასიკური სახით პოლიტიკური პარტიები XIX საუკუნიდან ჩამოყალიბდნენ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.⁴ პარტიები ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულან. ყოველი სოციალური და-ჯგუფება გარკვეული იდეური ერთობის და ინტერესების მატარებელი იყო.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების ფორმირება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დამოუკიდებლობის აღდგენის წინ, ფაქტობრივად, არსებობდა სრულყოფილი პოლიტიკური სპექტრი, – პოლიტიკური პარტიები თავიანთი პარტიული სტრუქტურებით, იდეოლოგიითა და მხარდამჭერებით.⁵ რაც შეეხება თავად ტერმინს – „პარტია“, იგი ლათინური სიტყვიდან (*pars, partis*) მომდინარეობს და ნაწილს, ჯგუფს აღნიშნავს.⁶ აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ყველა იმ ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფის სახელწოდებად, რომლებიც დემოკრატიული არჩევნებისა თუ რევოლუციის გზით ეძებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას.⁷

სტატიის მიზანია მიმოიხილოს პოლიტიკური პარტიების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, პარტიის სამართლებრივი მოწესრიგება და ის საკონსტიტუციო პრინციპები, რომელთა საფუძველზეც პოლიტიკური პარტიები თავიანთ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ.

II. პოლიტიკური პარტიები ქართულ სინამდვილეში

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიის მრავალი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ედმუნდ ბერკს ეკუთვნის, – „ადა-

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

¹ იხ., ნოდია გ., სკოლტბახი ა.პ., საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, თბილისი, 2006.

² შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 110.

³ იქვე, 110.

⁴ Maurice Duverger, Political Party, იხ., <<https://www.britannica.com/topic/political-party/Party-systems>> [24.04.2020]

⁵ მაცაბერიძე მ., საქართველოს პოლიტიკური სისტემა, თბილისი, 2019, 108.

⁶ ბურდული ი., გოცირიძე ე., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი, 2013, 307.

⁷ Duverger M., Political Party, იხ., <<https://www.britannica.com/topic/political-party/Party-systems>> [24.04.2020]

მიანთა ერთობა, რომელიც შექმნილია საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე ორიენტირებული რაიმე პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად⁸. ამ განსაზღვრებაში კარგად ჩანს თანამედროვე პარტიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი – პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების მიერ გაზიარებული რწმენა ან იდეოლოგია.⁹

საქართველოში პოლიტიკური პარტიის ცნებას განსაზღვრავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. პარტიად განიხილება საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოსატყვისად მონაწილეობას ისახავს მიზნად.¹⁰ ამ დროისათვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია, საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი, 252 პოლიტიკური პარტია.¹¹ ზოგადად, პარტიათა პლურალიზმი დადებითი მოვლენაა და ცალსახად შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი ინდიკატორი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისთვის, მაგრამ, გარდა რაოდენობრივი სიმრავლისა, ასევე, აუცილებელია პოლიტიკურ პარტიას ჰქონდეს მყარი იდეოლოგია და ჰყავდეს რეალური ელექტორატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური სისტემა ხასიათდება ერთი დომინანტური პარტიისა და მთელი რიგი ოპოზიციური პარტიების არსებობით¹².

პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მრავალფეროვანია პარტიული სისტემებიც. დანყებული ორპარტიული სისტემით, დამთავრებული პოლარიზებული მრავალპარტიული სისტემებით.¹³ ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა პარტიულ სისტემებთან და პოლიტიკური პარტიების დაყოფასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ძირითადად, პოსტ-კომუნისტურ სივრცეში ჩამოყალიბდა სამი სახის პარტიული სისტემა:

1. ქარიზმატული მოდელი, სადაც ამომრჩეველი პარტიის არჩევისას ხელმძღვანელობს პერსონისადმი სიმპათიით;

⁸ რუსიშვილი ა., ქართული პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგია, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisufali-sivrtse-akaki-rusishvili-partiebi-da-ideologia/27817485.html>> [24.04.2020]

⁹ კუპრაშვილი ჰ., ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ევროპაში, თბილისი, 2016, 45.

¹⁰ საქართველოს ორგანული კანონი „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლები 1-2.

¹¹ იხ., <<https://napr.gov.ge/p/477>> [22.04.2020].

¹² საქართველო, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დაგროვილი გამოცდილება, თბილისი, 2009, 10.

¹³ Linz J., Presidential or Parliamentary Democracy, Does it make a difference?, 62, <https://www.researchgate.net/publication/285196410_Presidential_or_parliamentary_democracy_Does_it_make_a_difference_Behind_the_institutionalist_influence_in_Juan_Linz's_analysis> [24.04.2020]

2. კლიენტისტური მოდელი, რომლის ფარგლებშიც ამომრჩეველი პარტიას ირჩევს იმიტომ, რომ მიიღოს მატერიალური ან არამატერიალური სარგებელი პირდაპირი გზით;

3. პროგრამული მოდელი, სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას, რადგან იგი სთავაზობს კოლექტიურ სარგებელს არაპირდაპირი გზით.¹⁴

აღსანიშნავია, რომ ქარიზმატული პარტიების რეიტინგი მორგებულია კონკრეტულ პიროვნებებსა თუ ლიდერებზე, მათ პიროვნულ ავტორიტეტზე, ქარიზმაზე, ორატორულ უნარსა და მათ ადგილზე საზოგადოებაში.¹⁵ ამგვარი ლიდერები გამოირჩევიან პოპულისტური, მყისიერი, არათანმიმდევრული მიდგომებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დღესაც, საარჩევნო წარმატებისთვის, პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ კვლევებზე უფრო მნიშვნელოვნად ძლიერი ლიდერის ყოლას ასახელებენ.¹⁶ კლიენტისტური მოდელის პოლიტიკური პარტიები, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად არჩევნების წინ აქტიურდებიან და ამომრჩევლის მოსყიდვას ახორციელებენ მატერიალური თუ არამატერიალური გზით. ამასთან, ხმების მიღების მიზნით კანდიდატები ხშირად იძლევიან დაპირებას, რომ ამომრჩევლის ინტერესების ე.წ. საარსებო საშუალებების მიმართ იქნებიან უფრო მეტად პასუხისმგებლები და ენერგიულები, ვიდრე მათი ოპონენტები.¹⁷ ხოლო, რაც შეეხება პარტიებს, რომელთაც იდეოლოგიური ფუნდამენტი აქვთ, მათი საარჩევნო პროგრამა სტაბილურია.

საქართველოში პარტიები, როგორც წესი, მიიჩნევენ, რომ კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვები საარჩევნო წარმატებასთან კორელაციაში არ არის. აღიარებენ რა ქართული პოლიტიკური პროცესებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ბევრი მათგანი აცხადებს, რომ საარჩევნო წარმატებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სანდო, ძლიერი და ქარიზმატული ლიდერის ყოლაა.¹⁸ ამასთან, უნდა აღინიშნოს, საქართველოში იმის მაგივრად, რომ პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბებაზე სისტემატურად იმუშაონ, პარტიები მხოლოდ წინასაარჩევნოდ აქტიურდებიან. ამრიგად, პოლიტიკური კონცეფციების საფუძვლიანი დამუშავების (და საარჩევნოდ, გადამუშავების და დეტალიზების) ნაცვლად, არსებობს წინასაარჩევნო, ნაჩქარევი პოლიტიკური განცხადების ტენდენცია.¹⁹ პოლიტიკურ პარტიათა ასეთი კლასიფიკაციის ფონზე, თავისთავად ჩნდება კითხვა, – ქმნის თუ არა საქართველოს კონსტიტუცია თანაბარ უფლებრივ და პოლიტიკურ გარემოს პოლიტიკური პარტიების საქმიანობისათვის.

¹⁴ სილაგაძე გ., გამმიჯნავი ხაზების პრობლემა საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში: მიზეზები და შედეგები, თბილისი, 2017, 11-12

¹⁵ დამბარი უ., სვანიძე მ., პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში, თბილისი, 2012, 12.

¹⁶ იქვე, 4.

¹⁷ მაგუტატი თ.მ., გავიგოთ პოლიტიკა იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2010, 367.

¹⁸ დამბარი უ., სვანიძე მ., პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში, თბილისი, 2012, 12.

¹⁹ იქვე, 11.

III. პოლიტიკური პარტიების საქმიანობის პრინციპები

საქართველოს კონსტიტუციის პირველ თავში ნათქვამია, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება „მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპატიული დემოკრატიის პრინციპებს“²⁰. ამგვარად, პოლიტიკური პარტიების საკონსტიტუციო ფუნქციის განმტკიცებით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა ამ ინსტიტუტის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის დემოკრატიულ სისტემაში.²¹ შესაბამისად, სამართლებრივ ლიტერატურაშიც ფართოდაა გავრცელებული პარტიების სამართლის მეცნიერების სისტემატიზაცია – პარტიების სამართლის ოთხი ძირითადი პრინციპის მიხედვით. ესენია: (1) პარტიების თავისუფლების, (2) პარტიების თანასწორობის, (3) შიდაპარტიული დემოკრატიისა და (4) პარტიების საქმიანობის საჯაროობის პრინციპები.²² თავისუფლება განსაზღვრავს სახელმწიფოსაგან თავისუფალ სივრცეს, თანასწორობა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას ისახავს მიზნად, შიდაპარტიული დემოკრატია ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრთა ჩართულობის მაღალი ხარისხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, გამჭვირვალობა კი ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებას ადგენს.²³

1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების პრინციპი

პოლიტიკური პარტიების თავისუფლების პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით და გულისხმობს, ერთი მხრივ, პარტიის თავისუფალი დაფუძნების შესაძლებლობასა და მისი საქმიანობის თავისუფლებას სხვა პარტიებთან მიმართებით, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხარდაჭერას პარტიის თავისუფალ განვითარებასთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ პარტიის შექმნასა და მის საქმიანობაში მონაწილეობა, ასევე, წევრობა საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქის უფლებაა.²⁴ ის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი არიან მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებული არიან შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ²⁵ და ეზღუდებათ პარტიის წევრობის უფლება. პოლიტიკური პარტიის შექმნის უფლება, ასევე, არ ვრცელდება უცხო ქვეყნის

²⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3.

²¹ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 99.

²² კობახიძე ი., პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, თბილისი, 2008, 69.

²³ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 111.

²⁴ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 103.

²⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 8.

მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. ამასთან, პოლიტიკური პარტიის წევრი ვერ იქნება იურიდიული პირი²⁶.

ვინაიდან საარჩევნო უფლება, თავისი არსით პოლიტიკურია, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს²⁷ შემადგენლობაში, ასევე განწესდება მოსამართლედ, შეუწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა. აღნიშნული დათქმა, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ამ კატეგორიის პირების მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა, აბსოლუტურად შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს.²⁸

აქვე უნდა განვიხილოთ ის შეზღუდვები, რომლებსაც სახელმწიფო აწესებს პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის პროცესში. აღნიშნული შესაძლოა შეფასდეს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის თავისუფლების პრინციპში ჩარევად, თუმცა იგი გამომდინარეობს სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზნებიდან. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ იკრძალება ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან ომის ან ძალადობის პროპაგანდა. ასევე, თუ ის აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.²⁹ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს პოლიტიკური პარტიის შექმნას ტერიტორიული ნიშნითაც.³⁰

პოლიტიკური პარტიის დაფუძნების გარდა, თავისუფლების საკონსტიტუციო პრინციპი, ასევე, მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა, პარტიის წევრების მიღება და გარიცხვა, ქონების განკარგვა, შიდა სტრუქტურა.

²⁶ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 307.

²⁷ თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფ პირებად ითვლებიან: საქართველოს პროკურატურის თანამშრომელი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურე, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის მოსამსახურე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელი, საქართველოს თავდაცვის ძალების მოსამსახურე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურე, საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოსამსახურე და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის მოსამსახურე. იხ., „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 10.

²⁸ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 322.

²⁹ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 5.

³⁰ იქვე.

ტურების სიდიდის განსაზღვრა, პოლიტიკური პოზიციების დაფიქსირება ან მათგან თავის შეკავება, წარმომადგენლობით ორგანოებში ასარჩევ კანდიდატთა წარდგენა³¹, იდეოლოგიური და პროგრამული თავისუფლება³² და პოლიტიკური პარტიის, როგორც გამართული ინსტიტუციის, ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ნაბიჯების გადადგმა.

2. პოლიტიკური პარტიების თანასწორობის პრინციპი

პოლიტიკური პარტიების თანასწორობის პრინციპის ნორმატიული შინაარსი პირდაპირ განმარტებული არაა საქართველოს კონსტიტუციაში, თუმცა გადმოცემულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. ზოგადად, „თანასწორობის პრინციპი“ ნიშნავს კანონის წინაშე და კანონის ფარგლებში თანასწორობას,³³ ასევე, სამართლის წინაშე თანასწორობას, რაც აღიარებული და განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით³⁴.

პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან. დემოკრატია, როგორც კონკურენციის ღონისძიება, მხოლოდ იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ კონკურენცია სამართლიანია. ამისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონკურენციის მონაწილეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.³⁵ თანასწორობა ზოგადად საარჩევნო უფლების არსის შემადგენელი ნაწილია³⁶ და მისი გათვალისწინება საარჩევნო სისტემის, მინიმალური ზღვარისა და საარჩევნო უფლების მქონე პირთა კატეგორიის განსაზღვრისას³⁷ მნიშვნელოვანია, რათა სახელმწიფომ არ შეზღუდოს რომელიმე პოლიტიკური პარტია ან პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს გონივრული დასაბუთების გარეშე, იმის გათვალისწინებითაც, რომ პოლიტიკური პარტიებისათვის მთავარი მათი პოლიტიკური რეიტინგი და არჩევნებში გამარჯვებაა.

როგორც წესი, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემას ეფექტური მუშაობისთვის სჭირდება ფინანსური სახსრები.³⁸ პოლიტიკური პარტიების სიძლიერე კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე. ამიტომ

³¹ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 112.

³² კობახიძე ი., პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, თბილისი, 2008, 75.

³³ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 76.

³⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11.

³⁵ მორლოკი მ., პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონი და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები, თბილისი, 2018, 43.

³⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 8.

³⁷ ძამაშვილი ბ., თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელისშემშლელი გარემოებები საქართველოში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2017, 119.

³⁸ გელაშვილი ა., პოლიტიკური პარტიების დაფინანსების პრობლემა საქართველოში, იხ., <<https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-ani-gelashvili-dapinanseba/26970381.html>> [23.04.2020]

პოლიტიკური პარტიების თანასწორობის პრინციპზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ სახელმწიფოს მიერ პარტიათა დაფინანსების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებული აქტუალობით სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ პარტიებზე პრივილეგიების განაწილებისას სარგებლობს³⁹.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში პარტიების საქმიანობის მატერიალური ნახალისება ერთგვარი შერეული ფორმულის საფუძველზე წარმოებს. მაგალითად, საბერძნეთში სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების 10% პარტიებს შორის თანაბრად, ხოლო დანარჩენი 90% – პროპორციულად, პარტიების მიერ უკანასკნელ არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად ნაწილდება. იტალიაში სქემატური თანასწორობის პრინციპის მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების 15%, ხოლო პროპორციული თანასწორობის პრინციპის მიხედვით ფინანსების 85% ნაწილდება. მსგავსადაა დარეგულირებული პარტიების სახელმწიფო დაფინანსების საკითხი უნგრეთშიც, სადაც უფლებამოსილი პარტიები სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების 25%-ს თანაბრად, ხოლო 75%-ს პროპორციული თანასწორობის პრინციპის შესაბამისად იღებენ. მაკედონიაში სახელმწიფო ფინანსების 30% თანაბრად ნაწილდება იმ პარტიებს შორის, რომლებმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც მიიღეს, ხოლო დაფინანსების დანარჩენი 70%-ის მიღება მხოლოდ საპარლამენტო პარტიების პრივილეგიაა. პროპორციული თანასწორობის პრინციპის მკაცრ დაცვაზე უარის თქმის კიდევ უფრო მკვეთრ მაგალითს გვათავაზობს პარტიების დაფინანსების ბრიტანული პრაქტიკა, სადაც პარტიებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების ადრესატებს მხოლოდ ოპოზიციური გაერთიანებები წარმოადგენენ.⁴⁰

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება აზრთა სხვადასხვაობის მუდმივი წყაროა.⁴¹ რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული მხოლოდ ის პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა არჩევნებში. თუმცა ამისთვის დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები: პარტიამ ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებში უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტი.⁴² გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო დაფინანსებას იღებს ის პოლიტიკური პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ იქნა მაჟორიტარი პარლამენტის წევრი, თუმცა ეს პარტია საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ფრაქციით.

რაც შეეხება თანხას, რომელიც პოლიტიკური პარტიისათვის საბიუჯეტო დაფინანსების სახით გამოიყოფა, იგი შედგება საბაზო ნაწილის, პროპორციული

³⁹ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 104.

⁴⁰ კობახიძე ი., პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, თბილისი, 2008, 113-119.

⁴¹ Bradley A.W., Ewing K.D., *Constitutional and Administrative Law*, 14th Ed., London, 2007, 163.

⁴² ხმათა რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით.

სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისთვის გამოყოფილი დანამატისა და არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობის კომპონენტისგან. საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 300 000 ლარია. აღნიშნული თანხა ორმაგდება იმ პარტიისა და ბლოკისათვის, რომელიც არჩევნებში ხმების 6%-ს ან მეტს მიიღებს. პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ფორმულის მიხედვით, საბაზო დაფინანსებას ემატება თანხა, რომელიც ითვლება პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატების რაოდენობისა და არჩევნებში მიღებული ხმების ოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, დამატებით 300 ათას ლარს იღებს პარტია, რომლის წევრებიც პარლამენტში ფრაქციის სახით არიან წარმოდგენილნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტია იღებს დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ პარტიული სიის ყოველ მომდევნო ათეულში, ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესის სულ მცირე 30%-ით არის წარმოდგენილი.⁴³

სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისაგან განსხვავებით, აბსოლუტური თანასწორობის პრინციპს ეფუძნება არჩევნების დროს პარტიებისათვის დათმობილი უფასო საეთერო დრო. კერძოდ, ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ვალდებული არიან თითოეულ საარჩევნო სუბიექტს დღეში დაუთმონ დრო, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.⁴⁴

გარდა აღნიშნულისა, პოლიტიკური პარტიების თანასწორობის პრინციპს სრულად ეფუძნება საქართველოს საარჩევნო კოდექსის სხვა რეგულაციებიც, რომლებიც საარჩევნო სტენდების გამოყოფას, საარჩევნო შეხვედრებისათვის საჯარო სივრცეების დათმობას და სხვა პრივილეგიების განაწილებას უკავშირდება. პარტიების თანასწორობის პრინციპის მიზნად, პარტიებს შორის გარკვეული მატერიალური თანასწორობის უზრუნველყოფაც განიხილება. ამ მიზანს ემსახურება, მაგალითად, შემოწირულობებისათვის ზედა ზღვრის დაწესება. საქართველოში ერთი კალენდარული წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიისთვის ფიზიკურ პირს არა უმეტეს 60 000 ლარის, ხოლო იურიდიულ პირს არაუმეტეს 120 000 ლარის ოდენობის შემოწირულობის გაღების უფლება აქვს.⁴⁵

3. პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპი

პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპი, თავისი არსით, პოლიტიკური პარტიების შიდა ფუნქციონირების დემოკრატიულობას უზრუნველყოფს. შიდაპარტიული დემოკრატიის ცნებაზე ერთიანი შეთანხმება არ არსებობს, თუმცა, ზოგადად რომ ვთქვათ, ეს არის პოლიტიკურ პროცედურათა

⁴³ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 30.

⁴⁴ იქვე, მუხლი 50.

⁴⁵ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 105.

ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანების შიგნით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა წევრის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას.⁴⁶ თუმცა კარგი პრაქტიკა ამ მიმართულებით გულისხმობს პოლიტიკური პატიების გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე პროცესს, განსაკუთრებით, კანდიდატების წამოყენებასთან მიმართებით.⁴⁷ ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ შესაძლოა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას ჰქონდეს კარგი წინასაარჩევნო პროგრამა და კარგი კანდიდატები ჰყავდეს, მაგრამ მისი წარმატებისათვის მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ პარტიას ჰქონდეს ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმატებული სტარტისათვის საყრდენი გახდება.⁴⁸

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველსაყოფად, პარტიებს ავალდებულებს, ერთი მხრივ, იქონიონ წერილობითი წესდება და ადგენს წესდების მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო მეორე მხრივ, აწესებს შიდაპარტიული ძალაუფლების განაწილების პრინციპს. კერძოდ, პოლიტიკურ პარტიაში უნდა არსებობდეს ხელმძღვანელი (ყრილობა, კონგრესი, ასამბლეა, კონფერენცია და სხვ.), აღმასრულებელი (გამგეობა, საბჭო, დარბაზი, სამდივნო, კომიტეტი და სხვა) და მაკონტროლებელი ორგანოები (სარევიზიო კომისია, საზედამხედველო კომისია, საკონტროლო კომისია და სხვ.). პარტიას უფლება აქვს, ასევე, შექმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები (ფილიალი, წარმომადგენლობა, ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვ.) იურიდიული პირის უფლების გარეშე.⁴⁹

შიდაპარტიული დემოკრატიის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო სიის ფორმირების პროცესი. საგულისხმოა, რომ პარტიები არა მხოლოდ მათი ხელმძღვანელი პირების პოლიტიკური კარიერის ხელშეწყობის საშუალებები უნდა იყვნენ, არამედ მათ უნდა უზრუნველყონ ამომრჩევლებისთვის და განსაკუთრებით მათი ყველა წევრისთვის ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობები.⁵⁰ მთელ რიგ ქვეყნებში გათვალისწინებულია საარჩევნო კანდიდატების შერჩევა შიდაპარტიული არჩევნების, ე.წ. „პრაიმერის“ საფუძველზე,⁵¹ თუმცა საქართველოში კანონმდებელი შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპის დაკონკრეტებისას არ ავალდებულებს პოლიტიკურ პარტიებს, არჩევნებზე წარსადგენი კანდიდატები შიდაპარტიული არჩევნების ე.წ. „პრაიმერების“ საფუძველზე

⁴⁶ რაზმაძე თ., რატომ არ აქვთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შიდა დემოკრატია? იხ. <<https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-tamar-razmadze-shida-demokratia/27764129.html>> [23.04.2020]

⁴⁷ ქაშაკაშვილი ნ., პარტიები დემოკრატიისათვის და საკანონმდებლო პოლიტიკის გამონწვევები, იხ., <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41651.pdf>> [21.04.2020]

⁴⁸ აბულაძე მ., კანდელაკი კ., ბოჭაძე ვ., ადგილობრივი პოლიტიკა და პარტიები, თბილისი, 2015, 24.

⁴⁹ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 17.

⁵⁰ მორლოკი მ., პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონი და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები, თბილისი, 2018, 44

⁵¹ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019, 106.

შეარჩიონ, რაც ხელმძღვანელ პირებს დომინირებულ მდგომარეობაში აყენებს და შეიძლება ითქვას, რომ სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს კანდიდატთა შერჩევის პროცესის შიდადემოკრატიულ პრინციპებს.

4. პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალების პრინციპი

პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალების პრინციპი პარტიული დემოკრატიის რეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი და წინაპირობაა. პარტიების საქმიანობის გამჭვირვალების პრინციპი, რაც, ასევე, მოიცავს მისი საქმიანობის საჯაროობის პრინციპს, რეგულირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“. საჯაროობა ემსახურება იმ მიზანს, რომ საზოგადოებისათვის გამჭვირვალე იყოს, ერთი მხრივ, პარტიის კანონიერად მიღებული ფინანსური შემოსავალი, მათ შორის, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, ხოლო, მეორე მხრივ, – ამ შემოსავლის ხარჯვითი ნაწილი.

ეროვნული კანონმდებლობით, საჯაროობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ პარტიების ვალდებულებაა, ყოველი წლის 1 თებერვლამდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად გაუგზავნოს გასული წლის საფინანსო დეკლარაცია. დეკლარაციაში უნდა აისახოს პარტიის წლიური შემოსავალი⁵² და გასავალი⁵³, აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ქონებრივი მდგომარეობის ანგარიშში მოიაზრება პარტიის კუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო ღირებულება, საბანკო დანესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თავის მხრივ, ვალდებულია პარტიის/საარჩევნო სუბიექტის საფინანსო დეკლარაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს და, ასევე, უზრუნველყოს დეკლარაციის შესაბამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. მხოლოდ იმ პარტიას, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 10 000 (ათი ათას) ლარს, უფლება აქვს, წლიური საფინანსო დეკლარაცია წარადგინოს აუდიტორული დასკვნის გარეშე. თუ პარტია დროულად არ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აძლევს 5 დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ პარტია 5 დღის გასვლის შემდეგაც არ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, იგი

⁵² შემოსავალი – სანევრო შენატანებისა და შემონირულებების ოდენობები, სანევრო შენატანების განმასხორციელებელ მოქალაქეთა ვინაობა, მონაცემები შემონირულებების განმასხორციელებელი მოქალაქეებისა და იურიდიული პირების თაობაზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე პარტიის მიერ საგამომცემლო საქმიანობიდან და სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები. იხ., „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 32 (1).

⁵³ გასავალი – არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებასა და მივლინებაზე განეული და სხვა ხარჯები. იხ., იქვე.

კარგავს სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

ორგანული კანონი, ასევე, ადგენს რომ დეკლარაციაში შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირები უნდა დაკონკრეტდნენ თავიანთი მონაცემების მითითებით. კერძოდ, შემოწირულობის განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა უნდა მიუთითოს საკუთარი სახელწოდება და იურიდიული მისამართი, ხოლო ფიზიკურმა პირმა უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მონიშვნის (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიის შემოწირულობებს, შემოწირულობის განხორციელებისას პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი და პირადი ნომერი.⁵⁴ მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები კი ითვლება ანონიმურად და ასეთი შემოწირულობები პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში⁵⁵.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარტიის შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა.⁵⁶ მოქალაქე და იურიდიული პირი უფლებამოსილი არიან, შემოწირულობები განახორციელონ წლის განმავლობაში რამდენიმე პარტიის სასარგებლოდ, მაგრამ აღნიშნულ შემოწირულობათა საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მათთვის ამ კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობებს. აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს.⁵⁷ ასევე, არჩევნების პერიოდში ფულადი სახსრების ხარჯვის პროცესიც გამჭვირვალეა. საარჩევნო სუბიექტებმა, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან, ერთი თვის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უნდა წარუდგინონ დასკვნა, გამოყენებულ სახსრებთან დაკავშირებით⁵⁸.

IV. დასკვნა

პოლიტიკური პარტიები უკვე დიდი ხანია საკანონმდებლო სფეროს კარგად შესასწავლი სუბიექტებია.⁵⁹ წინამდებარე სტატიაში, ამ ეტაპზე, მიმოხილულ იქნა საქართველოს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის საკონსტიტუციო პრინციპები და მათი სამართლებრივი მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პოლიტიკური პარტიების მაღალი საკონსტიტუციო სტატუსისა, დღესაც, მკვლევრები ქართული პოლიტიკური პარტიების ოთხ დიდ პრობლემას გამოყოფენ. ესენია: მკაფიო იდეოლოგიის, ღირებულებების და ხედვის არარსებობა, ლიდერი პიროვნებების

⁵⁴ იქვე, მუხლი 26(2).

⁵⁵ იქვე, მუხლი 26(3).

⁵⁶ იქვე, მუხლი 26(6).

⁵⁷ იქვე, მუხლები 27-27¹, 32-34.

⁵⁸ გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2017, 225.

⁵⁹ Doring H., *Parliaments and Majority Rule in Western Europe*, New York, 1995, 66.

პარტიებზე მეტისმეტი ზეგავლენა, პოლიტიკური ოპორტუნიზმის და პოპულიზმის მაღალი ხარისხი და შიდა დემოკრატიის არარსებობა.⁶⁰ მკვლევრების მიერ ამ ფაქტორების გამოყოფა, თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკური პარტიების მაღალ საკონსტიტუციო სტატუსთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი ეფექტიანი და გამჭვირვალე საქმიანობის უზრუნველმყოფელი რელევანტური საკანონმდებლო ბაზის არსებობა. სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ საჭიროა პარტიებმა მკვეთრად გაუსვან ხაზი თავიანთ იდეოლოგიურ ფასეულობებს და კონკრეტული პოლიტიკური კურსი ჰქონდეთ აღებული. მათ უნდა გაზარდონ საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობა და ასევე, იზრუნონ მოქალაქეთა პერმანენტულ ჩართულობაზე მათი სამოქმედო პროგრამის შექმნის პროცესში,⁶¹ რათა ამომრჩეველს ჰქონდეს სრული შესაძლებლობა, იცოდეს, რა ჯგუფები დგანან პარტიის უკან და რა კავშირია მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს შორის, რაც ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში ეხმარება.⁶²

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები-სათვის სახელმწიფოს მხარდაჭერა, სახელმწიფოს ვალდებულებაა. მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა თანასწორი მოპყრობის, თანაბარი შანსების მიცემის პრინციპს ეყრდნობა.⁶³ საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებები მხოლოდ მმართველი პოლიტიკური პარტიების ხელისუფლებაში გრძელვადიანი არსებობის გარანტიაა.⁶⁴ სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად კი არა მხოლოდ ფინანსური მონოპოლიის დაუშვებლობა, არამედ პარტიის ფუნქციის განხორციელებისათვის ნებისმიერ სხვა აუცილებელ კომპონენტში არსებითად უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრა აუცილებელი,⁶⁵ ვინაიდან სახელმწიფოს დემოკრატიული წესრიგის სიძლიერის საზომი სწორედ პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური მრავალფეროვნება და მათი საქმიანობის უზრუნველმყოფელი სამართლიანი გარემოს არსებობაა.

⁶⁰ დამბარი უ., სვანიძე მ, პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში, თბილისი, 2012, 31.

⁶¹ საბაშვილი ა., რატომ არ ჰყავს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს სტაბილური ამომრჩეველი? იხ. <<https://www.radiotavisupleba.ge/>> [21.04.2020]

⁶² შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 113.

⁶³ ფირცხალაშვილი ა., პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მათი წვდომა ადმინისტრაციულ რესურსზე, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, №4, 2015, 17.

⁶⁴ Goradze G., Separation of Powers According to the New Amendments to the Constitution of Georgia – Problems and Prospects, Bratislava Law Review, N1, 2019, 90.

⁶⁵ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 113.

სამართალი

საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების ნიშნები ქართულ საარჩევნო სამართალში

I. შესავალი

უკანასკნელი წლების ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოწვევად საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა იქცა. აღნიშნულს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული დავები და მიღებული გადაწყვეტილებები¹, განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკული დასკვნები ადასტურებს.

2015 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და კანონის წინაშე თანასწორობის უფლებასთან შეუსაბამობის საფუძვლით არაკონსტიტუციურად ცნო საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც სხვადასხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არათანაბარი რაოდენობის პირობებში ამომრჩეველთა ხმებს განსხვავებულ წონას ანიჭებდა, რის გამოც, განსხვავებული იყო ამომრჩეველთა შესაძლებლობები არჩევნების შედეგებზე გავლენის თვალსაზრისით.² საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალანსდა, თუმცა ცვლილებებმა მმართველი პარტიის მიმართ საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების თაობაზე ბრალდებები წარმოშვა.³ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საკანონმდებლო ცვლილებების მთავარ გამოწვევად საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა სახელდებოდა. კერძოდ, ისინი საზღვრების დადგენის ნათელი კრიტერიუმებისა და მომავალში საზღვრების გადახედვის პროცედურების განუსაზღვრელობაზე, პროცესის გაუმჭირვალეობასა და ინკლუზიურობის ნაკლებობაზე, ასევე, საარჩევნო ოლქების განსაზღვრისთვის მუნიციპალიტეტების გაყოფისა და გაერთიანების ბუნდოვან მეთოდზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ხელისუფლების მიმართ ორგანიზაციების მთავარი მოწოდება ხმების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო ოლქების დელიმიტაციასთან დაკავ-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი.

** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი.

¹ გონაშვილი ვ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კახიძე გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2020, 158.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 28.

³ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Joint Opinion on Amendments to the Election Code of Georgia as of 8 January 2016, CDL-AD(2016)003, Strasbourg, Warsaw, 14 March 2016, Par. 22.

შირებული კანონმდებლობის გადახედვა იყო,⁴ თუმცა, უარყოფითმა შეფასებებმა კანონმდებელი ცვლილებების საჭიროებაში ვერ დაარწმუნა.

მომდევნო ეტაპზე, საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების საკითხის განხილვამ საკონსტიტუციო სასამართლოში გადაინაცვლა. 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა დავა პარლამენტის მიერ საარჩევნო კოდექსით დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, მაგრამ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგან წარმოდგენილი მტკიცებულებები მანიპულაციის დასადგენად სარწმუნოდ ვერ მიიჩნია.⁵

ამჟამად საქართველოს პარლამენტში საყოველთაო-სახალხო განხილვის ეტაპზეა კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის შერეულ საარჩევნო სისტემას ადგენს. კონსტიტუციური კანონის პროექტი თავადვე განსაზღვრავს 30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებს.⁶ მათგან რამდენიმე ოლქის საზღვრები მანიპულირების ეჭვს აჩენს, თუმცა ამჯერად საკითხი უფრო მწვავედ დგას. მოცემულ შემთხვევაში, საარჩევნო გეოგრაფია საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა რჩება, რადგან კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს.⁷ აღნიშნული უფრო ამძაფრებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ დადგენილი პრაქტიკიდან გადახვევა და კონსტიტუციური კანონით საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა, შესაძლოა, კონკრეტული პოლიტიკური პარტიისთვის სარგებლის მოტანის მიზანს ატარებდეს.

სტატიის მიზანია თანასწორი საარჩევნო უფლების მიზნებისთვის საარჩევნო გეოგრაფიის და მისით მანიპულირების თეორიული გააზრება, საარჩევნო საზღვრებზე საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევების იდენტიფიცირება და პარლამენტში ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტით საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების ნიშნების შეფასება.

II. საარჩევნო გეოგრაფიის როლი თანასწორი საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის

დემოკრატიულ სახელმწიფოში სახალხო წარმომადგენლობის იდეის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას არჩევნები ქმნის.⁸ „ხალხის მმართველობის“ შექმ-

⁴ იქვე, Paras. 13, 20-25; დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი, საბოლოო ანგარიში, ვარშავა, 3 თებერვალი, 2017, 2, 10.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 38.

⁶ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, N07-3/443, 11.03.2020.

⁷ იხ., Gegenava D., Unconstitutional Constitutional Amendment: Three Judgments from the Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, N4-2015, 396-405.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2.

ნა, უპირველეს ყოვლისა, სამართლიან საარჩევნო პროცესს მოითხოვს. არჩევნების სამართლიანობა კი მიიღწევა, როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობის რეალური საშუალება მათ მიერ საყოველთაო, თავისუფალი, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით და საყოველთაო პრინციპის – „ერთი ადამიანი, ერთი ხმა“ – გამოყენებით.⁹ აღნიშნული საარჩევნო პრინციპები მთელ საარჩევნო პროცესში მოქმედებს და მხოლოდ კენჭისყრის დღით არ შემოიფარგლება.

ამასთან, სახალხო წარმომადგენლობა საარჩევნო უფლების ფორმალური აღიარებით, ცხადია, ვერ მიიღწევა. ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობისა და წარმომადგენლებისთვის ლეგიტიმაციის გადაცემის იდეა პარადოქსულ სახეს მიიღებს, თუ მოქალაქეებს არჩევნებზე თანაბარი წვდომისა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე თანაბარი გავლენის მოხდენის რეალური შესაძლებლობა არ ექნებათ.¹⁰ ეს უკანასკნელი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების საარჩევნო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამონევეა გახდა. ამომრჩეველთა წარმომადგენლობის აბსოლუტური სიზუსტით უზრუნველყოფა, პრაქტიკულად, შეუძლებლადაა მიჩნეული, თუმცა, დემოკრატიული სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ თანასწორი წარმომადგენლობა პლურალისტული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მიზანია, ამიტომ საარჩევნო კანონმდებლობა უთანასწორობის მინიმუმამდე შემამცირებელ მექანიზმებს უნდა ადგენდეს.¹¹

პრინციპის – „ერთი ადამიანი, ერთი ხმა“ – ბუნებრივი საწყისი წერტილი ამომრჩეველთა რიცხოვრივი თანასწორობაა,¹² თუმცა მხოლოდ მათემატიკური სიზუსტე ვერ იქნება თანასწორი არჩევნების მიზნებისთვის საკმარისი. თანასწორობა საარჩევნო პროცესში უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე ეს უბრალოდ საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რიცხოვრივი თანასწორობაა.¹³ ვენეციის კომისიის მიერ მიღებული „კოდექსი საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის შესახებ“ თანასწორობის პრინციპის ელემენტებად განიხილავს როგორც ამომრჩეველთა რიცხოვრივ თანასწორობას, ისე თანასწორობას არჩევნების შედეგებზე გავლენის თვალსაზრისით და შესაძლებლობათა თანასწორობას.¹⁴ ეს უკანასკნელი ამომრჩეველთა ხმების მოპოვების კონკურენციაში თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში თანაბარ შესაძლებლობებს მოითხოვს.¹⁵

⁹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Report on Constituency Delineation and Seat Allocation, CDL-AD(2017)034, Strasbourg, 12 December 2017, Par. 7.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 6.

¹¹ Gallagher M., Proportionality, Disproportionality and Electoral Systems, Electoral Studies, Vol.10, 1991, 33.

¹² Dixon G.R., One Man, One vote – What Happens Next? National Civic Review, Vol.60, 1971, 259.

¹³ Banzhaf J.F., Multi-Member Electoral Districts. Do They Violate the "One Man, One Vote" Principle, The Yale Law Journal, Vol.75, No.8, 1966, 1313.

¹⁴ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Code of Good Practice in Election Matters, Guidelines and Explanatory Report, CDL-AD (2002)23, Strasbourg, 30 October 2002, Par. 10.

¹⁵ BVerfGE 71, 81, 94.

ჩამოთვლილი სამივე ელემენტის რეალიზება პირდაპირ კავშირშია საარჩევნო ოლქების საზღვრების (საარჩევნო გეოგრაფიის) დადგენასთან, რადგან საარჩევნო საზღვრებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე. საერთაშორისო სტანდარტების¹⁶ თანახმად, საარჩევნო გეოგრაფიის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ოთხი ძირითადი პრინციპი:

- საზღვრის დამდგენი ორგანოს მიუკერძოებლობა;
- საარჩევნო ხმების თანაბარუფლებიანობა;
- წარმომადგენლობითობის დაცვა;
- დისკრიმინაციისათვის თავის არიდება.

საზღვრის დამდგენი ორგანოს მიუკერძოებლობა ნიშნავს, რომ საზღვრების დადგენის უფლებამოსილება უნდა დაეკისროს დამოუკიდებელ, არაპარტიულ და მიუკერძოებელ ორგანოს, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საარჩევნო ადმინისტრირების, გეოგრაფიის, კარტოგრაფიის, დემოგრაფიისა და სტატისტიკის სპეციალისტებით. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისა (თანაბარი რაოდენობით) და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვაც.

საარჩევნო ხმების თანაბარუფლებიანობა მოითხოვს, რომ ყოველი ამომრჩევლის ხმას ჰქონდეს თანაბარი „წონა“ საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენელთა არჩევის დროს, რაც იმ შემთხვევაში შესრულდება, თუ ქვეყნის მასშტაბით ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში მოსახლეობა თანაბარი რაოდენობით იქნება გადანაწილებული¹⁷. საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის განსაზღვრისას, ცხადია, აბსოლუტური სიზუსტის მიღწევა შეუძლებელია, თუმცა ნორმიდან გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, განსაკუთრებულ სიტუაციებში კი (თუ საქმე ეხება კომპაქტურად დასახლებულ უმცირესობებს ან მეჩხერად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს), არ უნდა გადააჭარბოს 15%-ს.¹⁸ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა უშვებს საარჩევნო ოლქებს შორის გარკვეულ თანა-

¹⁶ ჩამოყალიბებულია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის, ვენეციის კომისიის, ბრიტანულ ერთა თანამეგობრობის სამდივნოს, სამხრეთ აფრიკის საარჩევნო ინსტიტუტის რეკომენდაციებისა და დასკვნების საფუძველზე. იხ., *Challenging the Norms and Standards of Election Administration*, International Foundation for Electoral Systems – IFES, 2007, 59-74.

¹⁷ Brockmeyer, in: Schmidt-Bliebtreu/klein (Hrsg), *Kommentar zum Grundgesetz*, 9 Aufl., 1999 art. 38, Rdn. 10a.

¹⁸ ნორმიდან გადახრის მაჩვენებელი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, მაგ.: აშშ-ში კანონით „ფაქტობრივად არანაირი გადახრა“ არ არის დაშვებული; ნორმიდან 5%-იანი გადახრა დასაშვებია ახალ ზელანდიაში, ალბანეთში, ხორვატიაში, იემენში; 10%-იანი – ავსტრალიაში, აზერბაიჯანში, იტალიასა და უკრაინაში; 15%-იანი – სომხეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, ტაჯიკეთში; 20%-იანი – ზიმბაბვესა და პაპუა ახალ გვინეაში, 30%-იანი – სინგაპურში, *European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Report on Constituency Delineation and Seat Allocation*, CDL-AD (2017)034, Strasbourg, 12 December 2017.

ფარდობას, რომელიც, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საშუალოდ 10-15%-ს არ უნდა აღემატებოდეს.¹⁹

საარჩევნო ოლქებში ხმების თანაბარუფლებიანობის უზრუნველსაყოფად ქვეყნები განსხვავებულ მონაცემებს იყენებენ. საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის თანაბრობის მაჩვენებელი ყველაზე ხშირად ეფუძნება ქვეყნის მოქალაქეების, მუდმივად მაცხოვრებელი მოსახლეობის (არასრულწლოვანთა ჩათვლით), რეგისტრირებული ამომრჩევლების ან წინა არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების რაოდენობას.²⁰

წარმომადგენლობითობის დაცვა გულისხმობს, რომ საარჩევნო ოლქის საზღვრების დადგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრები, გეოგრაფიული თავისებურებები, სოციალური გარემო²¹, რაც უზრუნველყოფს საერთო ინტერესების მქონე ჯგუფების შესაბამის წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში.

დისკრიმინაციისათვის თავის არიდება მოითხოვს, არ მოხდეს კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობების ფრაგმენტირება და მათი გადანაწილება სხვადასხვა საარჩევნო ოლქში.

სახელმწიფოთა პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც მმართველი პოლიტიკური პარტიები ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებისადმი ერთგულებას არ იჩენენ და საარჩევნო გეოგრაფიას არა თანასწორი საარჩევნო უფლების მოთხოვნების, არამედ საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად განსაზღვრავენ. ამ მოვლენას საარჩევნო სამართლის სპეციალისტები ხშირად „ჯერიმანდერინგის“²² სახელწოდებით მოიხსენიებენ. „ჯერიმანდერინგი“ წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების საშუალებაა (იხ. ცხრილი) და პოლიტიკური


¹⁹ European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Code of Good Practice in Election Matters, Guidelines and Explanatory Report, CDL-AD (2002)23, Strasbourg, 30 October 2002, 2.2.IV.

²⁰ იხ. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის განმარტებითი ბარათი N07-3/520, 26.11.15.

²¹ Handley L., Challenging the Norms and Standards of Election Administration: Boundary Delimitation, Challenging the Norms and Standards of Election Administration, IFES, 2007, 66.

²² სიტყვა „ჯერიმანდერინგის“ წარმოშობა მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორის, დემოკრატიკული რესპუბლიკელი ელბრიჯ ჯერის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1812 წელს წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში რესპუბლიკელებისთვის სასარგებლო, თუმცა უცნაური ვიზუალის მქონე საზღვრების დამდგენ კანონპროექტს მოაწერა ხელი. რუკა ესექსში მრავალმანდატიანი ჩრდილოეთის და სამხრეთის ოლქების საზღვრებს გამოყოფდა. სწორედ სამხრეთის ოლქის უცნაურმა, დაკლაკნილმა ფორმამ და სხვადასხვა ჟურნალში რუკასთან ერთად გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა სტატიებმა განაპირობა შემდგომში მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი მხატვრის, ელკანა თისდეილის მიერ ბრჭყალების, ფრთებისა და დრაკონისებრი თავის მქონე ცხოველის სახით გამოხატული, უჩვეულო კონფიგურაციის მქონე, ჯერისეული ესექსის ოლქის ილუსტრაციის შექმნა. თავად სიტყვა „ჯერიმანდერინგის“ ავტორის თაობაზე ბევრი განსხვავებული მოსაზრება თუ ლეგენდა არსებობს. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნოდ ამერიკელი სპეციალისტები მიიჩნევენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, თისდეილის ილუსტრაციამ მნახველებში სალამანდრას (Salamander) ასოციაცია შექმნა, რის გამოც, ერთ-ერთმა მათგანმა გამოთქვა მოსაზრება, ელბრიჯ ჯერის როლის გათვალისწინებით, მისთვის „ჯერიმანდერი“ (Gerry-mander) ეწოდებინათ. იხ., Kenneth M.C., The Original Gerrymander, Political Geography, Vol. 27, 2008, 834-836.

პარტიის მიერ საარჩევნო გეოგრაფიით მანიპულირებას გულისხმობს.²³ კერძოდ, ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური პარტია ისეთ საარჩევნო ოლქებს ადგენს, სადაც გამარჯვება გარანტირებული ექნება მინიმალური უპირატესობით, სხვა პარტიების ელექტორატი კი თავმოყრილი იქნება ისეთ ოლქებში, სადაც მმართველი პოლიტიკური პარტია მნიშვნელოვანი უპირატესობით გაიმარჯვებს.²⁴



„ჯერიმანდერინგი“ სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. სპეცი-ალისტები გამოყოფენ რასობრივ ჯერიმანდერინგს, სადაც უმცირესობის ხმები დასუსტებული; პარტიულ ჯერიმანდერინგს, სადაც საარჩევნო საზღვრები კონკრეტული პოლიტიკური პარტიისა თუ ჯგუფისთვის სარგებლობის ან პირიქით, ზიანის მოტანის ინტერესით განისაზღვრება; თანამდებობრივ ჯერიმანდერინგს, რომელიც თანამდებობის პირთათვის უსაფრთხო ადგილების შექმნას გულისხმობს. ნებისმიერ შემთხვევაში, დასახული მიზნის მიღწევის ორი ძირითადი საშუალება არსებობს: ერთი პარტიის მხარდამჭერთა კონცენტრაცია ერთ ან რამდენიმე სა-არჩევნო ოლქში და პარტიის მხარდამჭერ ამომრჩეველთა გაბნევა სხვადასხვა ოლქში.²⁵ ორივე სახით მანიპულაცია ამომრჩეველთა კონკრეტულ ჯგუფს არჩე-ნებში თანასწორ საწყისებზე მონაწილეობის საშუალებას და არჩევნებზე რეალური გავლენის მოხდენის საშუალებას ართმევს. შესაბამისად, „ჯერიმანდერინგი“ მთლი-ანად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არჩევნების სამართლიანი შედეგების მიღწევას და საფუძველს აცლის სახალხო წარმომადგენლობის იდეას.

²³ Warrington S.G., A Comparison of Partisan-Gerrymandering Measures, Election Law Journal, Vol.18, 2019, 262.

²⁴ მაცაბერიძე მ., არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, 203.

²⁵ Beitz Ch. R., How is Partisan Gerrymandering Unfair? Philosophy & Public Affairs, Vol.46, 2019, 4.

III. საარჩევნო საზღვრებით მანიპულირებაზე საკონსტიტუციო კონტროლის გამონწვევები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ამერიკის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში²⁶

საარჩევნო უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის საარჩევნო საზღვრების მიუკერძოებლად და სამართლიანად განსაზღვრის მნიშვნელობის გააზრებისა და ამავდროულად, სახელმწიფოთა საარჩევნო პრაქტიკაში საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების მაგალითების სიმრავლის მიუხედავად, მათი გამოვლენა თანამედროვე სახელმწიფოთა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებისთვის საკმაოდ დიდი გამოწვევა გახდა.

2016 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა ორგანული კანონის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებს, აგრეთვე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას, განკარგულებით დაედგინა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ნაწილის საზღვრები. მოსარჩევეები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ გასაჩივრებული ნორმების საფუძველზე მისთვის ხელსაყრელი საარჩევნო გეოგრაფია შექმნა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ხმებით მანიპულირების გზით. კერძოდ, მოსარჩევეებს მოჰყავდათ რამდენიმე საარჩევნო ოლქის მაგალითი და აღნიშნავდნენ, რომ დელიმიტაციის პროცესში გადაჯგუფდა ოპოზიციის მიერ მოგებული/კარგი შედეგების მქონე უბნები და ოლქები იმგვარად, რომ გაბნეულიყო ოპოზიციური პარტიის ამომრჩეველი. ამასთან, მოსარჩევე მხარე მიუთითებდა საერთაშორისო რეკომენდაციებზე, რომლის თანახმად, საზღვრების დადგენის უფლებამოსილება კანონით მკაფიოდ განერილი კრიტერიუმების საფუძველზე მოქმედ დამოუკიდებელ კომისიას უნდა მიენიჭოს და ორგანულ კანონში არსებული ჩანაწერის – „საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს“ – ბუნდოვანებაზე ამახვილებდა ყურადღებას.

საარჩევნო კოდექსით დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოქების საზღვრების კონსტიტუციურობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო სისტემის ფორმირება პოლიტიკური პროცესის ნაწილად განიხილა და საკუთარი უფლებამოსილებიდან გამორიცხა არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის შესახებ მსჯელობა პოლიტიკური მიზანშეწონილობის კონტექსტში; ამავდროულად, მიუთითა, რომ, საკანონმდებლო ორგანოს ფართო მიხედულობის მიუხედავად, პოლიტიკური მოტივაცია და ნება არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის კრიტერიუმი ვერ იქნება. სასამართლომ იმსჯელა საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების პირდაპირ კავშირზე

²⁶ ქვეთავში მოხმობილი ინფორმაცია ეყრდნობა შემდეგ წყაროებს: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; Klein D., Marietta D., Scotus 2018, Major Decisions and Developments of the US Supreme Court, Vol. 10.1007/97.

ამომრჩევლის მიერ საარჩევნო პროცესზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენასა და საარჩევნო სუბიექტების მიერ არამართლზომიერი უპირატესობის მიღების საფრთხესთან და განმარტა, რომ საარჩევნო გეოგრაფიის საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა დატოვება არსებით საფრთხეს შეუქმნის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ არაერთ სიკეთეს. საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების საკითხის დადგენისთვის გამოსაყენებელ შესაძლო კრიტერიუმებად სასამართლომ დაასახელა საარჩევნო გეოგრაფიის შეცვლის დისკრიმინაციული მიზანი და ამგვარი შედეგის გამოწვევის პოტენციალი. სასამართლომ მაგალითის სახით მოიტანა რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებსაც განიხილავდა საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების გამოვლენისთვის შესაძლო გამოსადეგ კრიტერიუმებად, ესენია: მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების გადასინჯვის საჭიროება, თავსებადობა საარჩევნო გეოგრაფიის განსაზღვრის ძირითად პრინციპებთან, არჩევნების შედეგების მყარად ჩამოყალიბებული სტატისტიკა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერიმანდერინგის დადგენის მიზნებისთვის არასაკმარისად ჩათვალა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ორი არამოსაზღვრე ადმინისტრაციული ერთეულის, ვანისა და ხონის ერთ საარჩევნო ოლქად განსაზღვრის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, ასეთი გამონაკლისი შემთხვევის მრავლად არსებობას შეეძლო გაეჩინა მანიპულირების ეჭვი, თუმცა, ამ შემთხვევაში, მოსაზღვრეობის პრინციპი ირღვეოდა მხოლოდ ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქთან მიმართებით და ასეთი გადახვევის საჭიროება დასაბუთებული იყო ადმინისტრაციული საზღვრების ერთიანობის შენარჩუნების ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლომ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების მტკიცებისთვის ვარგის კრიტერიუმად, ასევე, არ მიიჩნია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, რადგან, მისი განმარტებით, ადგილობრივი არჩევნების ანალიზი არ იძლეოდა მკვეთრად გამოხატულ სურათს კონკრეტული გეოგრაფიული ერთეულის პოლიტიკური განწყობის შესახებ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების დამაჯერებელ მტკიცებულებად ვერ მიიჩნია, შესაბამისად, საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების გამოვლენის პრეცედენტი საქართველოში ვერ შეიქმნა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებით, ამერიკის უმაღლეს სასამართლოს ბევრჯერ მოუხდა საარჩევნო ოლქების საზღვრებით მანიპულირების თაობაზე დავის განხილვა, თუმცა, საარჩევნო სამართლის სპეციფიკისათა დიდი მოლოდინების მიუხედავად, პარტიული ჯერიმანდერინგის საფუძვლით საარჩევნო რუკის გაუქმების გადანყვეტილება სასამართლოს დღემდე არ მიუღია, რადგან მოსამართლეებისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა საარჩევნო საზღვრებით მანიპულაციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების დადგენა.²⁷

²⁷ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Report on Constituency Delineation and Seat Allocation, CDL-AD(2017)034, Strasbourg, 12 December 2017, Paras. 90, 91.

XX საუკუნის 80-იან წლებამდე პარტიული ჯერიმანდერინგის სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა აშშ-ში ბუნდოვანი იყო. 1986 წელს სასამართლომ განიხილა საქმე „დევისი ბენდიმერის წინააღმდეგ“, თუმცა პარტიული ჯერიმანდერინგის საკითხი ვერ გადაწყვიტა, რადგან ვერ ჩამოაყალიბა ტესტი, რომელსაც პარტიული ჯერიმანდერინგის გამოსავლენად გამოიყენებდა. სწორედ ხსენებული საქმის ეფექტი იყო ის, რომ 90-იან წლებში მსგავსი დავების მრავლად განხილვის მიუხედავად, ფედერალურ სასამართლოებს საზღვრების დამდგენი არცერთი გეგმა გაუუქმებიათ. 2004 წელს სასამართლომ განიხილა საქმე „ვანისი ჯუბილაირერის წინააღმდეგ“. საქმე ეხებოდა პენსილვანიის საარჩევნო რუკას, რომელიც რესპუბლიკელებმა 2001 წელს მიიღეს. მოსარჩევეების მტკიცებით, რესპუბლიკელებმა საარჩევნო საზღვრების რუკა ისე განსაზღვრეს, რომ დემოკრატები დაესუსტებინათ. მოსამართლე სკალიამ საქმესთან დაკავშირებით განმარტა: მისი აზრით, სასამართლო დევისის საქმეზე შეცდა, რადგან პარტიული ჯერიმანდერინგი იყო „პოლიტიკური საკითხი“, რომელიც სცდება სასამართლოს კომპეტენციას. ამასთან, სკალია ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა ცხადი სტანდარტი სასამართლოსთვის ჯერიმანდერინგის გამოსავლენად და გადასაწყვეტად. საქმის წარუმატებლობის მიუხედავად, იურისტებისა და მკვლევარებისთვის იმედისმომცემი გახდა მოსამართლე კენედის განსხვავებული აზრი. კერძოდ, ის სტანდარტის არარსებობის ნაწილში სკალიას აზრს იზიარებდა, თუმცა, პარტიულ ჯერიმანდერინგს სასამართლოს უფლებამოსილების მიღმა არსებულ „პოლიტიკურ საკითხად“ არ განიხილავდა და აღნიშნავდა, რომ სამომავლოდ, მეცნიერები და სამართლის მკვლევრები ასეთ სტანდარტს აუცილებლად აღმოაჩენდნენ.

2012 წელს პარტიული ჯერიმანდერინგი ცხადი გახდა, როდესაც შტატის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში დემოკრატებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს, თუმცა მანდატების უმრავლესობა, მათ ნაცვლად, რესპუბლიკელებმა მოიპოვეს. კერძოდ, დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების 51.4% მოიპოვეს, ხოლო რესპუბლიკელებმა – 48.6%. მიუხედავად ამისა, შტატის 99 წევრისგან შემდგარ საკანონმდებლო ორგანოში დემოკრატებზე 39 ადგილი განაწილდა, ხოლო რესპუბლიკელებზე – 60.²⁸ ვისკონსინში მცხოვრებმა დემოკრატიული პარტიის ამომრჩეველებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს და ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატიული პარტიის ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობის განზრახ მცირე რაოდენობის ოლქებში კონცენტრაციით, მათი ხმები დაიკარგა. ამასთან, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს ჯერიმანდერინგის გამოსავლენად ეფექტურობის სხვაობის (Efficiency Gap) სახელწოდებით ცნობილი მათემატიკური მექანიზმი წარუდგინა. მათი მტკიცებით, ეფექტურობის სხვაობა ასრულებდა კენედისეული სათანადო სტანდარტის დანიშნულებას, რადგან მას შეეძლო დაეთვალი და გამოეყვლინა „ჯერიმანდერინგის ზიანი“ პროცენტული მაჩვენებლის გამოყენებით, რომელიც ასახავდა საარჩევნო რუკის ეფექტს პარტიის მიერ დაკარგული ხმების რაოდენობაზე. კერძოდ, ეფექტურობის სხვაობა პარტიების დაკარგულ ხმებს შორის სხვაობის დათვლას შესაძლებელს ხდიდა. მოსარჩელეთა მტკიცებით, პარტიის

²⁸ იქვე, Par. 93.

ამომრჩეველთა ხმების არასამართლიანად დასუსტების შემთხვევაში, ამ კონკრეტული პარტიის დაკარგული ხმების რაოდენობა სხვა პარტიის დაკარგული ხმების რაოდენობაზე მეტი იქნებოდა.

მოსარჩელე მხარემ სასამართლოს ჯერიმანდერინგის გამოვლენის სამეტაპიანი ტესტი შესთავაზა. პირველ ეტაპზე, მოსარჩელე მხარეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხე, საარჩევნო საზღვრების რუკის მეშვეობით პარტიულ ჯერიმანდერინგს ისახავდა მიზნად. მეორე ეტაპზე, მათ, ასევე, უნდა დაედასტურებინათ, რომ საზღვრების დადგენის გეგმას არჩევნების შედეგებზე თვალსაჩინო პარტიული ეფექტი ჰქონდა, შემდეგ კი მოპასუხე მხარეს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, წარმოედგინა საპირისპირო მტკიცებულებები და დაემტკიცებინა, რომ პარტიის მიზანი ლეგიტიმური სახელმწიფო პოლიტიკიდან ან პოლიტიკური გეოგრაფიიდან გამომდინარეობდა. სხვა შემთხვევაში, გეგმა არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადებულიყო. შესაბამისად, ვისკონსინის საქმეში მტკიცების ტვირთი შტატს დაეკისრა და არა მოსარჩელეს. სასამართლოს მოწმის სახით წარედგინა პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორი, რომელსაც გენერალური ასამბლეისთვის საზღვრების გეგმის რამდენიმე ვერსია ჰქონდა წარდგენილი, მათ შორის, ყოველგვარი პარტიული მიზნებისგან თავისუფალი გეგმაც. მეორე მოწმემ, ასევე, პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორმა, სასამართლოს წარუდგინა გეგმის სიმულაცია 2%-იანი ეფექტურობის სხვაობით, მაშინ, როცა გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გეგმით 13%-იან ეფექტურობის სხვაობა იქნა მიღებული. საბოლოოდ, სასამართლომ მოპასუხე მხარის არცერთი არგუმენტი არ გაიზიარა და საარჩევნო საზღვრების გეგმა არაკონსტიტუციურად ცნო. მოპასუხე მხარემ საქმე უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა.

უმაღლესი სასამართლო ვისკონსინის საქმესთან ერთად, მერილენდის საქმის განხილვასაც დათანხმდა. ეს უკანასკნელი ვისკონსინის საქმისგან ორი ელემენტით განსხვავდებოდა: 1. მოსარჩელე მხარე იყო რესპუბლიკური პარტია და 2. გასაჩივრებული იყო არა მთლიანი გეგმა, არამედ შტატის დასავლეთ ნაწილში არსებული მე-6 ოლქის კანონიერება, სადაც რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერები იყვნენ კონცენტრირებულნი. საინტერესოა, რომ, განსხვავებით ვისკონსინის საქმისგან, მერილენდის საქმეზე სასამართლომ მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეს დააკისრა და არა შტატს. ამ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა შტატის „განსაკუთრებული მიზანი“ საზღვრების დადგენისას, საზღვრების ამგვარი დადგენის ეფექტი მოსარჩელის ხმის დასუსტებაზე, ასევე, პირდაპირი კავშირი შტატის მიზანსა და დამდგარ ზიანს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ ამ ორი საქმის საფუძველზე ჯერიმანდერინგის შეფასების სტანდარტის ჩამოაყალიბების დიდი მოლოდინი არსებობდა, უმაღლესმა სასამართლომ ვისკონსინის საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, ამის საფუძველად კი ის დაასახელა, რომ მოსამარჩელეებმა ვერ დაადასტურეს ყველა გასაჩივრებულ ოლქში ცხოვრების ფაქტი. იგივე ბედი ეწია მერილენდის საქმესაც. შედეგად, ჯერიმანდერინგის გამოვლენის სტანდარტმა კვლავ სპეციალისტთა

დამატებითი თეორიული დამუშავების ეტაპზე გადაინაცვლა და გაურკვეველი დროით გადაიდო. მიუხედავად ასეთი შედეგისა, საარჩევნო სამართლის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეფექტურობის სხვაობას უმაღლესი სასამართლო სამომავლოდ აუცილებლად ჩათვლის ჯერიმანდერინგის დადგენისთვის გამოსადეგ მექანიზმად.

IV. საარჩევნო საზღვრებით მანიპულაციის საფრთხე მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში

ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამა, ჯონ ადამსი პარლამენტს ხალხის მინიატურულ პორტრეტად განიხილავდა, რომელიც „უნდა ფიქრობდეს, გრძნობდეს, მსჯელობდეს და მოქმედებდეს, როგორც ხალხი“²⁹. აღნიშნული, საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე თითოეული ამომრჩევლის გავლენის მნიშვნელობას გამოკვეთს. თანაბარი გავლენა კი, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული საარჩევნო გეოგრაფიის სამართლიანად განსაზღვრაზე.

საარჩევნო კოდექსის მოქმედი რედაქცია მაჟორიტარული ოლქების ნაწილის საზღვრებს თავად ადგენს, ნაწილის დადგენის უფლებამოსილებას კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ანიჭებს.³⁰ ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მინიჭებულმა დისკრეციულმა უფლებამოსილებამ და საზღვრების დადგენის პროცესში სახელმძღვანელო კრიტერიუმების ორგანული კანონით განუსაზღვრელობამ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილის კრიტიკა დაიმსახურა.³¹


საქართველოს პარლამენტში 2020 წლის 11 მარტს, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით ინიცირებული იქნა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის შერეულ საარჩევნო სისტემას ადგენს. კერძოდ, პროექტის თანახმად, პარლამენტის 120 წევრი პროპორციული სისტემით, 30 წევრი კი მაჟორიტარული

²⁹ Farrell D.M., *Electoral Systems, A comparative Introduction*, New York, 2001, 11; Mclean I., *Forms of Representation and Systems of Voting*, in: *Political Theory Today*, Edited by D. Held, Cambridge, Polity Press, 1991, 173

³⁰ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლები – 110, 110¹.

³¹ იხ., დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი, საბოლოო ანგარიში, ვარშავა, 3 თებერვალი, 2017; European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), *Joint Opinion on Amendments to the Election Code of Georgia as of 8 January 2016*, CDL-AD(2016)003, Strasbourg, Warsaw, 14 March 2016; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სისტემით იქნება არჩეული. პროექტი თავადვე ადგენს 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებს³² (იხ. რუკა).



საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული კრიტიკული მოსაზრებები კანონმდებელს არც მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში გაუთვალისწინებია. საქართველოს პარლამენტის მორიგი, 2020 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის შეცვლამ, უფრო მეტად პროპორციული საარჩევნო სისტემისკენ გადახრის სურვილმა, 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქის საფუძველზე 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქის განსაზღვრის საჭიროება შექმნა. შესაბამისად, ოლქების გამსხვილების პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო, კანონმდებელს ეხელმძღვანელა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი, მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით, რათა გამორიცხულიყო ყოველგვარი ზეგავლენა საზღვრების დადგენის პროცესში. მიუხედავად ამისა, საარჩევნო გეოგრაფია კვლავ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის მოთხოვნების გვერდის ავლით განისაზღვრა, თუმცა, ამჯერად, საზღვრების კონსტიტუციური კანონით განსაზღვრამ საკითხი უფრო გაამწვავა და უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საარჩევნო გეოგრაფიის საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა დატოვებით კონსტიტუციით აღიარებულ არაერთ სიკეთეს შეიძლება შეექმნას საფრთხე.³³ კონსტიტუციური კანონ-

³² საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, N07-3/443, 11.03.2020.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15.

ნის პროექტი ამ საშიშროებას რეალურს ხდის. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია წინასწარ კონტროლს კონსტიტუციური კანონის პროექტზე არ ითვალისწინებს. შემდგომ კონტროლზე კი საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე სამჯერ თქვა უარი,³⁴ რადგან, სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი კონსტიტუციური კანონი, თავად კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“, ხოლო „საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია შემოიფარგლება საქართველოს კონსტიტუციაზე იერარქიულად ქვემოთ მდგომი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებით“³⁵. პირველი ეჭვი საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების შესაძლო მიზანთან დაკავშირებით, სწორედ აქ ჩნდება – გაუგებარია, რა უნდა ყოფილიყო კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორთა მოტივაცია პრაქტიკის რადიკალურად შეცვლისა და საარჩევნო საზღვრების კონსტიტუციური კანონით განსაზღვრის დროს, თუ არა საარჩევნო საზღვრების კონსტიტუციურობის შემოწმებისგან თავის არიდება.

მეორე მნიშვნელოვანი ნიშანი, რომელიც საარჩევნო საზღვრებით შესაძლო მანიპულაციაზე მიუთითებს, კონკრეტული მუნიციპალიტეტების საზღვრების გამორჩეულად სპეციფიკურად განსაზღვრაა. მაგალითის სახით შესაძლოა განვიხილო იქნეს ხელვაჩაურის და რუსთავის მუნიციპალიტეტები (იხ. ცხრილი 2), სადაც ოპოზიციის მხარდაჭერა 2016 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდებოდა სხვადასხვა სახის (საპარლამენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის და საპრეზიდენტო) არჩევნებზე. შესაბამისად, ამ ორი მუნიციპალიტეტის საზღვრების სპეციფიკურად განსაზღვრა შესაძლოა მიუთითებდეს მმართველი პოლიტიკური პარტიის სურვილზე, ერთ შემთხვევაში, მოახდინოს საკუთარი ამომრჩევლის კონცენტრირება მისთვის შედარებით სუსტი მხარდაჭერის მქონე ოლქში, მეორე შემთხვევაში კი, გააბნოს ოპოზიციური პარტიის ამომრჩეველი, რათა მათ ზეგავლენა არ მოახდინონ ოლქში არჩევნების შედეგებზე. მაგალითად, რუსთავის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ოლქი მსხვილდება – მასში ხდება საკუთარი ამომრჩევლის კონცენტრირება „ამომრჩევლის განწყობების დასაბალანსებად“. სწორედ ამაზე მეტყველებს მუნიციპალიტეტისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის და თბილისიდან კრწანისის ტერიტორიის ნაწილის დამატება. ხელვაჩაურის შემთხვევაში კი ხდება ამომრჩეველთა გაბნევა, რაც გამოსატყუალია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილის ქობულეთის და ზემო აჭარის მუნიციპალიტეტებისთვის მიერთებით.³⁶

³⁴ პაპაშვილი თ., გეგენავა დ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი ნორმატიული მონესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, თბილისი, 2015, 62-63.,

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბერის N1/3/523 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3-4.

³⁶ იხ., საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შემტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შემტანის თაობაზე“, მუხლი 21, მე-4, პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

პოლიტიკური პარტიები	არჩევნების შედეგების მაჩვენებელი სხვადასხვა სახის არჩევნებში								
	საპარლამენტო არჩევნები			ადგილობრივი არჩევნები			პრეზიდენტის არჩევნები		
	პრაიორიული საქართველო	რუსთავი	ხელვაჩაური	პრაიორიული საქართველო	რუსთავი	ხელვაჩაური	პრაიორიული საქართველო	რუსთავი	ხელვაჩაური
ევროპული საქართველო	–	–	–	156 232	4 981	1 927	174 849	4 688	2 298
თავისუფალი დემოკრატები	81 464	1 225	626	–	–	–	–	–	–
პატრიოტთა ალიანსი	88 097	1 712	1 389	98 530	2 240	1 548	–	–	–
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ზურაბაძე	477 053	7 818	6 972	256 547	7 432	4 846	601 224	21 775	8 574
							780 680	28 349	10 689
დემოკრატიული მოძრაობა	62 166	865	2 024	38 898	763	823	–	–	–
ლეიბორისტული პარტია	5 208	1 128	784	49 130	1 191	–	59 651	2 596	805
ქართული ოცნება	856 638	11 275	10 273	838 154	19 910	9 722	780 680	11 242	8 661
							1 147 701	26 689	16 048

აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი თავისთავად გულისხმობს გარკვეული რაოდენობის ამომრჩეველთა ხმების „დაკარგვას“. ამასთან, ამერიკული „ეფექტურობის სხვაობის“ მიხედვით მსჯელობით, საარჩევნო გეოგრაფიით მანიპულირების გზით შესაძლებელია „დაკარგული“ ხმების გაზრდა, შემცირება ან/და სხვაგვარი ბალანსის დადგენა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ. ცხადია, კონსტიტუციური კანონის პროექტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ჩატარებული არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე, შეუძლებელია „ეფექტურობის სხვაობის“ გამოთვლა, საარჩევნო საზღვრებით მანიპულირებასა და პარტიის მიერ დაკარგულ ხმებს შორის კონკრეტული ზღვრის გავლება და არჩევნების შედეგებზე „პარტიული ეფექტის“ გამოკვეთა. მიუხედავად ამისა, ზემოთ განხილული ნიშნები ქმნის საფუძვლიან ეჭვს იმისა, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია საარჩევნო საზღვრების კონსტიტუციური კანონით დადგენის გზით შესაძლოა პარტიულ ჯერიმანდერინგს ისახავდეს მიზნად.

V. დასკვნა

საარჩევნო რეფორმა დიდი ხანია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დღის წესრიგში უცვლელად დგას. მიუხედავად რეფორმების რამდენიმე ტალღისა, საარჩევნო პროცესს კვლავ ბევრი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა აქვს, არჩევნების სამართლიანი შედეგების მიღწევა კი ჯერაც შორეულ პერსპექტივად ისახება.

საერთაშორისო ორგანიზაციების მონოდეების მიუხედავად, კანონმდებელი რამდენიმე წელია უარს ამბობს საარჩევნო საზღვრების დადგენისთვის მხედველობაში მისაღები ზუსტი კრიტერიუმების განერაზე. კონსტიტუციური კანონით საარჩევნო გეოგრაფიის განსაზღვრა და შესაბამისად, საკითხის საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა დატოვება იმ პირობებში, როდესაც საარჩევნო ოლქების საზღვრები ჩამოყალიბებულია კონკრეტული კრიტერიუმებით ბოჭვის გარეშე, ყოველგვარი ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნების გვერდის ავლით, ცხადია, ქმნის იმის საფუძვლიან ეჭვს, რომ საარჩევნო საზღვრების დადგენა არა არჩევნების სამართლიანი შედეგების, არამედ კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის სასარგებლო

პირობების შექმნის მიზანს ატარებს. კონსტიტუციური კანონით ორი მუნიციპალიტეტის საზღვრების მიმართ გამოკვეთილი ბუნდოვანების წინა არჩევნების შედეგების ჭრილში განხილვამ აღნიშნული ეჭვი კიდევ უფრო გაამძაფრა.

მიუხედავად იმისა, რომ, კონსტიტუციური კანონის მიღების შემთხვევაში, საარჩევნო საზღვრების კონსტიტუციურობის თაობაზე დავა, პრაქტიკულად, უპერსპექტივოა, აუცილებელია, საკითხის განხილვამ აკადემიურ წრეებში გადაინაცვლოს, ამ ნაშრომმა კი საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტებს პროცესზე შემდგომი დაკვირვებისა და არჩევნების შედეგებზე საარჩევნო საზღვრების გავლენის დადგენის ამერიკული ფორმულის ქართულ საარჩევნო რეალობაში გამოცდის მოტივაცია შეუქმნას.

**უფლებამოსილებათა გაშიჯვნა ევროკავშირსა
და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის***

ინგლისურიდან თარგმნა გვანცა გუგეშაშვილმა**

1. შესავალი

ისტორიულად, ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებები, რომლებიც ლისაბონის ხელშეკრულებამდე არსებობდა, ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების საკითხს არ აწესრიგებდა. ამ მიმართებით, 2001 წელს ევროკომისიამ, ევროპული მმართველობის შესახებ თეთრ წიგნში მიუთითა, რომ ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა მკაფიოდ გამიჯვნის პრობლემა არსებობდა. ევროკომისია ხაზგასმით აღნიშნავდა შემდეგს: „საჭიროა გარკვეული პრინციპების არსებობა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების საკითხი“. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმისათვის, რათა პასუხი გაეცეს საზოგადოების მხრიდან ხშირად დასმულ კითხვას: „ვინ რას აკეთებს ევროპაში?¹ ევროკავშირის ფარგლებში ძალაუფლების გამიჯვნის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დარეგულირდა. კერძოდ, ევროკავშირის, როგორც სპეციფიკური მახასიათებლების მქონე კატეგორიის (*sui generis*), უნიკალურობა მის უფლებამოსილებაში გამოიხატება. კერძოდ, იმაში, რომ წევრი-სახელმწიფოები საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილს სწორედ მას გადასცემენ.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ფორმირება ფედერალური სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარების შედეგად მოხდა.² რობერტ შუტცის მოსაზრებით, ევროპული თანამეგობრობა, ირიბად, აღმასრულებელი ფედერალიზმის გერმანულ გაგებას ეფუძნება, რომლის თანახმადაც, ევროპული კანონმდებლობის შემუშავება თანამეგობრობის, ხოლო აღსრულება წევრი სახელმწიფოების მიერ ხდება.³ ამდენად, ლოგიკურია, რომ ევროპის ცალკეული ქვეყნებისთვის (რო-

* თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: Antun Marinac, Mirela Mezak Matijević, Jasmina Mladenović, *Division of Competences between the European Union and the Member State, EU and Comparative Law Issues and Challenges Series 3* (2019): 79-106.

** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მიშელ მუსხელის ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი.

¹ White Paper on European Governance, Commission of the European Communities, COM (2001) 428, Brussels, 25.7.2001, p. 24

² Lehmann. W, Attribution of Powers and Dispute Resolution in Selected Federal Systems, Working Paper, European Parliament, 2002, p. 1

³ Schittze, R., From Rome to Lisbon: Executive federalism' in the (new) European Union, Common market law review, Vol. 47, No. 5, 2010, p. 1424

გორიცაა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და შვეიცარია) უფლებამოსილებათა გამიჯვნა არ არის უცხო.

მოცემული ნაშრომი ეფუძნება ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირსა და ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და შვეიცარია) ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის კუთხით, არაერთი მსგავსება არსებობს.

2. მმართველობის სხვადასხვა ტერიტორიულ დონეებს შორის ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის ზოგადი მიმოხილვა

მმართველობითი უფლებამოსილებების ჰორიზონტალური გამიჯვნის (ცენტრალურ დონეზე დაყოფის) გარდა, არსებობს მმართველობითი უფლებამოსილებების ვერტიკალური გამიჯვნა (რომელიც ეხება ძალაუფლების გამიჯვნას სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე). ზვონიმირ ლაუჩი მმართველობითი უფლებამოსილებების ვერტიკალურ დაყოფაში მოიაზრებს „მალალ/ფართო“ და „დაბალ/ვინრო“ ტერიტორიულ ერთეულებს შორის (დანყებული ადგილობრივიდან, რეგიონული, ეროვნული და სუპრასახელმწიფოებრივი ერთეულების ჩათვლით) არსებულ ვერტიკალურ ურთიერთობებს.⁴ იგი მიიჩნევს, რომ კომპეტენცია არ არის საქმიანობა, იგი გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების უფლებაა, ანუ უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.⁵ მმართველობის ვერტიკალური დაყოფა, მმართველობის სხვადასხვა ტერიტორიულ დონეებს შორის საბაზისო ურთიერთობების განსაზღვრასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების სხვადასხვა დონისათვის უფლებამოსილების განსაზღვრას გულისხმობს.

აღნიშნული მიმართულებით, მეცნიერებმა დაინყეს თეორიების შემუშავება მრავალდონიანი მმართველობის შესახებ. მათი მოსაზრებით, ევროპული ინტეგრაცია არის იმ ერთობლივი გადანყვეტილებების შედეგი, რომელიც მიღებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ როგორც ეროვნულ დონეზე, ისე ევროპის მასშტაბით. გარდა ამისა, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ, ჩვეულებრივ, გადანყვეტილებები, რომლებიც მმართველობის ვერტიკალურ განაწილებას შეეხება, შედეგად ევროპული, ეროვნული და ადგილობრივი დონეების ურთიერთდაკავშირებას იწვევს. შესაბამისად, ევროკავშირისთვის უფლებამოსილებების გადაცემა აღარ შეიძლება აღიქმებოდეს როგორც თამაში ნულოვანი ჯამით. პირიქით, უნდა

⁴ Lauc, Z., Temeljni pojmovi lokalne samouprave, Lokalna samouprava: hrvatska i nizozemska iskustva, Hrvatski institut za lokalnu samoupravu Osijek i Interkerklijk Vredesberad Haag, Osijek, 2001, p. 32

⁵ Lauc Z., Odgovornost lokalne demokracije, u Ustavna demokracija i odgovornost, Okrugli stol odrian 22. studenoga 2012. u palai Akademije u Zagrebu, Knjiga 19, Hrvatska akademija znanosti i umjetnosti, Znanstveno vijeće za driavnu upravu, pravosude i vladavinu prava, Zagreb, 2013, p. 104

გამოინახოს გზები იმ ურთიერთდამოკიდებული ამოცანების გასახორციელებლად, რომლებიც ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილებას სცდება.⁶

ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნაში იგულისხმება ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნა ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის. განხილვა იხილეთ ქვემოთ.

3. უფლებამოსილებათა გამიჯვნა ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით

ევროკავშირი ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზეა მოწყობილი. აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ხელისუფლების ორ სხვადასხვა დონეს შორის უფლებამოსილებათა კონსტიტუციით გარანტირებულ გამიჯვნას. ამგვარი დაყოფის შემთხვევაში, საჭიროა საკმაოდ რთული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, გადასაწყვეტია ესა თუ ის საკითხი უნდა დარეგულირდეს ეროვნულ თუ ევროპულ დონეზე.

ევროკავშირი წევრი სახელმწიფოების მიერ უფლებამოსილების გადაცემა/დათმობის პრინციპზეა აგებული. აღნიშნულ პრინციპს შეიცავს ევროკავშირის ხელშეკრულების პირველი მუხლი, რომლის თანახმადაც, წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან აფუძნებენ ევროპულ კავშირს, რომელსაც ისინი გადასცემენ უფლებამოსილებებს საერთო მიზნების მისაღწევად. ამ გზით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიზღუდეს საკუთარი ავტონომია, გადასცეს რა ევროკავშირს გარკვეული სფეროების რეგულირების უფლებამოსილება.

საშა გარბენი და ინგე გოვერი თავიანთ ნაშრომში სახელწოდებით – „უფლებამოსილებათა გამიჯვნა ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის“, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებათა დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების „მოლაპარაკების ხელოვნების“ გამომხატველი ფაქტორი. აღნიშნულზე მეტყველებს ის, რომ ამგვარი დაყოფის მეშვეობით განისაზღვრება ევროკავშირის უფლებამოსილების ფარგლები და იზღუდება წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება. ზემოხსენებული ავტორების მოსაზრებით, ევროკავშირის, როგორც საკავშირო სახელმწიფოს ბუნება, აგრეთვე, წევრი სახელმწიფოების იდენტობა, სწორედ უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხის მიხედვით განისაზღვრება.⁷

ბრანკო სმერდელის მოსაზრებით, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება საკონსტიტუციო მნიშვნელობის საკითხია.⁸ მსგავსი არგუმენტი მოჰყავს არსენ ბრაშიჩსაც. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ არის სახელმწიფო და უნიკალური სახის საერთაშორისო

⁶ Benz, A.; Zimmer, C., The EU' competences: The 'vertical perspective on the multilevel system, Living Reviews in European Governance, Vol. 5, No. 1, 2010., p. 18

⁷ Garben, S., Govaere, I., The division of competences between the EU and its member states, Oxford: Hart Publishing, 2017, Modern studies in European law, 2017., p. 1

⁸ Smerdel, B., Ustavno uredenje europske Hrvatske, Official Gazette, Zagreb, 2013, p. 224

ორგანიზაცია, ევროკავშირის საკონსტიტუციო სამართლისთვის არ არის უცხო კლასიკური სახელმწიფო ფუნქციების ნაწილობრივი გადაცემა.⁹

ლისაბონის ხელშეკრულება არის მბოჭავი ძალის მქონე ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელიც დღემდე ძალაშია და რომელსაც ეფუძნება ევროკავშირი.¹⁰ იგი შედგება ევროკავშირის ხელშეკრულებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებისაგან. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში გარკვეული ცვლილებებია შეტანილი. დღესდღეობით ძალაშია ევროკავშირის ხელშეკრულებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ის ვარიანტები, რომელთა გადასინჯვაც 2016 წელს მოხდა.¹¹

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების პირველი თავის სათაურია: „კავშირის უფლებამოსილების კატეგორიები და სფეროები“. ხელშეკრულების მოცემული თავის მიხედვით, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება ხდება შემდეგნაირად:

- ევროკავშირის ექსკლუზიური უფლებამოსილება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლი);
- ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების ერთობლივი უფლებამოსილება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლი);
- წევრი სახელმწიფოების ქმედებების ხელშემწყობი, მაკოორდინირებელი ან დამატებითი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლი).

ზემოაღნიშნულის გარდა, ლისაბონის ხელშეკრულება აღიარებს:

- წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებას, რომელიც განსაზღვრულია ზოგადი დებულებებით;
- ევროკავშირის ფუნქციონირებას, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებს მიღმა.

3.1. ევროკავშირის ექსკლუზიური უფლებამოსილება

ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში იგულისხმება ევროკავშირის უფლებამოსილება, მიიღოს და შეიმუშავოს მბოჭავი ძალის მქონე სამართლებრივი აქტები. წევრ-სახელმწიფოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ ამგვარი აქტების მიღება, თუკი არსებობს ევროკავშირის ნებართვა ან თუკი ამ აქტების მიღების მიზანი ევროკავშირის აქტების იმპლემენტირებაა (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-2(1) მუხლი). ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში

⁹ Baid; A., *Ustavno pravo Republike Hrvatske, Praktikum, Pravni fakultet Sveučilista u Splitu*, 2010, p.559

¹⁰ Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007, Official Journal C 306 of 17 December 2007

¹¹ Consolidated versions of the Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union, Official Journal of the European Union, C 202, Volume 59, 07.06. 2016

შემავალ საკითხებზე გადანყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ ევროკავშირს აქვს. მაშინაც კი, როდესაც ევროკავშირს ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადანყვეტილება არა აქვს მიღებული, წევრ სახელმწიფოებს საკითხის დამოუკიდებლად გადანყვეტის უფლება არ გააჩნიათ. ექსკლუზიური უფლებამოსილების სფეროებს განეკუთვნება: საბაჟო კავშირი, შიდა ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭირო კონკურენციის წესების განსაზღვრა, მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრა იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომელთა ვალუტაც არის ევრო, საერთო თევზის სარეწების/საბადურების პოლიტიკის ფარგლებში, საზღვაო ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია და საერთო სავაჭრო პოლიტიკა (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3 (1) მუხლი).

უფლებამოსილების სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა იმთავითვე გულისხმობდა, რომ აღნიშნულ კატეგორიათა ფარგლების დადგენა პრობლემური იქნებოდა. ამგვარი პრობლემა შეიძლება წარმოიშვას ექსკლუზიური და შერეული უფლებამოსილების გამყოფი ხაზების დადგენისას. მაგ., გაურკვეველია კონკურენციის წესებისა და შიდა ბაზრის ურთიერთმიმართების საკითხი, ვინაიდან კონკურენციის წესები ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში შედის, ხოლო შიდა ბაზარი შერეული უფლებამოსილების რეგულირების სფეროა.¹²

ევროკავშირის ექსკლუზიური უფლებამოსილება მის საგარეო კომპეტენციასაც უკავშირდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჰოფმაისტერი ხაზგასმით აღნიშნავს, – ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2(1) მუხლის შინაარსში იგულისხმება, რომ წევრი სახელმწიფოები აღარ არიან უფლებამოსილნი, იმოქმედონ ევროკავშირის ექსკლუზიური პოლიტიკის სფეროში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ეს უფლება ევროკავშირისგან აქვთ მინიჭებული. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის სამართალი შეიცავს მკაცრ მითითებას იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის ექსკლუზიური საგარეო უფლებამოსილების სფეროში, ევროკავშირის ინსტიტუტების ან წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ევროკავშირის მიერ განხორციელებულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მხოლოდ ევროკავშირს აქვს ამ სფეროში სამართებრივი უფლებამოსილება და მხოლოდ მას შეუძლია საერთაშორისო ხელშეკრულების პოტენციური დარღვევის აღმოფხვრა.¹³

3.2. ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების საერთო უფლებამოსილება

საერთო უფლებამოსილების სფეროში, მბოჭავი ძალის მქონე სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და მიღების უფლება როგორც ევროკავშირს, ისე წევრ სახელმწიფოებსაც აქვთ. წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირს თავისი უფლებამოსილება არ განუხორ-

¹² Craig, P., *The Lisbon Treaty Law, Politics and Treaty Reform*, Oxford University Press, 2010, p. 159-161

¹³ Hoffmeister, E, *Litigating against the European Union and Its Member States - Who Responds under the ILC Draft Articles on International Responsibility of International Organizations?* *The European Journal of International Law* Vol. 21, No. 3, @ EJIL 2010, p 743

ციელებია. გარდა ამისა, ნევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება ვრცელდება ისეთ საკითხებზე, რომლებზეც ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, შეწყვიტოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-2(2) მუხლი). აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ნევრ სახელმწიფოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ კონკრეტულ სფეროში მოქმედება, როდესაც ევროკავშირი უარს ამბობს მოცემულ სფეროში მოქმედებაზე. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთკავშირს, ვინაიდან ევროკავშირი უფლებამოსილია, მიიღოს ცალკეული სამართლებრივი აქტები, რომელთა იმპლემენტირებაც ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ.

ევროკავშირისა და ნევრი სახელმწიფოების საერთო უფლებამოსილებებში შედის: შიდა ბაზარი, სოციალური პოლიტიკა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობა, სოფლის მეურნეობა და თევზის რეწვა საზღვაო ბიოლოგიური რესურსების დაცვის გამოკლებით, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ტრანსპორტი, ტრანსევროპული ქსელები, თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სფერო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლი).

ყველაზე მეტი სირთულე სწორედ საერთო უფლებამოსილების სფეროში წარმოიშობა, ვინაიდან ზოგჯერ ძნელია დადგინდეს, თუ ვის კომპეტენციას განეკუთვნება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა, – ევროკავშირის თუ მისი ნევრი სახელმწიფოების. უფრო მეტიც, საერთო უფლებამოსილების გამიჯვნა იმისდამხედვით ხდება თუ რა საკითხის გადაწყვეტაა საჭირო: მაგალითად, როდესაც საქმე ეხება შიდა ბაზარს, როგორც კი ევროკავშირი დაიწყებს მოქმედებას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, იგულისხმება, რომ კონფლიქტის შემთხვევაშიც მას მოქმედების უფლებამოსილება აქვს. ხოლო თუ ევროკავშირი უარს იტყვის მოქმედებაზე, მაშინ ნევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებამოსილება განახორციელონ.¹⁴

საერთო უფლებამოსილების სფეროში, ევროკავშირი, ნევრ სახელმწიფოებთან შედარებით, უპირატესობით სარგებლობს. ევროკავშირს აღნიშნული უპირატესობით სარგებლობა მხოლოდ სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლია. სუბსიდიარობის პრინციპის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5(3) მუხლი პირველი წინადადებაა, რომლის მიხედვითაც იმ სფეროებში, რომლებიც არ ხვდება მისი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, ევროკავშირი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნევრი სახელმწიფოები ვერ ახერხებენ დასახული მიზნის მიღწევას ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე შეთავაზებული ღონისძიებების მეშვეობით და გამიზნული ქმედების მასშტაბიდან ან შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი უკეთ განხორციელება ევროკავშირის დონეზე.

¹⁴ Foster, N., *Eu Law Directions*, Oxford University Press, Oxford, 2016, p 79

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5(3) მუხლში მოკლედ არის გადმოცემული სუბსიდიარობის პრინციპის გასახორციელებლად საჭირო „ორმაგი ტესტის“ შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს. არსებობს პრეზუმფცია, რომ საერთო უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკითხებზე უპირატესობით სარგებლობენ წევრი სახელმწიფოები მანამდე, სანამ ეს ვარაუდი არ გაქარწყლდება „ორმაგი ტესტის“ მეშვეობით. ორმაგი ტესტის პირველი საფეხურია „საკმარისობის ტესტი“, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირს უფლება აქვს, იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იქიდან გამომდინარე, როდესაც შეთავაზებული ქმედებით დასახული მიზნის საკმარისად მიღწევა წევრი სახელმწიფოების მხრიდან შეუძლებელი იქნება. ორმაგი ტესტის მეორე საფეხურია „დამატებითი სარგებლიანობის ტესტი“, რომელიც გულისხმობს, რომ გამიზნული ქმედების მასშტაბიდან ან შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი უკეთ განხორციელება ევროკავშირის დონეზე. ორივე ტესტი კუმულაციურია და „საკმარისობის ტესტი“ „დამატებითი სარგებლიანობის ტესტის“ აუცილებელი ნინაპირობაა.¹⁵

სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით განისაზღვრება, ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის რომელს ექნება გადაწყვეტილების მიღების უფლება. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, აქვს თუ არა ევროკავშირს მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება და მეორე, ზედმიწევნით ახორციელებს თუ არა იგი თავის უფლებამოსილებას.¹⁶

ევროკავშირმა, სუბსიდიარობის პრინციპთან ერთად, უნდა დაიცვას პროპორციულობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის ქმედების შინაარსი და ფორმა არ უნდა აჭარბებდეს იმას, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5(4) მუხლი).

ტრადიციულად, ფედერაციულ სისტემებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია საერთო მარეგულირებელი უფლებამოსილებების არსებობა, საკმაოდ ბევრი ურთიერთსანინააღმდეგო ნორმა გვხვდება. აქედან გამომდინარე, მმართველობის სხვადასხვა დონეს შორის კონფლიქტების წარმოშობის დიდი ალბათობა არსებობს. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირიც არ არის გამონაკლისი.¹⁷

3.3. წევრი სახელმწიფოების ქმედებების ხელშემწყობი, მაკოორდინირებელი ან დამატებითი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება

მოცემული უფლებამოსილების ფარგლებში, ევროკავშირი უფლებამოსილია, განახორციელოს წევრი სახელმწიფოების ქმედებების ხელშემწყობი, მაკოორდინირ-

¹⁵ Portues, A., The principle of subsidiarity as a principle of economic efficiency, Columbia Journal of European Law, Vol. 17, 2012., p. 244

¹⁶ Steiner, J., Woods, L., EU Law, 11th ed. Oxford University Press, Oxford, 2012, p. 56-57

¹⁷ Van Cleynenbreugel, P., Sharing powers within exclusive competences: Rethinking EU Antitrust Law Enforcement,

CYELP, Vol. 12, 2016, pp. 49-79, p. 69

რეგული ან დამატებითი ქმედებები ოღონდ იმ პირობით, რომ ევროკავშირის მხრიდან არ მოხდება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციათა ჩანაცვლება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-2(5) მუხლი). მოცემული კომპეტენციის მიხედვით, მარეგულირებელი ურთიერთობები კვლავაც წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილების სფეროში რჩება.

ხელშემწყობი, მაკოორდინირებელი ან დამატებითი ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება მოიცავს შემდეგ სფეროებს: ადამიანთა ჯანდაცვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მრეწველობა, კულტურა, ტურიზმი, განათლება, პროფესიული მომზადება, ახალგაზრდობა, სპორტი, სამოქალაქო თავდაცვა და ადმინისტრაციული თანამშრომლობა.

უფლებამოსილებათა კატეგორიებად დაყოფისას რთულდება მათ შორის არსებული ზღვრის დადგენა. ასე, მაგალითად, გასარკვევია რომელი უფლებამოსილების ფარგლებში ექცევა მედიის რეგულირება: შიდა ბაზრის, რომელიც საერთო უფლებამოსილების სფეროა თუ კულტურის, რომელშიც მხოლოდ ხელშემწყობი და სხვა ქმედებები დაიშვება. კიდევ უფრო რთულია იმის გარკვევა, სოციალური პოლიტიკის რომელი ასპექტები ხვდება საერთო კომპეტენციის ფარგლებში და რომელი შედის უფლებამოსილებათა ზემოაღნიშნულ კატეგორიაში.¹⁸

3.4. წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება ზოგადი დებულებების მიხედვით

წევრ სახელმწიფოებს უნარჩუნდებათ იმ უფლებამოსილებათა განხორციელების უფლება, რომლებიც ხელშეკრულებით ევროკავშირს არ აქვს მინიჭებული (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 (2) მუხლის მეორე წინადადება). ამ სახელმწიფოებო დებულებიდან ჩანს, რომ წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება განისაზღვრება ზოგადი წესით. მათ კომპეტენციას განეკუთვნება ის საკითხები, რომლებიც პირდაპირ არ ეხება ევროკავშირს. მაგალითად, ევროკავშირში, პასუხისმგებლობა გადანაწილებისა და სტაბილიზაციისათვის საჭირო ზომების გატარებაზე წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ, ვინაიდან ევროკავშირში ფაქტობრივად არ არსებობს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური პოლიტიკა. ამავდროულად, ზოგიერთ ქვეყანას არ შეუძლია ეკონომიკის ნახალისება საპროცენტო განაკვეთის შემცირების მეშვეობით, ვინაიდან ეს ვალდებულება გადაცემულია ევროპული დონისთვის (ევროპის ცენტრალურ ბანკისთვის). წევრი სახელმწიფოები, გარკვეულწილად, ცდილობენ მოახდინონ მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება. თუმცა, ეს კოორდინაცია არ ემთხვევა ფედერაციული სახელმწიფოების, როგორცაა გერმანია და შვეიცარია, ცენტრალური ხელისუფლებების მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირების ღონისძიებებს.¹⁹

¹⁸ Craig, P., De Burca G., EU Law, Oxford University Press, Oxford, 2011., p. 86

¹⁹ Borzel, T. A.; Hosli, M. O., Brussels between Bern and Berlin: Comparative Federalism Meets the European Union, Governance, Vol. 16, No. 2, 2203, pp. 179-202, 188

3.5. ევროკავშირის მოღვაწეობა იმ სფეროებში, რომელიც არ ხდება მისი უფლებამოსილების ფარგლებში

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პოლიტიკის ფარგლებში, ევროკავშირის მოეთხოვება ამ ხელშეკრულებებით განსაზღვრული რომელიმე მიზნის მიღწევა, მაგრამ ამავე ხელშეკრულებებით მას ამ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია, ევროპის საბჭო, ევროკომისიის მიერ წარდგენილ წინადადებაზე, რომელზეც ევროპარლამენტის წინასწარი თანხმობა არსებობს, მიიღებს ერთსულოვან გადაწყვეტილებას სათანადო ზომების მიღების თაობაზე (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352(1)-ე მუხლი).

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლი, „რომელიც უფლებამოსილებათა მინიჭების პრინციპზე აგებული ინსტიტუციური სისტემის შემადგენელი ნაწილია, ვერ იქნება გამოყენებული ევროკავშირის უფლებამოსილების გაფართოების საფუძვლად. აღნიშნული ეხება ხელშეკრულების დებულებებიდან გამომდინარე ევროკავშირის უფლებამოსილების ფარგლებს როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად იმ დებულებებს, რომლებითაც განსაზღვრულია ევროკავშირის ამოცანები და საქმიანობა. აღნიშნული მუხლი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ისეთი დებულებების მიღებას, რომლებიც გამოიწვევს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე“²⁰. აღნიშნული პრეცედენტი ნახსენებია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ 42-ე დეკლარაციაში.²¹ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომა, ფართო გაგებით (ზემოაღნიშნულ მუხლთან მიმართებით), ემსახურება დელეგირებული უფლებამოსილების პრინციპის პატივისცემას. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული მუხლი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ევროკავშირის კომპეტენცია გავრცელდეს ხელშეკრულებაზე მთლიანად.

3.6. უფლებამოსილებათა განაწილებასთან დაკავშირებით ევროკავშირში მიღებული რეგულაციების გამოყენების ვალდებულება

ევროპულ კანონმდებლობას, რომელიც ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილებას ეხება, სავალდებულო და პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს ყველა წევრი სახელმწიფოს მიმართ.

კრეიგი და დე ბურკა აღნიშნავენ, რომ პირდაპირი ეფექტის დოქტრინა ფაქტობრივად ეხება ევროკავშირის ყველა სამართლებრივ აქტს, რომელთაც მბოჭავი ძალა აქვთ, იქნება ეს ხელშეკრულებები, მეორეული კანონმდებლობა თუ საერ-

²⁰ The role of the “Flexibility clause”: Article 352, [<https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/role-flexibility-clauseen.pdf>] Accessed 03.05.2019

²¹ Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union, Official Journal of the European Union, C 202, Volume 59, 07.06. 2016

თაშორისო შეთანხმებები. ამგვარად, ხსენებული ავტორები მინიშნებას აკეთებენ, რომ ყველაზე პრობლემური დირექტივებთან და საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებული საკითხებია.²² ტამარა კაპეტა და სინისა როდინი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის კანონმდებლობას პირდაპირი ეფექტი აქვს ნევრ სახელმწიფოებში და მისი გამოყენება ხდება ეროვნული სასამართლოების მიერ, ხოლო სასამართლოს გარეთ საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ.²³ ევროკავშირის სამართლებრივ სისტემაში, პირდაპირი ეფექტის დოქტრინა მომდინარეობს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან, რომელიც სათავეს იღებს 1963 წელს, ვან გენდ ენდ ლოოსის (Van Gend end Loos) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების მე-12 მუხლიდან გამომდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობის პირდაპირი ეფექტი და ამ მუხლით სამართალსუბიექტებს ენიჭებათ სუბიექტური უფლებები, რომელთა დაცვაც ეროვნულ სასამართლოებს ევალებათ.²⁴

ევროკავშირისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4(2) მუხლის მიხედვით, „ევროკავშირი პატივს სცემს ნევრ სახელმწიფოების თანასწორობას ხელშეკრულებების წინაშე და ეროვნულ იდენტობას, რომელიც განუყოფელ კავშირშია მათ ძირითად სტრუქტურებთან, პოლიტიკურ და საკონსტიტუციო, მათ შორის, რეგიონულ და ეროვნულ თვითმმართველობასთან. ევროკავშირი პატივს სცემს სახელმწიფოს ფუნდამენტურ უფლებამოსილებებს, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას, კანონის და წესრიგის დაცვას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას. კონკრეტულად, ეროვნული უსაფრთხოება თითოეული ნევრ სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება.“

4. უფლებამოსილებათა მინიჭების, სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპების კონტროლი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს ევროკავშირის საკანონმდებლო საქმიანობაზე. რაც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროპის სამართლებრივი სისტემა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, არასრულყოფილი და გაურკვეველი იყო. ამასთან, იგი კომპეტენციათა გამიჯვნის ზუსტ კრიტერიუმსაც არ შეიცავდა.²⁵ ტამარა კაპეტის მოსაზრებით, ევროკავშირში უფლებამოსილებათა ვერტიკალური განაწილების საკითხზე პასუხის გაცემას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და ევროკავშირის მართლმსაჯულების

²² Craig; De Burca, op.cit., note 18, p. 180

²³ (apeta, T.; Rodin, S., Osnove prava EU, II. izmijenjeno i dopunjeno izdanje, Narodne novine d.d., Zagreb, 2011, str. 29

²⁴ Case 26/62 NV Algemene Transport- en Expeditie Onderneming van Gend & Loos v Netherlands Inland Revenue Administration, ECR(English special edition) 1

²⁵ Rodin, M., Temeljna nadela koja odreduju odnos prava Europske unije i prava drzava članica, Hrvatska pravna revija, 2012, pp. 1-14, 5

სასამართლოსათვის ძალიან მგრძობიარე საკითხია.²⁶ კერძოდ, საქმე გვაქვს ევროკავშირის დონეზე არსებულ ახალ ფენომენტთან, როდესაც ევროკავშირი არეგულირებს ისეთ საკითხს, რომელიც სცდება მისი იურისდიქციის ფარგლებს და დავის საგანი ევროკავშირის აქტების ნამდვილობაა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე, ევროპის პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ მიღებულ აქტებთან დაკავშირებული სარჩელების წარდგენის საფუძველი კომპეტენციათა ფარგლების დარღვევა იყო.²⁷ ამასთან დაკავშირებით ტრებორ ჰართლი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამა თუ იმ გატარებული ღონისძიების გაბათილებას შეეხება, საფუძვლად იშვიათად უდევს კომპეტენციის არქონის მოტივი. პირიქით, სასამართლო ძირითადად მის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ სამართლებრივი აქტის მიღების პროდუცურა დარღვეულია, აქტი მიღებულია არასწორი სამართლებრივი საფუძვლით ან უფრო მაღალი სამართლებრივი ძალის მქონე ნორმის დარღვევით.²⁸ საკმაოდ ცნობილია საქმე – **Tobacco Products**,²⁹ რომელზეც სარჩელი ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე წარადგინა გერმანიამ და მოითხოვა დირექტივის გაუქმება, რომელიც ევროკავშირის მასშტაბით თამბაქოს პროდუქტების რეკლამირებასა და სპონსორობაზე ზოგად აკრძალვას ანესებდა. ამ საქმეზე სასამართლო დაეყრდნო განმარტებას, რომელიც საშუალებას აძლევდა გაერთიანებას, მიეღო თამბაქოს პროდუქტის შეფუთვასთან დაკავშირებული ზომები, რომლებიც თითქოს ნაკარნახევი იყო შიდა ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მოტივით (რისი გვერდითი ეფექტიც იყო სავაჭრო დინამიკის დარღვევა), მაგრამ რომლებიც შეიძლება ნავარაუდები იყოს, რომ ემსახურებიან არა ბაზრის ფუნქციონირების, არამედ ჯანმრთელობის დაცვის მიზანს (თუმცა, რომლის ჰარმონიაზაციაც ხელშეკრულებით აკრძალულია).³⁰ კერძოდ, ევროკავშირის, უფლებამოსილებათა მინიჭების პრინციპიდან გამომდინარე, არ გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებაზე. თუმცა, იგი უფლებამოსილია გაატაროს წამახალისებელი ღონისძიებები.

აღნიშნული კონცეფცია, შემდგომი წლების განმავლობაში, დაიხვეწა და განვითარდა. კერძოდ, გამოიკვეთა ექსკლუზიური და არაექსკლუზიური უფლებამოსილებების არსებობა, რომლებიც პირდაპირ არ იყო ნაგულისხმევი. როგორც კრამერის საქმიდან ჩანს, სასამართლომ ჩათვალა, რომ გაერთიანებას შეიძლება ჰქონდეს უფლებამოსილება, რომელიც პირდაპირ არ არის ნაგულისხმევი, მაშინაც კი, რო-

²⁶ Capeta, T., *Sudska zastita u Europskoj uniji nakon Lisabonskog ugovora*, in: *Reforma Europske Unije-Lisabonski ugovor*, Official Gazette, Zagreb, 2009, p. 101

²⁷ Periin, T., *Razgranitenje oviasti Europske unije i driava flanca*, in: *Reforma Europske Unije-Lisabonski ugovor*, Official Gazette, Zagreb, 2009, p. 219

²⁸ Hartley, T., *Temeji prava Europske zajednice: uvod u ustavno i upravno pravo Europske zajednice*, 2. hrv. izd. Rijeka, Pravni fakultet Sveučilista, 2004, p. 118

²⁹ Case C-376/98 *Germany v Parliament and Council (Tobacco Advertising I)* [2000]

³⁰ Periin, T., *Ima li Europska unija oviast regulirati privatno (posebice ugovorno) pravo?*, *Zbornik Pravnog*

fakulteta Zagreb, Vol. 62, No. 5-6, 2012, p. 1799-1822

დესაც ზოგადი წესების ჩამოყალიბება არ მომხდარა.³¹ თუმცა სასამართლომ, საკანონმდებლო ვაკუუმის ასაცილებლად, აღიარა, რომ იქამდე, სანამ გაერთიანება არ იყენებს თავის უფლებამოსილებას, წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება უწყვეტად (პარალელურად) მოქმედებს. გაერთიანების ექსკლუზიური უფლებამოსილება თავსებადი არ იყო გაერთიანების მიერ უბრალოდ ქმედების განხორციელების პოტენციალთან. აღნიშნული პარალელური კომპეტენცია გარდამავალი იყო და შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების იმ წესებთან, რომლებიც იმ დროისათვის მოცემული იყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლში (ამჟამად, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4(3) მუხლი). გარდა ამისა, ზემოხსენებული პარალელური კომპეტენცია წევრ სახელმწიფოთა კონკრეტული ვალდებულების საგანი იყო. ამ ვალდებულების თანახმად, წევრ სახელმწიფოებს ევალდებოდათ ერთმანეთის მიმართ არსებული ურთიერთობების კოორდინირება. აღნიშნული ვალდებულება ასახული იყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 116-ე მუხლში.³²

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილული დავების სიმრავლე, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს გარეშე ფაქტორებიდან, როგორცაა, მაგ., ევროკავშირის მასშტაბის გაზრდა ახალი წევრი სახელმწიფოების განწევრიანების შედეგად, ევროკავშირის უფლებამოსილების ფარგლების ეტაპობრივი, მაგრამ მუდმივი გაფართოება ახალ სფეროებზე გავრცელების შედეგად, ევროკავშირის მიერ შეტანილი სარჩელების თვალშისაცემი ზრდა, ევროკავშირის სამართლის აღსრულებასთან დაკავშირებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინტერესების მზარდი ერთობლიობა, ეროვნული სასამართლოების მეტ-ნაკლებად ერთობლივი მიდგომა, ევროკომისიის სურვილი წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ აღძრას მათ მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებული სარჩელები, ე.წ. “judicialisation”-ის ფენომენი (პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში სასამართლოს ინსტიტუტების უფრო მეტი ჩარევა) და სხვ. სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების მოცულობაზე ძალიან დიდ გავლენას არ ახდენს ისეთი შიდა ფაქტორები, როგორცაა მაგ., სარჩელის დასაშვებობის საკითხის მიმართ სასამართლოს ლიბერალური ან პირიქით, მკაცრი მიდგომა.³³

ტრევორ ჰართლი, ასევე, აღნიშნავს, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ჯერ კიდევ არ გაუუქმებია რეგულაცია, რომელიც სუბსიდიარობის პრინციპს ემყარება.³⁴

ზოგიერთი ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს, იცავს თუ არა ევროკავშირი უფლებამოსილებათა დადგენილ წესრიგს. ამასთან დაკავში-

³¹ Cases 3, 4, and 6/76 Kramer (n 11 above) [30]-[33]

³² Craig, P.; De Burca, G., *The evolution of EU law*, Oxford, Oxford University Press, 2nd edition 2011, p. 245

³³ Itzcovich, G., *The European Court of Justice as a Constitutional Court. Legal Reasoning in a Comparative Perspective*, SANT'ANNA LEGAL STUDIES, STALS RESEARCH PAPER Vol. 4, 2014, p. 12

³⁴ Hartley, op. cit., note 28, p. 117

რებით, იასნა ომეჩეკს მაგალითად მოჰყავს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც თითოეულ საქმეზე ამონმებდა წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხს. აღნიშნულ საქმეებზე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს, გაარკვიოს, ეყრდნობა თუ არა ევროპული ინსტიტუტების სამართლებრივი აქტები სუბსიდიარობის პრინციპს, უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე გადაცემული სუვერენული უფლებების ფარგლებში.³⁵ სასამართლოს ამგვარი მიდგომის მაგალითია ე.წ. ლისაბონის გადაწყვეტილება.³⁶ ამ გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირების აქტი შეესაბამება გერმანიის ფედერალურ კონსტიტუციას. ამავე გადაწყვეტილებაში წინა პლანზეა წამოწეული უფლებამოსილებათა მატებისა და ევროკავშირის ორგანოთა ქვედანაყოფებთან დაკავშირებული საკითხები. ამ კუთხით, სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია შეზღუდული ინდივიდუალური უფლებამოსილებების ძირითადი პრინციპის დაცვა, რომელიც წევრი სახელმწიფოების კონტროლის საგანია. გადაწყვეტილებაში, ასევე, მითითებულია, რომ საკონსტიტუციო იდენტობა, როგორც ხალხთა დემოკრატიული თვითგამორკვევის განუყოფელი ელემენტი, ფედერალური კონსტიტუციითაა დადგენილი (23-ე მუხლის პირველი პარაგრაფი, 79-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი). ამიტომ აუცილებელია, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დააკვირდეს ევროკავშირის თანამედროვე სამართლებრივ აქტებს და გაარკვიოს, მათი შემდეგობით ევროკავშირი ხომ არ აჭარბებს უფლებამოსილების ფარგლებს.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთი უფლებამოსილება ეროვნულ მთავრობებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტაა (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-19 მუხლი). აქედან გამომდინარე, სასამართლოში ყველაზე მეტად შედის სარჩელები პირდაპირ წევრი სახელმწიფოების (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 258-ე მუხლი) ანდა პირდაპირ ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 263-ე მუხლი).

პოლონეთის რესპუბლიკამ სარჩელი შეიტანა ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს წინააღმდეგ (საქმე C-358/14). ევროკავშირის დონეზე, არაერთი დებულებაა მიღებული თამბაქოს და მასთან დაკავშირებული პროდუქტის ევროპის შიდა ბაზარზე წარმოება, შეტანასა და გაყიდვასთან დაკავშირებით. ეს დებულებები, ასევე, მოცემულია ევროკავშირის N2014/40 დირექტივაში. ამ დირექტივის საფუძველზე ევროკავშირის კანონმდებლობით იკრძალებოდა ევროპის შიდა ბაზარზე მენტოლიანი სიგარეტის გაყიდვა. 2014 წლის 22 ივლისს, პოლონეთის რესპუბლიკამ აღნიშნული დირექტივის გაუქმების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს წინააღმდეგ. პოლონეთმა დაარღვია

³⁵ Omejec, J., Veliki njemacki ustav i nepromjenjiva ustavna nadela u praksi Saveznog ustavnog suda, 2016., [https://bib.irb.hr/datoteka/792156.OMEJEC_-_GRUNDGESETZ_-_ZbornikPRAVOIPRAVDA_2015_PFBgd.pdf] Accessed 03.03.2019

³⁶ BverfGE 123, 267-Lisbon Decision (Lisabon-Urteil)

სუბსიდიარობის პრინციპი, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ზემოაღნიშნული აკრძალვის დანესების საკითხი ნევრი-სახელმწიფოების გარკვეული ჯგუფის მიერ იყო გადასაწყვეტი. კერძოდ, პოლონეთი მიიჩნევა, რომ აღნიშნული საკითხის ეროვნულ დონეზე განხილვა მხოლოდ იმ ნევრ სახელმწიფოებში უნდა მომხდარიყო, სადაც ზემოაღნიშნული პროდუქტის მოხმარებისა და წარმოების მაღალი მაჩვენებელი იყო. სასამართლომ 2016 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.³⁷

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდმა პალატამ 2017 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სლოვაკეთის რესპუბლიკისა (საქმე C-643-15) და უნგრეთის (საქმე C-647-15) სარჩელები ევროკავშირის საბჭოს წინააღმდეგ. სლოვაკეთი და უნგრეთი ითხოვდნენ ევროკავშირის საბჭოს 2015 წლის 22 სექტემბრის N2015-1601 გადაწყვეტილების გაუქმებას, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო დაცვის სფეროში დროებითი ღონისძიებების შემუშავებას იტალიისა და საბერძნეთის სასარგებლოდ (SL 2015 L 248, გვ. 80). დავის საგანი იყო ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 78-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის, როგორც საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლის, დაუშვებლობა. სასამართლოს შეფასებით ხსენებული მუხლი მხოლოდ „დროებითი ღონისძიებების“ გატარების შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან იგი ევროპულ დონეზე მიღებულია როგორც კრიზისის მართვისათვის საჭირო ღონისძიება და მისი მიზანია ფენევის კონვენციის გათვალისწინებით, თავშესაფრის უფლების რეალური განხორციელების უზრუნველყოფა (343-ე პარაგრაფი).³⁸

ევროკომისიამ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში შეიტანა სარჩელი უნგრეთის წინააღმდეგ (საქმე C-288/12). დავის საგანი იყო ნევრი სახელმწიფოს (უნგრეთის) მხრიდან ვალდებულების დარღვევა. კერძოდ, ევროკომისია უნგრეთს ედავებოდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის N95/46/EC დირექტივის დარღვევას, რომელიც შეეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვას და ამგვარი მონაცემების თავისუფალ გავრცელებას. ნევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა უზრუნველყონ, მოცემული დირექტივის შესაბამისად მიღებული დებულებების შესრულებაზე ზედამხედველი ერთი ან მეტი ორგანოს არსებობა, რომელიც მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. საკითხი ეხება დირექტივასთან შესაბამისობაში ეროვნული კანონმდებლობის იმ ნორმების მოყვანას, რომელთა მიხედვითაც, მონაცემთა დაცვის რწმუნებულს, აგრეთვე, მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს ექვსწლიანი მანდატი დროზე ადრე ამოენურათ, ხოლო მოცემული ორგანოების ხელმძღვანელ პირებს, მონაცემთა დაცვის კომისრის გარდა, არ მიეცათ 9 წლიანი მანდატით სრულად სარგებლობის შესაძლებლობა. სასამართლომ 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უნგრეთმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედა-

³⁷ Case C-358/14 Republic of Poland v. European Parliament, Council of the European Union [2016]

³⁸ Case C-643/15 and Case C-647/15 Slovak Republic and Hungary v Council of the European Union [2017]

მხედველი დამოუკიდებელი ორგანოსათვის სამუშაო მანდატის დროზე ადრე დასრულებით დაარღვია ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის N95/46/EC დირექტივა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი გავრცელების შესახებ.³⁹

ამ კუთხით, მინიჭებული უფლებამოსილებების, სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვის საკითხის შემონმება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის. უფლებამოსილებების სხვადასხვა დონეზე რეგულირება (კომპეტენციის მინიჭება ხდება არა პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი საფუძვლით) იურისდიქციის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზია.

სუბსიდიარობის პრინციპის მიმართ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომა გამონატულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულია საქმეზე C-233/94 „გერმანია ევროპარლამენტისა და საბჭოს წინააღმდეგ“. სასამართლომ უპირობოდ და საკმაოდ მწირი დასაბუთების საფუძველზე დაადასტურა სუბსიდიარობის პრინციპთან შესაბამისობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროკავშირს უფლება აქვს იმოქმედოს, თუკი დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია განხორციელდეს წევრი სახელმწიფოების მიერ.⁴⁰ შემდგომში მიღებულ სხვა გადაწყვეტილებაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ დასაბუთების ვალდებულების შესრულების საკითხის განხილვისას, სუბსიდიარობის პრინციპთან მიმართებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო სადაო აქტის ტექსტი, არამედ მისი კონტექსტი და ცალკეულ საქმეებზე არსებული გარემოებები. ამ საქმეზე, სასამართლომ კონკრეტულად შეისწავლა, თუ რამდენად ცხადად და არაორაზროვნად იკვეთებოდა ევროკომიის წინადადებასა და შეფასებაში, რომელიც საკმარისი ინფორმაციის მიწოდების შედეგებს ეხებოდა, ევროკავშირის მიერ წევრი სახელმწიფოების დონეზე განხორციელებული ქმედების სარგებლიანობა.⁴¹

5. ცალკეულ ევროპულ ქვეყნებში მმართველობითი უფლებამოსილებების საკონსტიტუციო განაწილების შედარებითი მიმოხილვა

ევროპის სამომავლო მოწყობასთან დაკავშირებულ დებატებში, ევროკავშირის ხშირად „განვითარებად ფედერაციად“ მოიხსენიებდნენ. შესაძლებელია ევროკავშირის შედარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და შვეიცარიასთან, ვინაიდან სამივეს ფედერაციული მოწყობა უდევს საფუძვლად და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ძალაუფლების გამიჯვნა გარანტირებულია კონსტიტუციით. მაგალითად, ტანია ბორზელი და მადლენ ჰოსლი, მხოლოდ გერმანიისა და შვეიცარიის მაგალითზე დაყრდნობით, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევროკავშირისთვის უფლებამოსილებათა ცენტრალურ დონეზე დელეგირება უნდა მოხდეს

³⁹ Case C-288/12 European Commission v Hungary [2014]

⁴⁰ Case C-233/94 Germany v Parliament and Council [1997] ECRI-2405

⁴¹ Case C-547/14 Philip Morris, EU C: 2016: 325

ევროპულ დონეზე ფისკალური ფედერალიზმისა და ფუნქციური ინტერესების გაძლიერების პარალელურად. მათი შეხედულებით, ამგვარი „ბალანსის აღდგენის“ გარეშე, ევროკავშირის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული პრობლემები შესაძლებელია კიდევ უფრო გამწვავდეს.⁴²

მმართველობითი უფლებამოსილებების დანაწილების ფორმებს შორის არსენ ბაშიჩი ძალაუფლების ფედერალურ და ვერტიკალურ დაყოფასაც გამოყოფს.⁴³ იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ფედერალიზმი კონკრეტული პოლიტიკური სისტემის ტერიტორიული პარამეტრია და მმართველობითი უფლებამოსილებების ტერიტორიული დანაწილების საორგანიზაციო პრინციპია.⁴⁴ ფედერაციული სახელმწიფო რთული სახელმწიფოა, რომელშიც გაერთიანებულია რიგი სახელმწიფოები, რომელთაგან თითოეული ცალკე სახელმწიფოა თავისი სახელმწიფო ხელისუფლებით. უნიტარული სახელმწიფოსგან განსხვავებით, სადაც ერთიანი ხელისუფლება ხორციელდება, ფედერაციული სახელმწიფო ხელისუფლების მონყოფის ერთ-ერთი ვერტიკალური ფორმაა, სადაც კონსტიტუციით გარანტირებულია ძალაუფლების გამიჯვნა ფედერაციულ სახელმწიფოსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის. ფედერაციის სუბიექტები და ფედერალური ერთეულები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ამავედროულად, ურთიერთთანამშრომლობაში მყოფი პოლიტიკური ერთობებია. ფედერაციულ სახელმწიფოებში უფლებამოსილებები გადანაწილებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერალური მოდელი არ ითვალისწინებს ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის იერარქიის არსებობას. ამ მოდელის შემადგელობაში მყოფი ერთეულები, ერთმანეთთან სუბორდინაციულ დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან. თუმცა, შესაძლებელია, რომ ფედერაციის სუბიექტთა უფლებამოსილების მოცულობა განსხვავებული იყოს.

გერმანელი პოლიტოლოგის, ფრანც ნოიმანის მტკიცებით, ფედერალიზმი, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა, რომელიც ძალაუფლების მქონე კონკურენტებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის მეშვეობით ხორციელდება.⁴⁵ რატომ არის ასე? ფედერალიზმით დაშვებულია ის, რაც მონტესკიეს მიზნად მიაჩნდა: სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა. მონტესკიეს აზრით, ერთი ხელისუფლება ჩარჩოში აქცევს მეორე ხელისუფლებას. მიდგომა, რომელიც საკმაოდ იშვიათად ინვესს დავას. ამგვარად, ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლებას უპირისპირდება ფედერაციის სუბიექტთა ძალაუფლება.

ფედერალიზმის პრინციპიდან გამომდინარეობს თითოეული ფუნქციის განხორციელებისას სახელმწიფო საქმეების დანაწილება. ამიტომ, რომ ფედერალური ხელისუფლების მოქმედების სივრცე ფედერაციის სუბიექტთა მოქმედების მასშტაბებისგან განსხვავდება. კომპეტენციათა სწორედ ამგვარი დაყოფა, რომელიც განსაკუთრებით საკანონმდებლო ხელისუფლებას ეხება, ფედერალიზმის ერთ-ერთ-

⁴² Borzel; Hosli, op. cit., note 19, p. 179

⁴³ Baid, op.cit., note 9, p. 114

⁴⁴ Baid, A., Politidka gramatikafederalizma i hrvatsko poviesno iskustvo, Zbornik radova Pravnog fakulteta u Splitu, Vol. 44, No. 2, 2007, p. 166

⁴⁵ Neumann F., Demokratska i autoritarna driava. Zagreb, Naprijed, 1974, str.181

თი დამახასიათებელი ნიშანია.⁴⁶ არსენ ბაშიჩის მოსაზრებით, ფედერალური კონსტიტუციის მიზანი სახელმწიფო ერთიანობასა და სუბნაციონალურ განსხვავებებს შორის ბალანსის განმტკიცებაა.⁴⁷ ბანკო სმერდელის შეხედულებით, ფედერაციული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი საკონსტიტუციო მახასიათებელია ფედერალური კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს უფლებამოსილებათა გადანაწილებას ფედერალურ ხელისუფლებასა და ნევრ-სახელმწიფოებს შორის.⁴⁸ მისივე მოსაზრებით, ფედერაციის საორგანიზაციო პრინციპია დეცენტრალიზაცია, რომლის დროსაც სხვადასხვა სუბიექტს შორის ძალაუფლების გავრცელება და გამიჯვნა კონსტიტუციითაა განმტკიცებული და გარანტირებული.⁴⁹

5.1. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ფედერალიზმი, როგორც პოლიტიკურ ერთობათა გაერთანების ფორმა, გარანტირებულია გერმანიის ფედერალური კონსტიტუციით (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი).⁵⁰ კონსტიტუციითაა განპირობებული:

- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცალსახად ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება (მე-20 (1) მუხლი)

- გერმანიის ტერიტორიის „ლანდებად“ დაყოფა. ამ დაყოფიდან გამომდინარეობს მათი უფლება, მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო პროცესში და ისარგებლონ პირველი მუხლით გათვალისწინებული პრინციპებიდან (აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: ადამიანის ღირსება, ადამიანის უფლებების ხელშეუვალობა და განუსხვისებლობა, როგორც ყოველი ერთობის ჩამოყალიბების საფუძველი, მშვიდობა და სამართლიანობა, ძალაუფლების გამიჯვნა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად) გამომდინარე უფლებებით და მე-20 მუხლით (79-ე (3) მუხლი);

- ადგილობრივი ხელისუფლების მრავალდონიანობა.

ორი სახელმწიფო დონის გარდა, როგორცაა – a) ფედერალური და b) ადგილობრივი, გერმანიაში არსებობს c) მხარეები და d) მუნიციპალიტეტები. ურთიერთობები ფედერალურ დონესა და ლანდებს შორის მონესრიგებულია ფედერალური კონსტიტუციის მეორე ნაწილით (მე-20-37 მუხლები). ფედერაცია და ფედერაციის სუბიექტები სუვერენიტეტით სარგებლობენ. ამგვარი დუალისტური ბუნება აისახება იმაში, რომ ფედერაციის სუბიექტებსაც აქვთ თავიანთი კომპეტენცია საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ დონეებსა და სასამართლო სისტემაში.

ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის მომნესრიგებელი ძირითადი ნორმა ასახულია გერმანიის ფედერალური კონსტი-

⁴⁶ Vrban, D., Driava ipravo, Golden marketing, Zagreb, 2003, p. 1 2 0

⁴⁷ Baid, A., Ustavno pravo ipolitidke institucie, Pravni fakultet u Splitu, 2012, p.139

⁴⁸ Smerdel, B., op.cit., note 8, p. 201

⁴⁹ Smerdel, B. (ed.), Primjenafederalnog nadela i pouke ustavne reforme 1971., Pravni fakultet Sveuiliftau Zagrebu i Centar za demokraciju i pravo Miko Tripalo, Zagreb, 2007, p. 30

⁵⁰ Grundgesetz flir die Bundesrepublik Deutschland, 23.05.1949

ტუციის 30-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება და სახელმწიფო დავალებების შესრულება ლანდების კომპეტენციას, თუკი კონსტიტუციით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში, ფედერაციის სუბიექტების საქმეები განსაზღვრულია ზოგადი წესით, რადგანაც არ არსებობს პირდაპირი მითითება, რომ ისინი ფედერაციის საქმეებს განეკუთვნება. ყველა სხვა უფლებამოსილება ფედერაციის იმ სუბიექტთა უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლებიც თავად არიან სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებლები. ფედერაციის თითოეულ სუბიექტს აქვს თავისი კონსტიტუცია და ავტონომიური შიდა პოლიტიკური სტრუქტურა, შესაბამისად, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანოები.

აღსანიშნავია ის, რომ ფედერაციულ სახელმწიფოსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით, კონსტიტუციით დადგენილია შემდეგი:

- ფედერალურ კონსტიტუციას უპირატესი ძალა აქვს ფედერაციის სუბიექტების სამართლებრივ აქტებთან შედარებით (31-ე მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერალური კანონი ფედერაციის სუბიექტების კანონზე მაღლა დგას;

- ფედერაციის სუბიექტთა საკონსტიტუციო სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს ფედერალური სახელმწიფოს პრინციპებს (28-ე (1) მუხლი)

- ფედერაციის სუბიექტებს უფლება აქვთ განახორციელონ საკანონმდებლო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონსტიტუციით საკანონმდებლო უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ფედერაციას (70-ე (1) მუხლი) და

- ფედერაციის და ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციები ფედერალური კონსტიტუციით იყოფა ექსკლუზიურ და კოლიზიურ საკანონმდებლო უფლებამოსილებებად (70-ე (2) მუხლი).

ფედერალურ ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომლის შესახებაც პირდაპირ არის მითითებული ძირითად კანონში. კონსტიტუციის 73-ე მუხლით განსაზღვრულია ფედერალური ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილება (საკანონმდებლო უფლებამოსილება), რომელიც მოიცავს 14 სფეროს. ეს სფეროებია: 1) საგარეო საქმეები და თავდაცვა, მათ შორის, სამოქალაქო პირების დაცვა; 2) ფედერაციის მოქალაქეობა; 3) საქონლის თავისუფალი გადაადგილება, პასპორტების გაცემა, იმიგრაცია, ემიგრაცია, ექსტრადიცია; 4) მონეტარული პოლიტიკა, მათ შორის, ფულის გათეთრება, ღირებულების საზომი ერთეულებისა და დროის სტანდარტების განსაზღვრა; 5) საბაჟო და კომერციული სფეროების ერთიანობა, სავაჭრო და საზღვაო ხელშეკრულებები, საქონლის თავისუფალი გადაადგილება, აგრეთვე, უცხოური და საერთაშორისო საქონლის გადაადგილება და საბაჟოები, საბაჟო კონტროლი და საზღვრის დაცვა; 6) ფედერალური სარკინიგზო და საჰაერო მოძრაობა; 7) ფოსტა და ტელეკომუნიკაცია; 8) სამართლებრივი ურთიერთობები ფედერალურ ან მასზე პირდაპირ დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირებთან; 9) სამრეწველო საკუთრების, საავტორო და საგამომცემლო უფლებები; 10) ფედერაციისა და მისი

სუბიექტების ურთიერთთანამშრომლობა შემდეგ სფეროებში: ა) კრიმინალური პოლიციის საქმიანობა, ბ) ფედერაციისა და მისი სუბიექტების დემოკრატიული მოწყობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების პრინციპების დაცვა, გ) ფედერაციის ტერიტორიაზე გერმანიის საგარეო ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ისეთი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ძალის გამოყენებით ხორციელდება ან მიმდინარეობს ძალის გამოყენების მოსამზადებელი სამუშაოები, ფედერალური კრიმინალური სამსახურების შექმნა და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლა; 11) ფედერაციის მიზნებისათვის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება; 12) კანონმდებლობა ფეთქებადი ნივთიერებების შესახებ; 13) ომის შედეგად დაშავებულთა და ომის შედეგად დაზარალებულის საკითხი, აგრეთვე, ომის ყოფილ პატიმრებზე ზრუნვა; 14) ბირთვული ენერჯის წარმოება და გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისთვის და ამისათვის საჭირო ობიექტების მშენებლობა და ფუნქციონირება, ბირთვული ენერჯისა გამოუმუშავებისა და იონიზირებადი გამოსხივებიდან წარმოშობილი საფრთხისგან დაცვა და რადიაქტიური ნივთიერებების იზოლაცია.

გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, ფედერაციის სუბიექტებს ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც კონსტიტუციით ფედერაციის კომპეტენციას არ განეკუთვნება. ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციებით განისაზღვრება, თუ რომელი ფუნქცია რომელი სახელისუფლო დონის კომპეტენციაში შედის. ამგვარად, ფედერაციის სუბიექტები ძალიან ბევრ საჯარო ფუნქციას ახორციელებენ სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, პოლიცია, განათლება (დანყებიითი და საშუალო), კანონის აღსრულება, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობა, კულტურა და კომუნალური საკითხები. უმაღლესი განათლებაც ფედერაციის სუბიექტთა იურისდიქციას განეკუთვნება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები, ძირითადი უმრავლესობა, რამდენიმე კერძო დაწესებულების გარდა, სახელმწიფო დაწესებულებებია.

ფედერალური კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად, ფედერალური კანონების გამოყენება ფედერაციის სუბიექტთა უფლებამოსილებაში შედის, თუკი ფედერალური კონსტიტუციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით, თუკი ფედერალური კანონის გამოყენება ფედერალური სახელმწიფოების უფლებამოსილებაა, მათ თავად შეუძლიათ დაარეგულირონ ხელისუფლების მოწყობის საკითხები და ადმინისტრაციული პროცედურები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფედერალური კრების მიერ მიღებული ფედერალური კანონი სხვა რამეს ითვალისწინებს (84-ე (1) მუხლი).

ძირითადი კანონის 72-ე მუხლი ეხება ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტების კოლიზიურ კანონმდებლობას. მასში ნათქვამია:

1) ფედერაციის კოლიზიური კანონმდებლობის სფეროში, ფედერაციის სუბიექტებს იქამდე და იმ მოცულობით აქვთ კანონშემოქმედების უფლება, სანამ ფედერაციას არ განუხორციელებია თავისი საკანონმდებლო უფლებამოსილება (72-ე (1) მუხლი);

2) იმ სფეროებში, რომელიც მოცემულია ფედერალური კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მე-4, მე-7, მე-11, მე-13, მე-15, მე-19ა, მე-20, 22-ე,

125-ე და 26-ე პუნქტებში⁵¹ ფედერაციის საკანონმდებლო უფლებამოსილება გრძელდება მანამდე, სანამ ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე არ იქნება უზრუნველყოფილი ცხოვრების თანაბარი პირობები ან ეროვნული ინტერესების სამართლებრივი და ეკონომიკური ერთობლიობა (72-ე (2) მუხლი);

3) თუკი ფედერაციამ თავისი კანონიერი უფლებამოსილებები გამოიყენა, ფედერაციის სუბიექტებს საკანონმდებლო საქმიანობის უფლება აქვთ შემდეგ სფეროებში: ნადირობა, გარემოსა და ლანდშაფტის დაცვა, მინების განაწილება, სივრცით-ტერიტორიული/რეგიონული დაგეგმარება, უმაღლესი განათლება (72-ე (3) მუხლი);

4) ფედერალური კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ პირობას, რომლის მიხედვითაც, ფედერალური საკანონმდებლო ნორმები, რომელთა არსებობაც მოცემული მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებისთვის აღარაა საჭირო, შეიძლება ჩანაცვლდეს ფედერაციის სუბიექტთა სამართლებრივი აქტებით (72-ე (4) მუხლი).

კონსტიტუციის 74-ე მუხლში მოცემულია ფედერაციის კოლიზიური საკანონმდებლო უფლებამოსილების 33 სფერო. ეს სფეროებია: 1) სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და სასჯელის აღსრულება, სასამართლო სისტემა, სამართალწარმოება, ადვოკატის პროფესია, ნოტარიუსის და იურიდიული დახმარების სამსახური; 2) პერსონალური მონაცემები; 3) გაერთიანებისა და შეკრების უფლება; 4) უცხოელთა ბინადრობის ნებართვა და დაფუძნების უფლება 5) *გაუქმებულია*; 6) ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები; 7) სოციალური დახმარება (აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება სოციალურ საცხოვრებელ სახლებზე); 8) *გაუქმებულია*; 9) ომით გამონვეული ზიანი და კომპენსაცია; 10) ომის ვეტერანებზე, ომში დაღუპულთა ქვრივებსა და ობლებზე, სამხედრო ტყვეებზე, ჯარისკაცების, ასევე, ომისა და ტერორის სხვა მსხვერპლთა საფლავებზე ზრუნვა; 11) ეკონომიკური სამართალი (სამთო მრეწველობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, ხელობა, მცირე ბიზნესი, ვაჭრობა, საბანკო ურთერთობები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, კერძო სადაზღვევო კომპანიები); 12) შრომის სამართალი, მათ შორის, საწარმოთა ორგანიზაცია, შრომის დაცვა და დასაქმების უზრუნველყოფა, უმუშევართა დაზღვევა; 13) განათლების მხარდაჭერა და სამეცნიერო კვლევების წახალისება; 14) ექსპროპრიაციის უფლება, თუკი იგი არ ეხება 73-ე და 74-ე მუხლებით გათვალისწინებულ სფეროებს; 15) მიწის, ბუნებრივი რესურსების და საჯარო ნივთების გადაცემა და სოციალური ეკონომიკის სხვა ფორმები; 16) ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ხელშეშლა; 17) სოფლის მეურნეობისა და სატყეო საქმის ხელშეწყობა, კვების უსაფრთხოება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი და ექსპორტი, თევზჭერა სანაპირო წყლებსა და ღია ზღვაში, სანაპირო დაცვა; 18)

⁵¹ ეს სფეროები მოცემულია შემდეგ პუნქტებში: 4) უცხოელთა ბინადრობის ნებართვა და დაფუძნების უფლება; 7) სოციალური კეთილდღეობა; 11) ეკონომიკა, სამთო მრეწველობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, ვაჭრობა; 13) მეცნიერება; 15) მიწის, ბუნებრივი რესურსების და წარმოების საშუალებების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა; 19ა) ჯანდაცვა; 20) კვება; 22) საგზაო მოძრაობა; 25) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები, მიწის სამართალი, საბინაო პოლიტიკა, მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების დასახლება და საოჯახო ქონების განაწილება; 19) გადამდები დაავადებების სანინაალმდეგო ზომები, სამედიცინო საქმიანობა, პროფესიული დაავადებები, სამკურნალო საქმიანობა, წამლები, საანესთეზიო საშუალებები, სანამლაგები 20) საკვები პროდუქტისა და მოსავლიანობის ხელშემწყობი საშუალებების დაცვა, ყოველდღიური გამოყენების საგნები, ჩალა, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო თესლებისა და ნერგების დაცვა, მცენარეების დაავადებებისაგან და მავნებელი მწერებისგან დაცვა, ცხოველთა დაცვა; 21) გრძელ დისტანციაზე ნაოსნობა და სანაპირო ნაოსნობა, საზღვაო ნიშნები, სამდინარო და ტბების ნავიგაცია, მეტეოროლოგიური სერვისი, საზღვაო გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სამდინარო და სატბო გზები; 22) საგზაო მოძრაობა, მათ შორის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, საქალაქთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი გზების მშენებლობა და საექსპლუატაციო სამუშაოები, გზებით სარგებლობის გადასახადების შეგროვება და განაწილება; 23) სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ მიეკუთვნება ფედერალურ რკინიგზას, გარდა სამთო სარკინიგზო საშუალებებისა; 24) ნარჩენების განთავსება, ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და ბრძოლა ხმაურის წინააღმდეგ; 25) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა; 26) განაყოფიერება სამედიცინო ჩარევის მეშვეობით, გენეტიკური ინფორმაციის კვლევა და ხელოვნური გარდაქმნა, აგრეთვე ორგანოთა, ქსოვილების და უჯრედების ტრანსპლანტაცია; 27) პროვინციების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირთა, მათ შორის ლანდების მოსამართლეთა სტატუსი და მოვალეობები, კარიერული მოღვაწეობის, საათობრივი ანაზღაურებისა და ხელფასის გარდა; 28) ნადირობა; 29) გარემოსა და ლანდშეფტის დაცვა; 30) მინების განაწილება; 31) დაგეგმარება; 32) წყლის რესურსები; 33) განათლება და აკადემიური ხარისხები.

კოლიზიური კომპეტენცია უფლებამოსილების ისეთი სახეა, რომელიც ნორმატიულად რეგულირება ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტთა მიერ, თუმცა არა ერთდროულად. რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფედერაციის სუბიექტებს უფლება აქვთ მიიღონ გარკვეული სამართლებრივი აქტები, სანამ ფედერაცია გადაწყვეტს მიიღოს მთელი ქვეყნისთვის საერთო ნორმები.

ფედერალური კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით, ფედერაციის სუბიექტებს აქვთ ექსკლუზიური კომპეტენცია ყველა იმ საკითხში, რომლის მოწესრიგების უფლებამოსილებაც არ აქვს მინიჭებული ფედერაციას. სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, ფედერაციის სუბიექტთა საქმეებად მიიჩნევა ყველა ის საქმე, რომელიც პირდაპირ აკმაყოფილებს ფედერაციის სუბიექტთა მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

გერმანიის ფედერაციის ურთიერთობას ევროკავშირთან აწესრიგებს ფედერაციის კონსტიტუცია. მასში ნათქვამია, რომ გერმანია კისრულობს ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს ერთიანი ევროპის შექმნაში, რომელიც ეფუძნება დემოკრატიულ, სოციალურ და ფედერალურ პრინციპებს, კანონის უზენაესობას და რომლის

მიზანიცაა სუბსიდიარობის პრინციპისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა. გერმანიასა და ევროკავშირს შორის ურთერთობაში სუბსიდიარობის პრინციპის გამოყენებას ეხება ფედერალური კონსტიტუციის 23-ე მუხლი. ამ მიმართებით, ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტაში მონაწილეობენ ბუნდესტაგი და გერმანიის ლანდები. ეს უკანასკნელი ამ პროცესში ბუნდესრატის მეშვეობით მონაწილეობენ. ფედერალური ხელისუფლება ვალდებულია ინფორმაცია ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე რეგულარულად მიაწოდოს ბუნდესტაგსა და ბუნდესრატს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადანყვეტილებებს:

- დავებზე, რომლებიც ეხება ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტთა უფლება-მოვალეობებს, განსაკუთრებით ისეთ დავებზე, რომლებიც ეხება ფედერალური კანონების აღსრულებას ფედერაციის სუბიექტების მიერ და ფედერალური ზედამხედველობის განხორციელებას;

- ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის, აგრეთვე ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტებს შორის და თავად ამ სუბიექტების შიგნით წარმოშობილ საჯაროსამართლებრივ დავებზე (ფედერალური კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მე-3 და მე-4 პუნქტები).

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს რჩეული გადანყვეტილებების საიუბილეო გამოცემაში, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ექვსი ჯგუფიდან, პირველი ჯგუფის უფლებამოსილებად მიიჩნევა ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავები, ასევე, დავები, რომლებიც ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტებს შორის წარმოიშობა.⁵² ფედერალურ დავებში, ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის (ფედერალური კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მე-3 პუნქტი), აგრეთვე, ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტს შორის წარმოშობილი ორმხრივი დავები (ფედერალური კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მე-4 და მე-2 პუნქტები) შედის. ფედერალურ დავებს მიეკუთვნება, ასევე, ფედერაციის სუბიექტებს შორის წარმოშობილი ორმხრივი დავები, ვინაიდან თითოეულ ლანდს აქვს საკუთარი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ორმხრივ დავებს იხილავს. სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ფედერაციულ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დავის განხილვა, როდესაც დავის წარმომწყები უფლებამოსილი მხარე უარს ამბობს ადგილობრივი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვაზე.

ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავის მაგალითია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 1958 წლის 30 ივლისის გადანყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა ჰამბურგისა და ბრემენის კანონები, რომელთა მიხედვითაც ჩატარდა რეფერენდუმები ბირთვული იარაღის გამოყენებასა და შენახვასთან დაკავშირებით. სასამართლომ

⁵² Schwabe, J., Izabrane odluke njemalkag Saveznog Ustavnog suda, Jubilarno izdanje, p. 40-41, [http://www.kas.de/wf/doc/kas_18056-1522-19-30.pdf P100517140444] Accessed 10.03.2019

თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა შემდეგნაირად: ფედერალურ ხელისუფლებას ცალკეული საკითხების მონესრიგების ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს. ბირთვული იარაღის შესახებ რეფერენდუმი უნდა ჩაითვალოს ფედერალური თავდაცვის პოლიტიკის დანამატად, რის გამოც იგი ფედერაციის ექსკლუზიურ კომპეტენციას მიეკუთვნება.⁵³

5.2. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნა შვეიცარიაში

შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუციის მე-3 თავის მიხედვით,⁵⁴ ხელისუფლება 3 პოლიტიკურ-ტერიტორიულ დონედ ოყოფა: ფედერალური, კანტონები და მუნიციპალიტეტები.

ფედერალური კონსტიტუციის მიხედვით, ფედერაციის ხელისუფლებასა და კანტონებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა შემდეგნაირად ხდება:

- ფედერაციული ხელისუფლება ახორციელებს იმ უფლებამოსილებებს, რომელიც მას მინიჭებული აქვს კონსტიტუციით (42-ე მუხლი)

- ყველა სხვა უფლებამოსილება, რომელიც ფედერალურ ხელისუფლებას კონსტიტუციით არ აქვს მინიჭებული, განეკუთვნება კანტონების უფლებამოსილებას. კანტონები თავად წყვეტენ, თუ რა საკითხები შედის მათ კომპეტენციაში (43-ე მუხლი). რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილება განისაზღვრება კონსტიტუციით, ხოლო ყველა სხვა უფლებამოსილება, ზოგადი დათქმის მეთოდიდან გამომდინარე, კანტონებს მიეკუთვნება. ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილების სფეროში ძირითადად შედის საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, ფულისა და უცხოური ვალუტის გაცვლის სისტემა, საბაჟოები. რაც შეეხება კანტონებს, მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება განათლება, კულტურა, განვითარება და ა.შ

ხელისუფლების ამა თუ იმ დონის ექსკლუზიური უფლებამოსილების სფერო ძალიან მწირია. ძირითადად უფლებამოსილებები განაწილებულია. ფედერალური ხელისუფლება წყვეტს ისეთ საკითხებს, რომლებიც ერთიან მონესრიგებას მოითხოვს, ხოლო კანტონები თავიანთ სამართლებრივ აქტებს ფედერალური აქტების დებულებებით ავსებენ.

ევროპარლამენტის სამუშაო დოკუმენტში, ევროპის კონვენციასთან დაკავშირებული დებატების დროს, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა ევროკავშირისა და მის ნევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის ცალკეული საკითხები, მოტანილი იყო შვეიცარიის მაგალითი. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ შვეიცარია ძალიან საინტერესო ვერსიას გთავაზობს, კერძოდ, მოცემულია ექსკლუზიური უფლებამოსილების ძალიან მოკლე ჩამონათვალი და შვეიცარიის საკონსტიტუციო სისტემაში აქცენტი გაკეთებულია კოლიზიურ კომპეტენციაზე. შვეიცარიის ფედერალური იურისდიქციის სისტემა მოიცავს უფლებამოსილებებს, რომლებიც შეზღუდულია პრინციპებით, მომიჯნავე შეუზღუდავ კომპე-

⁵³ Das Bundesverfassungsgericht BVerfGE 8, 104

⁵⁴ Federal Constitution of the Swiss Confederation, of 18 April 1999 (Status as of 7th March 2010)

ტენციებს და შესაძლებლობებს, რომლებითაც დაშვებულია კანტონების პარალელური კომპეტენცია.⁵⁵

2014 წელს, ფედერალურმა საბჭომ წარმოადგინა ანგარიში ფედერაციასა და კანტონებს შორის ფინანსური გათანაბრებისა და მოვალეობათა გადანაწილების პრინციპების (სუბსიდიარობა, ფისკალური თანასწორობა, კანტონების ორგანიზაციული და ფინანსური ავტონომიის პატივისცემა) შესაბამისობის თაობაზე.⁵⁶ ამგვარად, ფედერალური საბჭოს მოვალეობაა განახორციელოს სამუშაოთა სისტემატური ანალიზი, რომელზეც პასუხისმგებელია და/ან რომელთაც აფინანსებს ფედერალური ხელისუფლება და კანტონები. კანტონები აქტიურად უწყობენ საბჭოს ხელს ანგარიშების მომზადებაში. ფედერაციასა და კანტონებს შორის ფინანსური გათანაბრება და მოვალეობათა გადანაწილება (გერმანულად: *Neugestaltung des finanzausgleichs und der Aufgabenteilung zwischen Bund und Cantonen – NFA*) რეგულირდება 4 წლიანი პროგრამის შემცველი შეთანხმებებით. კანტონები ანაწილებენ ფედერალური ხელისუფლების მიერ გადაცემულ სახსრებს.

შევიცარიაში, კანტონების იურისდიქცია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უზურპაციისაგან დაცულია სუბსიდიარობის პრინციპის მეშვეობით. შევიცარიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ფუნქციების მინიჭებისა და განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს სუბსიდიარობის პრინციპი. შევიცარიის კონსტიტუციის მიხედვით, კანტონები ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეები არიან და მათი ავტონომიურობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. შევიცარიის ფედერალური სახელმწიფოს საკონსტიტუციო ბალანსი სუბსიდიარობის პრინციპის მეშვეობით მიიღწევა. შევიცარიის საკონსტიტუციო სისტემა ეყრდნობა იდეას, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების გადაცემა უნდა მოხდეს რაც შეიძლება დიდი მოცულობით და რომ ყველა კომპეტენცია რჩებათ კანტონებს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით, ფედერალურ ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ჩარევის უფლება, როდესაც მისი ჩარევის გარეშე შეუძლებელია შევიცარიის კანტონების ცალკეული მიზნის მიღწევა. ფედერაციული ხელისუფლების ჩარევა ვერ იქნება გამართლებული კანტონების მიერ მიზნის მიღწევის შეუძლებლობით. მთავარია ის, რომ ფედერალურ ხელისუფლებას შეეძლოს იმავე მიზნის სათანადოდ მიღწევა. უფრო მეტიც, ასეთ დროს საჭიროა დაცვა, რათა გაირკვეს თვითონ ხომ ვერ შეძლებენ კანტონები დასახული მიზნის მიღწევას.

ისტორიულად, შევიცარიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ზედამხედველობას უწევდა ფედერალური კანონების კანტონებში გამოყენებას. შევიცარიის ფედერალური კონსტიტუციის 189-ე(2) მუხლის მიხედვით, შევიცარიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, შევიცარიის უმაღლესი სასამართლო ორგანო, იღებს გადაწყვეტილებებს ფედერალურ ხელისუფლებასა და კანტონებს, აგრეთვე, სხვადასხვა კანტონს შორის წარმოშობილ დავებზე.

⁵⁵ Lehmann, op.cit., note 2, p. IV

⁵⁶ Bericht des Bundesrates vom 12. September 2014 aber die Einhaltung der Grundsätze der NFA

შვეიცარიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განსჯადობის ფარგლებში, ფედერაციასა და კანტონებს შორის წარმოშობილ კონფლიქტებში, არ უნდა დაგვა-
ვინყდეს:

- ფედერალური კანონების უპირატესი ძალის აღიარება კანტონების კანონებზე⁵⁷ და

- საარჩევნო უფლების მინიჭება ქალებისათვის აპენცელ ინერპოდენის კანტონში მაშინ, როდესაც კანტონის კანონის დებულებების თანახმად, ქალებს ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ.⁵⁸

აქვე შეიძლება შენევის კანტონსა და ფედერაციულ ხელისუფლებას შორის წარმოშობილი დავის მაგალითის მოტანა, რომელიც ეხებოდა უშიშროების საკითხებს. შენევის კანტონამ სარჩელი შეიტანა ფედერალური ხელისუფლების წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე არღვევდა კანტონის საკონსტიტუციო უფლებამოსილებებს. შვეიცარიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მოსაზრებით, ბუნებრივია, რომ ფედერალური ხელისუფლება პასუხისმგებელია ქვეყნის როგორც საგარეო, ისე შიდა უსაფრთხოებაზე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ შიდა და საგარეო უსაფრთხოება ფედერალური ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი კომპეტენციის ფარგლებში შედის, ამიტომ ეს სფერო კანტონების უფლებამოსილებას არ განეკუთვნება. თუმცა კანტონები, თავიანთი სუვერენიტეტიდან გამომდინარე, ვალდებული არიან თავიანთ ტერიტორიაზე უზრუნველყონ უსაფრთხოება საპოლიციო საქმეებზე პარალელური იურისდიქციის ჩათვლით.⁵⁹ სასამართლოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გავლენა იქონია 1999 წლის კონსტიტუციის 57-ე მუხლის შეცვლაზე, რომლის მიხედვითაც, ფედერალური ხელისუფლება და კანტონები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, კანტონებმა უნდა მოახდინონ ძალების კოორდინირება შიდა უსაფრთხოების სფეროში.

6. დასკვნა

უფლებამოსილება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ტერმინია, ვინაიდან იგი განსაზღვრავს იურიდიული ძალის მქონე ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, ევროკავშირის ან განსაზღვრული სახელმწიფოს მართლწესრიგის ფარგლებში. საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვა განუყოფელ კავშირშია უფლებამოსილების საკითხთან. აღნიშნული, მართალია, ამცირებს ხელისუფლების თავისუფლების ფარგლებს, თუმცა უზრუნველყოფს განსაზღვრულობის უფრო მაღალ დონეს, ანუ ხელისუფლების შეზღუდვას. საბოლოო ჯამში კი, წინასწარ ჩამოყალიბებული უფლებამოსილებების მეშვეობით მაღალ დონეზე მიიღწევა მოქალაქეთა სამართლებრივი განსაზღვრულობა, რაც მათ საშუალებას აძლევს, იქონიონ კონტაქტი ხელისუფლების სხვადასხვა დონესთან.

⁵⁷ BGE 127 160 E

⁵⁸ BGE 116 Ia 359

⁵⁹ Judgement of the Supreme Federal Court of 29 May 1991; ATE 117 Ia 221, 228

ძალაუფლების ვერტიკალურ გამიჯვნაში ივარაუდება ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის პასუხისმგებლობის უფრო მკაფიო გამიჯვნა და მათი დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. პასუხისმგებლობის მკაფიოდ განსაზღვრა ბევრად უფრო ნაყოფიერი შედეგის მომტანია და ვალდებულებების შესრულების პროცესში უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის.

ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის, ლისაბონის ხელშეკრულების დებულებებიდან გამომდინარე, უფლებამოსილებათა გადანაწილება გვიჩვენებს, რომ, ევროკავშირის ფარგლებში, უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა გარკვეული ნაწილი გადანაწილებულია მმართველობის სხვადასხვა დონეზე. ამ კუთხით, იკვეთება ორი პრინციპი: თანაბარი ლეგიტიმურობა და მმართველობის ყველა დონის პასუხისმგებლობა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და კეთილსინდისიერი თანამშრომლობის პრინციპი. აღნიშნული ინვესს თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი დონე პასუხობს პირდაპირ ყველა იმ მოთხოვნასა და გამოწვევას, რომელთა წინაშეც დგას ევროკავშირი.

ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხის ანალიზის შედეგად, ლისაბონის ხელშეკრულებიდან ირკვევა ის, რომ წევრი სახელმწიფოები ბევრ კომპეტენციას ინარჩუნებენ. მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის იმ დებულებას, რომელიც ადგენს ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც, უფლებამოსილებები, რომლებიც ხელშეკრულებებით არ აქვს მინიჭებული ევროკავშირს, წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებებად მიიჩნევა.

ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებიდან თითქმის 10 წლის შემდეგ ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას შედეგად მოჰყვა უფრო გამჭვირვალე, უფრო მეტად თანმიმდევრული და უკეთესი სისტემის არსებობა ევროკავშირში.

შესავალში მოტანილი ჰიპოთეზის ნამდვილობა დამტკიცდა, რადგანაც ფედერალურ სახელმწიფოებს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და შვეიცარია) ყველაზე მეტი მსგავსება აქვთ უფლებამოსილებათა გაყოფის იმ წესთან, რომელიც ევროკავშირში მოქმედებს. მათთვის დამახასიათებელია ფედერალურ სახელმწიფოებსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გარანტირებული საკონსტიტუციო განაწილება და არ არსებობს იერარქია (უპირატესობა და სუბორდინაცია) პოლიტიკურ ერთობებს შორის. როდესაც საქმე ეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, იგი უპირატესად რეგულირდება ფედერაციის სუბიექტის კანონმდებლობით. საქმე ეხება ხელისუფლების ყველა დონის თანასწორობას და არ არსებობს ადგილობრივი ერთეულების უფრო ძლიერი ავტონომიური სტატუსი ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებთან მიმართებით. აღნიშნული დეცენტრალიზაციას და ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვნად მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის სამივე განხილული მაგალითიდან (ევროკავშირი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და შვეიცარია) ჩანს, თუ რამდენად წინა პლანზეა

ნამონეული ძალაუფლების შეზღუდვა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ფუნქცია. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხელისუფლების შეზღუდვის პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ ჰორიზონტალურ, არამედ ფაქტობრივ და ვერტიკალურ დონეზე. აღნიშნული ინვესტაცია ძალაუფლების ვერტიკალურ გამიჯვნას სფეროების მიხედვით, ანუ იზღუდება ცენტრის მიერ ტერიტორიული მმართველობის ვინრო დონეებზე აბსოლუტური მმართველობის განხორციელება. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნა გულისხმობს მეტი უფლებამოსილი ორგანოს არსებობას, მათ შორის კომპეტენციათა გადანაწილებას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება შინაარსის, სფეროსა და ხარისხის მიხედვით. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის დროს, ხელისუფლების ტერიტორიული დონე ტერიტორიული პოლიტიკური სისტემაში მოქმედებს იმ შეზღუდული უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც მას მინიჭებული აქვს ცალკეული კონსტიტუციით. ზემოხსენებული სამივე მოდელისთვის დამახასიათებელია მმართველობის სხვადასხვა დონის ერთობლივი კომპეტენციის არსებობა.

ევროკავშირის, გერმანიასა და შვეიცარიას შორის განსაკუთრებული მსგავსება ვლინდება ზოგად ნებსში, რომელიც იხრება უფრო ვინრო ტერიტორიული ერთეულების საქმეებისკენ (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, გერმანიის ფედერალური სუბიექტები/ლანდები და შვეიცარიის კანტონები). ჩვეულებრივ, ფედერალური ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მიეკუთვნება შემდეგი სფეროები: საგარეო ურთიერთობები, სამხედრო ძალები, კომუნიკაციისა და სატრანსპორტო საშუალებები, მონეტარული პოლიტიკა, საბაჟოები და ფედერალური სასამართლო ხელისუფლება. ყველა საკითხი, რომელთა გადანაცვების უფლებამოსილებაც არ აქვს გადაცემული ცენტრალურ ხელისუფლებას, ტერიტორიული ერთეულების კომპეტენციაში შედის. უფლებამოსილებები ზოგადი ნების შესაბამისადაა განსაზღვრული ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა:

- ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება (მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფის მე-2 წინადადება),
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (30-ე მუხლი),
- შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუცია (43-ე მუხლი).

ამასთან, სამივე დოკუმენტი შეიცავს სუბსიდიარობის პრინციპის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს:

- ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება (მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი),
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (23-ე მუხლი),
- შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუცია (მე-5 მუხლი). სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით, საჯარო უფლებამოსილებები უნდა გადაეცეთ ისეთ ორგანოებს, რომლებიც მოქალაქეებთან ახლოს არიან და რომლებსაც ეფექტურად და ეკონომიურად შეუძლიათ განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილებები.

ქორწინების „კონსტიტუციონალიზაცია“ საქართველოში

I. შესავალი

ქორწინება საოჯახო სამართლის ამოსავალი, ცენტრალური ინსტიტუტია,¹ რომელიც ფუნქციურ, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ და ხშირად რელიგიურ შინაარსს მოიცავს.² თავისი არსით, იგი ერთ-ერთი უძველესი წინარესახელმწიფოებრივი, უფრო მეტიც, წინარესამართლებრივი სოციალური წარმონაქმნია,³ რომელიც უდიდეს შინაარსს ატარებს და რომელთან მიმართებითაც სახელმწიფოს გამორჩეული სიფრთხილე მართებს, ვინაიდან პიროვნულ თავისუფლებასა და პირად სივრცეში უმიზნო ჩარევამ შესაძლოა ძალზე მწვავე და კრიტიკული შედეგები გამოიწვიოს. სწორედ სოციალური სტატუსისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ იგი სამართლებრივი ინსტიტუტისაა, ქორწინება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეკონომიკური თუ სამართლებრივი „უფლებების, სარგებლისა და ვალდებულებების“⁴ ერთობლიობად⁵.

ქორწინება და საოჯახო სამართლის სხვა ინსტიტუტები სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მხოლოდ ახალი ისტორიის ეტაპზე მოექცა და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მისი მომეტებული მნიშვნელობის მიუხედავად, ქორწინებას სახელმწიფოები ძირითადი კანონის დონეზე არ განსაზღვრავდნენ. განვითარების პარალელურად, იცვლებოდა ქორწინებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გამონეგებები. დროთა განმავლობაში ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინების ლეგალიზაციის მოთხოვნამ უამრავი მხარდამჭერი შეიძინა და ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს.⁶ სახელმწიფოებმაც განსხვავებული მიდგომები შეიმუშავეს ამ საკითხთან მიმართებით, თუმცა ამ ნაშრომის კვლევის მიზანი არაა ქორწინების სუბიექტები და მათი უფლება ქორწინებაზე. აღნიშნული აბსოლუტურად განსხვავებულ კვლევას საჭიროებს. ნაშრომის ძირითადი თემა ქორწინების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, საკონსტიტუციონალიზაციის მონესრიგების, მისი საკონსტიტუციო განსაზღვრების აუცილებლობის ანალიზია სამართლებრივი

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

¹ Herring J., *family Law*, 4th Ed., Pearson Longman, 2009, 37.

² იხ., იქვე, 40-41.

³ Wardle L.D., *The Attack on Marriage as the Union of a Man and Woman*, *North Dakota Law Review*, Vol.83, 2007, 1370.

⁴ იხ., Eskridge W.N., *The Case for Same-Sex Marriage: From Sexual Liberty to Civilized Commitment*, 1996, 70.

⁵ Kristen E., *The Struggle for Same-Sex Marriage Continues*, *Berkeley Women's Law Journal*, Vol. 14, No. 1, 1999, 104-105.

⁶ Wardle L.D., *The Attack on Marriage as the Union of a Man and Woman*, *North Dakota Law Review*, Vol. 83, 2007, 1368.

ტექნიკის, კონსტიტუციის ფუნქციური დანიშნულებისა და მცირედით პოლიტიკური გემოვნების კონტექსტში.

II. ქორწინების ადგილი კონსტიტუციონალიზმში

1. ქორწინება, როგორც უფლება

ქორწინება დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა და ახლაც ხშირად განიხილება, როგორც არა უბრალოდ კერძო, არამედ საჯარო ინსტიტუტი, საჯარო სტატუსითა და სარგებლით.⁷ ქორწინების თავისუფლება არსებითადაა დაკავშირებული თავისუფალი ადამიანის ბედნიერებისკენ სწრაფვის იდეასთან.⁸ იგი ძირითად უფლებათა კატეგორია⁹ და სახელმწიფოს ზედამხედველობის ობიექტია.¹⁰ მართალია, სახელმწიფო უფლებამოსილია, ქორწინებასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები დაადგინოს, თუმცა კონსტიტუციონალიზმში აღიარებულია, რომ საჯარო ხელისუფლებას ამ საკითხში განსაკუთრებული ძალაუფლება არ გააჩნია.¹¹ საჯარო ხელისუფლება იზღუდება საკუთარ უფლებამოსილებაში, განსაზღვროს და დეტალურად მოანესრიგოს ვინმეს უფლება ქორწინებაზე,¹² ვინაიდან აღნიშნული პირადი ავტონომიის ფარგლებში¹³ ჩარევად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

შეერთებულ შტატებში ქორწინება ძირითად უფლებადაა აღიარებული.¹⁴ ქორწინების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან ეს საკითხი არაკონსერვატიულ მიდგომებს დიდად ვერ ჰგუობს, შეერთებულ შტატებში მას ყოველთვის მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ეხებოდა, – სწორედ სასამართლომ გააუქმა საბოლოოდ რასათაშორისი ქორწინების აკრძალვა.¹⁵ აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს შეფასებით, ქორწინება სხვა უფლებებთან პირდაპირ კავშირშია.¹⁶ უფლება ქორწინებაზე პირადი ცხოვრების (პირადულობის) უფლების (Right to Privacy) ნაწილია.¹⁷ შტატი შეზღუდულია უფლებამოსილებაში, დაადგინოს ქორწინების განსხვავებული სტანდარტი ან გარკვეული შეზღუდვები მის მიმართ.¹⁸

⁷ *Maynard v. Hill*, 125 U.S. 190, 2213 (1888).

⁸ *Loving v. Virginia*, 388 U.S. 13 (1967).

⁹ *Zablocki v. Redhail*, 434 U.S. 78 (1978); *Skinner v. Oklahoma*, 316 U.S. 535, 541 (1942).

¹⁰ *Maynard v. Hill*, 125 U.S. 190, 205 (1888), Kristen E., *The Struggle for Same-Sex Marriage Continues*, *Berkeley Women's Law Journal*, Vol. 14, No. 1, 1999, 105.

¹¹ *Turner v. Safley*, 428 U.S. 95 (1987).

¹² *Statsky W.P.*, *Family Law*, 5th Ed., West Thomson Learning, 2002, 117.

¹³ პირადი ავტონომიის კლასიკურ გაგება ვერ გამოიყენება საოჯახო ურთიერთობებში სწორედ ამ ურთიერთობათა განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე. იხ., *Herring J.*, *Relational Autonomy and Family Law*, in: *Rights, Gender and Family Law*, Edited by J. Wallbank, Sh. Chaudhry, J. Herring, Routledge, 2010, 262-263.

¹⁴ *Statsky W.P.*, *Family Law*, 5th Ed., West Thomson Learning, 2002, 117.

¹⁵ იხ., Kristen E., *The Struggle for Same-Sex Marriage Continues*, *Berkeley Women's Law Journal*, Vol. 14, No. 1, 1999, 115.

¹⁶ *Family Law, Issues, Debates, Policy*, Edited by J. Herring, William Publishing, 2001, 9; *Loving v. Virginia*, 388 US 1 (1967).

¹⁷ *Griswold v. Connecticut*, 381 US 479 (1965).

¹⁸ *Statsky W.P.*, *Family Law*, 5th Ed., West Thomson Learning, 2002, 117.

2. ქორწინების სამართლებრივი მონესრიგება

ქორწინება გარკვეულწილად სახელშეკრულებო ურთიერთობაცაა და მართალია, თანამედროვე სამყაროში იგი სულ უფრო ემსგავსება ბიზნესურთიერთობას,¹⁹ თუმცა მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებაში. იგი არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ურთიერთობაა, არამედ ძალიან ბევრი საერთო აქვს კონვენციურ მორალთან და ამიტომაც, ლოგიკურად, განსაკუთრებულ საკანონმდებლო მონესრიგებას ექვემდებარება.²⁰ ეს დიდწილად აჩვენებს სახელმწიფოსა და საზოგადოების განწყობას, ასევე, მათ მოლოდინს ამ ინსტიტუტისადმი.²¹ ქორწინების განსაზღვრასა თუ მონესრიგებას საკანონმდებლო დონეზე ყოველთვის ფრთხილად უდგებიან, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება საზოგადოების მხრიდან ამ ინსტიტუტისადმი მომეტებული ინტერესია.²²

საუკუნეების განმავლობაში ქორწინება სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმად განიხილებოდა, სწორედ ამიტომ მის მიმართ განსაკუთრებული სახელმწიფო ზედამხედველობაა დაწესებული.²³ მე-18 საუკუნიდან საქორწინო ურთიერთობებში სამართალი ღრმად შეიჭრა და დაიწყო დეტალური მონესრიგება.²⁴ ლორდ ჰარდვიკის აქტით, 1753 წელს ინგლისში პირველად დადგინდა ქორწინებამდელი სამართლებრივი პროცედურები და ქორწინების რეგისტრაციისთვის აუცილებელი წინაპირობები.²⁵ ამის შემდეგ ეტაპობრივად დაიწყო ქორწინების ინსტიტუციური განსაზღვრა და სახელმწიფო მონესრიგების დადგენა. ინგლისურ სამართალში ქორწინების კლასიკური განსაზღვრება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკით²⁶ და იგი დღემდე აქტიურად გამოიყენება საერთო სამართლის პირობებში²⁷. ბრიტანულმა სასამართლოებმა მე-19 საუკუნეში განმარტეს ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც ნებისმიერი სხვა პირის ამ კავშირში არსებობას გამორიცხავს.²⁸ შემდგომში, გაითვალისწინეს რა პრეცედენტული პრაქტიკა, კიდევ უფრო დააზუსტეს ქორწინების განსაზღვრება და იგი განიმარტა, როგორც ქალისა და მამაკაცის კანონიერი კავშირი, სამართლებრივი ურთიერთობა განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს შორის.²⁹

¹⁹ Katz S.N., *Family Law in America*, Oxford University Press, 2003, 37.

²⁰ იხ., *Maynard v. Hill*, 125 U.S. 205 (1888).

²¹ Wardle L.D., *The Attack on Marriage as the Union of a Man and Woman*, *North Dakota Law Review*, Vol. 83, 2007, 1370.

²² იქვე, 1369; Stewart M.N., *Genderless Marriage, Institutional Realities, and Judicial Elision*, *Duke Journal of Constitutional Law and Public Policy*, Vol. 1, No. 1, 2006, 3.

²³ *Family Law and Family Values*, Edited by M. Maclean, Hart Publishing, 2005, 29.

²⁴ Rodgers M.E., *Understanding Family Law*, Cavendish Publishing, 2004, 1.

²⁵ იქვე, 2.

²⁶ *Hyde v. Hyde and Woodmansee*, [L.R.] 1 P. & D. 130 (1866).

²⁷ იხ., Dalby R., *Essential Family Law*, 2nd Ed., 2001, 3.

²⁸ იხ., Curzon L.B., *Briefcase on Family Law*, 2nd Ed., Cavendish Publishing, 2001, 1.

²⁹ იხ., *Chaidan v. Godin-Mendoza* [2004] UKHL 30. Curzon L.B., *Briefcase on Family Law*, 2nd Ed., Cavendish Publishing, 2001, 1; *Hyde v. Hyde and Woodmansee*, [L.R.] 1 P. & D. 130 (1866).

კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია საოჯახოსამართლებრივი ინსტიტუტების თაობაზე სამართლებრივი ნორმების კოდიფიცირება. როგორც წესი, ქორწინება და მასთან დაკავშირებული საკითხები სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილია და შესაძლებელია როგორც ერთიან სამოქალაქო კოდექსში, ისე სპეციალურ, საოჯახო კოდექსსა თუ კანონში იყოს მოცემული. ქორწინების ცნება ბევრმა სახელმწიფომ გააფართოვა და მასში არა მხოლოდ განსხვავებული სქესის, არამედ ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების მიზნით არსებული სამართლებრივი და ყოფითი კავშირიც იგულისხმა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობა აღიარებს ერთი სქესის წარმომადგენელთა პარტნიორობის ფორმას, მათი ნაწილი კი – ქორწინებასაც.³⁰ ეს ყოველივე ხალხისა და საზოგადოების გემოვნების, არჩევანისა და პრიორიტეტების საკითხია, თუმცა ერთი რამ შეიძლება ითქვას, – სამართლებრივი თვალსაზრისით, უმთავრესია ქორწინების, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტის, სამართლებრივი მონესრიგების საფუძვლებს მოიცავდეს კანონმდებლობა, სხვა დანარჩენი კი სამართლებრივი ტექნიკაა.

3. ქორწინება და კონსტიტუცია

თანამედროვე სამყაროში შემცირდა მოქალაქეთა დისციპლინურობის საჭიროება, შესაბამისად, შემცირდა ქორწინებისა და ოჯახის მიმართ სახელმწიფო ზედამხედველობის ხარისხიც.³¹ სახელმწიფოთა ნაწილი ქორწინებას საკონსტიტუციო დონეზე განსაზღვრავს. ქორწინების საკონსტიტუციო დათქმის არსებობის შემთხვევაში, იგი აუცილებლად მოიაზრებს იმას, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები სპეციალური კანონმდებლობითაა მონესრიგებული.³² მაგ., ავსტრალიის კონსტიტუცია პარლამენტს აძლევს უფლებამოსილებას, მიმდინარე კანონმდებლობით განსაზღვროს ქორწინების ცნება და მასთან დაკავშირებული საკითხები.³³

სახელმწიფოთა კონსტიტუციები ქორწინების საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი კატეგორიის კონსტიტუციები საერთოდ არ საუბრობენ ქორწინებასთან დაკავშირებით და ძირითად კანონთა ეს რაოდენობა ყველაზე დიდია. კონსტიტუციათა ნაწილში კი ზოგან იმპლიციტურად, ზოგშიც კი ექსპლიციტურად განსაზღვრულია ქორწინების ცნება და დაკავშირებულია ქალისა და მამაკაცის კავშირთან. ქორწინება ექსპლიციტურად ქალისა და მამაკაცის კავშირად განიმარტება შემდეგი სახელმწიფოების კონსტიტუციებში: ბელორუსია, ბრაზილია, ბულგარეთი, ბურკინა ფასო, ეთიოპია, ეკვატორი, ერიტრეა, ვენესუელა, ვიეტნამი, თურქმენეთი, კამბოჯა, კოლუმბია, კუბა, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, მონღოლეთი, ნამიბია, ნიკარაგუა, პარაგვაი, პერუ, პოლონეთი,

³⁰ Casto W.R., *Our Unwritten Constitution and Proposals for a Same-Sex Marriage Amendment*, *Crighton Law Review*, Vol. 38, 2005, 278.

³¹ იხ., *Family Law and Family Values*, Edited by M. Maclean, Hart Publishing, 2005, 29.

³² იხ., Dalby R., *Essential Family Law*, 2nd Ed., 2001, 2.

³³ იქვე.

სომალი, სომხეთი, სურინამი, უგანდა, უკრაინა, ჩინეთი, ჰონდურასი.³⁴ აზერბაიჯანის, ბელორუსიისა და იაპონიის კონსტიტუციებში მოხსენიებულია „ცოლი“ და „ქმარი“.³⁵

კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრას თუ საერთოდ მის ხსენებასაც კი თავისი მიზეზები აქვს. ეს მიზეზები კი ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. თუკი ზოგან აღნიშნული ფუნდამენტალიზმსა და ხალხის რელიგიურობას უკავშირდება, ზოგან დისკრიმინაციული მოპყრობისა თუ არაჯანსაღი პოლიტიკის ნახალისებაა, რაც ამომრჩეველთა განწყობებითა და სახელმწიფოს პოლიტიკური არჩევანით მართლდება. ამას ემატება კოლექტიური შიში და აგრესია ქორწინების გავრცელებული იდეის ცვლილების, სიახლეების, პარტნიორობის სხვადასხვა ფორმის მიმართ. ერთი სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობის შესახებ საზოგადოებრივ აზრზე ყველაზე დიდ გავლენას მაინც რელიგია და კონკრეტული გეოგრაფიული არეალის ჩვეულებები ახდენს³⁶.

რელიგიურ საზოგადოებაში ქორწინების მიმართ საზოგადოებრივი აზრის წყარო რელიგიური შეხედულებებია და ამის მაგალითი შეერთებული შტატებია.³⁷ წარმომადგენლობითმა საბჭომ და სენატმაც, როგორც ერთობლივად, ისე ცალცალკე, რამდენჯერმე მკაფიოდ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია ქორწინების განსაზღვრებასთან დაკავშირებით და მიიღეს დადგენილებები, რომლებითაც აღნიშნა, რომ ქორწინება ექსკლუზიურად ქალისა და მამაკაცის კავშირია.³⁸ მიუხედავად ამისა, უმაღლესმა სასამართლომ მალევე შეცვალა მსგავსი მიდგომა და აღიარა ერთი სქესის წარმომადგენელთა უფლება ქორწინებაზე.³⁹ ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ მალე იცვლება პოლიტიკური თუ სოციალური გემოვნება, სამართლებრივი პრიორიტეტები. სწორედ აღნიშნულია ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ არაა ქორწინების ადგილი სახელმწიფოს ძირითად კანონში. კონს-

³⁴ Constitution of the Republic of Belarus, Art.32, Constitution of the Federal Republic of Brazil, Art.226 (3), Constitution of the Republic of Bulgaria, Art.46, Constitution of Burkina Faso, Art.23, Constitution of the Federal Republic of Ethiopia, Art.34 (1) and Art.35 (2), Constitution of the Republic of Ecuador, Art.67, Constitution of the State of Eritrea, Art.22 (3), Constitution of the Republic of Venezuela, Art.77, Constitution of Socialist Republic of Vietnam, Art.36 (1), Constitution of the Republic of Turkmenistan, Art.25, Constitution of the Kingdom of Cambodia, Art.45, Constitution of the Republic of Colombia, Art.42, Constitution of the Republic of Cuba, Art.36 and Art.44, Constitution of the Republic of Latvia, Art. 110, Constitution of the Republic of Lithuania, Art.38, Constitution of the Republic of Moldova, Art.48 (2), Constitution of Mongolia, Art.16 (11), Constitution of the Republic of Namibia, Art.14 (1), Constitution of the Republic of Paraguay, Art.50, Art.51 and Art.52, Constitution of the Republic of Peru, Art.5, Constitution of the Republic of Poland, Art.18, Constitution of the Republic of Nicaragua, Art.72, Constitution of the Republic of Armenia, Art.35, Constitution of the Federal Republic of Somalia, Art.28 (5), Constitution of the Republic of Suriname, Art.45 (2), Constitution of the Republic of Uganda, Art.31 (1), Constitution of the Republic of Ukraine, Art.51, Constitution of the Peoples Republic of China, Art.42, Constitution of the Republic of Honduras, Art.112.

³⁵ Constitution of the Azerbaijan Republic, Art. 34 (4), Constitution of the Republic of Belarus, Art.32, Constitution of Japan, Art.24,

³⁶ იბ., Olson L.R., Cadge W., Harrison J.T., Religion and Public Opinion about Same-Sex Marriage, Social Science Quarterly, Vol. 87, No. 2, 2006, 342-343.

³⁷ იქვე, 355.

³⁸ იბ., H.R.J. Res. 56, 108th Cong., 1st sess. (2003); S.J. Res. 30, 108th Cong., 2nd sess. (2004).

³⁹ იბ., Obergefell v. Hodges, 576 U.S. 644 (2015).

ტიტუციაში მისი განსაზღვრებით არაფერი იცვლება და მეტიც, არანაირად იძლევა მისი ურყეობისა თუ სტაბილურობის გარანტიას, მით უმეტეს იმ პირობებსა და პოლიტიკურ განზომილებაში, სადაც კონსტიტუცია ხშირად მიმდინარე კანონებზე მეტადაც კი იცვლება.

III. ქორწინება საქართველოს კონსტიტუციაში

1. დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოქმედ კონსტიტუციამდე

საქართველოში საოჯახო სამართლის საკითხები ისტორიულად ეკლესიის იურის-დიქციას მიეკუთვნებოდა⁴⁰ და სახელმწიფო ამ ურთიერთობებში ნაკლებად ერეოდა. ქორწინება მოიაზრებდა როგორც რელიგიურ, ისე სამართლებრივ შინაარსს,⁴¹ მის რეგისტრაციას კი, სხვა უამრავი იურიდიული ფაქტის მსგავსად, ეკლესია აწარმოებდა.⁴²

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სეკულარულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეცვალა ეკლესიის სოციალური როლი⁴³ და ლოგიკურად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლებას ეკლესიას არავინ დაუტოვებდა. სახელმწიფოს აქტიურობის შედეგად,⁴⁴ 1920 წლის 3 დეკემბერს მიღებულ იქნა „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის კანონი“, რომელმაც ქორწინებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს სრული ექსკლუზიურობა დაამკვიდრა.⁴⁵

1921 წლის კონსტიტუციაში ქორწინება მოხვდა ძირითადი უფლებების კატეგორიაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-40 მუხლით დადგინდა, რომ „ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“⁴⁶, რითაც არა იმდენად ქორწინების, რამდენადაც ქორწინებაში მყოფ პირთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქორწინების ნებაყოფლობითობას გაესვა ხაზი. სწორედ ამიტომაც, შეუძლებელია ეს დებულება უბრალოდ ქორწინების თაობაზე საკონსტიტუციო ჩანაწერად განიხილებოდეს, მას უდიდესი იდეოლოგიური დანიშნულებაც ჰქონდა და ღიად წარმოაჩენდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულებას ქორწინების, მათ შორის, იძულებითი და ნაადრევი ქორწინების მანკიერი ტრადიციის მიმართ. ამას ცხადპყოფს ისიც, რომ კონსტიტუციამ

⁴⁰ ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948, 50.

⁴¹ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 154.

⁴² იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელი და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018.

⁴³ იხ., გეგენავა დ., ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები (1917-1921) და საქართველოს პირველი კონსტიტუცია, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 179-181.

⁴⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 438

⁴⁵ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, 1990, 443-450.

⁴⁶ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი აბზაცი.

ქორწინების ფორმისა და წესების განსაზღვრა კანონმდებელს მიმდინარე კანონების დონეზე მიანდო⁴⁷.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველმა რედაქციამ ფაქტობრივად გაიმეორა პირველი კონსტიტუციის ფორმულირება, რაც არა იმდენად ქორწინების საკონსტიტუციო რეგლამენტაციის, რამდენადაც პირველ კონსტიტუციასთან იდეური და მემკვიდრეობითი ბმის სურვილმა განაპირობა. ქორწინებასთან დაკავშირებულ დებულებაში დაზუსტდა ტექსტი და მას სიტყვები „მეუღლეებს შორის“ დაემატა⁴⁸, რაც მხოლოდ ტექნიკური ცვლილება იყო, რომლის ფაქტობრივი საჭიროება, სტილისტური თუ გრამატიკული თვალსაზრისით, არც არსებობდა. ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია იმის თქმა, რომ ქორწინების ცნება საკონსტიტუციო დონეზე განისაზღვრა, ვინაიდან პირველი კონსტიტუციიდან გადმოღებული ნორმის შინაარსი არ იყო სამართლებრივი დეფინიცია, იგი მხოლოდ დათქმით ქცევის წესად განიხილებოდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ (1997 წლიდან) ქორწინების სამართლებრივი განსაზღვრება სწორედ ამ კოდექსში იყო მოცემული და იგი განისაზღვრებოდა, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც სახელმწიფოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოშია რეგისტრირებული⁴⁹. აღნიშნული დებულება საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანიც გახდა, თუმცა სრულიად გაუაზრებელი და აბსურდული დასაბუთებით – მოსარჩელე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებით წარმოადგენდა საკუთარ პოზიციას, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმა არღვევდა თანასწორობის ძირითად უფლებას, თუმცა აღნიშნავდა, – ქორწინების სამართლებრივი ფარგლების გაფართოებისთვის ჯერ საქართველო მზად არ იყო.⁵⁰ არაკონსტიტუციურობის მოთხოვნა დაყენებულ იქნა არა თანასწორობის ძირითადი უფლების საკონსტიტუციო ნორმასთან, არამედ კონსტიტუციის იმ დებულებასთან, რომელიც ოჯახსა და ქორწინებას ეხებოდა, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო.⁵¹ საქმეს შემდეგი გაგრძელება აღარ მოჰყოლია. შესაბამისად, ქორწინების სამართლებრივი განსაზღვრება სამოქალაქო კოდექსში დღემდე უცვლელად განაგრძობს არსებობას.

2. კონსტიტუციის დემისტიფიკაციის საფრთხე

სამართლებრივი ნორმატივიზმი და ზოგადად, მყიფე პოზიტივიზმი სამართლისგან ყოველგვარი არასამართლებრივის განცალკევებას ლამობდა და ლამობს.⁵²

⁴⁷ იხ., იქვე, მე-2 აბზაცი.

⁴⁸ იხ., საქართველოს კონსტიტუციის (24.08.1995 წლის რედაქცია) 36-ე მუხლი.

⁴⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.

⁵⁰ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/11/714 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2.

⁵¹ იქვე, II, 8.

⁵² იხ., Kelsen H., *The Pure Theory of Law*, Translated by M. Knight, Cambridge University Press, 1967.

ერთ-ერთი უმთავრესი კი ამ არასამართლებრივი კატეგორიიდან პოლიტიკაა, რომელიც სამართალთან მიმართებით ყოველთვის თავად პოლიტიკის განმხორციელებელთა თუ მოქმედ პირთა პოლიტიკური შეხედულებების ერთობლიობა უფროა, განსაკუთრებით საქართველოში. სამართალი ხშირად კანონმდებლის პირად გემოვნებამდე დადის და კონკრეტული ჯგუფის მექანიზმად იქცევა. ეს განსაკუთრებით მაშინაა შესამჩნევი, როდესაც სამართლისათვის წმინდა ტექნიკური საკითხი პოლიტიკური დებატებისა თუ დისკუსიის საგნად იქცევა.

2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ქორწინების ნორმა შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“⁵³. ქორწინების „კონსტიტუციონალიზაციის“ საკითხი არა მხოლოდ საკონსტიტუციო რეფორმის, არამედ ამ რეფორმამდე საპარლამენტო არჩევნების წითელ ხაზად განისაზღვრა. საგულისხმოა, რომ ზემოთხსენებული კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანაც ამავე პერიოდს ემთხვევა.⁵⁴ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდში რამდენიმე პოლიტიკური ძალა აქცენტს აკეთებდა ქორწინების ინსტიტუტის მიმართ არსებულ „საფრთხეებზე“ და მოითხოვდა ქორწინების სუბიექტთა საკონსტიტუციო დონეზე განსაზღვრას.⁵⁵ ამ მიზნით გროვდებოდა ხელმოწერები რეფერენდუმისთვისაც.⁵⁶ ლოგიკურად, ქორწინებას მიება რელიგიური საკრალურობის ასპექტიც, რამაც, ფაქტობრივად, გადაწონა ყველა მნიშვნელოვანი სოციალური თუ სხვა საკითხი, რომელიც წინასაარჩევნოდ აქტიურდება. ქორწინების „კონსტიტუციონალიზაციის“ უმთავრესი არგუმენტი ქორწინების, როგორც საკრალური და დიდმნიშვნელოვანი ინსტიტუტის, საკონსტიტუციო დონეზე დაცვა და ქორწინების სუბიექტთა მკაცრი განსაზღვრა იყო საზოგადოების უმრავლესობის ინტერესების დაცვის მოტივით.⁵⁷ ისეთი საკონსტიტუციო ქარტეხილებისა და დაუსრულებელი საკონსტიტუციო რეფორმების ქვეყანაში, როგორც საქართველო,⁵⁸ საკონსტიტუციო დონეზე რაიმეს დაცვის არგუმენტს ფაქტობრივად არანაირი ძალა აქვს. საქართველოს კონსტიტუცია ხშირად უფრო იცვლება, ვიდრე სამოქალაქო კოდექსის ის ნაწილი, რომელიც ქორწინების საკითხებს აწესრიგებს.

სამართლის უმთავრესი დანიშნულება პირის ავტონომიის სხვა პირთა ხელყოფისგან დაცვა უნდა იყოს.⁵⁹ პირადი ავტონომიის იდეა კი იმაში მდგომარეობს,

⁵³ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/11/714 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I.

⁵⁵ <<https://netgazeti.ge/news/95104/>> [20.03.2020]

⁵⁶ <<https://gdi.ge/ge/news/platforma-ara-fobias-gancxadeba-adamianis-uflebata-sakitxebze-referendumis-danishvnis-motxovnastan-dakavshirebit.page>> [20.03.2020]

⁵⁷ <<https://old.civil.ge/geo/article.php?id=30198>> [20.03.2020]

⁵⁸ იხ., გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის იდეაფიქსები, ანუ როცა ცვლილების ქარი უბერავს, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 106-124.

⁵⁹ Herring J., Relational Autonomy and Family Law, in: Rights, Gender and Family Law, Edited by J. Wallbank, Sh. Chaudhry, J. Herring, Routledge, 2010, 258.

რომ ადამიანმა, შესაძლებლობის ფარგლებში, თავად განსაზღვროს საკუთარი ბედისწერა და მიიღოს თავის ცხოვრებასთან დაკავშირებული გადამწყვეტილებები.⁶⁰ პირად ცხოვრებაში ჩარევას სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ერიდებოდეს, ვინაიდან ეს ყოველივე კვლავაც უმთავრესს – თავისუფლებას, უქმნის საფრთხეს⁶¹. მით უმეტეს, საერთოდ ალოგიკურია, ხელოვნურად ჩაერიო მსგავს თემაში და კონსტიტუციით მოაწესრიგო საკითხი, რომელიც ისედაც მიმდინარე კანონმდებლობით წესრიგდება. ამის საპირწონედ შეუძლებელია რაიმეს საკონსტიტუციო დაცვის მოტივაცია იქცეს, ვინაიდან კანონმდებლობაში იქნება ცვლილება თუ კონსტიტუციაში, მას ისედაც ხალხის უმრავლესობის ლეგიტიმაცია სჭირდება.⁶² საკონსტიტუციო თუ საკანონმდებლო ცვლილებები უმრავლესობის ნებასა და მიმდებლობაზე უნდა იყოს ორიენტირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმა მხოლოდ ფორმალურად იქნება სავალდებულო ხასიათის ქცევის წესი და პრაქტიკაში არ იმოქმედებს. სამართლის სოციალური ეფექტის გაუთვალისწინებლობა ხშირად კატასტროფული შედეგების მომტანია.

ქორწინების „კონსტიტუციონალიზაცია“ თანამედროვე სამართალში არ შეიძლება სერიოზული სამართლებრივი შედეგები უკავშირდებოდეს. ამას ბევრი მიზეზი აქვს, თუმცა უმთავრესი მაინც კონსტიტუციის როლის აღქმაა, – მისი წმინდა სამართლებრივ დოკუმენტად განხილვა და გაგება, პოლიტიკური შემადგენლის გარეშე, ფაქტობრივად მისთვის შინაარსისა და სტატუსის გამოცლის ტოლფასია. ამ შემთხვევაშიც ქორწინების „კონსტიტუციონალიზაცია“ არა მხოლოდ პირადი ცხოვრების საკითხების არასათანადო წინა პლანზე წამოწევა და საჯაროდ „გაშიშვლება“, არამედ გარკვეულწილად კონსტიტუციის გაამქვეყნიურების მცდელობა. სახელმწიფოს ძირითად კანონს თავისი, ძალზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური ფუნქციები აქვს⁶³, რაც მისი მონესრიგების სფეროს მიმდინარე კანონმდებლობის მონესრიგებამდე დაყვანით ნამდვილად კნინდება. ქორწინების საკონსტიტუციო დონეზე განსაზღვრის პირველრესპუბლიკისეული მოტივაცია თანამედროვე საქართველოში აღარ არსებობს, ამასთან, სრულიად სახეცვლილია კონსტიტუციის სტრუქტურა და შინაარსი, რომლისთვისაც ქორწინების სუბიექტების ზედმინვნითი განსაზღვრა არა მხოლოდ უადგილო, არამედ არაესთეტიკური და არაბუნებრივია. ეს ყოველივე სახეს უკარგავს ძირითად კანონს და აკნინებს მის სტატუსს.

IV. დასკვნა

ქორწინების სამართლებრივი განსაზღვრება საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და თანამედროვეობამდე მის სუბიექტთა კლასიფიკაცია არ შეცვლილა.

⁶⁰ იხ., Raz J., *The Morality of Freedom*, Oxford University Press, 1986, 369.

⁶¹ თავისუფლების გაგებასა და მის სამართლებრივ ფარგლებზე დანვრილებით იხ., მილი ჯ.ს., თავისუფლების შესახებ, უტილიტარიზმი, თ. ცხადაძისა და ლ. მჭედლიშვილის თარგმანი, თბილისი, 2010.

⁶² იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 8.

⁶³ Barak A., *Purposive Interpretation in Law*, translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 370.

ახალმა ეპოქამ სხვა გამოწვევები მოიტანა, ახალი საკითხები დააყენა გადასაჭრელად. რა თქმა უნდა, ამ ყოველივემ მნიშვნელოვანი ცვლილებებიც გამოიწვია და ლოგიკურად, კვალაც გამოიწვევს. ის, თუ ვინ უნდა იყოს ქორწინების სუბიექტი, სრულიად სხვა, გაცილებით დეტალური კვლევის საგანია, რომელიც ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუმცა სხვა რამაა, თავად ქორწინების, როგორც ინსტიტუტის, „კონსტიტუციონალიზაცია“ და საკონსტიტუციო დონეზე განსაზღვრების აუცილებლობა.

ყოველი სახელმწიფო და ხალხი თავად წყვეტს ან უნდა წყვეტდეს საკუთარ ბედს, მომავალსა და განვითარების გზას, თუმცა არსებობს პრიორიტეტები, სამართლებრივი ტექნიკა და ამ ყოველივეს რაციონალურად განხორციელების მექანიზმები. ქორწინების კონსტიტუციაში არსებობის სამართლებრივი საფუძველი თანამედროვე სამყაროში, ობიექტური შეფასებით, არ არსებობს, ის, სხვა უამრავ საოჯახოსამართლებრივ ინსტიტუტთან ერთად, მიმდინარე კანონმდებლობის მონესრიგების სფეროა, რომელიც არ უნდა გასცდეს ამ ფარგლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ხელოვნურად გააქტიურება სრულიად უსაგნო და უშინაარსო შედეგებს გამოიწვევს.

საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინების დატოვებას, შემდეგ კი მის დაზუსტებას სუბიექტების თვალსაზრისით 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარეობისას ჰქონდა წმინდა პოპულისტური ხასიათი, გათვლილი იყო ამომრჩევლის ზედაპირულ განწყობაზე, რამაც, საბოლოო ჯამში, ზუსტად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანები და გადაფარა საკონსტიტუციო რეფორმის ბევრი აქტუალური და პრობლემური საკითხი. ქორწინების საკონსტიტუციო დონეზე „დამაგრებას“ რაციონალური ახსნა არ მოეპოვება, იგი ვერ გამართლდება მისთვის სტაბილურობის მინიჭების მიზნითაც, ვინაიდან სტაბილურობა თავად ქვეყნის ძირითად კანონსაც კი ვერ მოუპოვებია ჯერჯერობით. კანონმდებლის მსგავსი ქმედებები აკნინებს კონსტიტუციას, აქცევს რა ყოველდღიური, მიმდინარე თემატიკის მომწესრიგებელ დოკუმენტად, ნაცვლად იმისა, რომ ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ძირითად, ფუძემდებლურ საკითხებს ეხებოდეს, განსაზღვრავდეს ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ბოჭავდეს ხელისუფლებასა და მის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების არამიზნობრივ ან ბოროტად გამოყენებას.

გემოვნებასა და სამართლებრივ ტექნიკაზე ბევრი დავა შეიძლება, თუმცა ქორწინების ადგილი თანამედროვე კონსტიტუციების არქიტექტონიკაში არ მოიძებნება. იგი ტრადიციულად სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა წესრიგდებოდეს, პირადი ავტონომიის მაქსიმალური დაცვით.

**ნასამართლობა, როგორც ქმედების შემაღანლოვის
დავაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების
პროკლამა დანაშაულთა ერთობლიობის დროს**

I. შესავალი

ნასამართლობა ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნაკლებად დამუშავებული სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი სასამართლოს განაჩენით დამნაშავის მსჯავრდების სამართლებრივი შედეგია და გამოიხატება მსჯავრდებულის ცალკეული უფლების შეზღუდვაში, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს კონსტიტუციური, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართლის ნორმებში.¹ ნასამართლობა მხოლოდ სასჯელის თანამდევი სამართლებრივი შედეგია და სწორედ ამიტომ მოქმედებს პრეზუმფცია – პირი თავიდანვე ნასამართლობის არმქონედ მიიჩნევა, ვიდრე მისი ნასამართლობა არ დადასტურდება სასამართლოს განაჩენით, ამასთან, იგი მოხსნილი ან გაქარწყლებული არ უნდა იყოს². ამდენად, სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისგან განსხვავებით, მხოლოდ სისხლისამართლებრივი სასჯელი იწვევს პირის ნასამართლობას³.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის („სსკ“-ის) 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ამავე მუხლის შესაბამისად, ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას⁴. სწორედ კანონმდებლის ეს უკანასკნელი დათქმა ნინამდებარე სტატიის განხილვის საგანი. კერძოდ, თუ რა სამართლებრივ გავლენას ახდენს ქმედების შემადგენლობის და შესაბამისად, პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნებისათვის ნასამართლობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებას⁵.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

¹ იხ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 424; თოდუა ნ., ივანიძე მ., ფაფიაშვილი ლ., ხერხეულიძე ი., ცვიტიშვილი თ., სანქციები სისხლის სამართალში, თბილისი, 2019, 242; ასევე, ანალოგიურ საკითზე იხ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2018, 639.

² შეად., დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 31.

³ შეად., ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, 43.

⁴ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლი, რომელიც უკავშირდება ნასამართლობის გაქარწყლებას. მისი ბოლო აზრად ადგენდა განსხვავებულ წესს. ამ მუხლის ანალიზი კი მოცემულია ქვემოთ, მე-6 თავში.

⁵ საუბარია არათანაბარი სიმძიმის სასჯელზე.

უფრო კონკრეტულად, დანაშაულთა ერთობლიობისას, სასჯელის შთანქმის დროს მოქმედებს თუ არა ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებული წესი? ამ პრობლემის გადაჭრა კი პირდაპირ კავშირშია როგორც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ისე მისი დამძიმების საკითხის გარკვევასთან.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, საკანონმდებლო მონესრიგების არარსებობით, ხოლო, მეორე მხრივ, მსგავსი საკითხების თაობაზე მეცნიერი იურისტების მიერ შექმნილ ნაშრომთა სიმწირით. სტატიაში გაანალიზდება დასახელებული პრობლემა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალთახედვით.

II. დანაშაულთა ერთობლიობის ზოგადი დახასიათება

დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახეა დანაშაულთა ერთობლიობა. იგი ორი ან მეტი ისეთი დანაშაულის ჩადენას ნიშნავს, რომლებიც სსკ-ის სხვადასხვა მუხლით ან ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილითაა გათვალისწინებული და გულისხმობს, რომ პირი არცერთისათვის უნდა იყოს მსჯავრდებული.⁶ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისგან განასხვავებენ დანაშაულის რეალურ და იდეალურ ერთობლიობას.⁷ ძირითადად გავრცელებულია რეალური ერთობლიობა, ამ დროს პირი ორი ან მეტი მოქმედებით ორ ან მეტ დანაშაულს ჩადის (მაგ., ქურდობა და მკვლელობა), მაშინ, როცა დანაშაულის იდეალური ერთობლიობის დროს ერთი ქმედებაა განხორციელებული, რომელიც სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას მოიცავს⁸.

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, ასევე, მოჩვენებითი ერთობლიობის ცნებაც⁹, რომელიც გარეგნულად, ერთი შეხედვით, კანონის ნორმათა კონკურენ-

⁶ შეად., პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 1999, 487-488; გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, 138; ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება, თბილისი, 2019, 294.

⁷ შეად., ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 351; მამულაშვილი გ., არაერთგზისი დანაშაულის ცნების საკანონმდებლო სრულყოფისათვის, „ცხოვრება და კანონი“, N1(5), 2010, 341; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011, 389.

⁸ მერაბ ტურავა დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის შემთხვევად მიიჩნევს, ასევე, მძევლად ხელში ჩაგდებას თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან მიმართებით, რასაც არ ეთანხმება ოთარ გამყრელიძე და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაშიც ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენციაა, რა დროსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ შემადგენლობას – მძევლად ხელში ჩაგდებას (სსკ-ის 144-ე მუხლი). ამის შესახებ იხ., ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 351; გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, 140.

⁹ თავად ეს ტერმინი პირობითია, ვინაიდან წარმოუდგენელია იმის მტკიცება, რომ სინამდვილეში გვაქვს ერთი დანაშაული, ხოლო „იდეაში“ – რამდენიმე. დანაშაული ყოველთვის კონკრეტული, რეალურია და დაუშვებელია მისი აზრობრივი გაორება. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და ი. დვალის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 339, ასევე, შეად., ტყემელიაძე გ., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბილისი, 1965, 85-86.

ციას ჰგავს¹⁰. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში, ერთი დანაშაული შეიძლება მოცული იყოს კოდექსის ორი ან მეტი მუხლით, მაგრამ იგი დანაშაულთა ერთობლიობას მაინც არ მოიაზრებდეს. აღნიშნული შემთხვევაა ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთობისას, როცა ჩადენილი ქმედება ზოგადი მუხლითაცაა მოცული და სპეციალურითაც¹¹. ასე, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი, განზრახი მკვლელობის მუხლია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მუხლი ყოველგვარ განზრახ მკვლელობას მოიცავს,¹² თუმცა კანონმდებელი იქვე აყალიბებს განზრახი მკვლელობის სპეციალურ შემადგენლობებსაც, რომლებიდანაც გამოყოფს განზრახ მკვლელობის ზოგიერთ მძიმე ან უფრო მსუბუქ შემთხვევას და ამის მიხედვით ქმნის სპეციალურ შემადგენლობას. ასეთ ვითარებაში წარმოიშობა სწორედ ნორმათა კონკურენცია, რა დროსაც, სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობა გამოორიციხულია და უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ შემადგენლობას¹³.

ამდენად, დანაშაულთა რეალური ერთობლიობა, რომელიც ემყარება ორი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენას, განსხვავდება შემთხვევისაგან, როდესაც მხოლოდ ერთი დანაშაულია ჩადენილი, მაგრამ ექცევა ორი ან რამდენიმე განსხვავებული კვალიფიკაციის ქვეშ¹⁴. ამ პრობლემის გარკვევის შემდეგ კი დასადგენია, თუ როგორ ხდება სასჯელის გამოყენება ამ დროს.

III. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი აწესრიგებს სასჯელის დანიშვნის წესს როგორც დანაშაულთა¹⁵, ისე განაჩენთა ერთობლიობის დროს. ზემოთ აღნიშნა, რომ განხილვის საგანი დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის განსაზღვრის, მისი გამოყენების წესია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი: „დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს“. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა,

¹⁰ იხ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 343.

¹¹ იხ., იქვე.

¹² იხ., გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, 140.

¹³ იქვე.

¹⁴ შეად., პრადელი უ., შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 1999, 487.

¹⁵ მერაბ ტურავა ფიქრობს, რომ სსკ-ის 59-ე მუხლი, როგორც წესი, გათვალისწინებულია დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დათქმა პირდაპირ არ არის მოცემული დასახელებულ ნორმაში. ამ პოზიციის მართებულობა კი, ავტორის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ იდეალური ერთობლიობის დროს ყოველთვის, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, გამოიყენება უპირობო შთანთქმის პრინციპი, რადგან მოქმედებს შემდეგი წესი: ერთი დანაშაულისათვის მხოლოდ ერთი სასჯელი. ამის შესახებ იხ., ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 365-366.

ზოგადი ხასიათისაა და ეხება ყველა კატეგორიის დანაშაულს. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის რაოდენობას¹⁶.

დანაშაულთა რეალური (მატერიალური) ერთობლიობის შემთხვევაში იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია სასჯელის დანიშვნის სამი სისტემა¹⁷, კერძოდ: **(1)** სასჯელთა მატერიალური ერთობლიობისას მოსამართლე ასახელებს ყველა სასჯელს თითოეული დანაშაულისათვის; **(2)** სასჯელთა არაერთობლიობის შემთხვევაში, ინიშნება მხოლოდ ერთი სასჯელი, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის კანონით განსაზღვრული სანქციის მიხედვით; **(3)** შუალედური სისტემა: იგი სასჯელთა იურიდიული ერთიანობაა, რა დროსაც მოსამართლე ნიშნავს ერთ სასჯელს, რომელიც აღემატება ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ვადას¹⁸.

ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართალი ამ პრობლემას განსხვავებულად აწესრიგებს. ასე, მაგალითად, ესპანეთს ორიგინალური წესი აქვს¹⁹: ან ინიშნება სხვადასხვა სასჯელი თითოეული დანაშაულისათვის, ხოლო სასჯელი აღსრულდება სიმძიმის შესაბამისად (არსებობს სასჯელთა დაყოფა: **reclusion mayor, reclusion menor, presidio mayor, prision mayor** და ა.შ.); ან თავისუფლების აღკვეთის მთლიანი ვადა არ აღემატება ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის გასამმაგებელ ვადას (ესპანეთის სსკ-ის 70-ე მუხლი); ან სხვადასხვა სასჯელი შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთდროულად (თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა), რა დროსაც მოსამართლე სასჯელს ნიშნავს ყოველი დანაშაულისათვის ინდივიდუალურად (სსკ-ის 69 bis მუხლი).²⁰

ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მიღებულია სასჯელთა ერთობლიობის სისტემა (საფრანგეთი, ბელგია). შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 68-1 წყვეტს, რომ მოსამართლე „დასჯის ყველაზე მძიმე სასჯელით და მიუმატებს ვადას გარემოებათა გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადის ნახევრისა“.²¹

საფრანგეთში კი ამგვარი იურიდიული ერთობლიობა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება.²² ასე, მაგალითად, იარაღის გამოყენებით ჩადენილი ქურდობისათვის²³ ინიშნება არა ორი დამოუკიდებელი სასჯელი, არამედ ერთი, უფრო მძიმე სასჯელი.²⁴ აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მიერ მიღებული სასჯელთა არა-

¹⁶ შეად., დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 119.

¹⁷ იხ., პრაღელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 1999, 488.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² იქვე, 488-489.

²³ ანალოგიური ნორმა მოცემულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ (კერძოდ) ნაწილშიც, თუმცა როგორც ქურდობის დამამძიმებელი, დამოუკიდებელი შემადგენლობა. იხ., გერმანიის სსკ-ის 244-ე პარაგრაფი (**Diebstahl mit Waffen**).

²⁴ იხ., პრაღელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 1999, 489.

ერთობლიობის წესი არ არის აბსოლუტური²⁵. კერძოდ, როდესაც პირის მიერ ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, სასჯელი უნდა დაინიშნოს ინდივიდუალურად ყველა დანაშაულისათვის. ერთნაირი სახის სასჯელთა დანიშვნის შემთხვევაში კი მოსამართლე²⁶ პირს შეუფარდება მხოლოდ ერთს, კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ზომის ხანგრძლივობით.²⁷

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც ზემოთ აღინიშნა, იცნობს დანაშაულთა ერთობლიობისას მხოლოდ სასჯელთა უპირობო შთანთქმის წესს²⁸. ამ წესიდან გამონაკლისია სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას შთანთქმის გარდა, ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრების პრინციპი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილის ცვლილებამდე გამოიყენებოდა სასჯელთა შეკრების პრინციპი. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნებოდა თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა მათი შეკრება.

დღეისათვის ეს წესი შეცვლილია და დანაშაულთა ერთობლიობის დროს გამოიყენება მხოლოდ სასჯელთა შთანთქმის პრინციპი²⁹. თუმცა, ამ დროს შთანთქმული სასჯელი ითვლება თუ არა „გაუქმებულ“ ან „ძალადაკარგულ“ სასჯელად. უფრო კონკრეტულად, სასჯელთა შთანთქმის შემთხვევაში, ათავისუფლებს თუ არა კანონმდებელი მსჯავრდებულს შთანთქმული სასჯელის მოხდისგან? აღნიშნული საკითხის განხილვა კი, თავის მხრივ, ნასამართლობის გაქარწყლების საკითხის უკეთ გარკვევს დაეხმარება.

IV. პრობლემის განხილვა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

სასამართლო პრაქტიკაში ამ პრობლემასთან დაკავშირებით ყურადსაღებია უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება³⁰:

²⁵ იქვე.

²⁶ საფრანგეთში მოსამართლეს სასჯელთა ფიქსირებისათვის ყველაზე ფართო უფლებები აქვს, მაგრამ ის არ იყენებს განგრძობადი დანაშაულის ტექნიკას. ამის შესახებ იხ., იქვე.

²⁷ იხ., იქვე.

²⁸ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლში 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილების შეტანამდე სსკ-ში გამოიყენებოდა სასჯელთა შთანთქმისა და შეკრების პრინციპი. მოგვიანებით, 2007 წლის 25 ივლისს, საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე, საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის შეიქმნა სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებები („sentencing guidelines“), რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეფარდებას (შეკრებას) წინასწარ დადგენილი/განერილი წესით, რასაც, ასევე, აქტიურად იყენებდნენ საქმის განმხილველი მოსამართლეები.

²⁹ გამონაკლისია დანაშაულის რეციდივის შემთხვევა და განაჩენთა ერთობლიობა, რომელთა განხილვაც არაა ამ სტატიის საგანი.

³⁰ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N1248აგ-13.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის განაჩენით ე.პ.-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 4 წლით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; დანაშაულთა ერთობლიობით ე.პ.-ს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა (სასჯელები შეიკრიბა), 2 წლის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალა პირობით. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდა დაიწყო 2011 წლის 29 ოქტომბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ კანონის თანახმად³¹, მსჯავრდებული ე.პ.-ი გათავისუფლდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 1 წლითა და 6 თვით პირობითი მსჯავრით³².

მსჯავრდებულმა ე.პ.-მა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, სსკ-ის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესული ცვლილების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, კანონმდებლის მიერ დადგენილ იქნა დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა მხოლოდ შთანთქმის პრინციპი³³.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ე.პ.-ის შუამდგომლობა დაუშვებლად ცნო. უზენაესმა სასამართლომ კი მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და განმარტა: „საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებული ე.პ.-ი სასჯელს იხდის სსკ-ის მხოლოდ ერთი – 262-ე მუხლით, რის გამოც დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება, მოცემულ შემთხვევაში, არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას“³⁴. ამასთან, საკასაციო პალატამ იქვე მიუთითა, რომ „სასჯელის შთანთქმა არ ნიშნავს შთანთქმული სასჯელის გაუქმებას და უფრო დიდი სასჯელისაგან გათავისუფლება მსჯავრდებულს ავტომატურად არ ათავისუფლებს შთანთქმული სასჯელისაგანაც“³⁵.

ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ორი უმნიშვნელოვანესი გარემოება:

(1) უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მსჯავრდებულს კანონის უკუქაღლის გამოყენებაზე უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ ვინაიდან მის მიერ ჩადენილ

³¹ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.

³² იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N1248აგ-13.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე. ანალოგიური პოზიციაა, ასევე, განვითარებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. ამის შესახებ იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/2192-17.

ერთ-ერთ ქმედებაზე (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ნაწილში) უკვე გავრცელებული იყო „ამნისტიის შესახებ“ კანონი³⁶;

(2) სასჯელის შთანთქმა არ ნიშნავს შთანთქმული სასჯელის გაუქმებას და უფრო დიდი სასჯელისაგან გათავისუფლება მსჯავრდებულს ავტომატურად არ ათავისუფლებს შთანთქმული სასჯელისაგანაც.³⁷

პირველ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ არის საკმარისად დასაბუთებული, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესული ცვლილების გათვალისწინებით, კანონმდებლის მიერ დადგენილ იქნა დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა განსაზღვრის ახალი წესი – მხოლოდ შთანთქმის პრინციპი, მაშინ, როცა მსჯავრდებულის მიმართ ამ ცვლილების ამოქმედებამდე გამოყენებულ იქნა სასჯელთა უპირობო შეკრების პრინციპი³⁸.

ამდენად, ახალი კანონის ნორმებით პირის მდგომარეობა უმჯობესდებოდა და მას გაცილებით ადრე მოუწევდა საპატიმრო დაწესებულების დატოვება. ის არგუმენტი კი, რომ მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებული ე.პ.-ი სასჯელს იხდიდა სსკ-ის მხოლოდ ერთი – 262-ე მუხლით და შესაბამისად, 59-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობა დღის წესრიგში აღარ იდგა, არ არის დამაჯერებელი და გასაზიარებელი. ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ კანონი, რომელიც ხელისუფლების ჰუმანური აქტია, არავითარ კავშირშია კანონის უკუძალის პრინციპთან. შესაბამისად, იგი არ შეიძლება გახდეს დამაბრკოლებელი გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაზე სასამართლომ თავი აარიდოს უფრო მსუბუქი კანონის გამოყენებას.

ამ პოზიციის საილუსტრაციოდ კი შესაძლებელია ერთი მარტივი მაგალითის მოტანა: ახალმა კანონმა საერთოდ გააუქმა ქმედების დანაშაულობრიობა³⁹, ამ

³⁶ მსჯავრდებული ერთი მუხლით – სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დანიშნულ სასჯელს იხდიდა.

³⁷ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N1248აგ-13.

³⁸ შეად., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633,634 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“ და 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მაისის N333საზ, 2009 წლის 10 სექტემბრის N41საზ-09, 2016 წლის 28 ივნისის N64აპ-16, 2018 წლის 11 იანვრის N429აპ-17 და 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებები.

³⁹ როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის უკანონოდ მოხმარებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამის შესახებ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნო-

ქმედებისათვის კი პირი უკვე იხდოდა სასჯელს საპატიმრო დანესებულებაში. მანამდე „ამნისტიის შესახებ“ კანონმა, რომელიც გაცილებით ადრე იქნა გამოცემული, ვიდრე ასეთი ქმედების დეკრიმინალიზაცია მოხდებოდა, გაუნახევრა პირს დანიშნული სასჯელი. სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობით, ვერც ამ შემთხვევაში გამოიყენებს სასამართლო მსჯავრდებულის მიმართ უფრო მსუბუქ კანონს, ვინაიდან თავის დროზე ამ პირის მიმართ უკვე გამოყენებულ იქნა „ამნისტიის შესახებ“ კანონი, რაც ცალსახად არასწორია. ამდენად, უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული დასაბუთება ამ ნაწილში არ არის დამაჯერებელი და არგუმენტირებული.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, სადაც სასამართლო მიუთითებს, რომ „სასჯელის შთანთქმა არ ნიშნავს შთანთქმული სასჯელის გაუქმებას და უფრო დიდი სასჯელისაგან გათავისუფლება მსჯავრდებულს ავტომატურად არ ათავისუფლებს შთანთქმული სასჯელისაგანაც“⁴⁰, აღნიშნული განმარტება, როგორც ზოგადი განმარტება, სავსებით მართებულია, ვინაიდან, სასჯელის შთანთქმა მართლაც ნიშნავს არა ჩადენილი ქმედებისათვის ბრალდების მოხსნას ან გაქრობას, არამედ ხატოვნად რომ ითქვას: „დიდი სასჯელის ფარგლებში მის ჩასმას“. ასე, მაგალითად, პირის მიერ ჩადენილია მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაული. პირველი ინსტანციის სასამართლომ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, მსჯავრდებულს განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. დანაშაულთა ერთობლიობიდან გამომდინარე, მძიმე დანაშაულმა შთანთქა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული და პირს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან 1 წელში სააპელაციო სასამართლომ პირი გაამართლა **მხოლოდ** მძიმე დანაშაულის ჩადენაში (ან მსჯავრდებულს, მოგვიანებით, ბრალდების ამ ნაწილში შეეხო ამნისტია), რის გამოც მას მოსახდელი დარჩება მხოლოდ 2 წელი. შესაბამისად, ყველა ანალოგიურ ვითარებაზე იმის დასაბუთება, რომ შთანთქმული სასჯელი ასეთ დროს „განადგურებული“ ან „გაუქმებულია“, არ იქნება სწორი, ვინაიდან, მაშინ ლოგიკურად დაისმება შემდეგი კითხვა: ასეთ სიტუაციაში ვის დარჩება მოსახდელი 2 წელი?

ამდენად, უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება, როგორც ზოგადი, სახელმძღვანელო განმარტება, სავსებით მართებულია, თუმცა, იგი მაინც საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას, ვინაიდან, შესაძლოა, გაურკვეველობა წარმოიშვას მაშინ, როცა დანაშაულთა რეალური ერთობლიობის დროს ორი არათანაბარი სიმძიმის სასჯელი შთანთქმება (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა).

თვალსაჩინოებისათვის ერთი მაგალითი: პეტრე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების

ემბრის N1/13/723 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁰ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N1248აგ-13.

აღკვეთა. პეტრე, ასევე, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და მას სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, პეტრეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საპატიმრო დაწესებულების დატოვებისთანავე კი, მან უკანონოდ კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული ნივთიერება. მიიჩნევა თუ არა პეტრე საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლევ პირად? ამ მუხლით კი, პირის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად აუცილებელია, რომ ქმედების ჩამდენი იყოს ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი ან კიდევ ადმინისტრაციულად სახდელდადებული⁴¹. აღნიშნული პრობლემის გარკვევა უშუალოდ დაკავშირებულია ნასამართლობის გაქარწყლებისა და გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის საკითხთან.

V. ნასამართლობის გაქარწყლებისა და გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს

პრობლემის განხილვას უზენაესი სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების⁴² განალიზებით დავიწყებთ: გ.ჩ.-ის, წარსულში ნასამართლევს, ბრალი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და შენახვაში, ჩადენილი არაერთგზის, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს რომელიმე ნარკოტიკული დანაშაული. მასვე ბრალი წარედგინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

ბრალდებულის ქმედება კი გამოიხატა შემდეგში: 2018 წლის 15 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 ივლისისა და 2013 წლის 31 ივლისის განაჩენებით სსკ-ის 260-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის (სასამართლომ გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის წესი და სსკ-ის 260-ე მუხლის სასჯელს აშთანთქინა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი)⁴³ ნასამართლევი გ.ჩ.-ი მეგობრებთან ერთად, „აუდის“ ფორმის ავტომანქანით, გადაადგილდებოდა თბილისში, რა დროსაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა, გადამოწმების მიზნით გააჩერა. დადგინდა, რომ გ.ჩ.-ი უკანონოდ ინახავდა მის მიერ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე უკანონოდ შექმნილ 0,0605 გრამ (საერთო წონით) ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. იმავე დღეს საქართველოს შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გ.ჩ.-ის დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

⁴¹ სსკ-ის 273-ე მუხლის შესახებ იხ., გეგელია თ., დავითური გ., იმნაძე გ., მახარაძე გ., ჯიშკარიანი ბ., ნარკოტიკული დანაშაული, თბილისი, 2020, 146-159.

⁴² იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება N416აპ-18.

⁴³ იქვე.

2018 წლის 12 ივნისს პროკურორმა წინასასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომაც.

ამის შემდეგ სახელმწიფო ბრალდებამ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის საფუძველი, დაუსაბუთებელი იყო, ასევე, სასამართლოს მსჯელობა ნასამართლობის გაქარწყლებასთან დაკავშირებით⁴⁴. კერძოდ, კასატორის აზრით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილით სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის გაქარწყლების სხვადასხვა ვადაა გათვალისწინებული, მოცემული დანაწესი არ უნდა გავრცელებულიყო დანაშაულთა ერთობლიობის დროს, შთანთქმის ან შეკრების გამოყენებისას ნასამართლობის გაქარწყლების წესზე⁴⁵.

ასეთ შემთხვევაში, პროკურორის შეხედულებით, იცვლებოდა როგორც სასჯელის მოხდის, ასევე, ნასამართლობის გაქარწყლების რეჟიმი და ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად, ნასამართლობა ყველა დანაშაულისთვის უნდა გაქარწყლებულიყო ერთიანად, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლებისას⁴⁶. კასატორი მიუთითებდა, რომ გ.ჩ.-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლობის ვადა უნდა გაქარწყლებოდა არა დამოუკიდებლად, არამედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადასთან ერთად, კერძოდ – 2020 წლის 30 ივლისს.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი პროკურორი ითხოვდა, რომ უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის გათვალისწინებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადის ათვლა დაწყებულიყო არა განაჩენის გამოტანისთანავე, არამედ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს მოიხდიდა.

როგორც ცნობილია, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ, ხოლო თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ. სსკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ სსკ-ით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

⁴⁴ იხ., იქვე.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ ამგვარ წესს ითვალისწინებდა 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი კოდექსის 57-ე მუხლის ბოლო აბზაცი.

სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სსკ-ის მე-12 მუხლიდან გამომდინარე, განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას, შესაბამისად, ბრალდებულს ნასამართლობა გაუქარწყლდებოდა სასჯელის მოხდიდან **სამი წლის** შემდეგ, თუკი მის მიმართ სასამართლო გამოიყენებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას, ხოლო თუ სასამართლო მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენებდა ჯარიმას – ჯარიმის გადახდიდან **ერთი წლის** შემდეგ. საქმის მასალებით, გ.ჩ.-მა ძირითადი, ანუ მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი (სსკ-ის 260-ე მუხლი) მოიხადა 2014 წლის 30 ივლისს (როდესაც იგი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა)⁴⁷. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს პოზიციით, მას ნასამართლობა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის უნდა გაქარწყლდებოდა მისი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან სამი წლის (მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა) შემდეგ და არა განაჩენის გამოტანისთანავე.

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, მართალია, გ.ჩ.-ი სსკ-ის 273-ე მუხლთან ერთად, ასევე, მსჯავრდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას⁴⁸, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მითითებით, თითოეული დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა უნდა გამოთვლილიყო ცალ-ცალკე. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით: „ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მესამე ნაწილი ნასამართლობის გაქარწყლების ვადას დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით, ინდივიდუალურად განსაზღვრავს და კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც განაჩენთა ან/და დანაშაულთა ერთობლიობის დროს ნასამართლობის ვადის გაქარწყლებას სხვაგვარად მოაწესრიგებდა“⁴⁹.

ამდენად, უზენაესი სასამართლო არ ეთანხმება პროკურორის პოზიციას, რომლის მიხედვითაც, დანაშაულთა ერთობლიობის დროს ნასამართლობა ყველა დანაშაულისათვის ქარწყლდება ერთიანად, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლებისთანავე. საკასაციო პალატა უთითებს, რომ მოცემული განმარტება „არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსიდან და ამასთან, 79-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე მეტად მკაცრია, ვინაიდან იგი მაკვალიფიცირებელი გარემოების წინაპირობას ქმნის და შესაბამისად, პირის სამართლებრივ მდგომარეობას ამძიმებს“⁵⁰.

⁴⁷ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება N416აპ-18.

⁴⁸ განაჩენის გამოტანის დროს ქმედება განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

⁴⁹ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება N416აპ-18.

⁵⁰ იქვე. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური საფუძვლითა და დასაბუთებით, ასევე, გაამართლა ბრალდებული პირი თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის

საბოლოოდ, სასამართლომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „სასჯელთა შეკრების ან შთანთქმის შემთხვევაში, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადა, არ მოიცავს სხვა, უფრო მსუბუქი დანაშაულის ნასამართლობის გაქარწყლების ვადასაც და შესაბამისად, სასჯელის მოხდის შემდეგ გაქარწყლების ვადის დინება ყოველი მუხლისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად) მიმდინარეობს“⁵¹. ამდენად, საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს როგორც იმავე მუხლით ნასამართლეთვი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების შემადგენლობა, ასევე ისეთი ქმედების შემადგენლობაც, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სსკ-ის შესაბამისი თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ვინაიდან გ. ჩ.-ას წინა ნასამართლობა (სსკ-ის 273-ე მუხლი) გაქარწყლებულია.

უზენაესი სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში სრულიად მართებულია და არ შეიძლება, არ დაეთანხმო, ვინაიდან მსჯავრდებულს ახალი დანაშაულის ჩადენის დროს წინა დანაშაულისათვის გათვალისწინებული ნასამართლობის ხანდაზმულობის ვადა გასული ჰქონდა. თუმცა ბუნდოვანია სასამართლოს მსჯელობა იმ ეპიზოდში, სადაც იგი შთანთქმული სასჯელის ნასამართლობის გაქარწყლების ვადის ათვლის წერტილად უთითებს უფრო მძიმე დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის ვადას. კერძოდ, უზენაეს სასამართლოს, ირიბად მაგრამ მაინც, მართებულად მიაჩნია, რომ შთანთქმული სასჯელის აღსრულების ვადის დინება გრძელდება მანამ, სანამ მსჯავრდებული მძიმე სასჯელს საბოლოოდ არ მოიხდის.

მოცემული განმარტება, საკმარისად არაა დასაბუთებული, ვინაიდან არათანაბარი სიმძიმის სასჯელების შთანთქმისას (თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა), შეიძლება სასამართლოს ასეთი ინტერპრეტირება გამოყენებულ იქნეს

განხილვის დასრულების შემდეგ. ამის შესახებ იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება N1/3-20.

⁵¹ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება N416აპ-18. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური მოსაზრება უფრო ადრე, ასევე, გატარებული აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ „სასჯელების შთანთქმა არ ნიშნავს რომელიმე სასჯელის გაუქმებას ან გაქრობას, არამედ ნაკლებად მკაცრი სასჯელის მკაცრ სასჯელთან შთანთქმისას ხდება შთანთქმული სასჯელის მოსახდელი რეჟიმის შეცვლა მკაცრი სასჯელის რეჟიმის მიხედვით, ანუ ჯარიმის შთანთქმა ხდება თავისუფლების აღკვეთასთან, რაც ნიშნავს, რომ პირი თავისუფლება ჯარიმის გადახდისაგან, თუმცა, თავისუფლების აღკვეთაში შთანთქმულმა ჯარიმამ მოხდის რეჟიმი განაგრძო უფრო მკაცრი სასჯელის მოხდის რეჟიმით. ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტის პრინციპიდან გამომდინარე, ვიდრე არ დასრულდება სასჯელის თავისუფლების აღკვეთის მოხდა, შეუძლებელია სამართლებრივად შუალედურ პერიოდში მსჯავრდებული პირი ჩაითვალოს სასჯელმოხდელ პირად რომელიმე ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთან მიმართებაში“. სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ მსჯავრდებული პირი სასჯელმოხდელი პირის სტატუსს იძენს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ და სწორედ აქედან იწყება ნასამართლობის გაქარწყლების ვადის დინება. იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/2192-17.

მსჯავრდებულის/ბრალდებულის საზიანოდ. სწორედ ამიტომ, საჭიროა, აღნიშნული პრობლემა საკანონმდებლო ნორმის განმარტების გზით გადაწყდეს.

VI. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის განმარტება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასიკეთოდ

უზენაესი სასამართლოს მიერ 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული პოზიცია: „სასჯელთა შეკრების ან შთანთქმის შემთხვევაში, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადა, არ მოიცავს სხვა, უფრო მსუბუქი დანაშაულის ნასამართლობის გაქარწყლების ვადასაც...“, ცალკეულ შემთხვევებში, ინტერპრეტაციის გზით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მსჯავრდებულის საუარესოდ. ამიტომ საჭიროა, სსკ-ის 79-ე მუხლის განმარტება, რაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასარგებლო განმარტებას გულისხმობს.

ზოგადად, როგორც ცნობილია, ნორმის განმარტებისას ხდება საკანონმდებლო დებულებისა და მისი ცალკეული ელემენტების ინტერპრეტაცია. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია პირს ნორმის სწორად გამოყენება, როცა იგი კარგად ჩანვდება ნორმის შინაარსში⁵². როცა ნორმის შემფარდებელმა იცის ნორმის შინაარსი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია გადაწყვიტოს, ეს ნორმა საერთოდ შეესაბამება თუ არა იმ შემთხვევას, რომელიც მას აქვს გადასაწყვეტი.⁵³

სამოსამართლო სამართალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ობიექტურ-ტელეოლოგიური განმარტება, რომელიც კანონს განმარტავს ნორმის არსიდან და მიზნიდან გამომდინარე. ამ მეთოდის გამოყენების დროს კი ყურადღება ექცევა

⁵² ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპს ითვალისწინებს. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხსენებული პრინციპი სამართლის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ეს გარანტია არ შემოიფარგლება სისხლის სამართლის კანონისთვის ბრალდებულის საუარესოდ უკუქცევითი ძალის მინიჭების აკრძალვით. ზოგადად, იგი, აგრეთვე, მოიცავს პრინციპებს, რომელთა თანახმადც, ა) მხოლოდ კანონი განსაზღვრავს ქმედების დანაშაულებრიობას, ადგენს სასჯელს (*nullum crimen, nullapoena sine lege*) და ბ) იკრძალება სისხლის სამართლის კანონისთვის ბრალდებულის საუარესოდ განვრცობითი განმარტება, მაგალითად, ანალოგიით – *nullum crimen, nulla poena sine lege stricta* (ამის შესახებ იხ., ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ (no. 2) (*Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*), განაცხადები no. 51111/07 და 42757/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 568; კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Kokkinakis v. Greece*), განაცხადი no. 14307/88, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტი 52; აშური საფრანგეთის წინააღმდეგ (*Achour v. France*), განაცხადი no. 67335/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 41; მოისეიევი რუსეთის წინააღმდეგ (*Moiseyev v. Russia*), განაცხადი no. 62936/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 233. კონვენციის მე-7 მუხლი, თავისი მიზნისა და ამოცანიდან გამომდინარე, ისე უნდა იქნეს განმარტებული და შეფარდებული, რომ უზრუნველყოს ქმედითი გარანტიები თვითნებური ბრალდების, მსჯავრდებისა და დასჯის საწინააღმდეგოდ).

⁵³ იხ., ტურავა მ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2005, 13-14; ტურავა მ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 125.

სხვადასხვა თვალსაზრისს, რომლებმაც უნდა მიგვიყვანოს ნორმის მიზანთან⁵⁴. თუმცა ამგვარი ინტერპრეტაცია იმაზე შორსაც არ უნდა წავიდეს, ვიდრე ეს აუცილებელია.

სსკ-ის 79-ე მუხლი ადგენს ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებულ ვადებს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებზე. ამავე მუხლის შესაბამისად, ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადანყვეტისას⁵⁵. ამდენად, თუკი პირს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს, მაშინ მისი გათვალისწინება, მხედველობაში მიღება არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს ხდება და არც დანაშაულის კვალიფიკაციისას.⁵⁶ სასჯელის მოხდის შემდეგ კი ნასამართლობის გაქარწყლების ვადის დინება ყოველი მუხლისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად (დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად) უნდა მიმდინარეობდეს, როგორც ამას უზენაესი სასამართლო მიუთითებს.⁵⁷

ეს ზოგადი პრინციპი მხოლოდ მაშინ საჭიროებს ინტერპრეტაციას, როცა დანაშაულთა ერთობლიობისას არათანაბარი სიმძიმის სასჯელთა (მაგ., თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა) შთანთქმის წესი გამოიყენება. ამ დროს ზემოაღნიშნული დანაშაულის სასამართლოს მიერ განმარტებული უნდა იქნეს ობიექტურ-ტელეოლოგიურად, ანუ ნორმის არსიდან და მიზნიდან გამომდინარე, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა მიგვიყვანოს მსჯავრდებულის/ბრალდებულის სასარგებლოდ ნორმის ინტერპრეტაციამდე. ეს კი ნიშნავს იმას, აღარ არსებობს იმ სასჯელის აღსრულების მექანიზმი, რომელიც უკვე შთანთქმულია უფრო მძიმე სასჯელის⁵⁸ მიერ. აქედან გამომდინარე, ამ სასჯელისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადაც უნდა აითვალოს არა უფრო მძიმე სასჯელის მოხდის დღიდან, არამედ იქიდან, როდესაც მოსამართლემ განაჩენში სასჯელის შთანთქმის პრინციპი გამოიყენა და ასეთი განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა.⁵⁹

⁵⁴ შეად., ტურავა მ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადანყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005, 13-14; ტურავა მ., სისხლის სამართლის, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 48; ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გამოცემა, თბილისი, 2009, 61-62.

⁵⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 ივლისის გადანყვეტილება N1/2395-15 და ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივნისის N6აპ-16.

⁵⁶ დაუშვებელია მოსამართლემ რაიმე ფორმით განაჩენში ასახოს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა, შეად., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის N322აპ-14. ასევე, იხ., სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისას და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 221.

⁵⁷ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის გადანყვეტილება N416აპ-18; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის გადანყვეტილება N1/3-20.

⁵⁸ საუბარია სასჯელის არა ერთ კონკრეტულ, არამედ სხვადასხვა სახეზე.

⁵⁹ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე. იხ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული სიტყვათა წყობა - **ნასამართლობა გაქარწყლება:... სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ**, ინტერპრეტირებული უნდა იქნეს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ისე, რომ თითქოსდა, მსჯავრდებულმა ეს სასჯელი – ჯარიმა მყისიერად მაშინვე აღასრულა, ე.ი. **სასჯელი მოიხადა**. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება სრულიად ალოგიკური სიტუაცია, სახელდობრ, თუკი სასამართლო სასჯელთა შეკრების წესს⁶⁰ გამოიყენებს და უფრო მძიმე სასჯელს – მაგ., თავისუფლების აღკვეთას, დაუმატებს შედარებით მსუბუქ სასჯელს – ჯარიმას⁶¹, ჯარიმის გადახდისთანავე მსჯავრდებულს ნასამართლობა გაუქარწყლება⁶² არა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის შემდეგ, არამედ ჯარიმის გადახდის დღიდან ერთი წლის შემდეგ (მაგ., განაჩენის გამოცხადების შემდეგ, თუკი მსჯავრდებული ან მისი ახლო ნათესავი მაშინვე გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმას). სწორედ ამიტომ, არათანაბარი სიმძიმის სასჯელთა შთანთქმის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მსჯავრდებულს საბოლოოდ ერთ სასჯელს უსაზღვრავს და მსუბუქი სასჯელის აღსრულება უკვე დღის წესრიგში აღარ დგას, დაუშვებელია შთანთქმული სასჯელის ვადის გაქარწყლების საკითხი განიმარტოს ამ დროს მის საუარესოდ და იგი ათვლილი იქნეს უფრო მძიმე სასჯელის მოხდის დღიდან.

კანონმდებლის ამგვარ ნებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ადრე მოქმედი, კერძოდ, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლი, რომელიც ადგენდა ანალოგიურ, დღეს მოქმედი სსკ-ის 79-ე მუხლისგან განსხვავებულ რეგულაციას – მოქმედ კანონში აღარ არის გათვალისწინებული. კერძოდ კი, ეს წესი მდგომარეობდა შემდეგში: თუ პირი, რომელმაც მოიხადა სასჯელი, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს, ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადის მიმდინარეობა წყდებოდა, პირველი დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა კი ხელახლა გამოითვლებოდა უკანასკნელი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) ფაქტიურად მოხდის შემდეგ. ამ შემთხვევაში პირი ნასამართლეობის მქონედ ითვლებოდა ორივე დანაშაულისათვის, **ვიდრე გავიდოდა ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა**. ამგვარი ჩანაწერი მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში აღარაა, ვინაიდან კანონმდებლის დღევანდელი პოზიცია სრულიად ცალსახაა და მისი ლიბერალური ხედვა ამ საკითხთან

⁶⁰ ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის ცვლილებამდე გამოიყენებოდა სასჯელთა შთანთქმისა და შეკრების პრინციპი.

⁶¹ ჯარიმის ბუნების თავისებურება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მისი გადახდა ნებისმიერ პირს შეუძლია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის 5(1) ითვალისწინებდა შემდეგ წესს (ამოღებულია 12.06.2016 წლის კანონით): თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო აღმოჩნდებოდა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. საკონსტიტუციო სასამართლომ კი აღნიშნული დანაწესი კონსტიტუციურად მიიჩნია. ამის შესახებ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶² ქარწყლება ჯარიმის გადახდიდან ერთი წლის შემდეგ.

დაკავშირებით არის ძველი რედაქციისაგან განსხვავებული (ნორმის ისტორიული განმარტება).

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ამ პოზიციას ამყარებს, მდგომარეობს შემდეგში: როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ სასჯელის მოხდისგან ათავისუფლებს გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო. სახელდობრ, სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში: ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს; გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს; დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს. ამავე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება ჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ვადის დინება, ასევე, შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი. ამასთან, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება, აგრეთვე, ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის შეჩერების რამდენიმე გარემოებას, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევა. აქედან გამომდინარე, საკითხავია, შთანთქმული სასჯელის დროს, როდესაც უკვე კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს გადაწყვეტილება და პირი თავს არ არიდებს სასჯელის მოხდას, მოქმედებს თუ არა ამ შთანთქმული სასჯელის აღსრულების რაიმე განსაკუთრებული წესი და თუ მოქმედებს, მაშინ როდიდან უნდა იქნეს იგი აღსრულებული?

პრობლემურია სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტა არათანაბარი სიმძიმის სასჯელის გამოყენების დროს. ამასთან, თუკი კვლავ უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის ზოგად განმარტებას მოვიხმობთ, სადაც საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „სასჯელის შთანთქმა არ ნიშნავს შთანთქმული სასჯელის გაუქმებას“⁶³, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდეც, რომ ეს წესი უნდა გავრცელდეს არათანაბარი სიმძიმის სასჯელის გამოყენების შემთხვევაზეც. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შთანთქმული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაც უნდა შეჩერდეს,

⁶³ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N1248აგ-13.

ხოლო მისი დინება შესაძლებელია რეტროაქტიურად განახლდეს ნებისმიერ დროს. ასე, მაგალითად, ვიდრე: ა) არ გამოიციმე „ამნისტიის შესახებ“ კანონი, რომელმაც შესაძლოა, გააუქმოს მძიმე სასჯელი, თუმცა, მისი მოქმედება საერთოდ არ გავრცელდეს შთანთქმულ სასჯელზე⁶⁴; ბ) მსჯავრდებული უმაღვე სასჯელალსრულებით დაწესებულების დატოვებისთანავე არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს; გ) ახალი კანონი საერთოდ არ გააუქმებს მძიმე დანაშაულისთვის გათვალისწინებული ქმედების დასჯადობას, მაგრამ კანონმდებლის ასეთი ჰუმანური აქტი არ გავრცელდება უკვე შთანთქმულ სასჯელზე⁶⁵. გამოდის, რომ ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებში, მსჯავრდებულმა შესაძლოა მაინც მოიხადოს შთანთქმული სასჯელი, რადგან ზოგადი წესი – „სასჯელის შთანთქმა არ ნიშნავს შთანთქმული სასჯელის გაუქმებას“ – ამ ლოგიკით, უნდა გავრცელდეს არათანაბარი სიმძიმის სასჯელთა შთანთქმის შემთხვევებზეც, რაც უსამართლოა და გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იქნება ნებისმიერი პირისათვის.

VII. დასკვნა

სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობის არსებობა, მისი დადგენა გავლენას ახდენს ქმედების შემადგენლობის და შესაბამისად, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. დანაშაულთა ერთობლიობისას, შთანთქმული სასჯელის დროს მოქმედებს ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებული წესი. სასჯელის მოხდის შემდეგ ნასამართლობის გაქარწყლების ვადის დინება ყოველი მუხლისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად) უნდა მიმდინარეობდეს. დანაშაულთა ერთობლიობის დროს კი, სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებისას (არათანაბარი სიმძიმის სასჯელის შემთხვევაში), შთანთქმული სასჯელის ნასამართლობის გაქარწყლების ვადის ათვლის წერტილად მითითებული უნდა იქნეს არა უფრო მძიმე დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის ვადა, არამედ ის ვადა, როდესაც მოსამართლემ განაჩენში სასჯელის შთანთქმის პრინციპი გამოიყენა და ასეთი განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნეს მსჯავრდებულის/ბრალდებულის სასარგებლოდ, რაც, საბოლოო ჯამში, მის სასიკეთოდ ჰუმანური გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს.

⁶⁴ როგორც ეს იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებაში.

⁶⁵ როგორც ეს მოხდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებში.